# კვირის პალიტრა

№ 2 (463) ◆ 12 – 18 იანვარი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## არ გააპატიებენ, თუ დაინახეს, თავისი გაინაღდა და ჩვენ აღარაფრად გვაგდებსო...



**„არ ვაპირებ მის დაჩაგვრას, იმის გამო, რომ ჩემი ქმარია.“**

— ბატონ ასლანს არ უთქვამს, კმარელების დაპატიმრება შეთანხმებული იყოო. უბრალოდ, ჩვენ გვქონდა საუბარი და გამოვხატე შეშფოთება იმ მოვლენების გამო, რაც ხდება აჭარაში. ბატონ ასლანს ვთხოვე, თქვენ ჩაერთეთ იმ პროცესებში, რაც ავტონომიის ტერიტორიაზე ხდება-მეთქი. ვფიქრობ, მოვახერხებთ, რომ აჭარაში მოვლენები ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს.

...ცუდს და საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ ჩვენ უმრავლესობა გვეყოლება პარლამენტში. გვ.7

## „შუაზე გადაჭრით გვეუქრებიან“




„რეკლამებში საწარმოების ხელმძღვანელები უსირცხვილოდ აცხადებენ, რომ შპს „კვარციტიდან“ მიღებულმა შემოსავალმა დივიდენდების სახით 22,8 მილიონი ლარი შეადგინა. მე კი შევახსენებ მათ, რომ „მადნეულის“ არსებობიდან დღემდე ჩემმა 375-მა ცალმა აქციამ დივიდენდების სახით მხოლოდ ათი ლარი მიიღო(?!). თუ ასეთი ძლიერი და „წელში გამართულია“ ეს საწარმო, ათ ლარზე მეტი რატომ ვერ გადამიხადეს?! განა ყოველივე ეს იმაში დაეჭვების საფუძველს არ იძლევა, რომ მოგება ხელოვნურად არის შემცირებული და აქ ნაღდი ფულის ალებმიცემობაა გამეფებული?“ გვ.5,13

**შემცირდა თუ არა ეროვნულ ბანკში გადატანილ ზოდებში ოქროს შემცველობა?**

## „რაც მე ვიცი, ყველამ არ იცის...“

**„დამნაშავე ჩემი სიძე იქნება თუ რძალი, პასუხი უნდა აგოს“**

**ექსკლუზიური ინტერვიუ დღემდე უცნობ დეტალებზე**



საღამოს, რეზიდენციაში დაბრუნების შემდეგ, ბევრი ვიფიქრე, ღამითაც არ მძინებია. ეს ბუნებრივიც იყო, ამხელა გამოცდის წინაშე ვიდექი.

მეორე დღეს ბატონი ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი მოვიდნენ რეზიდენციაში, მითხრეს — მდგომარეობა ურთულესია, ხომ არ განიხილავთ პრეზიდენტის გადადგომის საკითხსო. ვატყობდი, წვალობდნენ, იტანჯებოდნენ, როცა მათზე უფროს კაცს ამას მეუბნებოდნენ. განსაკუთრებით აღელვებული ზურაბ ჟვანია იყო...

ყველაფერს ელოდნენ ჩემი გადადგომის გარდა და ამიტომ გაოგნდნენ... კმაყოფილი ვარ, რომ გადავდექი... გვ.6,7

## რატომ ვყრით თბილისს ნაგავს ფანჯრებიდან

**ფსიქოლოგიური პორტრეტი —**

**რატომ შეგვძულდა გარე სამყარო...**



ერთხელ აბრაც დავდგი, ზედ დავაწერე — „ნაგვის დამყრელო, სიკვდილს ეთამაშები“, მაგრამ რად გინდა? მაინც ყრიან... გვ.11

**რატომ მოედო ჩვენს ქალაქს ასეთი სენი?!**

## მიხეილ სააკაშვილის ყველაზე დიდი ღირსება და ნაკლი!

მკითხველის შეიცინე გვ.35



## რა აკავშირებს გია ვაშაკიძეს ლევან კალაძესთან?

გვ.5

**მაღლაკელიძე გაათავისუფლეს**

## „ა“-პოლიტიკური კარნავალი

„კვირის პალიტრის“ მკითხველმა ხელიდან არ გაუშვა შანსი და ცნობილ ადამიანებს თავისი გემოვნებით გაუნაწილა საკარნავალო კოსტიუმები



გვ.33

## არ აკოცოთ კუჭის წყლულით დაავადებულს

**„ეე-ნოლი“ – პრობლემის მყისიერი გადაწყვეტა**

გვ.24

## რა აქვს სათქმელი მეფეთა უთამომავალს ახალი პრეზიდენტისთვის?

გვ.12

# თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## ასე იწყება ახალი ხანა

საქართველოს ახალმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „ბრწყინვალე" უწოდა გაერთიანებული ქართული ბანკის თანათავმჯდომარის, თამაზ მაღლაკელიძის გათავისუფლების ოპერაციას და განაცხადა, რომ მისი პრეზიდენტობისას გადამწყვეტი ზომები იქნება მიღებული დამნაშავეობისა და ბანდიტიზმის, ადამიანთა გამტაცებლების და მექრთამეთა წინააღმდეგ. სააკაშვილის თქმით, იგი საპრეზიდენტო რეზიდენციის გადატანას 12-სართულიანი კანცელარიიდან უფრო მოკრძალებულ თბილისის საგზაო პოლიციის ყოფილ შენობაში აპირებს და ამ ფაქტს ეკონომიურობის აუცილებლობით ხსნის.

სააკაშვილის პრეზიდენტად „კურთხევის" ცერემონიალი, სავარაუდოდ, გელათში გაიმართება. დედაქალაქში კი ინაუგურაციის დღეს სამხედრო აღლუმი ჩატარდება. ცერემონიალზე დასასწრებად თბილისში ჩამოსვლის სურვილი გამოთქვა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა, რასაც მოქმედმა პრეზიდენტმა ნინო ბურჯანაძემ უპრეცედენტო ფაქტი უწოდა.

## ბათუმში „კმარა" მოქმედებას იწყებს

აჭარის ხელისუფლებამ მოიცალა „კმარასთვის" და საპრეზიდენტო არჩევნებში ვალის „კეთილსინდისიერად" მოხდის შემდეგ რესპუბლიკა ჯერ „საგანგებო მდგომარეობაში" დააბრუნა და მერე „კმარელებით" ბათუმის იზოლატორის შევსება დაიწყო. როგორც ჩანს, ოფიციალური ბათუმი მართლაც „ეშხში შევიდა" და ამჯერად აჭარელმა სამართალდამცველებმა იერიში ჟურნალისტებზეც მიიტანეს. 11 იანვარს, ტელეკომპანია „იმედის" წარმომადგენლების განცხადებით, მათ პროვოკაცია მოუწყვეს. დაახლოებით 20 საათსა და 30 წუთზე „იმედის" ბათუმის ოფისში ანონიმური ზარი გაისმა, რომელიც ბულვარის ტერიტორიაზე „კმარას" პროკლამაციების გავრცელების შესახებ იუწყებოდა. მითითებულ ადგილზე გასულ გადამღებ ჯგუფს სხვა ტელეკომპანიის წარმომადგენლები და ბათუმის პოლიციის მე-11 ქვეგანყოფილების თანამშრომლები დახვდნენ, რომლებიც ტერიტორიას პროკლამაციებისგან ასუფთავებდნენ. სამართალდამცველებმა პროკლამაციების გავრცელება „იმედის" გადამღებ ჯგუფს დააბრალეს. „იგივე მოგვიანებით აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო საშუალებებმაც გაიმეორეს", განაცხადეს ტელეკომპანიის ჟურნალისტებმა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეწყვეტილია რადიო „იმედის" მაუწყებლობაც.

აჭარაში ბოლო დღეებში მიმდინარე მოვლენების გამო საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო და ტექნიკური უნივერსიტეტების სტუდენტებთან ერთად პროტესტს ახალგაზრდული მოძრაობის წევრებიც გამოთქვამენ. სტუდენტები რადიო „იმედის" და „რუსთავი-2"-ის მაუწყებლობის აღდგენას და „კმარას" აქტივისტების სასწრაფო გათავისუფლებას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მშვიდობიანი აქციებით იმუქრებიან. აჭარის შს მინისტრის, ჯემალ გოგიტიძის მისამართით კი გამაფრთხილებელ განცხადებას აკეთებენ — „ბატონო ჯემალ, არავინ შეგარჩენთ იმას, რასაც დღეს აკეთებთ. მსგავსი ქმედება არავის არ შერჩენია!"

## გონიოში ნაციონალების დროშა აღმართეს

კვირას, 11 იანვარს, განსაკუთრებით დაიძაბა სიტუაცია. სოფელ გონიოში მოსახლეობის ნაწილმა გონიოს ციხესიმაგრეზე ნაციონალური მოძრაობის დროშის აღმართვა მოინდომა, რაც სკანდალით დასრულდა. მოგვიანებით გონიოელებმა გადაწყვეტილება შეცვალეს, დროშა გამგეობის შენობის თავზე აღმართეს და მიტინგიც გამართეს. ამასთან, მომიტინგეები აჭარაში საგანგებო მდგომარეობის გაუქმებას მოითხოვდნენ. ამ ფაქტიდან რამდენიმე წუთში გამგეობის შენობასთან მივიდა პირთა ჯგუფი, რომელმაც დაარბია ნაციონალების მომხრეები და ჟურნალისტები. მათ ოპერატორებს გადამღები კამერები და კასეტები წაართვეს. თვითმხილველთა თქმით, ეს ის ჯგუფი იყო, რომელმაც თავის დროზე ნაციონალების მიტინგი დაარბია ბათუმში. სიტუაციის განმუხტვა აჭარის შს სამინისტროს სპეცსამსახურის უფროსის ჩარევის შემდეგ მოხერხდა.

## გახდება ჟვანია პრემიერ-მინისტრი?

„საქართველოში პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღება ახალი ხელისუფლების ლიდერების დაპირისპირების საფუძველი გახდება", — ასეთია ექსპერტებისა და პოლიტოლოგების პროგნოზი მოსალოდნელი კონსტიტუციური ცვლილების შესახებ. მათი განცხადებით, საქართველოსთვის კონსტიტუციური მოწყობის ნებისმიერი შერეული მოდელი მიუღებელია. აქედან გამომდინარე, ეჭვქვეშ დგება კითხვაც, გახდება თუ არა პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, რომელმაც ამ პოსტის მოპოვების შანსი ერთხელ უკვე დაკარგა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში ყოფნის დროს. ეს საკითხი ალბათ გაზაფხულზე ახალი მოწვევის პარლამენტის გადასაწყვეტი გახდება. პოლიტოლოგების, ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით, ამ ეტაპზე საქართველოსთვის ყველაზე მისაღები სახელმწიფო მოწყობის ამერიკული მოდელია ძლიერი პრეზიდენტით. ექსპერტების განცხადებით, პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღების შემთხვევაში, სააკაშვილმა ახალ პოლიტიკურ ლიდერს ან ძალაუფლება უნდა გაუნაწილოს, ან პასუხისმგებლობა და სწორედ ეს ფაქტორი შეიძლება გახდეს მათ შორის განხეთქილების მიზეზი. ამიტომ ხელისუფლების გადანაწილების ფორმულა — სააკაშვილი-პრეზიდენტი, ჟვანია-პრემიერ-მინისტრი და ბურჯანაძე-პარლამენტის თავმჯდომარე — შეიძლება არარეალური გახდეს და ჟვანია პრემიერ-მინისტრის პოსტის გარეშე დარჩეს. „საქართველოში ძლიერი პრეზიდენტი და ძლიერი პრემიერ-მინისტრი ისევე ვერ იქნება, როგორც სხვა სახელმწიფოში. მათ შორის ერთ-ერთს შეზღუდული ძალაუფლება უნდა ჰქონდეს. უფლებამოსილებების გადანაწილება კი კონფლიქტს გარდაუვალს გახდის. ამიტომ ამ ეტაპზე საქართველოს მხოლოდ ძლიერი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს", — აცხადებენ ექსპერტები.

საქართველოს ახალი პრეზიდენტის თქმით კი, მას ცალკე თამაშს გუნდური ურჩევნია და აუცილებლად შემოიღებს პრემიერ-მინისტრის პოსტს, თუმცა არც იმას უარყოფს, რომ ძალაუფლებას არავის გადაუნაწილებს.

## პოლიციელი ყვავილს ვერ ისვრის(?!)

„გათავისუფლდეს შსს უღირსი თანამშრომლებისგან", — ასეთი მოთხოვნა წაუყენეს საპროტესტო აქციაზე არასამთავრობო ორგანიზაციებმა შს მინისტრს და „უღირსების სიაც" წარადგინეს, რომელშიც შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმის უფროსი თემურ მღებრიშვილი „ლიდერობს". პირველ პოზიციებს მასთან ინაწილებენ კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულობებთან ბრძოლის სამსახურის უფროსი დავით კაჭკაჭიშვილი და მინისტრის მოადგილე რუბენ ასანიძე. „განსაკუთრებული სისასტიკისა და არაადამიანური მოღვაწეობისთვის" არასამთავრობო ორგანიზაციის, საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელმძღვანელმა, დავით ლილუაშვილმა მღებრიშვილის „დასაჯილდოებლად" სიგელიც წარადგინა. აქციის მონაწილეებს შეხვდა შს მინისტრის მოადგილე შოთა ასათიანი, რომელმაც აღიარა, რომ შსს-ში მართლაც არიან უღირსი და კორუმპირებული მუშაკები, რომლებთან ბრძოლაც უკვე მიმდინარეობს. თუმცა, მინისტრის მოადგილემ შავი სიის „ლიდერების" დადანაშაულება უსაფუძვლოდ მიიჩნია, მათ პროფესიონალიზმს ხოტბა შეასხა და პროტესტანტები იმით „დაამშვიდა", რომ მღებრიშვილი პოლიციელია და ყვავილებს ვერ ისვრის.

შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ და მექრთამეობის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს გორის კრიმინალური პოლიციის უფროსი ლევან ჩოხელი. მას ფულის გამოძალვა ედება ბრალად. სპეციალური ქიმიური ფხვნილით დამუშავებული კუპიურები შსს-ს თანამშრომლებმა კრიმინალური პოლიციის უფროსის კაბინეტში, სეიფიდან ამოიღეს. სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის თანახმად, მას 3-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

## 4 იანვარს ქურნალი იყო, კინო 28 მარტს იქნებაო...

4 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნებზე ეუთოს დამკვირვებელთა მისია საქართველოს ხელისუფლებას საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით თავის დასკვნებს თვის ბოლოს წარუდგენს. მისიის ხელმძღვანელი კრეგ ჯენესი აცხადებს, რომ საქართველოსთვის დემოკრატიის ნამდვილი გამოცდა საპარლამენტო არჩევნები იქნება. იგი იმედოვნებს, რომ საქართველოს ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნებზე გაითვალისწინებს იმ რეკომენდაციებს და შენიშვნებს, რომლებსაც ეუთოს დამკვირვებელთა მისია შეიმუშავებს. ჯენესის აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უნდა აღადგინოს პოლიტიკურ ძალთა ბალანსი და ოპოზიციას რამდენიმე ხმა დაუთმოს. ასევე დროულად უნდა შედგეს ამომრჩეველთა ერთიანი სიები. კრეგ ჯენესის განცხადებით, ეუთო კვლავაც განიხილავს საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოს ხელისუფლების ფინანსური და ტექნიკური დახმარების პერსპექტივას და დემოკრატიული პროცესების განვითარებას საქართველოში კვლავაც დაეხმარება.

## აქციზური მარკების კონტრაბანდა

„ოპერატიული ღონისძიების შედეგად მხილებულია ბათუმელი ნაზიმ ბერაძე, რომელსაც თურქეთიდან სისტემატურად შემოჰქონდა ყალბი აქციზური მარკები", — აცხადებს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ოპერატიული სამსახურის უფროსი გიორგი ახვლედიანი. მისივე თქმით, აღმოჩენილია თბილისში მოქმედი ფალსიფიცირებული პროდუქციის მწარმოებელი რამდენიმე საწარმო, რომლებიც გასაყიდად გამზადებულ საქონელს სწორედ ამ ყალბი აქციზური მარკებით „ამკობდნენ", რის შედეგადაც ბიუჯეტი და მოსახლეობის ჯანმრთელობა სერიოზულად ზარალდებოდა.

## ნადარეიშვილს კვიციანიც დაუპირისპირდა

აფხაზეთის დევნილი მთავრობის შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო აქცია, რომელზეც დევნილთა ერთი ჯგუფი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, თამაზ ნადარეიშვილის გადადგომას, აფხაზეთის დეპუტაციისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას და დამატებითი არჩევნების ჩატარებას მოითხოვდა, უშედეგოდ დამთავრდა — ნადარეიშვილი თანამდებობას ინარჩუნებს. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის, ეთერ ასტემიროვას განცხადებით, „ნადარეიშვილის გადადგომით არაფერი შეიცვლება. ის ხალხი, ვინც მას აკრიტიკებს, არაფრის გამკეთებელია. რა თქმა უნდა, ნადარეიშვილს შეცდომებიც ჰქონდა, მაგრამ ის თავის ადგილზე დღეს უალტერნატივოა".

ამასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი აქვს კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულს, ემზარ კვიციანს, რომელიც „იმელთან" მიმდინარე საპროტესტო აქციებშიც მონაწილეობდა. იგი ნადარეიშვილს უცხო ქვეყნის აგენტობაში დებს ბრალს და აცხადებს, რომ რახან ნადარეიშვილი კარგა ხანია გაშიფრულია, იგი ქვეყნისთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენს. კვიციანის აზრით, ახლა მთავარი ნადარეიშვილის გადადგომა კი არა, აფხაზეთის დეპუტაციისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა და დამატებითი არჩევნების ჩატარებაა. იგი დაუშვებლად მიიჩნევს პარლამენტში აფხაზეთის მუდმივი დეპუტაციის არსებობას.

## არშბა სააკაშვილს ურჩევს

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება საქართველოს ახალარჩეულ პრეზიდენტს დიალოგის განახლებისათვის საკუთარ პირობებს სთავაზობს. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ვალერი არშბა მიხეილ სააკაშვილისაგან ადრე მიღწეული შეთანხმებების ძალაში დატოვებას, აფხაზეთის წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე უარის თქმასა და დასავლეთ საქართველოში ტერორისტული დაჯგუფებების ალაგმვას მოითხოვს. არშბას მოთხოვნები კონფლიქტის ზონაში გაეროს სპეციალურ წარმომადგენლებსაც გადაეცა.

სეპარატისტული ხელისუფლების მოთხოვნებზე აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ხელმძღვანელი თამაზ ნადარეიშვილი კომენტარს არ აკეთებს, სამაგიეროდ, აცხადებს, რომ იგეგმებოდა მისი ლიკვიდაცია, რომლის ორგანიზატორები, ნადარეიშვილის თქმით, ქართველი მაღალჩინოსნები არიან. საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე ნადარეიშვილმა განაცხადა, რომ დაიჭირა კილერი, რომელსაც მისი მოკვლა ჰქონდა დავალებული. ამის დასტურად მან წარმოადგინა ვიდეოკასეტა, სადაც კილერია ასახული. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, თამაზ ნადარეიშვილმა ამ საქმესთან დაკავშირებული მასალები გენერალურ პროკურატურას გადასცა. მისი თქმით, იგი უახლოეს ხანში დაასახელებს მკვლელობის შემკვეთთა გვარებს.

## ინციდენტი აჩაბეთთან

11 იანვარს, ღამით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სოფელ აჩაბეთთან „ჟიგულის" მარკის ავტომანქანა, რომელსაც ოსი ეროვნების ვალერი ელიზაროვი მართავდა, ქართველ პოლიციელს, ლევან ჯულუხაძეს დაეჯახა და ცხინვალის მიმართულებით მიიმალა. პოლიციელებს სოფელ თამარაშენთან ავტომანქანიდან ცეცხლი გაუხსნეს. მოგვიანებით ელიზაროვი ცხინვალის პოლიციამ დააკავა. მისი ორი თანამგზავრი კი საავადმყოფოში მოათავსეს. სოფელ ქურთის საავადმყოფოში გადაყვანილია ლევან ჯულუხაძეც. ამ ფაქტთან დაკავშირებით ოსურ მხარეს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

ქართველი სამართალდამცველების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ვალერი ელიზაროვისა და რამდენიმე პირის კამათს შეესწრო გამგებელი ნოდარ ყოჩიშვილი, რომელმაც დაძაბულობის განმუხტვა ვერ შეძლო და საშველად პოლიციის ოპერატიულ მორიგე ჯგუფს უხმო. ელიზაროვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა გაქცევისას ავტომანქანა ლევან ჯულუხაძეს დააჯახეს, რომლის სიცოცხლეს, ექიმების განცხადებით, საფრთხე არ ემუქრება.

## ტრაგედია გორში

10 იანვარს, ღამით, გორში მომხდარი აფეთქება მსხვერპლით დასრულდა. ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა ყიფიანის ქუჩაზე მცხოვრები გიგა ბლუაშვილის საცხოვრებელ ბინაში ასაფეთქებელი საშუალება ფანჯრიდან შეაგდეს. აფეთქების შედეგად შემთხვევის ადგილზე დაიღუპნენ ბლუაშვილებთან სტუმრად მყოფი ლალი ქოქაშვილი და მერაბ მედოევი. სხეულის სხვადასხვა დაზიანებით გორის საავადმყოფოში გადაიყვანეს ნინო ქოქაშვილი, ხათუნა პაზიშვილი, გულნაზ ბლუაშვილი, ოჯახის უფროსი გიგა ბლუაშვილი. ხათუნა პაზიშვილი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

გამოძიება ჯერჯერობით არ აკონკრეტებს დანაშაულში ეჭვმიტანილთა ვინაობას. თუმცა, აცხადებს, რომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია არსებობს. სავარაუდო მოტივად სახელდება პირადი შურისძიება ოჯახის უფროსის მიმართ.

## მკვლელობა ოზურგეთში

ოზურგეთში დაუდგენელმა პირმა 30 წლის ალექსანდრე ბახტაძე მოკლა და დაჭრა მისი თანმხლები ვალერი ტკაჩუკი. პოლიციის განცხადებით, სავარაუდო ეჭვმიტანილი მათთვის ცნობილია. დაჭრილმა ტკაჩუკმა სამხარეო პოლიციას ჩვენება მისცა.

მკვლელობის თვითმხილველების განცხადებით, ასეთი სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა მათ არ ახსოვთ — გარდაცვლილ ბახტაძეს სასიკვდილო ჭრილობა ე. წ. „სპიცით" აქვს მიყენებული. პოლიციის განცხადებით, გარდაცვლილიც, მისი თანმხლებიც და დამნაშავეც ნასვამები იყვნენ. „მათ შორის ურთიერთშელაპარაკება ბანალურ თემაზე მოხდა და ეს არ იყო დაკავშირებული კრიმინალურ გარჩევასთან", — აცხადებს პოლიცია.

## კანონიერი ქურდების დასაცავად(?!)

ე.წ. კანონიერი ქურდის, ზაზა ამბროლაძის დაკავების გამო მისმა ნათესავებმა და გათავისუფლების მომხრეებმა ქუთაისში საპროტესტო აქცია გამართეს. მდინარე ჭიშურასთან დაახლოებით 50-მა კაცმა თბილისი-ზუგდიდის ავტომაგისტრალი გადაკეტეს და მათი თქმით უკანონოდ დაპატიმრებული ამბროლაძის გათავისუფლება მოითხოვეს.

იარაღის უკანონო შენახვის გამო ზაზა ამბროლაძე თერჯოლის რაიონის სოფელ გოდოგანში სამი დღის წინ დააკავა პოლიციამ. აქციის მონაწილეთა მტკიცებით, პოლიციამ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ჩხრეკის დროს თვითონ შეუგდო სახლში ამბროლაძეს. დასავლეთ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების გაფრთხილების მიუხედავად, აქციის მონაწილეები არ დაიშალნენ, რის შემდეგ საპროტესტო აქციის აღკვეთა ძალის გამოყენებით მოხდა. პოლიცია მიიჩნევს, რომ ამბროლაძის მხარდამჭერთა აქცია არასამართლიანი იყო და ამასთან, საგზაო მოძრაობას აფერხებდა.

იმერეთში პრეზიდენტის სამხარეო რწმუნებულის, დავით მუმლაძის თქმით, კანონიერი ქურდის მხარდამჭერები ხულიგნები არიან და მათ მიერ ჩატარებული ნებისმიერი აქცია ყოველთვის აღკვეთილი იქნება.

## ჩაბნელება იწყება?

2003 წლის ბოლოს და ახალი წლის დღეებში ელექტროენერგიის უყაირათო ხარჯვის გამო საქართველოს იანვრის ბოლოსთვის სრული ჩაბნელება ემუქრება, — ასეთ ავისმომასწავებელ პროგნოზს გვთავაზობენ ქართული ენერგოკომპანიები, რასაც არც საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლები უარყოფენ და აცხადებენ, რომ ენგურის წყალსაცავში რესურსების სრული ამოწურვის გამო ჩაბნელება გარდაუვალია, თუ ქვეყანა რუსული ან სომხური ელექტროენერგიის იმპორტს არ მიიღებს.

ამგვარი განცხადებების შემდეგ სასაცილოდ ჟღერს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის, მამუკა ნიკოლაიშვილის მტკიცება იმის შესახებ, რომ თბილისს დენი 24 საათის განმავლობაში ექნება, რეგიონები კი დაწესებული გრაფიკით მომარაგდებიან. ზოგიერთი რეგიონი 3 იანვრიდან უკვე სრულ სიბნელეში იმყოფება, დედაქალაქში კი ახალი წლის პირველი დღეებიდანვე დაიწყო ელექტროენერგიის მიწოდების შეზღუდვები.

როგორც ჩანს, მამუკა ნიკოლაიშვილის მუქარამ თანამშრომლების მიმართ — ენერგეტიკული პრობლემები მოაგვარეთ, თორემ სამსახურიდან დაგხსნითო, შედეგი ვერ გამოიღო. თუ ენერგოექსპერტების პროგნოზი გამართლდა, ალბათ ნიკოლაიშვილს თავად მოუწევს თანამდებობიდან წასვლა, რამაც საეჭვოა, ენგურის წყალსაცავში წყლის დონის მომატება გამოიწვიოს.




## დემოკრატიას „განაჩენი" გამოუტანეს

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ აზერბაიჯანმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა არადემოკრატიული სახელმწიფოს იმიჯის „განსამტკიცებლად". აზერბაიჯანის პარლამენტმა მოიწონა კანონი, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტს, ილჰამ ალიევს ქვეყნის ტელევიზიასა და რადიოზე კონტროლის დაწესებისკენ მოუწოდებს.

კანონს მხარი 94-მა დეპუტატმა დაუჭირა, თავი მხოლოდ ერთმა შეიკავა. პარლამენტის წევრ ჯამილ ჰასანლის განცხადებით, ქვეყნის ახალი ხელისუფლება ამიერიდან თვითონ განსაზღვრავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პოზიციას, რაც აზერბაიჯანული ოპოზიციური ძალების აზრით, სამუდამოდ დაასამარებს ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების დაცვის იმედს.

# ეს ფაქტი „ლეკიანობის“ დასასრულის დასაწყისად უნდა იქცეს

წლევანდელ შობას საქართველო სამ პრეზიდენტთან ერთად შეხვდა — ყოფილი, დროებითი და მომავალი — ერთდროულად აღმოჩნდნენ სიონის ტაძარში. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ სამივე მათგანი — პრეზიდენტი თან არის და თან არ არის. „ყოფილი“ — „მომავალის“ ინაუგურაციამდე „ზეპირად გადამდგარად“ ითვლება, რადგან ოფიციალურ დოკუმენტებში ეს არსად დაუფიქსირებია; „დროებითი“ თავის ლეგიტიმურობას თვითონვე აყენებს ხოლმე ეჭვქვეშ — როდესაც ხელისუფლების ლეგიტიმაციის აუცილებლობაზე ლაპარაკობს. სააკაშვილმა არჩევნებში გაიმარჯვა, მაგრამ ინაუგურაციამდე მთლად პრეზიდენტად ვერ ჩაითვლება...

ჯერჯერობით ახალმა ხელისუფლებამ ახალი სახელმწიფოებრიობის შენება ახალი საპრეზიდენტო რეზიდენციის მშენებლობით დაიწყო. მავანთ ეს ავად ენიშნათ, თუმცა ვინ იცის, ეგებ, ერთგვარი სიმბოლო ესეც იყოს — თუ, რასაკვირველია, ესოდენ მოკლე პერიოდში მსგავსი „სიმბოლოები“ საკმარისზე მეტად არ დაგროვდება. რატომღაც, რევოლუციურ ტალღაზე მოსული ხელისუფლება თეატრალიზებულ სანახაობებს მეტისმეტად დიდ დროს უთმობს — რევოლუციურ კონცერტს მთავრობის სახლის წინ ახალწლის ღამის კონცერტი მოჰყვა. ამბობენ, ინაუგურაცია გელათში, დავით აღმაშენებლის საფლავზე დაიწყება და ცერემონიის გამართვაზე საუკეთესო რეჟისორები მუშაობენო... თუმცა, ვინ იცის — უკანასკნელი წლების მანძილზე ხალხს ისე აუცრუვდა გული სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრიობაზე, რომ ეგებ ასეთი სახის იდეოლოგია საჭიროც იყოს, მის საბრძოლო განწყობაზე მოსაყვანად — რაც არ უნდა ძლიერი, ნიჭიერი და პატიოსანი ადამიანები მოვიდნენ ხელისუფლებაში, მთავარი ხომ მაინც ხალხის განწყობაა... გასული კვირის მოვლენებს შორის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ წარმოდგენილი რეფორმის გეგმა უნდა იყოს — წლების მანძილზე საზოგადოებრივ ცნობიერებაში ეს უწყება მექრთამეობის უმთავრეს ციტადელად ჩამოყალიბდა, რომელსაც თითქოს არაფერი ეშველებოდა; როგორც ჩანს, უსაშველო არაფერი ყოფილა... საპარლამენტო არჩევნები დიდი გაწევ-გამოწევის შემდეგ მარტის ბოლოსთვის დაინიშნა — ახალი ხელისუფლება ამას შეღავათად და დათმობად თვლის, მისი ოპოზიცია კი პირიქით... იქნებ, რაციონალიზმის მარცვალი ამაშიც იყოს — ოპოზიციური პარტიები ამჯერად მაინც შეშინდნენ იმგვარად, რომ გაერთიანება შეძლონ, რადგან დღევანდელ ეიფორიულ სიტუაციაში ქვეყანას და ხელისუფლებას ისე არაფერი სჭირდება, როგორც გაერთიანებული, ძლიერი ოპოზიცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეცდომისგან დაზღვეული არავინ იქნება — მით უმეტეს, ახალფეხადგმულ საქართველოში, რომელსაც, რევოლუციის შემდეგ, სხვათა შორის, დასავლეთი უდიდეს მხარდაჭერას უცხადებს. კოლინ პაუელთან შეხვედრა ვაშინგტონში ჩასულ პატარა ქვეყნების ხელისუფალთ დიდ პატივად მიაჩნიათ ხოლმე. საქართველოში კი სახელმწიფო მინისტრი თავად აპირებს ჩამოსვლას — ინაუგურაციაზე დასასწრებად. აღარაფერს ვამბობთ იმ მილიონობით დოლარის გრანტსა თუ დახმარებაზე, ჩვენი ქვეყნისკენ რომ დაიძრა თუ დაიძვრება. ეს, ერთი მხრივ, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შევარდნაძის რეჟიმი დასავლეთს მართლაც მობეზრებული ჰქონდა და, მეორე მხრივ, ახალი ხელისუფლების მიერ ნაკისრ უდიდეს პასუხისმგებლობაზეც მეტყველებს — სხვათა შორის, არა მხოლოდ ქვეყნის გარეთ, შიგნითაც.

რევოლუციის დღეებში მავანნი დესტაბილიზაციითა და კრიმინალური ქაოსით იმუქრებოდნენ. ღვთის შეწევნით, ქვეყანაში სიმშვიდეა. უფრო მეტიც — თანამედროვე საქართველოს ისტორიაში პირველად, მძევლის გათავისუფლებაც მოხერხდა და გამტაცებელთა შეპყრობაც. როგორც ახალი ხელისუფლება ამბობს, ეს ფაქტი „ლეკიანობის“ დასასრულის დასაწყისად უნდა იქცეს. თუმცა, ერთი ხელის მოსმით რომ სამოთხე არ შენდება, ყველამ კარგად იცის. ისიც ფაქტია, როდესაც ქვეყანა აშკარა პროდასავლურ კურსს ირჩევს და მისი ენერგომატარებლები კი ჩრდილოეთის ხელშია. ქვეყნის მოსახლეობას უდიდესი მოთმინება და თავისი ხელისუფლების მიმართ ნდობა მართებს ისევე, როგორც ამ ხელისუფლებას — მისი ნდობის გამართლება. აღსანიშნავია, რომ დასავლეთი ამ ნდობის „დასაფინანსებლად“ თანხებს არ იშურებს. ორიოდე დღის წინ, მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრისას, „ბიპის“ წარმომადგენელმა, ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის შესაძენად, ახალ მთავრობას მილიონი დოლარი გამოუყო. ერთგვარი დამშვიდების საბაბს ისიც იძლევა, რომ რევოლუცია, რომლის შედეგად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციასაც ამერიკის სახელმწიფო მდივანი უნდა დაესწროს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აქტიური შუამავლობის შედეგად შევარდნაძის გადადგომით დასრულდა. თბილისში რევოლუციური ქარტეხილის ჩაწყნარებისა და ახალი ხელისუფლების ლეგალიზებისთანავე, რევოლუციური ქარი ბათუმშიც ამოვარდა — რა დასამალია და, ამ ქარს სულს თბილისიდან უბერავენ, თუმცა, აღარც აჭარლებს უნდა მოსწონდეთ მათი კუთხის გაიგივება ერთ პარტიასთან... სხვა საკითხია, თავად ამ პარტიის მესვეურთა დამოკიდებულება თავიანთ კომფორტთან და „მტირალა ბავშვის“ პრივილეგიებთან, რომლებიც ასე უხვად ჰქონდა „აღორძინებას“ წინა ხელისუფლების დროს. ჩვენს რესპონდენტთან, პოლიტოლოგ **დავით დარჩიაშვილთან** საუბარსაც სწორედ აჭარის თემით დავიწყებთ, რადგან სირთულეების გათვალისწინებით, ყველაზე სათუთი რეგიონი სწორედ ეს არის...

**უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოპოზიციასაც, რადგან, რაც არ უნდა სამართლიანი იყოს ხელისუფლება, თუ ოპოზიცია არ არსებობს, არ იარსებებს არც პლურალიზმი და შესაბამისად, არც სამოქალაქო საზოგადოება შედგება. ასეთ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მედიასაც, რომელმაც ხელისუფლების ყოველი ნაბიჯი უნდა აკონტროლოს და ყოველ შეცდომაზე უკიჟინოს...**



— როგორც ჩანს, საერთაშორისო აზრს და მთლიანად ქართველი ხალხის განწყობას აჭარის ლიდერზე თუ მის გარემოცვაზე გავლენა ასე თუ ისე, მაინც აქვს — ამის დასტურია თუნდაც ბოლო მომენტში, მაგრამ მაინც დათანხმება საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებაზე, ტონის შეცვლა ახალ ხელისუფლებასთან მიმართებაში და ა.შ., მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ადამიანებს ასევე კარგად ესმით ისიც, რომ თუ აჭარაში დემოკრატიული პროგრესის განვითარების თვალსაზრისით ბოლომდე თანმიმდევრულნი იქნებიან, უმოკლეს ხანში საფრთხე დაემუქრება იმ პრივილეგიებს და გავლენას, რაც უკანასკნელი წლების მანძილზე მოიპოვეს. ამიტომ ახალი ხელისუფლებისგან რაღაც საპასუხო დივიდენდების მოთხოვნა დაიწყეს აჭარაში ავტორიტარული ოაზისის შესანარჩუნებლად. არ მინდა იმის გაფიქრებაც კი, რომ ახალი ხელისუფლება ამას დაუშვებს. თუმცა, ამ უკანასკნელის პოზიციაც გასაგებია — ის არ ჩქარობს მოვლენათა ესკალაციას და საკმაოდ ზომიერ განცხადებებს აკეთებს — რაც აჭარაში ხდება, არა აბაშიძის და ჩვენი, არამედ სასამართლოს გასარკვევი პრობლემააო. ყველამ კარგად იცის, რომ იმას, რაც აჭარაში ხდება, პოლიტიკური დევნის გარდა, სხვა სახელი არ ჰქვია, რაშიც ასლან აბაშიძის გარდა, მის გარემოცვასაც მიუძღვის დიდი როლი. ამავე დროს, ისიც სათქმელია, რომ აჭარაში არც მასმედია და არც საზოგადოება, ან გნებავთ, პოლიტიკური ოპოზიცია ჯერ შორს არის იმ კონდიციისგან, რომ ბათუმში თბილისის ანალოგიური გამოსვლები და მისი თანამდევი პროცესები განვითარდეს... ასე რომ, ძნელი სათქმელია, როგორ მოხდება ცენტრსა და აჭარას შორის უახლოეს მომავალში ურთიერთობათა გარკვევა. ყოველ შემთხვევაში, ძალიან მალე გამოჩნდება, ეს ურთიერთობა პრინციპულია თუ გარიგებითი — ამ უკანასკნელ შემთხვევას, მერწმუნეთ, საზოგადოებისგან საკმაოდ მკაცრი რეაქცია მოჰყვება...

**...როგორც ჩანს, ამ ადამიანებს ასევე კარგად ესმით ისიც, რომ თუ აჭარაში დემოკრატიული პროგრესის განვითარების თვალსაზრისით ბოლომდე თანმიმდევრულნი იქნებიან, უმოკლეს ხანში საფრთხე დაემუქრება იმ პრივილეგიებს და გავლენას, რაც უკანასკნელი წლების მანძილზე მოიპოვეს. ამიტომ ახალი ხელისუფლებისგან რაღაც საპასუხო დივიდენდების მოთხოვნა დაიწყეს აჭარაში ავტორიტარული ოაზისის შესანარჩუნებლად. არ მინდა იმის გაფიქრებაც კი, რომ ახალი ხელისუფლება ამას დაუშვებს. თუმცა, ამ უკანასკნელის პოზიციაც გასაგებია — ის არ ჩქარობს მოვლენათა ესკალაციას და საკმაოდ ზომიერ განცხადებებს აკეთებს.**

**— მკაცრი არა, მაგრამ ახალი საპრეზიდენტო რეზიდენციის მოწყობას საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია ნამდვილად მოჰყვა. ეს თემა განსაკუთრებით აიტაცა ჯერ კიდევ „ცხობის“ პროცესში მყოფმა ოპოზიციამ — მის ლიდერთა განცხადებით, ქართული სახელმწიფოებრიობის შენება ახალი რეზიდენციის მშენებლობით არ უნდა იწყებოდეს, რადგან ქვეყანაში ასაშენებელი და გასაკეთებელი სხვაც ძალიან ბევრია... თავად სააკაშვილის განცხადებით, რეზიდენციაზე ბიუჯეტის თანხები არ დაიხარჯება და მას საერთაშორისო ფონდებისა და საზოგადოების შემოწირულობებით მოაწყობენ. თუმცა, ესეც მეორე საკითხია — რამდენად გამართლებულია, თავმოყვარე და დამოუკიდებელმა სახელმწიფომ საპრეზიდენტო რეზიდენცია სხვა ქვეყნების დახმარებით ააგოს...**

— სხვა ქვეყნების დახმარებითა და შემოწირულობებით იცავდნენ გადამდგარ პრეზიდენტს. ათეული წლის განმავლობაში მთელ ქვეყანას სწორედ შემოწირულობებით ედგა სული, რომლის დიდ ნაწილსაც ამ ქვეყნის ჩინოსნები ხრავდნენ. ეს არ იყო თავმოყვარეობის საკითხი? ეგეც არ იყოს, ვფიქრობ, ახალი რეზიდენციის აგებაში რაციონალური მარცვალი უფრო მეტია. უზარმაზარი კანცელარიის შენობა პრეზიდენტის აპარატს არაფრად სჭირდება — ეს უკანასკნელი საგრძნობლად უნდა შემცირდეს და იქ სამინისტროები განთავსდეს; არც სამინისტროებს სჭირდებათ ვეებერთელა შტატები. სამინისტროების შენობათა გამოყენება კი უამრავი საქველმოქმედო თუ საზოგადოებრივი დანიშნულებით შეიძლება. ეს მრავალათასიანი შტატების შენახვის ხარჯებსაც შეამცირებს და გაცილებით უფრო მოქნილს გახდის მართვის სისტემას. თან, არა მგონია, სააკაშვილმა თბილისის საგზაო პოლიციის შენობაში რაიმე განსაკუთრებული კომფორტის მოწყობა დაუშვას — მას რომც სურდეს, უცხოელი სპონსორები დაფინანსებაზე ეტყვიან უარს. რასაკვირველია, თუ ახალი სახელმწიფოებრიობის შენებაზეა ლაპარაკი, ამ ფაქტს სიმბოლურადაც დიდი მნიშვნელობა ექნება.

**— სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე სხვა, ყოველდღიურ მოვლენებს შორის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი გასულ კვირაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის პრეზენტაცია იყო. თუმცა იგი იმდენად მასშტაბურია, რომ უნებურად ჩნდება კითხვა — რამდენად რეალურია მისი განხორციელება წლების მანძილზე ჩამოყალიბებული მენტალიტეტისა და თვით შინაგან საქმეთა სტრუქტურებში დასაქმებული კადრების გათვალისწინებით?**

— ნოემბერში ჩვენ ყველამ ერთად გავაკეთეთ არჩევანი და ახალი სახელმწიფოს შენებაც გადავწყვიტეთ. რეალურია თუ არა ეს ფაქტი? ვნახოთ. შესაძლებელია, არც აღმოჩნდეს რეალური და ისე ვიცხოვროთ, რისი ღირსებიც აღმოვჩნდებით. შეიძლება პირიქით — ყველაფერი კარგად წარიმართოს და ევროპულ ოჯახში ღირსეულ წევრად ჩავეწეროთ. მოკლედ, ყველაფერი ისევ და ისევ ჩვენზე, მთლიანად საქართველოს ხალხზეა დამოკიდებული და არა მაინცდამაინც რომელიმე პარტიის ან მისი ლიდერის კეთილგონიერებაზე (თუმცა, წარსულმა დაამტკიცა, ესეც არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი ყოფილა).

რაც შეეხება უშუალოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს პროგრამას — მისი მთავარი ამოცანაა, ეს უწყება არა პოლიციური, არამედ პოლიტიკური დატვირთვისა გახდეს და ქვეყნის შიგნით, სამოქალაქო პროცესების წარმართვაში გადამწყვეტი როლი ითამაშოს — მათ შორის, წესრიგის დაცვის განხრითაც. სამაშველო და საზღვრის დაცვის სამსახურებთან ერთად, პოლიცია აქ მხოლოდ ერთ-ერთი სტრუქტურა იქნება, რომელიც, თავის მხრივ, საპატრულო და კრიმინალურ დეპარტამენტებად დაიყოფა. იმის გამო, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ ზოგადი, გენერალური გეგმა არსებობს, სახელებს მხოლოდ პირობითი დატვირთვით გეუბნებით. საპატრულო სამსახური დანაშაულის წინასწარ აღკვეთაზე, მის პროფილაქტიკაზე იმუშავებს. მასვე მიეკუთვნება საგზაო პოლიციაც. კრიმინალური პოლიცია კი საქმეში უკვე დანაშაულის ჩადენის შემდეგ ჩაერთვება — ოღონდ მსხვილი და გახმაურებილი საქმეების შემთხვევაში; არანაკლები მნიშვნელობისა იქნება მუნიციპალური პოლიციაც. ის დამოუკიდებლად, რაიონულ და საქალაქო თვითმმართველობებთან იარსებებს, რასაკვირველია, შინაგან საქმეთა მინისტრის ზოგადი კოორდინაციითა და კონტროლით, მაგრამ არა უშუალო დაქვემდებარებით. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამართლიანობა და გამჭვირვალობა გენერალურმა ინსპექციამ უნდა უზრუნველყოს, რომელიც ასევე დამოუკიდებელი რგოლი იქნება როგორც საბიუჯეტო, ისე ხელმძღვანელობის თვალსაზრისით. ეს უკანასკნელი უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტთან იქნება ანგარიშვალდებული და, ამდენად, საჭიროების შემთხვევაში, თვით შინაგან საქმეთა მინისტრის გაკონტროლებაც შეეძლება. როგორც გითხარით, ზოგადად, მომავალში შინაგან საქმეთა სამინისტროს ბევრად უფრო დიდი საზოგადოებრივი დატვირთვა ექნება, ვიდრე ეს უბრალოდ, პოლიციას შეიძლება ჰქონდეს. იგი ძალიან ბევრ სამოქალაქო ხასიათის მოვალეობებსაც შეითავსებს, როგორიცაა სტატისტიკის, მიგრაციის, ლტოლვილთა საკითხები... ეს და შსს-ში დღეს შემავალი ის სტრუქტურებიც, რომლებიც მაინცდამაინც ფორმიან-წოდებიან თანამშრომლებს არ საჭიროებს (მაგალითად, საპასპორტო განყოფილებები), სამოქალაქო პირებით დაკომპლექტდება... ნამდვილად არ ვარ ზედმეტად ოპტიმისტი — ამ პროგრამის განხორციელებას უამრავი პრობლემა შეხვდება კადრების გამოუცდელობის, ფინანსური, საკანონმდებლო და, რაც მთავარია, მენტალიტეტის სახით — მთავარია, წარსულის ინერცია დავძლიოთ, როდესაც ამ სისტემაში დასაქმებული ათასობით ადამიანი იძულებული იყო, ოჯახი სხვადასხვა ხარისხის მექრთამეობით შეენახა. ამ ქვეყანაში იმდენი დამნაშავე იყო, რომ ყველა მართალია. ამ მხრივაც, სათანადო დეფინიციაა საჭირო — ამ ხალხმა უნდა გაიგოს, რომ შესაძლებლობა ექნებათ, ოჯახი ყაჩაღობისა და მექრთამეობის გარეშე შეინახონ, თავის თავთანაც მართლები იყვნენ, სახელმწიფოსთანაც და მშვიდი ძილიც ჰქონდეთ. თუმცა, ზოგიერთ ოდიოზურ ფიგურას, რომლებმაც მილიონები იშოვეს და ზოგადად, ამ სტრუქტურების გადაგვარებაშიც უდიდესი როლი ითამაშეს, ცხადია, პასუხი კანონის მთელი სიმკაცრით უნდა მოეთხოვოთ.

**— ხელისუფლების შეცვლიდან ძალიან მცირე დრო გავიდა საიმისოდ, რომ მის ქმედებაზე საფუძვლიანი დასკვნები გამოვიტანოთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ზოგიერთი ნაბიჯი თუ მოვლენა მთლად სრულყოფილი ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა — თუნდაც საპარლამენტო არჩევნების თვალსაზრისით, რომელიც მხოლოდ პროპორციული წესით, პარტიებს შორის გაიმართება. მაჟორიტარები კი ხელშეუხებელნი რჩებიან. ოპოზიციის უკმაყოფილება გამოიწვია არჩევნების მარტის ბოლომდე დანიშვნამაც — მათ ძალიან მცირე დრო რჩებათ და არსებობს სამართლიანი ვარაუდი, რომ რევოლუციის ტალღაზე ახალი ხელისუფლება პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობით მოვა... დამეთანხმებით, რომ ძლიერი ოპოზიცია სამართლიანი, სამოქალაქო საზოგადოების უპირველესი საფუძველი უნდა იყოს.**

— საჭოჭმანო მართლაც ბევრია — თუნდაც იმავე მაჟორიტარებთან დაკავშირებით. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ორ თვეში, ყველასთან და ყველაფერთან შეურიგებელი ბრძოლის გამოცხადება ქვეყანაში ქაოსსა და უმართავ პროცესებს გამოიწვევდა. ჩვენ, ყველას ერთად, უმოკლეს ხანში გვექნება საშუალება, გავიგოთ, ის, რაც დღეს ხდება — ახალი, სტაბილური და მყარი სახელმწიფოებრიობის ნაბიჯ-ნაბიჯ შენების მცდელობაა, თუ კვლავაც გარიგებებისა და ფარული ინტრიგების გაგრძელება. ყოველ შემთხვევაში, დღეს ახალი ხელისუფლების მიმართ რაიმე სერიოზული ეჭვების გამოთქმის საფუძველი მე ნამდვილად არ მაქვს. რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებს — თუ დემოკრატია გვსურს, ხალხის ნებაც უნდა გავითვალისწინოთ. ბუნებრივია, რომ რევოლუციის ტალღაზე მოსულ ლიდერს ხალხი მეტ მხარდაჭერას გამოუცხადებს და საპარლამენტო უმრავლესობაც მას ეყოლება — თუმცა, მეორე მხრივ, უკვე პირადად ამ ლიდერებზეა დამოკიდებული, რამდენად სინდისიანად მიუდგებიან ამ გამოხატულ ნდობას და საარჩევნო სიებს როგორ დააკომპლექტებენ.

რასაკვირველია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოპოზიციასაც, რადგან, რაც არ უნდა სამართლიანი იყოს ხელისუფლება, თუ ოპოზიცია არ არსებობს, არ იარსებებს არც პლურალიზმი და შესაბამისად, არც სამოქალაქო საზოგადოება შედგება. აქაც, მნიშვნელოვანი პროცესებია გასავლელი — ალბათ ახალი ნიშნით გადანაწილდება პარტიები, შეიცვლება პოლიტიკისადმი პოლიტიკური სპექტრის მიდგომაც, რომელიც შევარდნაძის რეჟიმის დროს თვითგადარჩენისკენ იყო მიმართული და სახელმწიფოებრიობაზე ნაკლებად ზრუნავდა. თუმცა, როგორც გითხარით, ეს ყველაფერი ერთ და ორ დღეში ვერანაირად ვერ მოხდება. მთავარია, საზოგადოება და, ზოგადად, ხალხი ახლის შექმნისთვის, შენებისთვის განეწყოს. ასეთ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მედიასაც, რომელმაც ხელისუფლების ყოველი ნაბიჯი უნდა აკონტროლოს და ყოველ შეცდომაზე უკიჟინოს...

***დაჩი გრძელიშვილი***

# რეჟისორი პროდიუსერის როლში...

ხმა გავრცელდა, ბატონი ელდარი პოლიტიკას განერიდება და უკვე კარგა ხანია ერთდროულად ოთხ ფილმზე მუშაობსო.

როგორც გაირკვა, „შერეკილების“ და „არაჩვეულებრივი გამოფენის“ ავტორი ოთხ ფილმზე კი მუშაობს, მაგრამ არა როგორც რეჟისორი, არამედ როგორც პროდიუსერი. ეს არის ოთხი კონკურსში გამარჯვებული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. სამი მათგანის გადაღება უკვე დასრულდა, ერთის რეჟისორია ლევან ბზვანელი, მეორესი — ნანა ჯანელიძე, მესამესი — ირაკლი მეტრეველი. მალე მეოთხე ფილმზეც დაიწყება მუშაობა, რომელსაც გოგა ხაინდრავა გადაიღებს.

იმასაც ამბობენ, რომ ელდარ შენგელაია იქნება იმ კინოსტუდიის დირექტორი, რომელიც მე-9 არხის ბაზაზე მომავალში გაიხსნება.

— ასეთი კინოსტუდია ჯერჯერობით არ არსებობს, — გვითხრა ბატონი ელდარის მეუღლემ, ქალბატონმა ნელიმ, — ხოლო თუკი გაიხსნება, შეიძლება, ასეც მოხდეს.

„კვირის პალიტრის“ მკითხველს ისევ დავუტოვებთ იმედს, რომ ერთაოზ ბრეგვაძისა და აგული ერისთავის ბადალი ახალი კინოგმირები ისევ იქნებიან ელდარ შენგელაიას ჯერ დაუგეგმავ ფილმებში.



# წელიწადში 25.000 ადამიანი დაკბინეს(?!)

## „უნდა მოგვარდეს მაწანწალა ძაღლების პრობლემა“



*თბილისში მომრავლებული უპატრონო ძაღლების პრობლემა კარგა ხანია შუქდება მასმედიის საშუალებებით, მაგრამ ამით შექმნილ რთულ მდგომარეობას არაფერი ეშველა. ძაღლების (და არა მარტო ძაღლების) დაკბენილი მოქალაქეები კვლავაც აკითხავენ სამედიცინო დაწესებულებებს; თუმცა არიან ისეთებიც, ვინც ექიმს არ მიმართავს. ამისი შედეგია 2003 წელს 11 გარდაცვლილი და წელს კიდევ ერთი მსხვერპლი — 13 წლის ბიჭი, რომელიც 2 იანვარს ინფექციურ საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს, 7 იანვარს კი გარდაიცვალა.*

მოგეხსენებათ, ცოფით (ჰიდროფობიით) დაავადებულის განკურნება შეუძლებელია, ამ სენის მხოლოდ თავიდან აცილებაა შესაძლებელი, თუკი დაზარალებული დროულად მიმართავს ექიმს.

ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს ეპიდემიოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელს **პაატა იმნაძეს:**

— 7 იანვარს გარდაცვლილი პაციენტის სიკვდილის მიზეზი კლინიცისტებს უნდა დაედასტურებინათ. ოჯახის წევრებმა გაკვეთაზე უარი თქვეს, მაგრამ რამდენადაც კლინიკურად გამოხატული ნიშნები მხოლოდ ჰიდროფობიაზე მიანიშნებს (ადამიანების დაავადების შემთხვევაში იხმარება სიტყვა ჰიდროფობია და არა ცოფი. — რედ.), შეიძლება თქმა, რომ პაციენტი ჰიდროფობიით გარდაიცვალა.

**— ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ მკურნალობას გადიან გარდაცვლილის მეგობრებიც, რომლებიც ერთ-ერთი წაკინკლავებისას მან გაკაწრა...**

— ამბობენ, რომ რამდენიმე მისი მეგობარი მართლაც ოდნავ დაზიანდა, ეს ბავშვები მკურნალობას გადიან, თუმცა ადამიანიდან ადამიანზე გადასული ცოფი არც მინახავს და არც სამედიცინო ლიტერატურაშია აღწერილი. მაგრამ რაკი თეორიული შანსი არსებობს, ამ ბავშვებს ავცრით.

**— თუ იცით, ძაღლი, რომლისგანაც ბავშვს დაავადება გადაედო, ლიკვიდირებულია?**

— რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, ეს ბავშვი ცხოველების მოყვარული იყო. შინ მიჰყავდა უამრავი მაწანწალა ცხოველი. ზოგმა ძაღლმა კბილი გაჰკრა... ახლა ძნელი დასადგენია, კერძოდ, რომელთან კონტაქტის შედეგად განუვითარდა ავადმყოფობა.

ცოფის ინკუბაციური პერიოდი 2 კვირიდან ერთ წლამდე შეიძლება გაგრძელდეს. 5 წლის წინ ჩვენში იყო შემთხვევა, როცა ადამიანს ჰიდროფობია დაკბენიდან 1 წლის შემდეგ აღმოაჩნდა...

კიდევ ერთი რამ: მსოფლიოში პროცენტულად ყველაზე მეტი ადამიანი საქართველოში იცრება — 100.000 მოსახლეზე 21.000-მდე კაცი. ადრე წელიწადში თუ 15.000 დაკბენილი იყო რეგისტრირებული, ორი-სამი წელია 25.000 ადამიანი მიდის სამედიცინო დაწესებულებაში დახმარებისათვის.

მოსახლეობას კიდევ ერთხელ შევახსენებთ: ის 12 ადამიანი, ვინც შარშან და წელს ჰიდროფობიით გარდაიცვალა, თავის დროზე, ძაღლის დაკბენისთანავე არ მივიდა ექიმთან. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს საჭირბოროტო საკითხი მხოლოდ აცრით არ გადაიჭრება. უნდა მოგვარდეს მაწანწალა ძაღლების პრობლემა. როგორ? ამას ექიმი ვერ გეტყვით.

**— როგორც ცნობილია, 7 იანვარს გარდაცვლილი ბავშვის ოჯახი უკიდურესად გაჭირვებულია და ამიტომ ვერ მიმართეს ექიმს.**

— იმისი თქმა, რომ ვინმე ხელმოკლეობის გამო არ აიცრა, მართალი არ არის. ექიმთან ხომ უნდა მისულიყო? შეუძლებელია, აცრაზე ვინმეს ეთქვა უარი. ჩვენთან ეს პროცედურა უფასოა.

**— მაგრამ ცოფზე აცრილი ყველა პაციენტი აცხადებს, რომ მათ განსაზღვრული თანხის გადახდა მოუხდათ, როგორც ექიმები განმარტავენ, — ჭრილობის დამუშავებისთვის. როგორც აცრა, ასევე ჭრილობის დამუშავება გარდაუვალი პროცედურაა, ერთი ფასიანია, მეორე უფასო?**

— დიახ. ჭრილობის დამუშავება სამ წლამდე ასაკის ბავშვისთვის არის უფასო, მოზრდილთათვის კი — ფასიანია.

ჰიდროფობია, ანუ ცოფი საშინელი დაავადებაა. მხოლოდ ორი სიმპტომი: წყლისა და ჰაერის შიში — სრულად მეტყველებს დაავადების უკიდურეს სიმძიმეზე. კიდევ ერთი მსხვერპლი კი გვახსენებს, რომ ქალაქის მესვეურებმა მოდუნების უფლება თავს არ უნდა მისცენ. სასწორზე ადამიანთა სიცოცხლე დევს, თანაც არა ერთი და ორი ადამიანისა.

წელიწადში ძაღლისგან დაკბენილი 25.000 მოქალაქე — საშიში რიცხვია...

***ლელა ჯიყაშვილი***




# ვის ამდიდრებენ „ინტიმური გოგონები“

## ანუ — ყველა ციფრი დავბლოკოთ?

ამას წინათ ჩემს ერთ ახლობელს კომპანია „გლობალ-1“-დან შეატყობინეს, — ჩვენი სერვისით სარგებლობისთვის 110 ლარი გაქვთ გადასახდელიო... მას საერთაშორისო საუბრებისთვის განკუთვნილი კოდი „8“ დაბლოკილი აქვს, ამიტომ საქმის გასარკვევად მშვიდად გაემგზავრა ფირმაში... იქ კი განუცხადეს, მერე რა რომ რვიანი მოხსნილი გაქვთ, — თქვენი ნომრიდან აბონენტი „07“-ს დაუკავშირდა, მან ჩვენთან შეაერთა, ჩვენ — „ინტიმურ ტელეფონთან“ (სხვათა შორის, ერთ-ერთი საუბრის ხანგრძლივობა 275 წუთი იყო!!!)... და თუ არ გადაიხდით, ნომერი ჩამოგერთმევათო. აბონენტმა ამ საქმისა ვერც თავი გაიგო, ვერც ბოლო... მეც ვცადე დამედგინა, როგორ მოხვდა მის ტელეფონთან ღამის 2-3 საათზე, „ინტიმურ გოგონასთან“ „მოჭუკჭუკე“ ადამიანი, ან კანონით ვინ უნდა გადაიხადოს ეს თანხა, ვის არ ვესაუბრე, მაგრამ ამ საქმეში როგორი უცოდინარიც ვიყავი, ისეთივე დავრჩი...

**მადონა სულთანიშვილი**, კომპანია „გლობალ-1“-ის ოპერატორი:

— მსგავსი საჩივრით ბევრი მოდის. 110 ლარი არც ისე დიდი თანხაა, ხანდახან ხალხი 300-400 ლარს იხდის და აზრზე არ არის, მათი ხაზით ვინ სარგებლობს. ნერვიულობენ, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ? ეგ „ინტიმური ტელეფონები“ კომპანია „მეგაკომს“ ეკუთვნის. თუ აბონენტს კოდი „8“ მოხსნილი აქვს, მაშინ საუბრის მსურველი დაკვეთას აძლევს „07“-ს, ის ჩვენ გვიკავშირდება, ჩვენ კი ინტიმურ ნომრებთან ვაერთებთ... ეს ჩვენი სამსახურია, ლაპარაკს ვერავის დავუშლით. ისე, თუ სიმართლე გინდათ, ნომრით ფარულად რომ არავინ ისარგებლოს, საკუთარ აბონენტზე მისმა მფლობელმა კომპანიამ უნდა იზრუნოს, უნდა დაიცვას, თქვენს შემთხვევაში, — დიდუბის ატესმა...



**თამუნა მაღრაძე**, კომპანია „მეგაკომის“ გენერალური მენეჯერის მოადგილე:

— კი, ბატონო, ინტიმური ტელეფონის ნომრები ჩვენს კომპანიას ეკუთვნის, ასეთი 50 ნომრამდე გვაქვს. მაგრამ ეს უკანონოდ არ ხდება, ჩვეულებრივი ბიზნესია. არც სურვილი გვაქვს და არც შესაძლებლობა, გავიგოთ მოპარული სატელეფონო ხაზიდან რეკავენ თუ საკუთარი ტელეფონიდან... ჩვენ შემოსავალი გვერიცხება — წუთზე 22,8 თეთრი... აბონენტებს გვაერთებს ის კომპანია, რომელთანაც ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული და შემოსავლის პროცენტს მათ ვუხდით. მიზერულ თანხას ინტიმური გოგონებიც იღებენ... ისინი ნორმალური ხალხია, ვერ ვიტყვი, რომ ფსიქიკურად რაიმე დარღვევა აქვთ. ჩვენ მათ და ვერც მათთან საუბრის მსურველებს უფლებებს ვერ შევულახავთ, ილაპარაკონ რამდენიც უნდათ. ბოდიშს ვუხდი ატესებს, მაგრამ ზოგჯერ თვითონვე არიან ხაზის მოპარვის საქმეში გარეულები. ხალხი მათ სააბონენტოს უხდის, თუ უნდათ დაზარალებულები არ ჰყავდეთ, კეთილი ინებონ და დაიცვან ისინი, გაარკვიონ, ვინ სარგებლობს მათი აბონენტის ნომრით.

**რეზო მელიქიშვილი**, საბურთალო-დიდუბის „ატესის“ სახაზო განყოფილების უფროსი:

— ასეთი შემთხვევა ძალიან ბევრია. სხვადასხვა ხერხით ხდება ხაზის მოპარვა, ამაზე გაზეთით ლაპარაკი არ შეიძლება, ყველა ისწავლის. ღამით სხვა ნომრიდან დარეკოს დაზარალებულმა თავის ნომერზე, თუ უცხო ვინმე აიღებს ყურმილს, ესე იგი, ხაზი მოპარულია. დაგვიკავშირდეს და გავარკვევთ... ჯგუფი გვყავს, რომელიც ადგენს, თუ ვინ ისაუბრა დაზარალებულის ტელეფონიდან. ეს ადვილი საქმე არ არის, მხოლოდ 5-6 შემთხვევა გავხსენით... რაც შეეხება ფულის გადახდას, ამაზე ჩვენ პასუხისმგებელი არა ვართ. თუ დამნაშავეს მივაკვლიეთ, ისიც დაზარალებულმა უნდა აიძულოს, გადაიხადოს. თუ ვერ მივაკვლიეთ, მაინც დაზარალებული იხდის. ერთადერთი იმედი ის არის, რომ მალე ახალ აპარატურას დავამონტაჟებთ და შევძლებთ დავბლოკოთ ნებისმიერი ციფრი, რომელიც საერთაშორისო ნომრებს უკავშირდება.

P.S. ერთი სიტყვით, დაზარალებულებს იმედიანად ყოფნას სთავაზობენ. ძველი ჭეშმარიტებაა — იმედი არ კვდება, მაგრამ ყველაფრისაგან დაუცავი ადამიანი მხოლოდ იმედის ანაბარა როგორ იცხოვრებს, თუკი საარსებოდ შეგროვილი გროშებიც წაართვეს?

***ეთერ ერაძე***

## მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:



1. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „თურქეთიდან გამოქცეულ ქართველ გოგოს კილერი გამოჰყვა...“ — 68 ხმა
2. **ეკა ლომიძე** — „გერმანელი, რომელმაც შვიდი ქართველი იშვილა(!)“ — 65
3. **ვაჟა გავაშელი** — „საშობაო ბალადა“ — 60
4. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 33
5. **ლელა ჯიყაშვილი** — „საქართველო ყველგან ლამაზია, მერე ჩემია... ვის ჩავაბარებ?!“ — 29
6. **იზო რიკაძე** — „ახალარჩეული პრეზიდენტის მთავარი დასაყრდენი ხალხი იქნება“ — 16
7. **დავით დევიძე** — რუბრიკა — „ვისი ბრალია...“ — 14
8. **მარინა ბაბუნაშვილი** — „რას იტყვით, გოგოებო?..“ — 7

თქვენი პრემია გადაეცემა ჟურნალისტ **ზვიად ჩაკვეტაძეს.**

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 327-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# „მე, სიმართლის მთქმელ აქციონერს, შუაზე გადაჭრით მემუქრებიან“

დაუბრუნდება თუ არა მოსახლეობას ის სიმდიდრე, რაც მისთვის უკანონოდ წაუღლეტიათ...





*რამდენიმე დღის წინ „ინვესტბანკის“ (დაახლოებით ორი თვის წინ „კვარციტის“ ხელმძღვანელობამ აქ შეინახა 600 კგ-მდე ოქროს დორე შენადნობის ზოდები) ერთ-ერთი თანამშრომელი დამიკავშირდა. როდესაც „მადნეულისა“ და „კვარციტის“ ფინანსური მაქინაციების შესახებ მორიგ მამხილებელ სტატიას ვამზადებდით, მან საბანკო დოკუმენტები გადმოგვცა, რამაც ხელი შეგვიწყო ოქროს ზოდებთან დაკავშირებული მაქინაციების გამოაშკარავებაში. რესპონდენტს ჩემთან სასწრაფოდ შეხვედრა სურდა. იმავე დღეს, გვიან საღამოს შევხვდით ერთმანეთს და აი, რა მითხრა:*

— რამდენიმე კვირაა, პროკურატურის გამომძიებლები ამაოდ ცდილობენ ჩვენი ბანკიდან 582 კგ ოქროს დორე შენადნობის ზოდების ამოღებას. შესაძლოა, ზურაბ ლობჟანიძემ ძვირფასი ტვირთი საზღვარგარეთ მალულად გაიტანოს და გაყიდოს. მართალია, პროკურატურამ ლობჟანიძესა და მის თანამზრახველებს ამის საშუალება არ მისცა, მაგრამ ბანკის ხელმძღვანელობა პროკურატურისა და სასამართლოს განკარგულებას ოქროს დორე შენადნობის ზოდების ბანკიდან ამოღების შესახებ არ დაემორჩილა. მეტიც, სამართალდამცველებს საცავში კი არა, ბანკში შესვლის უფლებაც არ მისცეს. დავა რამდენიმე კვირა გრძელდებოდა. ბანკი დაუმორჩილებლობას იმით ხსნიდა, რომ ზოდები „კვარციტს“ გირავნობის ხელშეკრულებით ჰქონდა დატოვებული და მისი გაცემა „ინვესტბანკს“ არ შეეძლო. ამასობაში, ზურაბ ლობჟანიძე ამოქმედდა საზღვარგარეთ. მას საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში ჯერ კიდევ ჰყავს დამცველები. სწორედ მათი რჩევით თქვა უარი „ინვესტბანკში“ შენახულ ოქროზე. ვითომ „კვარციტმა“ გირაოს სანაცვლოდ აღებული 2,5 მილიონი ლარიც დააბრუნა. სამაგიეროდ, გენერალური პროკურატურის ზოგიერთი მაღალჩინოსანი შეჰპირდა ლობჟანიძეს, რომ თბილისის პროკურატურას მის საქმეს ჩამოართმევდა და გადასცემდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს, სადაც ყველაფერს „მოაგვარებდნენ“ მისი ლობისტები. პარალელურად, საინფორმაციო საშუალებებში დაიწყო „მადნეულისა“ და „კვარციტის“ როგორც საუკეთესო, მოწინავე საწარმოების რეკლამირება. რომ მათი წყალობით საქართველოს ბიუჯეტი ყოველწლიურად მილიონობით ლარით ივსება, რომ უამრავი ხალხი ჰყავთ დასაქმებული და ა.შ. ლობჟანიძე ამ პიარისთვის დიდძალ ფულს ხარჯავს, ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ „მადნეულის“ და „კვარციტის“ შემოსავლიანი სავარძელი როგორმე შეინარჩუნოს. მთავარი კი ის არის, რომ ლობჟანიძეს ოქროს ზოდების დაკარგვა არ უნდა. ამიტომ მან ხერხი იხმარა. ზოდებში ძალიან მაღალი იყო ხალასი ოქროს შემცველობა — თითქმის 95 პროცენტამდე. ამიტომ ლობჟანიძემ ეს ზოდები მალულად შეცვალა ისეთი დორე შენადნობის ზოდებით, რომლებშიც მხოლოდ 50 პროცენტი იქნებოდა ოქროს შემცველობა. სწორედ გუშინ ჩაატარეს ეს ოპერაცია. რის შემდეგაც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუბრკოლებლად გადასცემენ ზოდებს.

— **როდესაც ბანკში ოქრო შემოვიდა, როგორც ვიცი, გაკეთებული ჰქონდა შესაბამისი ანალიზი ოქროს შემცველობაზე. როგორ შეცვლიდნენ ზოდებს, როცა თითოეულს თავისი ნომერი აქვს.**

— დორე შენადნობის ზოდებს თან „კვარციტის“ ლაბორატორიის ანალიზის პასუხები ახლდა და მისი შეცვლა ძნელი არ იყო. ფინანსთა სამინისტროს ძვირფასი ლითონების სასინჯე ინსპექციასაც რომ ჰქონოდა შემოწმება ჩატარებული, არც მისი შეცვლა იქნებოდა პრობლემა — „კვარციტი“ და ინსპექცია „მეგობრები“ არიან. არც ზოდების ნომრები შეუშლიდათ ხელს. ახალ ზოდებს იგივე ნომრები ჰქონდა ამოტვიფრული, რაც ადრე შენახულებს...

*მართალი გითხრათ, „ინვესტბანკის“ თანამშრომლის ეს ინფორმაცია საეჭვოდ გვეჩვენა, მაგრამ რამდენიმე დღეში, როდესაც მოვლენები იმგვარად განვითარდა, რომ მივხვდით, ჩვენი რესპონდენტის ნათქვამი სიმართლისგან შორს არ უნდა ყოფილიყო. კერძოდ, როგორც ცნობილია, „ინვესტბანკში“ შენახული ოქროს დორე შენადნობების საქმეს თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი ვალერი გრიგალაშვილი იძიებდა. გენერალურმა პროკურატურამ მოულოდნელად მას საქმე ჩამოართვა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს გადასცა. სამიოდე დღის წინ კი სამინისტროს საგამოძიებო ნაწილის გამომძიებლებს ბანკმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაუთმო ოქროს დორე შენადნობების 30 ზოდი, რომლებიც საქართველოს ეროვნულ ბანკში შეინახეს...*

*ჩვენი რესპონდენტის ინფორმაციის ნამდვილობაში დასარწმუნებლად, ჩვენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის განყოფილების უფროსს,* ***ზაზა ყულოშვილს*** *დავუკავშირდით. მან სამინისტროში მიგვიწვია და „ინვესტბანკიდან“ ეროვნულ ბანკში გადატანილი ოქროს დორე შენადნობების საქმის ახალი გამომძიებელი,* ***რეზო ნადოი*** *გაგვაცნო. ჩვენ მათ რამდენიმე კითხვით მივმართეთ:*

— **რა მიზეზით ჩამოერთვა თბილისის პროკურატურას აღნიშნული საქმე და რატომ გადმოგეცათ თქვენ?**

— გენერალურმა პროკურატურამ ასე გადაწყვიტა. თბილისის პროკურატურა „მადნეულისა“ და „კვარციტის“ საქმიანობას იკვლევდა. რაკი ლობჟანიძის საქმე ცალკე წარმოებით გამოეყო სხვა დანარჩენებს, იგი ჩვენ გადმოგვეცა, რათა პარალელური გამოძიებისაგან თავი დაგვეზღვია.

— **როგორც შევიტყვეთ, თბილისის პროკურატურა რამდენიმე კვირის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა „ინვესტბანკიდან“ ოქროს დორე შენადნობების ზოდების ამოღებას, თქვენ კი ეს რამდენიმე დღეში მოახერხეთ. როგორ?**

— თბილისის პროკურატურამ იმიტომ ვერ ამოიღო ოქრო, რომ ბანკი კერძო ფინანსური ორგანიზაციაა. ოქროს დორე შენადნობის ზოდების გამოსატანად აუცილებელი იყო ფინანსთა სამინისტროს სასინჯი ინსპექციის შემოწმება. უიმისოდ ბანკი ოქროს არ გასცემდა. ჩვენ ინსპექციას გავაკეთებინეთ სინჯები, დავადგინეთ, რა შემცველობის ოქრო იყო თითოეულ ზოდში და ისე გადავიტანეთ ეროვნულ ბანკში. ამიტომ ვერავინ მოგვედავება, ოქროს შემცველობა ამდენი იყო და ახლა კი — ნაკლებიაო. სასინჯმა ინსპექციამ თითოეულ ზოდში ოქროს შემცველობა საშუალოდ 50-დან 80 პროცენტამდე განსაზღვრა.

— **როგორც ვიცი, ზოდები გირავნობის ხელშეკრულებით იყო დატვირთული.**

— გირავნობის ხელშეკრულების თანახმად, „კვარციტს“ „ინვესტბანკიდან“ გატანილი ჰქონდა 2,4 მილიონი ლარი. მან ეს თანხა დააბრუნა, ანუ გირავნობის ხელშეკრულება გამოისყიდა და ზოდებიც თავისთავად გათავისუფლდა გირაოსაგან.

— **ხომ არ ვარაუდობთ, რომ თბილისის პროკურატურის გამომძიებლებს ოქროს დორე შენადნობთან მიახლოების უფლება იმიტომ არ მისცეს, რომ მაგათ განზრახული ჰქონდა ზოდების შეცვლა?**

— ზოდებს ვერავინ შეცვლიდა. გამოძიების დაწყებიდანვე „ინვესტბანკში“ სპეციალური დაცვა მორიგეობდა. ზოდები დალუქული და დანომრილი იყო. შეუძლებელია, ვინმეს შეეცვალა ისინი...

**(გაგრძელება იხ. გვ. 13)**

თ რმოცდახუთდღიანი ტყვეობის შემდეგ გაერთიანებული ქართული ბანკის თანათავმჯდომარე თამაზ მაღლაკელიძე თავისუფალია. მაღლაკელიძის გათავისუფლების სპეცოპერაცია შსს-მ და უშიშროებამ ერთობლივი ძალებით ჩაატარეს. ოპერაციამ გაამართლა ხალხში მოარული აზრი, რომ „დიდი საქმეები დიდი ხალხის გარეშე არ კეთდება“. გავრცელებული ინფორმაციით, მაღლაკელიძის გატაცებასთან ყოფილი მხედრიონელი, გენერალი გია ვაშაკიძე იყო დაკავშირებული. მართალია, გია ბარამიძის უწყებაში ჯერჯერობით თავს იკავებენ დეტალებზე ლაპარაკისგან, მაგრამ ჩვენი ინფორმაციით, მაღლაკელიძის გათავისუფლების ოპერაცია ვაშაკიძის ჩვენებას უკავშირდება. სწორედ დაპატიმრებულმა გენერალმა შეატყობინა სამართალდამცველებს, რომ გამტაცებელთა კრიმინალურ ჯგუფს მაღლაკელიძე ქსნის ტერიტორიაზე, დიდგორის მთიან ტყეში, სახელდახელოდ ამოჭრილ ორმოში ჰყავდა გადამალული.

1967 წელს დაბადებული გია ვაშაკიძე *(მისი დოსიე, იხ. გვ. 8)*, ორ თანამზრახველთან ერთად, 10 იანვრის დილის 4 საათზე აიყვანეს. გენერალ-ლეიტენანტ ვაშაკიძეს საინტერესო წარსული აქვს. იგი თავის ძმასთან, რეზოსთან ერთად სამტრედიის „მხედრიონს“ ხელმძღვანელობდა.

გია ბარამიძე აცხადებს, რომ გამტაცებელთა კრიმინალური ჯგუფი პროფესიონალურ დონეზე იყო მომზადებული — ანუ ვაშაკიძის საბრძოლო წარსულმა ამ მხრივაც იჩინა თავი. მართალია, სხვა დაკავებულ გამტაცებელთა ვინაობას ოპერატიული მოსაზრებების გამო არ ახმაურებენ, მაგრამ ჩვენი წყაროს ინფორმაციით, გამტაცებლები სხვადასხვა სპეცსამსახურის ყოფილი წევრები არიან.

„როცა ძმები ვაშაკიძეები სამტრედიის „მხედრიონის“ ხელმძღვანელები იყვნენ, — გვესაუბრება კონფიდენციალური წყარო, — ისინი მაშინ არა მარტო სამტრედიას, მთელ იმერეთს აკონტროლებდნენ. მაშინ ქურდული სამყაროსა და ვაშაკიძეების ინტერესი ერთმანეთს შეეჯახა და ომიც ატყდა. თუმცა, სიტყვა „ომი“ გადაჭარბებულია.



# რა აკავშირებს გია ვაშაკიძეს ლევან კალაძესთან?

## თამაზ მაღლაკელიძე გაათავისუფლეს

„მხედრიონს“ თავისი ტანკებითა და მთლიანი შეიარაღებით იმხელა უპირატესობა ჰქონდა, რომ ქურდებმა და მათმა ხალხმა გაქცევა ამჯობინეს. ქურდები ქუთაისიდანაც კი გარბოდნენ რუსეთში. როცა ყველაფერი შეიცვალა და „მხედრიონი“ დაიშალა, ვაშაკიძეები გაიქცნენ. რეზო ვაშაკიძეზე ოფიციალურად არის ძებნა გამოცხადებული, მაგრამ მას უფრო ქურდების შურისძიების ეშინია. გია ვაშაკიძეც ამიტომ ცხოვრობდა რუსეთში. მათ ბევრი ჰყავდათ გამწარებული და ალბათ ეს იყო ამის მთავარი მიზეზი...“

გათავისუფლებული თამაზ მაღლაკელიძე აცხადებს, რომ მას გამოსასყიდის მოთხოვნის გარდა, პოლიტიკური ხასიათის დაკითხვებსაც უწყობდნენ. თუმცა ეს უკანასკნელი მალევე დაივიწყეს და მხოლოდ ფულის მოთხოვნა დარჩა ძალაში. საინტერესოა, რომ არც მაღლაკელიძე და არც მისი განმათავისუფლებელი ძალოვანი მინისტრები გამოსასყიდი თანხის ოდენობაზე არ ლაპარაკობენ. ჩვენ მიერ მოპოვებული კულუარული ინფორმაციით, მაღლაკელიძის ოჯახისგან 3 მილიონ დოლარს ითხოვდნენ. გია ბარამიძის განცხადებით, გამტაცებლებისთვის ერთი თეთრიც არ გადაუხდიათ და ოპერატიული ინფორმაციის მიღების შემდეგ გენერალ გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმმა გამოხსნის ოპერაცია მაღალ პროფესიონალურ დონეზე ჩაატარა.

რაც შეეხება იმ ოპერატიულ ინფორმაციას, რომლის წყალობითაც მაღლაკელიძე გაათავისუფლეს, ბარამიძე-ხაბურძანიას დუეტი ამ თემაზე კომენტარისგან თავს იკავებს. მათი განცხადებით, გამტაცებლებმა შეცდომა დაუშვეს, რაც მათთვის საბედისწერო აღმოჩნდა. მართალია, არც ამ შეცდომის დეტალებს ახმაურებენ, მაგრამ ჩვენი ინფორმაციით, გამტაცებელთა მთავარი შეცდომა ის არის, რომ რუსეთიდან დაბრუნებულმა გია ვაშაკიძემ ოპერატიულ მუშაკთა ყურადღება მიიქცია. ერთ-ერთ სამუშაო ვერსიად მისი ამ გატაცებასთან კავშირიც შემუშავდა, რაც საბოლოოდ გამართლდა და გამტაცებლები აიყვანეს. დაპატიმრებულ ვაშაკიძეს ისღა დარჩენოდა, მაღლაკელიძის ადგილსამყოფელი გაეცა.

თვითონ თამაზ მაღლაკელიძე აცხადებს, რომ არაადამიანურ პირობებში ყოფნის გამო ჯანმრთელობა ძალიან შერყეული აქვს და დაახლოებით 30 კილგრამი დაიკლო წონაში. თუმცა, მთავარი ის არის, რომ იგი თავის ოჯახს დაუბრუნდა და მის ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება. იმედია, მის ბედს სხვა გატაცებულებიც გაიზიარებენ.

ცნობილი ფეხბურთელის, კახი კალაძის ძმის — ლევანის გატაცებიდან კი უკვე მესამე წელი გადის. იმის მიუხედავად, რომ კალაძეების ოჯახს ჯერ კახა თარგამაძე ჰპირდებოდა ლევანის „უახლოეს დღეებში“ გათავისუფლებას, შემდეგ — კობა ნარჩემაშვილი, ჯერჯერობით არც ლევან კალაძე დაჰბრუნებია ოჯახს და არც მის გამტაცებლებზე არის რამე ცნობილი. სამაგიეროდ, როგორც ჩანს, შსს ტრადიციას ამ მხრივ არ ღალატობს. ახალი წლის დადგომამდე, რამდენიმე დღით ადრე იტალიიდან ჩამოსულ კახი კალაძეს ამჯერად ახალი მინისტრი — გია ბარამიძე უმეორებდა წინამორბედების დანაპირებს.

რა ოპერატიულ მონაცემებზე დაყრდნობით აიმედებენ კალაძეების ოჯახს, ამაზე შსს-ს მაღალჩინოსნები არ ლაპარაკობენ. თუმცა კულუარული ინფორმაციით, ბარამიძე და მისი გუნდი პოლიციის იმ მაღალჩინოსნებზე ნადირობს, რომელთა კავშირზე გატაცებულებთან საზოგადოებაში ეჭვი უკვე არსებობს. ამ პროცესების გამო „კვირის პალიტრასთან“ იმედიანად საუბრობს ლევან კალაძის მამა **კარლო კალაძე**:

— მართალია, კახის დაჰპირდნენ, რომ უახლოეს მომავალში ყველაფერი გაირკვეოდა, მაგრამ მე დღეს ვერაფერს ვიტყვი. ვნახოთ, რა მოხდება. ყოველ შემთხვევაში, იმედიანად ვარ...

— **კახი შსს-ში ვის ესაუბრა?**

— გია ბარამიძეს დიდხანს ელაპარაკა. ეტყობა, ეს საქმე რომ გაიხსნას, ჯერ ბევრი პოლიციელი უნდა მოიშორონ თავიდან. ბარამიძე უკვე ათავისუფლებს ამ ხალხს. ასეთი პროცესები იმედს მაძლევს. ხომ იცით, რა მდგომარეობაში ვარ. ამიტომ ახლა ნუ მალაპარაკებთ. იმედი მაქვს, ბარამიძე შეასრულებს დანაპირებს და ლევანი მალე დაგვიბრუნდება...

ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, გატაცების საქმის გასახსნელად მაღალჩინოსან პოლიციელთა წარსულში ქექვა არის საჭირო. ჯერჯერობით, არაფრის მტკიცება არ შეიძლება, მაგრამ დეტალი თავისებურად საყურადღებოა: კალაძეც და ვაშაკიძეც სამტრედიელები არიან. „კვირის პალიტრა“ უკვე წერდა, რომ რამდენიმე წლის წინ გატაცებულმა ესპანელმა ბიზნესმენებმა გატაცებათა ორგანიზატორებად პოლიციის მაღალჩინოსნები დაასახელეს. ამ ხალხმა, როგორც ჩანს, ლევან კალაძეზე ბევრი საგულისხმო რამ იცის. სხვა საქმეა, როგორ მოახერხებს გია ბარამიძე მათგან სასურველი ინფორმაციის გამოწურვას.

ასეა თუ ისე, ჯერჯერობით, კახი კალაძისა და გია ბარამიძის საუბრის შემდეგ არაფერი შეცვლილა. როგორც ირკვევა, ბარამიძემ მსგავსი დაპირება ცნობილი დამნაშავის, შოთა ჭიჭიაშვილის საქართველოში ექსტრადიციის იმედითაც მისცა. როგორც სამართალდამცველები ამტკიცებენ, სავარაუდოდ არც ერთ გახმაურებულ გატაცების ფაქტს ქისტი დამნაშავის გარეშე არ ჩაუვლია. როგორც ამბობენ, ჭიჭიაშვილი ლევან კალაძეზე ინფორმაციის გაცემისგან თავს არ შეიკავებს — მისთვის ეს საქმიანობის ერთი ეპიზოდია და შეიძლება დუმილს ისევ ალაპარაკება ამჯობინოს. ეტყობა, ამის იმედი შსს-ს ახალი ხელმძღვანელობაშიც არსებობს. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ჭიჭიაშვილის ჩამოყვანა საქართველოში ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. რუსმა სამართალდამცველებმა მას ჩეჩნური წარსული ამოუქექეს და, ჯერჯერობით, არ აპირებენ მის ხელიდან გაშვებას. თუმცა, როგორც უშიშროების პრესამსახურის უფროსი ნიკა ლალიაშვილი აცხადებს, ჭიჭიაშვილი მალე იქნება საქართველოში, მაგრამ უშიშროება ლევან კალაძის გატაცების საქმეს არ იძიებს. ასე რომ, ჭიჭიაშვილის „დამუშავება“ ისევ ბარამიძის უწყებას მოუწევს, რომელმაც კალაძის გატაცების გარდა, კიდევ ბევრ საინტერესო კითხვაზე უნდა გასცეს პასუხი.

***დავით დევიძე***

CMYK

# „რაც მე ვიცი, ყველამ არ იცის...“

## „დამნაშავე ჩემი სიძე იქნება თუ რძალი, პასუხი უნდა აგოს“

*ნოემბრის ბობოქარი დღეების ემოციამ, როგორც ჩანს, პრეზიდენტ შევარდნაძის დაჯავშნულ სამყოფელში ვერ შეაღწია. საქართველოს გადამდგარი პრეზიდენტი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში მშვიდად წერს მემუარებს და ხშირად მასპინძლობს ჟურნალისტებს (ძირითადად, უცხოელებს). პრეზიდენტი მაშინაც წერდა, როდესაც მის სამუშაო ოთახში შევედით.* ***ედუარდ შევარდნაძე*** *ძველებურად შემართული აღარ ჩანდა, თუმცა ვერც იმას იტყოდით, დარდს გაუტეხიაო. მშვიდი და ოდნავ მოღლილი იყო. მომცრო მაგიდასთან მიგვიწვია. მოვარაყებული ჭიქიდან საყვარელი მწვანე ჩაი ისევ მოსვა და კითხვაზე — როგორ ბრძანდებით, შინ ყოფნას როგორ ეგუებითო, ასე გვიპასუხა (ჩვენი ორსაათიანი დიალოგისთვის ხელი არავის შეუშლია. მხოლოდ ერთხელ „დაგვხედა“ პრეზიდენტის სიძემ, გია ჯოხთაბერიძემ):*

— ისე რა, არა მიშავს. აქ ძალზე მდიდარი ბიბლიოთეკაა, ღამღამობით კითხვას ვახერხებ, დღე ვწერ. ასე რომ, უსაქმოდ არ ვარ.

**— ითქვა, სამთავრობო რეზიდენციის ნაწილის გაყიდვას აპირებენო. თქვენს სახლსაც ხომ არ ყიდიან?**

— არ ვიცი და მაგას არც ვკითხულობ. ვიცი, რომ უბინაოდ არ დავრჩები.

**— ამბობენ, ეს სახლი პრეზიდენტის ოჯახს აქვს პრივატიზებულიო.**

— არა... არ არის პრივატიზებული. ცრუობს, ვინც მაგას ამბობს. თუმცა ამ სახლის კეთილმოწყობას ჩემი საკუთარი თანხა, 200 ათასი დოლარიც მოხმარდა. აქ, კრწანისში არის ერთი სამთავრობო რეზიდენცია, რომელშიც ახლა მგონი მიშა ცხოვრობს. კი შეიძლება მისი გაყიდვა, მაგრამ დასანანია — სტუმრების (პრეზიდენტების, პრემიერ-მინისტრების) მისაღებად მშვენიერია. არის მეორე აგარაკიც, ის მოლაპარაკებებისთვის არის კარგი. მოხერხებული დარბაზებია პრესკონფერენციისა და პირისპირ საუბრის გასამართავად. არ ვიცი, აქვს მათ გაყიდვას აზრი? სიმართლე რომ გითხრათ, სახლების არაფერი ვიცი და არც მაინტერესებს...

**— ბადენ-ბადენშიც არ გაქვთ ვილა?**

— თუ გინდათ, გაჩუქებთ... თუმცა სჯობს, ვინც ეს ინფორმაცია „მოიძია“, იმას ვაჩუქო... დაწერეთ, რომ მას ვჩუქნი იმ აგარაკს. სხვათა შორის, გერმანელები მთავაზობდნენ — ოჯახით ჩამობრძანდით გინდ დროებით, გინდაც სამუდამოდ, ჩვენს ხარჯზე გაცხოვრებთო. სხვა არაერთი ქვეყანაც მთავაზობდა იმავეს — აზერბაიჯანი, თურქეთი. არც ამერიკაში იტყვიან უარს ჩემს ჩასვლაზე, მაგრამ არსად წასვლას არ ვაპირებ. უბინაოდაც რომ დავრჩე, საქართველოდან არ წავალ. 35-40 წლის რომ ვიყო, აზრი ექნებოდა გერმანიაში წასვლას, კიდევ გავაკეთებდი რამეს, ვნახავდი და ვისწავლიდი... მაგრამ ჩემს ასაკში ძნელია სამშობლოს მიტოვება.

**— თქვენს მემუარებში რომელი მოვლენები აისახება და თუ იქნება მასში ისეთი ფაქტები, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის და პირველად იხსენებთ?**

— პირველი წიგნი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან ჩემი ხმაურიანი გადადგომის შემდეგ გამოსცეს გერმანიაში, მალე ეს წიგნი 24 ქვეყანაში გამოიცა და სოლიდური ჰონორარიც მივიღე. თუ არ ვცდები, 1,5 მლნ დოლარი. არ არის დიდი წიგნი, ერთი ღამე რომ გაათიო, წაიკითხავ... ახლა გაცილებით მეტი მასალის დამუშავება მიხდება. რამდენიმე თვე დასჭირდება ახალ წიგნზე მუშაობას. შესაძლოა 2 ტომიც გამოვცე. მასში საბჭოთა კავშირის დაშლაზე, ამ პროცესთან დაკავშირებულ პერიპეტიებსა და ცალკეული პირების როლზე იქნება ლაპარაკი. უთუოდ საინტერესო წიგნი იქნება იმიტომ, რომ რაც მე ვიცი, ყველამ არ იცის. 90-იანი წლების დასაწყისში ყველაზე ცუდად ჩვენ მოვიქეცით. ყველა ქვეყანამ შეინარჩუნა ეკონომიკური, სამეცნიერო, ტექნიკური პოტენციალი, მხოლოდ საქართველოში დაინგრა ყველაფერი. ქართველებმა თვითონ დაანგრიეს თავიანთი ქვეყანა... ბუნებრივია, ჩემს მოგონებებში იქნება ბევრი საინტერესო და უცნობი დეტალი...

**— ახალი ხელისუფლება კორუფციასთან შეურიგებელ ბრძოლას აპირებს. თქვენს დროს რატომ ვერ მოხერხდა ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლა?**

— სახელმწიფო კორუფციას რომ ებრძოლოს, საჭიროა სულ მცირე ეს სახელმწიფო არსებობდეს. ჩვენ ხომ არ გვქონდა სახელმწიფო? მისი ფორმირება 1995 წლიდან დაიწყო. კორუფციასთან ბრძოლას სამინისტროები, უწყებები და სასამართლო სჭირდებოდა. შევქმენით ანტიკორუფციული საბჭო. ნაბიჯ-ნაბიჯ ვქმნიდით კორუფციასთან ბრძოლის სისტემას. შესაძლოა უფრო მეტი ხალხი უნდა დაგვეჭირა, მაგრამ ეს რთული პროცესია. ყოველთვის ვფიქრობდი, ის, ვისაც დაიჭერ, მართლაც დამნაშავე უნდა იყოს. ისეთი კაცის დაჭერა, რომელსაც დანაშაულს ვერ დაუმტკიცებ, უფრო მეტი დანაშაულია-მეთქი.

ვერ მოვასწარი კორუფციასთან ბრძოლა, ვერ მოვასწარი. უპირველესად იმაზე ვიყავით მობილიზებული, რომ ქვეყანას სახელმწიფოს სახე მიეღო. რამდენიმე კორუმპირებული დავიჭირეთ კიდეც, მაგრამ ისეთი კამპანია არ გაგვიხორციელებია კორუფციის წინააღმდეგ, როგორიც საჭიროა. ყველას მოვუწოდებ, რომ ფრთხილად მოეკიდონ კორუფციასთან ბრძოლის საქმეს. ერთი უდანაშაულოც რომ დაიჭიროთ, ამას ხალხი არ გაპატიებთ.

**— რაკი ახალმა ხელისუფლებამ კორუფციასთან ბრძოლა გააააქტიურა, გამორიცხავთ, რომ ერთ დღეს თქვენი ოჯახის წევრებსაც მიადგნენ და პირადად თქვენი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს?**

— პრეზიდენტს პასუხს ვერ მოსთხოვენ, თვითონ პრეზიდენტი უცოდველია. გამადიდებელი შუშითაც რომ ეძებონ, ვერ იპოვიან ჩემ მიერ ჩადენილ რაიმე უკანონობას. ოჯახის წევრებს კი არ ვიცი, რაზე უნდა მოედაონ. ჩემი მეუღლე ქალთა ორგანიზაციას ხელმძღვანელობს და ჟურნალ „მშვიდობა ყოველთას“ რედაქტორია. ჩემი ქალიშვილი ტელესტუდიაში მუშაობს. არ ვიცი, იქ თუ შეიძლება ფულის შოვნა. რომელი რეჟისორი გადაიხდის ფულს?

**— თქვენს სიძეზე მიუთითებენ ხოლმე ხშირად.**

— ჩემს ქალიშვილს ქმარი გარდაცვლილი ჰყავს. გია ჯოხთაბერიძეზე მეორედ იქორწინა და ამ კაცს მანამდე ჰქონდა ბიზნესი. ალბათ სჯობს თვითონ ილაპარაკოს თავის საქმეზე. თანაც სიძე ჩემი ოჯახის წევრი არ არის. მას თავისი ოჯახი აქვს, დამოუკიდებელი ადამიანია. ისე, ბიზნესმენს ვერ ეტყვი — არ იმუშაოო. წესიერ ბიზნესმენს ვერ შეზღუდავ, უწესოს ადგილი კი ციხეშია. დამნაშავე ჩემი სიძე იქნება თუ რძალი, პასუხი უნდა აგოს.



ძველი პრეზიდენტი ძველ ახალ წელს — ძველ შეცდომებსა და ახალ პროგნოზებზე...

**— ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს კეთდებოდა პროგნოზი — პრეზიდენტი შევარდნაძე პოლიტიკიდან წავა, თან წაიყოლებს იმიჯშელახულ ადამიანებს და ასპარეზს ჟვანია-სააკაშვილ-ბურჯანაძეს დაუთმობსო. ეს ასეც მოხდა?! ყოფილ სახელისუფლებო ბლოკში ეჭვობენ, რომ გარიგება არსებობდა თქვენსა და ამჟამინდელ ხელისუფლებას შორის.**

— არა, მსგავსი არაფერი ყოფილა. ნოემბრის მოვლენებს ზოგი ვარდების რევოლუციას უწოდებს, ზოგიც — ხავერდოვანს. სინამდვილეში ეს იყო პარლამენტში თავხედურად შემოჭრა და საკანონმდებლო ორგანოსა და კანცელარიის ძალით დაკავება. როდესაც დარბაზში სამოციოდე კაცი შემოიჭრა, იძულებული გავხდი პირად დაცვას დავმორჩილებოდი და შენობიდან გავსულიყავი. გაუსვლელობა არ იქნებოდა. შესაძლოა უბედურება მომხდარიყო — ან მე შემეხებოდნენ, ან მე შევეხებოდი ვინმეს და... მომხდარს გადატრიალების მცდელობა დავარქვი და არა — სახელმწიფო გადატრიალება (გთხოვთ, ამას მიაქციოთ ყურადღება). საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, ფაქტობრივად, ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას გულისხმობდა. მინისტრებთან ერთად დავსახეთ კიდეც ძალის გამოყენების ღონისძიება, ყველაფერი მზად იყო. საღამოს, რეზიდენციაში დაბრუნების შემდეგ, ბევრი ვიფიქრე, ღამითაც არ მძინებია. ეს ბუნებრივიც იყო, ამხელა გამოცდის წინაშე ვიდექი. ვფიქრობდი, რომელი გზა ამერჩია — ძალისმიერი თუ მიმეცა ოპოზიციისთვის საშუალება მოსულიყო ხელისუფლებაში. მეორე დღეს ბატონი ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი მოვიდნენ რეზიდენციაში, მითხრეს — მდგომარეობა ურთულესია, ხომ არ განიხილავთ პრეზიდენტის გადადგომის საკითხსო. ვატყობდი, წვალობდნენ, იტანჯებოდნენ, როცა მათზე უფროს კაცს ამას მეუბნებოდნენ. განსაკუთრებით აღელვებული ზურაბ ჟვანია იყო. ვუთხარი — ტყუილად წვალობთ, წუხელ მივიღე გადაწყვეტილება, რომ გადავდგები. ეტყობა, მოსახლეობის დიდ ნაწილს მოჰბეზრდა ასე ცხოვრება, გაჭირვება. აიღეთ ინიციატივა, ჩაატარეთ არჩევნები-მეთქი. მნიშვნელობა არა აქვს, ეს ვარდების იყო თუ კომბოსტოს, რევოლუცია იყო და მთავარი იყო, რომ პრეზიდენტი გადადგა. ჩემმა გადადგომამ განაპირობა ის მოვლენები, რაც შემდეგ მოხდა. ისტორიაში ეს ამბები ისე დარჩება, როგორც მე თქვენ გეუბნებით. კმაყოფილი ვარ, რომ გადავდექი.

ერთი კაცის სისხლიც რომ დაღვრილიყო, ეს ჩემთვის უმძიმესი ცოდვა იქნებოდა. ამიტომ ვუთხარი ოპოზიციის ლიდერებს — ისე იმოქმედეთ, როგორც გინდათ, ხელს არ შეგიშლით-მეთქი. ცოტა არ იყოს, დააბნიათ კიდეც ჩემმა სიტყვებმა...

**— ალბათ კიდევ რაღაც სხვაც უთხარით, რამაც გამოიწვია მათი ამგვარი ემოცია.**

— განსაკუთრებული არაფერი, ერთი-ორი სიტყვა კი მართლაც ვუთხარი, იმას ვერ გეტყვით. ალბათ ფიქრობდნენ, რომ ვაჭრობას დავიწყებდი ან ახალი არჩევნების ვადებზე ვილაპარაკებდი, ყველაფერს ელოდნენ ჩემი გადადგომის გარდა და ამიტომ გაოგნდნენ. საგანგებო მდგომარეობის შესახებ გადაწყვეტილების შეცვლა იოლი არ არის. ეს გადაწყვეტილება ჩემი გადადგომის ფასად შევცვალე. ამის შემდეგ დაიშალა ხალხი. ჩემი გადადგომით თუ იქნება ბედნიერი ეს ხალხი, ღმერთმა ბედნიერად ამყოფოს მთელი საქართველო.

**— ნათქვამია, გამჭრიახი პოლიტიკოსი დროულად ხვდება, როდის უნდა გაეცალოს ასპარეზს. თქვენ ხომ არ დააგვიანეთ წასვლა?**

— არ დამიგვიანია... ჩემი გადადგომა იძულებითი, მაგრამ ერთადერთი სწორი ნაბიჯი იყო. ცხოვრების მანძილზე ბევრი კარგიც გამიკეთებია და არაერთი შეცდომაც დამიშვია. ყველაზე სწორი და სასიკეთო გადაწყვეტილება, რომელიც ოდესმე მიმიღია, ჩემი მოულოდნელი გადადგომა იყო — მდგომარეობა ამან განმუხტა, მოულოდნელობის ეფექტმა იმუშავა — სისხლის ღვრა ავიცილეთ. 90-იანი წლების შემდეგ სისხლის მოულოდნელი ზღვა დაიღვარა საქართველოში. ვერ დავუშვებდი, რომ ჩემი მმართველობის ბოლოს ასეთი რამ განმეორებულიყო. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი გადაწყვეტილებით სააკაშვილი და ჟვანია გახარებული დარჩნენ.

**— იქნებ მაინც გეთქვათ, რა იყო ის ერთი-ორი სიტყვა, რამაც შეაცბუნა ისინი? ის ხომ არ გითქვამთ, პოლიტიკაში მე მოგიყვანეთო?**

— არა, არა... რაკი მეძიებით, გეტყვით — თქვენი წარუმატებლობა არ გამიხარდება-მეთქი და რჩევა მივეცი — ხალხის დასჯას და სამსახურებიდან დათხოვნას ნუ იჩქარებთ. შესაძლოა ამ ტალღას პატიოსანი ხალხიც გაჰყვეს, უსინდისო კი სკამზე დარჩეს. 3-4 კვირა დაუკვირდით, ვინ როგორ იმუშავებს, ვინმეს მოხსნას ან დანიშვნას ჩემი მხრიდან არასდროს გთხოვთ-მეთქი. დანარჩენს 2-3 წლის შემდეგ გეტყვით. ზურაბი და მიხეილი რეზიდენციაში ივანოვთან ერთად მოვიდნენ. სიმართლე გითხრათ, დღემდე ვერ გავიგე, რისთვის, და რა მისიით ჩამოვიდა მაშინ ივანოვი. ის მაგიდის თავში დაჯდა. შევთავაზე — თქვენ დაიწყეთ საუბარი-მეთქი. არა, აქ მე საჭირო აღარ ვაროო, თვითმფრინავი მინდა, რომ აჭარაში გადავფრინდეო. არც გამიცილებია. არც ის ვიცი, აჭარაში რა უნდოდა, ალბათ იბანავა (იცინის). ფაქტია, რომ ჩემთვის ივანოვს არაფერი გაუკეთებია.

როდესაც აქ მიტინგები დაიწყო, სამჯერ მელაპარაკა პუტინი. ერთხელ შემომთავაზა, ივანოვს გამოვგზავნიო და უარი ვუთხარი. მეორედ თქვა, 4 ქვეყნის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი) პრეზიდენტები სოჭში შევიკრიბოთო, მერე კუჩმამ შემომთავაზა — დსთ-ის ქვეყნების შეკრებაზე განვიხილოთ საქართველოში შექმნილი პრობლემებიო. მასაც უარი ვუთხარი. ეს საქართველოს შინაპრობლემა იყო და ჩვენ უნდა გადაგვეწყვიტა. ბეიკერი ჩემი უახლოესი მეგობარია, ამერიკის ადმინისტრაციამ სწორედ ამის გამო შეარჩია ის საქართველოში გამოსაგზავნად, იცოდნენ, სხვას არ მივიღებდი. ახლა ვფიქრობ, ისიც არ უნდა მიმეღო. ამერიკელების საქმე არ იყო ჩვენი საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება. ჩვენ ჩვენი კანონმდებლობის საფუძველზე უნდა მოგვეგვარებინა არჩევნების საკითხი. ჩემი გადადგომის შემდეგ ტელეფონით ვისაუბრეთ 2-ჯერ და ვუთხარი ბეიკერს, შენი ჩამოსვლა შეცდომა იყო-მეთქი. შეწუხდა, სიგლახე არაფერი გამიკეთებიაო. მჯერა მისი, მაგრამ ზოგიერთმა ძალამ ბეიკერის ჩამოსვლა საკუთარ მხარდაჭერად აღიქვა. სხვა ქვეყანა არ უნდა ერეოდეს სუვერენული სახელმწიფოს საქმეებში. ამ მხრივ რუსები უფრო კორექტულად მოიქცნენ. თავის დროზე, როდესაც საქართველოში ამერიკელებმა დაიწყეს ჯარის მომზადება, ალმა-ათაში გვქონდა დსთ-ის ქვეყნების ხელმძღვანელებს შეხვედრა. დიალოგის შემდეგ პუტინმა მიმართა ჟურნალისტებს და როდესაც გაბრუნდა, ქართველმა ჟურნალისტმა დააწია კითხვა — როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოში ამერიკელი სამხედროები ჩამოვიდნენო. პუტინს ჭკუა ეყო და ასეთი რამ თქვა — საქართველო სუვერენული ქვეყანაა და მოკავშირეებს თვითონ ირჩევსო. ჩვენი საპარლამენტო არჩევნების საკითხს რუსები უფრო კეთილგონივრულად მიუდგნენ, ვიდრე ამერიკელები. თუმცა ყველა ამერიკელზე არ ვამბობ საყვედურს. არც ბუშს ვამტყუნებ რამეში და არც ბეიკერს უფიქრია თავისი ჩამოსვლით საქმე გაეფუჭებინა. ეგონა, სამაგალითო არჩევნების ჩატარებაში მოვეხმარები ჩემს მეგობარ შევარდნაძესო, მაგრამ პირიქით გამოვიდა. რა ვუყოთ, პოლიტიკაში ყველაფერი ხდება.

**— მემკვიდრეებზე — მიხეილ სააკაშვილზე, ნინო ბურჯანაძესა და ზურაბ ჟვანიაზე რას იტყოდით?**

— დრო გვიჩვენებს, როგორები იქნებიან. ყველაზე უკეთ ზურაბ ჟვანიას ვიცნობ. ჩვენ შორის იყო ერთხანს განხეთქილება, მაგრამ 7-8 წლის მანძილზე მას მივეცი უფლება, რომ დამოუკიდებელი პოლიტიკოსი ყოფილიყო, დამოუკიდებლად ემართა „მოქალაქეთა კავშირი“. უმაღლესი ნდობა გამოვუცხადე, როდესაც ჩემი საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელობა ჩავაბარე. მან კარგი სკოლა გაიარა. ძალიან ნიჭიერი კაცია. საოცრად სწრაფად ერკვევა ურთულეს პრობლემებში და კარგი ათვისების უნარი აქვს. ნინოს ნაკლებად ვიცნობ. ერთად დიდხანს არ გვიმუშავია. ვიცი, რომ ოჯახის ქალია და ბევრისთვის მისაღები პიროვნება. შესაძლოა ისეთი უნარი აქვს, რაც გარეგნულად არ ჩანს. მიხეილ სააკაშვილსაც კარგა ხანია ვიცნობ. ვაკის მაჟორიტარობას რომ აპირებდა, მოსახლეობას ხელით ვაჩვენე — ეს არის თქვენი მომავალი დეპუტატი-მეთქი. მაშინ ჩემი სჯეროდათ. იმას არ ვამბობ, რომ მხოლოდ ჩემი მინიშნების გამო აირჩიეს მიხეილი. კარგად იმუშავა, ხალხთან ურთიერთობა არ ეზარება. შემდგომში როგორ ფორმას მიიღებს მისი ურთიერთობა ხალხთან, ამაზე ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული. ხელმძღვანელობის, მართვის ხელოვნება ხომ ადამიანებთან ურთიერთობაა. ჯერჯერობით ვერ ვიტყვი, რომ ახალგაზრდა ხელისუფლებამ რაიმე ცუდი ან კარგი გადაწყვეტილება მიიღო-მეთქი. არ მეკადრება ამაში ჩაძიება. ინაუგურაციის შემდეგ მიშას ნაკლები დრო ექნება ხალხთან ურთიერთობისთვის. ენერგიული, მოძრავი კაცია, ამ ღირსებას ვერ წაართმევ, მაგრამ ხალხთან შეხვედრებისთვის ველარ მოიცლის. ბევრი საქმე გაუჩნდება, ხალხის შეცვლა თანამდებობებზე, კანონების შექმნა, პარლამენტში წარდგენა, იქ სიტყვით გამოსვლა...

**— სიონში, შობის დღესასწაულზე შეხვდით თქვენს მემკვიდრეებს, ისაუბრეთ?**

— ცოტა ხნით. მოვიკითხეთ ერთმანეთი. მეტი დრო არ გვქონია, უწმინდესი გამოვიდა, მერე კი წირვა დაიწყო და ლაპარაკის საშუალება აღარ მოგვეცა. ასე რომ, უმძრახად არ ვართ. ასეთი რამ უცხოა ჩემი ბუნებისთვის. მტერიც არ მძულს. გეხსომებათ ალბათ, პარლამენტის წინ რომ მივედი, მომიტინგე გოგო-ბიჭებმა დაიძახეს, — გადადგესო. რაც უნდა იყვიროთ, თქვენ ჩემი შვილები ხართ-მეთქი. მართლაც ასეა. ახალგაზრდები არიან, რამე თუ შეეშალათ, ამიტომ ვერ შევიძულებ.

**— მიხეილ სააკაშვილმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა — არ მეგონა თუ ასე გაპარტახებული იყო ეს ქვეყანაო. რატომ დაინგრა თქვენს დროს ყველაფერი?**

— კარგია, რომ ეს მკითხეთ. მიშას მართლა დანგრეული საქართველო არ უნახავს, მე კი ვნახე. როდესაც 1992 წლის 7 მარტს დავბრუნდი, პატრიარქთან შეხვედრის შემდეგ, ბაზარში წავედი. საქართველოში მოყვანილი ბოსტნეულიც ვერ ვნახე. თურქეთიდან შემოტანილი იყიდებოდა ყველაფერი, ყველა საწარმო გაჩერებული იყო. მაშინ ვთქვი, ღმერთო, ამას რას ვხედავ, გიჟის მეტი ვინ დასთანხმდებოდა ასეთი ქვეყნის მართვას-მეთქი. 4 წელი სამოქალაქო ომის დამთავრებას გადავაყოლე. ამას მოჰყვა ორი სისხლიანი კონფლიქტი სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. ამის მიუხედავად, მაინც მოხერხდა ომის დროს არჩევნების ჩატარება და მერე კონსტიტუციის მიღება. წარმოუდგენელ სიძნელეებს ვაწყდებოდით. ახლა კი ეკონომიკის აღმავლობაა დაწყებული. ამუშავდა არაერთი საწარმო — ქიმკომბინატი, ჭიათურმანგანუმი, ფერო, ვაგონშემკეთებელი, ელმავალმშენებელი ქარხნები. დღეს ამბობენ, აკაკი ჩხაიძე „ჟულიკიაო“. არ ვიცი, რა დააშავა ამ კაცმა, მაგრამ დანგრეული რკინიგზა რომ ფეხზე დააყენა, ამას ყველა ვხედავთ. თურქებთან 100 ერთობლივი საწარმო გვაქვს, რუსებთანაც გვაქვს ერთობლივი ქარხნები. დიდი პროექტები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-შაჰდენიზი-არზრუმი ვინ გააკეთა? 7 წელი ვმუშაობდით ამ პროექტებზე. მე და ალიევმა ძლივს დავარწმუნეთ კლინტონი ამ პროექტების აუცილებლობასა და მნიშვნელობაში. მერწმუნეთ, 1992 წელთან შედარებით, დღეს სულ სხვა ქვეყანა გვაქვს. ამის დაუნახაობა არ შეიძლება. ალბათ მეტის გაკეთებაც შეიძლებოდა, მაგრამ ვერ მოვასწარი. იმის გაკეთებას, რაც ჩვენ 10 წელში შევძელით, 15-20 წელი სჭირდებოდა, მაგრამ ხალხი დაგვეხმარა, მათი წყალობით მოხერხდა ყველაფერი.

**— დღეს აჭარაში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული, როგორი პროცესების განვითარებაა მოსალოდნელი აბაშიძისა და ახალი ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულების ფონზე?**

— ბოლოს, როდესაც აჭარაში ვიყავი, ყველაფერზე გამოვნახეთ საერთო ენა მე და ასლანმა. მერე მითხრა — ახლა სტადიონზე წავიდეთო. ამ წვიმაში იქ რა გვინდა-მეთქი, გავიკვირვე. იქ ხალხიაო. როცა რომელიმე გამომსვლელი იტყოდა — აჭარა საქართველოს განუყოფელი ნაწილიაო, — ტაშით ინგრეოდა ყველაფერი. არ არის აბაშიძე უმართავი კაცი და არც უგუნურ გადაწყვეტილებებს ველი მისგან. მე 22-ჯერ ვიყავი აჭარაში, ის აქ ერთხელაც არ ყოფილა. მაგრამ მე ხელისუფალი ვიყავი და სისხლხორცეულად მაინტერსებდა აჭარაში სიმშვიდე ყოფილიყო, ამიტომ ჩავდიოდი იქ. ახალმა ხელისუფალმაც უნდა დაანახვოს აჭარლებს, რომ მათი მდგომარეობა აღელვებს, აინტერესებს. აბაშიძე ხომ წამოვიდა კომპრომისზე, ე. ი. გააზრებულად უდგება ეს კაცი საკითხებს, ნორმალური ურთიერთობა უნდა ხელისუფლებასთან, ამიტომ თბილისიდანაც უნდა შეუწყონ ხელი. დიალოგი, მხოლოდ და მხოლოდ დიალოგია საჭირო აჭარასთან.

*(გაგრძელება იხ. გვ. 7)*

ისტორია სააპელაციო საჩივარია ჩვენი დროის ცოდვა-ბრალის აღმნიშვნელი და შთამომავლობის სამართალში წარდგენილი

*სეგური*

CMYK

# „რაც მე ვიცი, ყველამ არ იცის...“

## „დამნაშავე ჩემი სიძე იქნება თუ რძალი, პასუხი უნდა აგოს“

(დასაწყისი იხ. გვ.6)

**— თქვენი პროგნოზით, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში რომელ პოლიტიკურ ძალას ექნება წარმატება?**

— 28 მარტამდე ბევრი რამ გაირკვევა. ხალხი უნდა დარწმუნდეს, რომ საქმე უკეთესობისკენ მიდის. თუ ეს ვერ დაინახეს, შესაძლოა რომელიმე სხვა პოლიტიკურ ძალას დაუჭირონ მხარი. მართალია, დღეს ძლიერი ოპოზიციური ძალა არ ჩანს, მაგრამ შესაძლოა 28 მარტამდე გამოჩნდეს კიდეც.

**— რომელ ძალას გულისხმობთ — აკაკი ასათიანის შექმნილ კოალიციას, იგორ გიორგაძის მომხრეებს თუ ლეიბორისტებს?**

— აკაკი ასათიანი ოპოზიციონერი არ არის არც თავისი გენებით და არც გამოსვლებით. ის ოპოზიციონერის იმიტაციას ახდენს. ალბათ, არ ეწყინება კაკოს ეს სიტყვები, რომელსაც ამჯერად თქვენი გაზეთის საშუალებით ვეუბნები. ნამდვილი ოპოზიცია ჯერ არ შექმნილა. ყველაზე ოპოზიციური ძალა დღეს „ახალი მემარჯვენეები“ და დათო გამყრელიძე არიან. მათი ორგანიზაციაც ძლიერია და დათოც გაბედული კაცია, ნიჭიერი, კარგად მეტყველებს. საქართველოში რომ დავბრუნდი, ჩემთან მუშაობდა აპარატში. მერე ბიზნესში წავიდა და ვფიქრობ, წესიერი გზით დააგროვა კაპიტალი. მისი პარტია სერიოზული და ანგარიშგასაწევი ძალა იქნება ახალი ხელისუფლებისთვის.

**— რა იყო ყველაზე დიდი შეცდომა, რაც თქვენ დაუშვით?**

— სამოქალაქო არეულობის დროს აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთზე 11 მილიარდის ღირებულების ტვირთი დაიტაცეს. საჭირო გახდა იქ ჯარის შეყვანა. ტელეფონით ვესაუბრე არძინბას, დამეთანხმა — ტვირთები ერთობლივად გავაცილოთ, ხვალ ჩამოვიდეს თბილისიდან ვინმე, რომ უფრო კონკრეტულად მოვილაპარაკოთო. სიგუა ერთი დღით გვიან ჩავიდა. ეტყობა, ამაზე გაბრაზდა არძინბა და ერთ-ერთ სამხედრო ნაწილს შეაფარა თავი. ფაქტობრივად, ამის შემდეგ დაიწყო აფხაზეთის კონფლიქტი. ჩემი დიდი შეცდომა ის იყო, რომ თავად უნდა ჩავსულიყავი მაშინ არძინბასთან. ვფიქრობ, ამით ავიცილებდით იმ საშინელ ომს.

**— რას ეტყოდა ძველი ახალი წლისთვის ძველი პრეზიდენტი პოლიტიკოსებსა და მოსახლეობას?**

— ახალ ხელისუფლებას წარმატებას და ნაყოფიერ მოღვაწეობას გულწრფელად ვუსურვებ. მოსახლეობაზე კი ვიტყვი — ეყოფა ტანჯვა და სიმწარე. უნდა დასრულდეს ის, რაც ამ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე გადაიტანა ხალხმა. ზოგ რამეში ბრალი ხელისუფლებას მიუძღვის, ზოგშიც — სხვას. რა დააშავა მოსახლეობამ? ისინი მხარს გვიჭერდნენ მაშინაც კი, როცა წესით უნდა გასჭირვებოდათ ჩვენი თანადგომა. მადლობას ვუხდი ხალხს იმისთვის, რომ ადრე ჩვენ გვიჭერდა მხარს, ახლა კი ახალ ხელისუფლებას ამოუდგა მხარში. ეს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების გამო გაკეთდა.

თქვენს გაზეთს კი ვუსურვებ, კვლავაც ასეთი პოპულარული ყოფილიყოს. ვფიქრობ, არც თქვენ აპირებთ მიღწეულს დასჯერდეთ. მჯერა, რომ ყველა თქვენს ნომერში თავისთვის რაღაც ახალს აღმოაჩენს თქვენი მრავალრიცხოვანი აუდიტორიის (მკითხველის) თითოეული წევრი. ბედნიერი წლები გქონოდეთ.

***მარი ზანდუკელი***

# „პრეზიდენტი ისეთ კაბინეტში დაჯდება, როგორიც მის ღირსებას ეკადრება“



„ბადრი ბიწაძის „დანაშაული“ მხოლოდ ის არის, რომ ნინო ბურჯანაძე მოიყვანა ცოლად“

*როგორც ჩანს, საქართველოს მოქმედ პრეზიდენტს სურვილები უსრულდება. გასულ წელს „კვირის პალიტრასთან“ საახალწლო ინტერვიუში ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, — საქართველოს მოსახლეობა უკეთეს ხელისუფლებას იმსახურებსო. ასე აგიხდათ ყველაფერი კარგი, — ახალ წელს საქართველო ახალი ხელისუფლებით შეხვდა, თუმცა რამდენად უკეთესები იქნებიან ახლები, დრო გამოაჩენს. ხალხმა თავი არ დაზოგა, ახალ პრეზიდენტს თავისი ხმა დაუნანებლად მისცა და თანადგომაც აღუთქვა. ქალბატონ* ***ნინო ბურჯანაძესთან*** *საუბარი სწორედ ახალჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების თემით დავიწყეთ:*

— ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა მიხეილ სააკაშვილის ამხელა პროცენტით გამარჯვება. ასეთი შთამბეჭდავი წარმატება ორმა ფაქტორმა განაპირობა — იმან, რომ ბატონ მიხეილს რეალური ალტერნატივა არ ჰყოლია, მეორე კი ის გახლავთ, რომ მან დაიმსახურა გამარჯვება. სააკაშვილმა იბრძოლა და მოიგო რევოლუციური ბრძოლა, რაშიც მას მოსახლეობის ძალზე დიდი მხარდაჭერა ჰქონდა.

**— 28 მარტს დანიშნულმა საპარლამენტო არჩევნებმა ოპოზიციის უკმაყოფილება გამოიწვია — ახალი ხელისუფლება საკუთარი წარმატების პიკზე ასწრებს არჩევნების ჩატარებასო.**

— გარწმუნებთ, ახლა ნამდვილად არ არის ჩვენი წარმატების პიკი. წარმატების პიკებს მომავალში ველოდებით. ცუდად ყოფილა ჩვენი და ქვეყნის საქმე, თუ ამ ნიშნულს ვერ ავცდით. დარწმუნებული ვარ, სირთულეების მიუხედავად, მეტი გვექნება ხალხისთვის სათქმელი, ვიდრე დღეს.

რაც შეეხება არჩევნების თარიღს, პოლიტიკურად უფრო გამართლებული იქნებოდა მისი უფრო ადრეც ჩატარება. სწრაფად უნდა დამთავრდეს საარჩევნო პროცედურები, ქვეყანა სწრაფად უნდა ჩადგეს ნორმალურ კალაპოტში. ჩვენ გავითვალისწინეთ საერთაშორისო თანამეგობრობის აზრი, რომელმაც გვთხოვა, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ერთად არ ჩაგვეტარებინა. ჩვენ გავითვალისწინეთ ჩვენი ოპონენტების აზრიც, თორემ კანონმდებლობით, 25 იანვარს უნდა ჩატარებულიყო არჩევნები. მინდა ოპოზიცია ობიექტური იყოს. სწორედ იმიტომ გადავწიეთ ვადა, რომ მათ მოესწროთ არჩევნებისთვის მომზადება. როდემდე უნდა იმუშაოს ძველმა პარლამენტმა? ოპოზიცია აპრილის ბოლოს ან მაისში ითხოვდა არჩევნებს. ამაზე რომ დავთანხმებულიყავით, პარლამენტი 20 დღის შემდეგ — ივნისში შეიკრიბებოდა. ივლისსა და აგვისტოში პარლამენტი არდადეგებზე მიდის. გამოდის, სექტემბრამდე ახალი პარლამენტი ვერ შეიკრიბებოდა. დღეს ქვეყანას რადიკალური ნაბიჯები სჭირდება, რაც ალბათ კარგა ხნის შემდეგ მოგვცემს შედეგს. როგორ წარმოგიდგენიათ, ქმედუუნარო პარლამენტით რეფორმების განხორციელება?!

**— ამბობენ, თუ ახალმა ხელისუფლებამ ასე გააგრძელა, ოპოზიცია პარლამენტში ვერ მოხვდებაო.**

— ნამდვილად არ ვართ დაინტერესებული იმით, რომ ერთპარტიული ან ორპარტიული პარლამენტი გვყავდეს. ყოველთვის ვიცოდი კონსტრუქციული ოპოზიციის ფასი. პრეზიდენტი შევარდნაძე არაერთხელ განაწყენებულა, როდესაც ჯერ კიდევ „მოქალაქეთა კავშირში“ ყოფნისას ოპოზიციას პოზიტიურად ვუყურებდი. ოპოზიცია საჭირო და აუცილებელია, მაგრამ დღეს არაორდინარული ვითარებაა. გარკვეულწილად ოპოზიციამ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს ის პრობლემები, რომლებიც მას დღეს აქვს და შეექმნებათ საარჩევნო ბარიერის გადალახვისას.

საარჩევნო ბარიერის დაქვეითებაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ნამდვილად არ გადავდგამ ამ ნაბიჯს. არ შეიძლება არაპოლიტიკური კონიუნქტურის გამო ბარიერის ამაღლება-დაქვეითება. არ შეიძლება ადამიანი ნეიტრალური იყო, როდესაც შენს ქვეყანას უჭირს. რევოლუციის დროს, ერთ-ერთ მიტინგზე გამოსვლისას, დანტეს სიტყვები გამახსენდა („ღვთაებრივი კომედიიდან“ — ი.რ.), დაახლოებით ასე ჟღერს — ჯოჯოხეთის ყველაზე ცხელი ადგილები ელით იმ ადამიანებს, რომლებიც უდიდესი გარდაქმნების პერიოდში ნეიტრალურ პოზიციას იცავდნენო. როდესაც შენს ქვეყანაში რევოლუციაა, არ შეიძლება ყველაფერს შორიდან უყურო და თქვა, — არც ერთი მხარე მომწონს, არც მეორე, მოვიცდი ეს ამბავი როგორ დამთავრდება და ჩემს სათქმელს მერე ვიტყვიო. ამას ხალხი არ გაპატიებს. ხალხი არ გაპატიებს, როცა კრიტიკულ მომენტში გვერდით არ დაუდგები — ან ერთ მხარეს უნდა იყო, ან მეორეზე. საპირისპირო ბანაკში ყოფნას უფრო გაპატიებს ხალხი, მაგრამ როცა არსად არ ხარ, შინ თბილად ზიხარ, ტელევიზორთან მოკალათებული და მშვიდად უყურებ, როგორ დგას ხალხი წვიმაში და უცდი, რით დამთავრდება ყველაფერი, რომ მერე გააკეთო ჭკვიანური დასკვნები, ამას ვინ გაპატიებს. ზოგიერთ რამდენადმე ოპოზიციურ ლიდერს ბოლო წუთამდე ვურეკავდი და ვეხვეწებოდი, — მოდით, ჩვენ გვერდით დადექით-მეთქი. ხალხის განწყობაც ლოგიკურია დღეს მათ მიმართ და ამის გამოსწორებას ერთი და ორი თვე არ ეყოფა. თავდაპირველად, უცხოელი დამკვირვებლებიც ყოყმანობდნენ არჩევნების თარიღზე, მაგრამ როდესაც გაეცნენ ვითარებას და შეხვდნენ ოპოზიციას, დაასკვნეს — არჩევნების გადადებას აზრი არ აქვსო. ერთ, ორ ან თუნდაც 6 თვეში ოპოზიცია იმდენად ვერ გაძლიერდება, რომ ჩვენ კონკურენცია გაგვიწიოს.

ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საპარლამენტო არჩევნები სამართლიანად ჩატარდეს და ყველა პარტიას ჰქონდეს არჩევნებისთვის ნორმალურად მომზადების საშუალება, მაგრამ სხვის გასაკეთებელ საქმეს ჩვენ ვერ გავაკეთებთ. გარანტიას ვაძლევ ოპოზიციას, რომ არჩევნები ობიექტურად ჩატარდება და არავის დაეკარგება ერთი ხმაც კი.

არა მგონია, პარლამენტში ჩვენი ძალა მარტო აღმოჩნდეს. ვფიქრობ, იქ უსათუოდ შევლენ „აღორძინება“ და ლეიბორისტები... ცუდს და საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ ჩვენ უმრავლესობა გვეყოლება პარლამენტში. ყველა ნორმალურ ქვეყანაში ასეა. ბატონ მიხეილსაც, ბატონ ზურაბსაც და მეც გვეყოფა ჭკუა, რომ კრიტიკულად შევხედოთ ჩვენს ნაბიჯებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თანამოაზრეები ვართ, ხშირად ვკამათობთ, ვდაობთ და ასე მივდივართ სწორ გადაწყვეტილებამდე.

**— აჭარაში „კმარას“ აქტივისტების დაკავების შემდეგ ითქვა, რომ ეს ქალბატონ ნინოსთან, ბატონ ზურაბსა და ბატონ მიხეილთან იყო შეთანხმებული.**

— არავითარი შეთანხმება არ ყოფილა, ეს ჩვენი პრეროგატივა არ არის.

**— ასლან აბაშიძემ განაცხადა, — ეს ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით გაკეთდაო.**

— ბატონ ასლანს არ უთქვამს, კმარელების დაპატიმრება შეთანხმებული იყოო. უბრალოდ, ჩვენ გვქონდა საუბარი და გამოვხატე შეშფოთება იმ მოვლენების გამო, რაც ხდება აჭარაში. ბატონ ასლანს ვთხოვე, თქვენ ჩაერთეთ იმ პროცესებში, რაც ავტონომიის ტერიტორიაზე ხდება-მეთქი. არ შეიძლება ოჯახების დაპატიმრება. თუ ვინმეს დანაშაული აქვს ჩადენილი, უსათუოდ უნდა დაისაჯოს, მაგრამ ვინმეს დაპატიმრება განსხვავებული მოსაზრების ან კიდევ იმის გამო, რომ ასლან აბაშიძე ან ნინო ბურჯანაძე არ მოსწონს, არ შეიძლება. ვფიქრობ, მოვახერხებთ, რომ აჭარაში მოვლენები ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს.

**— ლაპარაკია აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ვადამდელ არჩევაზე. როგორ გესახებათ ასლან აბაშიძესთან ურთიერთობა სამომავლოდ?**

— ის, რომ ბატონი ასლანი დათანხმდა აჭარაში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას, ის, რომ აჭარამ ამ ბოლო პერიოდში პირველად გადმორიცხა 2,5 მლნ დოლარი ცენტრალურ ბიუჯეტში, მეტყველებს, რომ ბატონ ასლანს თანამშრომლობა სურს ხელისუფლებასთან. გულწრფელად გეტყვით, სხვადასხვა პრობლემა, რომლებიც აჭარასთან წარმოიქმნა, ცენტრალური ხელისუფლების დამსახურება გახლდათ. ამიტომ როდესაც პრობლემებზეა ლაპარაკი, მხოლოდ რეგიონისკენ ვერ გავიშვერ ხელს.

**— ამბობენ, ნინო ბურჯანაძეს გაუჭირდება საპრეზიდენტო სავარძლის შელევაო...**

— ჩემი პატივისცემის მიუხედავად, მიკვირს, რომ ხალხი ზოგჯერ თავად წყვეტს, მე რა გამიჭირდება და რა — არა. ჩემი თვითმიზანი არ ყოფილა პრეზიდენტობა. ჩემი მიზანია, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია ჩემი ქვეყნის, ხალხისა და შვილების საკეთილდღეოდ. როდესაც შენს ქვეყანას უკეთებ რამეს, ამით შენს შვილებს აძლევ საშუალებას, ნორმალურ და ღირსეულ ქვეყანაში იცხოვროს. როდესაც 2003 წლის არჩევნებისთვის ვიბრძოდი, საპრეზიდენტო ამბიციები კი არა, ის მაწუხებდა, ახალ პარლამენტში სერიოზული წარმომადგენლობა მოგვეპოვებინა, რასაც ნამდვილად ვიმსახურებდით ჩვენი რეიტინგიდან გამომდინარე. როდესაც პრეზიდენტად კენჭისყრაზე უარი განვაცხადე, ვფიქრობ, სამართლიანი გადაწყვეტილება მივიღე. ხალხი ჩვენგან ერთიანობას ელოდა და უსინდისობა იქნებოდა, საპრეზიდენტო სკამისთვის ჭიდილი დაგვეწყო. ამასთან, მიშამ სამართლიანად დაიმსახურა ეს პოსტი, მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული წვლილი მეც შევიტანე ამ რევოლუციის დაწყებასა და დამთავრებაში. მიშამ უზარმაზარი როლი შეასრულა ამ რევოლუციაში, რაც მან გააკეთა, იმას მე ვერ შევძლებდი. უბრალოდ, ჩვენ ერთმანეთი შევავსეთ, უდავო ლიდერი კი მიშა იყო.

**— გამორიცხავთ, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე მიხეილ სააკაშვილის კონკურენტი იყოთ?**

— მანამდე საპარლამენტო არჩევნებია ჩასატარებელი. მიმაჩნია, რომ არავისზე ნაკლები პარლამენტის თავმჯდომარე არ ვიქნები. დღეს უფრო მეტი გამოცდილება მაქვს, ვიდრე 2 წლის წინ, როდესაც ამ თანამდებობაზე ამირჩიეს. მაქვს საინტერესო იდეები, თუ როგორი უნდა იყოს პარლამენტი როგორც ხელისუფლების მხარდამჭერი ეფექტიანი მექანიზმი და მეორე მხრივ, როგორც ხელისუფლების კონტროლის საშუალება. მაქსიმალურად ვეცდები, ხელი შევუწყო ბატონ მიხეილსაც და ბატონ ზურაბსაც, რადგან ჩვენი, სამივეს, წარმატება ნამდვილად ქვეყნის წარმატება იქნება.

ვისურვებდი, ახალარჩეული პრეზიდენტი იმდენად წარმატებული პრეზიდენტი ყოფილიყოს, რომ მეორე ვადითაც აერჩიოთ. ეს იმის დასტური იქნება, რომ იგი ბევრ სასიკეთოს გააკეთებს ამ ქვეყნისთვის. როდესაც მხარი დავუჭირე მიხეილ სააკაშვილს, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატს, ვერ ვიტყვი, მშვიდად ვიყავი-მეთქი. პასუხისმგებლობის შიში მქონდა. ადამიანს საკუთარ თავზე გიჭირს პასუხისმგებლობის აღება და როცა სხვაზე იღებ პასუხისმგებლობას, ორმაგად გიმძიმს. ამიტომ დაინტერესებული ვარ, მიშა წარმატებული პრეზიდენტი იყოს, რადგან ერთ-ერთი პირველი, ვისაც მისი შეცდომების გამო მოსთხოვენ პასუხს, მეც ვიქნები. განსხვავებული აზრი ოჯახშიც არის, მაგრამ აუცილებელი არ არის ის დაინგრეს. ჩვენც ვკამათობთ ხოლმე, ჯერჯერობით, არ გვიჩხუბია. ადრე გვიჩხუბია ხოლმე მე და მიშას, მაგრამ მტყუანი ვინც იყო, უკან იხევდა ხოლმე. შესაძლოა, მიშასგან ნაკლებამოსალოდნელი იყოს, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, მიშას მერე უთქვამს, — ვიფიქრე და შენ მართალი იყავიო. უკან დახევა მეც არ გამჭირვებია არასოდეს.

**— პრეზიდენტის ახალი რეზიდენციის შესახებ საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა დაიწყო. ამბობენ, ბიუჯეტის ისედაც მწირი თანხები სააკაშვილის რეზიდენციის კეთილმოწყობაზე რატომ უნდა დაიხარჯოსო.**

— ბატონი მიხეილის პრინციპული პოზიციაა, რომ ბიუჯეტიდან არც ერთი თეთრი არ დაიხარჯოს რეზიდენციის რეკონსტრუქციაზე. გთხოვთ, მიიხედმოიხედოთ ამ კაბინეტში. გინდათ ასეთ კაბინეტში იჯდეს თქვენი პრეზიდენტი? გინდათ უცხოელი სტუმრები ასეთ, 40 წლის წინანდელ საბჭოურ ავეჯს ხედავდნენ? საქართველოს ყოველთვის უჭირდა, მაგრამ ქართველები იმ ლოგიკას არასოდეს მიჰყოლიან, — ქვეყნას უჭირს და რა დროს შენებააო. ასე რომ ყოფილიყო, არც ტაძრები გვექნებოდა და არც ქართული სიმღერა და ცეკვა. ჩვენ ხომ იშვიათად გვემღერებოდა და გვეცეკვებოდა. ქვეყანას თავისი სახე უნდა ჰქონდეს. პრეზიდენტს ექნება ნორმალური რეზიდენცია, სადაც არც ელჩის მიღება შეგვრცხვება და არც უცხო ქვეყნის პრეზიდენტის. ქართველები ასეთი ხალხი ვართ, ლუკმას მოვიკლებთ, ოღონდ სტუმარი მივიღოთ კარგ გარემოში, თვითონ არ შევჭამთ და საუკეთესოს სტუმრისთვის შევინახავთ. ეს ხომ ქართული ჩვეულებაა.

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენს პრეზიდენტს იტალიის ან რუსეთის პრეზიდენტისნაირი რეზიდენცია ექნება, მაგრამ ისეთ კაბინეტში დაჯდება, რაც მის ღირსებას ეკადრება.

**— ოპოზიცია კრიტიკულად შეხვდა ახალი პრეზიდენტის გელათში შესაძლო ინაუგურაციასაც. სააკაშვილი აღმაშენებელს ბაძავსო...**

— არ მეგულება ქართველი, რომელიც დავით აღმაშენებელს არ აღმერთებდეს. დავით აღმაშენებლის სურათი ჩემს ოთახში ჰკიდია, მანამდე ეს სურათი ბატონი ზურაბის კაბინეტში ეკიდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი თავი დავით აღმაშენებელი გვგონია. თუ ბატონი მიხეილის ინაუგურაცია გელათში გადაწყდა, ეს იქნება პატივისცემა იმ წინაპრისადმი, რომელმაც ქვეყანა ააყვავა და თუ ინაუგურაციის დროს მიხეილ სააკაშვილი ჩაიფიქრებს, — იმის გაკეთება შევძლო საქართველოსთვის, რაც დავით აღმაშენებელმა შეძლოო, ვინმე ამის საწინააღმდეგოს იტყვის? მოდი, ყველაფერს კეთილი თვალით, ნაკლებად კრიტიკულად შევხედოთ.

**— ძველი ხელისუფლების შეცდომებიდან გამომდინარე, რის გათვალისწინებას აპირებს ახალი ხელისუფლება?**

— არც საკუთარი მოსახლეობა უნდა მოატყუო და არც მეზობლები. გულწრფელად უნდა უთხრა, — კი შეგპირდით ამას, მაგრამ ამა და ამ მიზეზის გამო, სამწუხაროდ, ვერ გისრულებთ დაპირებულსო. ხალხი ამას გაიგებს. ისინი საოცრად მომთმენები არიან. როცა ხედავენ, რომ ცდილობ საქმის გაკეთებას და რაღაც ხელს გიშლის, დიდსულოვნები არიან. მხოლოდ იმას არ გაპატიებენ, თუ დაინახეს, თავისი გაინაღდა და ჩვენ აღარაფრად გვაგდებს და ჩვენი ტკივილი აღარ სტკივაო.

**— თქვენი მეუღლე უმუშევრობას დიდხანს აპირებს?**

— (იცინის) კარგია, რომ ეს მკითხეთ... ვნახოთ. არ მინდა უმუშევარი დარჩეს — მან იცის, როგორ უნდა ემსახუროს თავის ქვეყანას და ასეთი ადამიანები უნდა გამოვიყენოთ. ვიცი, ბევრი ამას ათას კუდს გამოაბამს, ქმარი თანამდებობაზე დანიშნა და მიეხმარაო, მაგრამ ბოლოს მაინც ყველაფერი გაირკვევა და საჭოროც აღარაფერი დარჩება. არ ვაპირებ მის დაჩაგვრას იმის გამო, რომ ჩემი ქმარია. მისი „დანაშაული“ მხოლოდ ის არის, რომ ნინო ბურჯანაძე მოიყვანა ცოლად...

**— რამდენად იყო შესაძლებელი პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსანი ამ უწყებაში მუშაობისას კორუფციის მიღმა დარჩენილიყო?**

— მინდა გითხრათ, რომ ის არაერთხელ დაუპირისპირდა ძველ ხელმძღვანელობას, რისი მაგალითებიც მრავლად არსებობს და, შესაბამისად, დაუმსახურებლად გაილანძღა კიდეც. ის პროფესიონალი, პატიოსანი ადამიანია, რასაც კიდევ არაერთხელ დაამტკიცებს..

**— უკვე მესამე წელია, შობა-ახალ წელს ჩვენს მკითხველს და საქართველოს მოსახლეობას მიმართავთ ხოლმე, ამჯერად რას ეტყოდით მათ?**

— მინდა ყველაფერი საუკეთესო ვუსურვო ჩვენს ხალხს. საოცარი პატივისცემითა ვარ განმსჭვალული მის მიმართ. ხანდახან ვფიქრობდი, რატომ არ არის ჩვენი მოსახლეობა აქტიური, რატომ ითმენს იმას, რაც არ მოსწონს. ყველაფერზე ხელი ხომ არ ჩავაქნევინეთ-მეთქი. აღმოჩნდა, რომ ღირსების შელახვას ჩვენი ხალხი არავის აპატიებს. მან საოცარი ერთიანობა, ურთიერთპატივისცემა გამოავლინა ერთმანეთის მიმართ. ჩვენი ხალხი ღირსეულ მომავალს იმსახურებს და მინდა მას სიმშვიდე, სიკეთე და უკეთესი მომავალი ვუსურვო.

***იზო რეკაძე***

**ჩვენი მტერნიც და მოყვარენიც თვითონ ჩვენი საქმენი არიან**

მინდრაშო

# რუსი გენერლის ქართველ გენერალ სიძეს მძიმე დანაშაული ჰბრალდება

ბიზნესმენ მაღლაკელიძის გატაცებაში ეჭვმიტანილი და დაკავებული გია ვაშაკიძე ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა გენერალი იყო, რომელსაც 1993 წელს, უმაღლესი მთავარსარდლის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებით გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. ბუნებრივია, მას არ გაუვლია ყველა საფეხური ჯარისკაცობიდან გენერლობამდე, მაგრამ მაშინ ამას ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

გია ვაშაკიძე 1993 წელს თავდაცვის მინისტრის გია ყარყარაშვილის მოადგილე იყო, თუმცა როგორც „მხედრიონის“ ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, ნაკლებად თანამშრომლობდა ამ სამინისტროსთან. ამბობდნენ, ყარყარაშვილს და ვაშაკიძეს ერთმანეთი გულზე მაინცდამაინც არ ეხატებათო, მაგრამ მაშინ, სახელმწიფო მეთაურის შევარდნაძის პოლიტიკა სწორედ ასეთი გახლდათ — მინისტრს ისეთ მოადგილეს უნიშნავდა, რომელიც მას კრიჭაში ედგა.

გენერალი ვაშაკიძე ვახტანგ გორგასლის ორდენითაა დაჯილდოებული. აფხაზეთის ომისა და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1995 წელს „მხედრიონის“ შევიწროება დაიწყო, გია ვაშაკიძემ მოსკოვს შეაფარა თავი. მის შემდგომ წარმატებულ კარიერას რუსეთის სამხედრო დაჯგუფების — ГРВЗ-ის სარდლის, რეუტის მოადგილის, გენერალ იური პოტაპოვის ქალიშვილის შერთვამ დიდად შეუწყო ხელი.

მოგვიანებით, გია ვაშაკიძეს გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა. მოსკოვში მან ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია დაამთავრა, ხოლო რუსეთის გენშტაბის აკადემიის დამთავრების შემდეგ დისერტაციის დასაცავად ემზადებოდა.

თუკი საბოლოოდ, დადასტურდა გია ვაშაკიძის მონაწილეობა ადამიანის გატაცების საქმეში, ეს უდიდესი სკანდალი იქნება მთლიანად ქართული არმიის ინტერესების საზიანოდ.

# რუმინეთმა აშშ-ს უკვე შესთავაზა... შავი ზღვა

## შავი ზღვის აკვატორიაში ამერიკული ფლოტის დაფუძნება რუსეთს გააბრაზებს, თუმცა არც თურქეთი დარჩება ნაამები

ბუქარესტმა აშშ-ის ხელისუფლებას ოფიციალურად შესთავაზა, რომ თანახმაა თავისი ტერიტორია დაუთმოს პენტაგონის რამდენიმე სამხედრო ნაწილს ამერიკული სამხედრო ბაზების შესაქმნელად. ლაპარაკია უფრო მობილური სახის, ახალი ფორმაციის სამხედრო ბაზებზე, რომლებსაც ამჟამად გერმანიაში არსებული ამერიკული სტაციონარული ბაზებისგან განსხვავებით, შეეძლებათ უფრო მოკლე დროში შეიცვალონ დისლოკაციის ადგილი. აქედან გამომდინარე, ახალი ამერიკული ბაზები, სავარაუდოდ, რუმინულ სამხედრო აეროდრომებზე დაიდებს ბინას, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამერიკელი ადმირალები კონსტანცის სამხედრო პორტითაც არანაკლებ არიან დაინტერესებულნი. შავ ზღვაში ამერიკული ფრეგატებისა და კორვეტების მუდმივი ბაზირების პორტების შექმნისთანავე კარდინალურად შეიცვლება სიტუაცია შავი ზღვის აკვატორიაში.

თხუთმეტიოდე წლის წინ შავი ზღვის ერთპიროვნული მბრძანებელი საბჭოთა კავშირის შავი ზღვისა და მოკავშირე ქვეყნების — ბულგარეთისა და რუმინეთის ფლოტები იყვნენ.

მაშინ შავი ზღვის კიდევ ერთ ქვეყანას, თურქეთს, ნამდვილად არ შესწევდა ძალა, რომ ამ აკვატორიაში სათანადო წინააღმდეგობა გაეწია გაერთიანებული „კომუნისტური“ ფლოტებისთვის.

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ ყველაფერი თავდაყირა დადგა. საბჭოთა კავშირის მემკვიდრე უკვე დამოუკიდებელი ქვეყნებიდან შავ ზღვაზე გასასვლელი მხოლოდ სამს ჰქონდა — რუსეთის ფედერაციას, უკრაინისა და საქართველოს რესპუბლიკებს. თუმცა ეს უკანასკნელი — საქართველო — არ იყო მხედველობაში მისაღები, რადგან მისმა უნიათო ხელისუფლებამ მცირე წილიც ვერ დაიტოვა იმ არცთუ სახუმარო ესკადრისგან, რომელიც ფოთის პორტში იდგა. თქვენ წარმოიდგინეთ, ის ორიოდე მცირე სადესანტო კატარღა, რომლებითაც პირველი ქართული დესანტი წარმატებულად გადასვეს აფხაზეთის სანაპიროზე (ეს კატარღები დღეს ჩამოწერილია), ერთმა პატრიოტმა ქართველმა ოფიცერმა თავისი ინიციატივით და, რაც ყველაზე საინტერესოა, თავისი ფულით დაიტოვა.

რუსეთისა და უკრაინის ჭიდილში ერთ დროს შავი ზღვის რისხვა — საბჭოთა ფლოტი, ისე დაჩაჩანაკდა, რომ საბრძოლო შესაძლებლობებით თურქეთის ფლოტსაც კი ჩამორჩა.

ასე რომ გაგრძელებულიყო, მაშინ შავ ზღვაში თურქული ფლოტის გამეფებას ველარავინ შეუშლიდა ხელს, სხვა თუ არაფერი, სამშვიდობო სწავლებების დროს თურქულმა სამხედრო ხომალდებმა და, განსაკუთრებით, წყალქვეშა ნავებმა მეტისმეტად მოუხშირეს უკრაინის, რუმინეთისა და ბულგარეთის პორტებში სტუმრობას (რისი თვითმხილველიც „კვირის პალიტრა“ არაერთხელ ყოფილა), მაგრამ რუმინეთის მიერ ამერიკისთვის თავისი სამხედრო პორტების შეთავაზებამ თურქი კონტრ-ადმირალების საუკუნოვან ოცნებას შეიძლება წერტილი დაუსვას. სავარაუდოდ, რუმინეთს მალე ბულგარეთიც მიჰბაძავს, მესამე ამ სიაში ალბათ ფოთის პორტიც აღმოჩნდება. ბოლომდე არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ამერიკელებთან დათმობაზე თვით უკრაინაც წავიდეს.

მოვლენების ამ სახით განვითარების შემთხვევაში აშშ და განსაკუთრებით ხმელთაშუა ზღვაში ათწლეულების განმავლობაში მცურავი მისი მე-6 ფლოტი სტრატეგიულ დასაყრდენს მიიღებს შავი ზღვის სახით.

ადრე, მიუხედავად იმისა, რომ შავ ზღვაში საბჭოთა ფლოტი ბატონობდა, მას ბრძოლით უნდა გაეკვლია გზა ხმელთაშუა ზღვისკენ, რადგან ბოსფორის სრუტე თურქ და NATO-ელ მეზღვაურებს ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებითა და წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო ტორპედოებით ჰქონდათ ჩაკეტილი. ამიტომაც მოსკოვისთვის შავი ზღვის ფლოტილიას, ჩრდილოეთის ან წყნარი ოკეანის ფლოტებისგან განსხვავებით, არასოდეს ჰქონია სტრატეგიული მნიშვნელობა. მაგრამ ამერიკული ფლოტის, განსაკუთრებით კი „ტომაჰავკის“ ტიპის ფრთოსანი რაკეტებით შეიარაღებული ამერიკული კრეისერების, ფრეგატებისა და წყალქვეშა ნავებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან შავი ზღვის აკვატორიიდან „ტომაჰავკით“ მოსკოვამდე მიღწევას ნახევარი საათიღა დასჭირდება.



შავი ზღვის აკვატორიიდან ამერიკულ ფრეგატს „ტომაჰავკით“ მოსკოვამდე მისაღწევად ნახევარი საათიც ეყოფა.

# ახალი „ნაღმური“ საფრთხე ამჯერად კახეთს ემუქრება



## საგარეჯოს რაიონის მოსახლეობას დიდი სიფრთხილე მართებს

რამდენიმე წლის წინ, სტატიაში, „გაიტანეთ, გაიტანეთ ნაღმები... კახეთიდან!“ ვლაპარაკობდით საგარეჯოს რაიონში განთავსებულ რუსულ სამხედრო-საინჟინრო ბაზაზე და იმ საფრთხეზე, რაც იქიდან შეიძლება დამუქრებოდა კახეთის მოსახლეობას.

სამწუხაროდ, ჩვენი შიში გამართლდა — რუსული სამხედრო საინჟინრო ბაზის ტერიტორიაზე აფეთქების შედეგად დასახიჩრდა საგარეჯოს რაიონის რამდენიმე მცხოვრები.

ამასთანავე, არ არის გამორიცხული, რომ აფეთქებები კვლავ გაგრძელდეს და მას ლეტალური შედეგებიც მოჰყვეს. ყოველივე ამას რამდენიმე მიზეზი აქვს.

პირველი და მთავარი გარემოება გახლავთ ის, რომ სხვა რუსული სამხედრო ნაწილებისგან განსხვავებით, საგარეჯოს სამხედრო საინჟინრო ბაზაში დიდი რაოდენობით ინახებოდა სხვადასხვა ტიპისა და სახეობის ნაღმი და ასაფეთქებელი მოწყობილობა; მათი ხმარება, ავტომატებისა და პისტოლეტებისგან განსხვავებით, მშვიდობიანმა მოსახლემ კი არა, თავად სამხედროთა უმეტესობამაც არ იცის.

მიუხედავად იმისა, რომ არც მესამე მსოფლიო ომი დაწყებულა და საბჭოთა კავშირიც დაიშალა, საგარეჯოში შენახულმა ნაღმებმა მაინც დაიწყეს მოქმედება და ქართველების დასახიჩრება.

ამას, გარკვეულწილად, იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ 1999 წელს, საქართველოსა და რუსეთის სამხედრო უწყებებს შორის მიღწეული ოფიციალური შეთანხმებით, საგარეჯოს საწყობში დაცული ტრანსპორტირებისთვის უვარგისი ნაღმები განადგურდებოდა ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე, ხოლო ვარგისებს გაიტანდნენ სომხეთში, გიუმრის 102-ე სამხედრო ბაზასა და ბათუმის პორტში, იქიდან — რუსეთში გადასაგზავნად.

შედეგად კი მივიღეთ: რამდენიმე დაღუპული, ათობით დაჭრილი, დანგრეული შენობა ვაზიანში და ტერორისტობაში ეჭვმიტანილები, რომლებიც დაპატიმრებულნი არიან.

ვაზიანში მცხოვრები, უმთავრესად აფხაზეთიდან დევნილი გაჭირვებული მოსახლეობა სიცოცხლის რისკის ფასად აგროვებდა ვაზიანის პოლიგონზე საგარეჯოდან ჩატანილი და განადგურებული ნაღმების ნაწილებს ჯართად ჩასაბარებლად.

მაგრამ იმის გამო, რომ რუსი სამხედროები ზერელედ ეკიდებოდნენ ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და ნაღმების განადგურებას, ვაზიანის პოლიგონზე რჩებოდა სრულიად გამოსადეგი ასაფეთქებელი მოწყობილობები, რომლებიც ასახიჩრებდნენ ჯართის მომგროვებელ ლტოლვილებს.

ახლა კი უბედურება თავად საგარეჯოს რაიონს ეწვია, რადგან სამხედრო ნაწილიდან საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის გატანა რუსმა სამხედროებმა ფაქტობრივად დაამთავრეს და შესაბამისად, დაცვაც მოუხსნეს საინჟინრო საწყობებს.

ამჟამად ყოფილი სამხედრო საინჟინრო ბაზის უზარმაზარ ტერიტორიას იცავს ორიოდე უიარაღო სამოქალაქო პირი. ამით, ბუნებრივია, ადგილობრივმა მოსახლეობამაც ისარგებლა და დაიწყო უპატრონოდ მიტოვებული შენობა-ნაგებობის ძარცვა — გააქვთ აგური და მიწიდან თხრიან რკინის მილებს.

რუსი სამხედროები, რომლებმაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში საკუთარი მიწა-წყალი ვერ გაწმინდეს მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ნაღმებისგან, ცხადია, თავს დიდად არ შეიწუხებდნენ საგარეჯოს ყოფილი საინჟინრო ნაწილის პერიმეტრის განნაღმვისაგან (ნაწილის მისადგომები დანაღმეს 12 წლის წინ, როდესაც ქართველი ნახევრად ოფიციალური სამხედრო ჯგუფები ათასნაირ ხერხს ხმარობდნენ იარაღის ხელში ჩასაგდებად), ამას ემატება საგანგებოდ ან შემთხვევით მიმოფანტული ნაღმების და ამფეთქებლების ნარჩენები, რომელთა პოვნა მაღალ ბალახში ხშირად მხოლოდ ნაღმმძებნით შეიძლება.

ყოველივე ზემოხსენებულს — რუსი სამხედროების დაუდევრობას და ადგილობრივი მოსახლეობის სიხარბეს, აუცილებლად უნდა დავუმატოთ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უგერგილობა, რომ აღარაფერი ვთქვათ, დანაშაულებრივ უმოქმედობაზე.

რუსული სამხედრო ნაწილების ოფიციალური მემკვიდრე, წესით, საქართველოს თავდაცვის უწყება უნდა იყოს, რომელსაც რუსი კოლეგებისგან უკვე სრულიად განნაღმული და რადიაციულად უხიფათო (არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ საგარეჯოს ყოფილ რუსულ სამხედრო საინჟინრო საწყობის ტერიტორიაზე მალე მომატებული რადიაციული ფონი აღმოაჩინონ) ტერიტორია უნდა ჩაებარებინა, მაგრამ რა უნდა ვუთხრათ იმ მთავარ ქართულ სამხედრო უწყებას, რომელსაც ჯარისკაცები თავისივე ყაზარმებისა და იარაღის საწყობების დასაცავად არ ჰყოფნის და სამხედრო მოსამსახურეებს კოსოვოსა და ერაყში გზავნის?!

მართალია, თავდაცვის სამინისტროს საერთოდ არ სჭირდება საგარეჯოს ყოფილი რუსული სამხედრო საინჟინრო ბაზა (რაც აქვს, იმასაც ვერ იყენებს) და არც მისი დაცვისა თუ მოვლის თავი აქვს, მაგრამ ამ მიწის გადაცემა ადგილობრივი მეურნეობებისთვის მანამდე არ შეიძლება, ვიდრე იქაურობა საბოლოოდ არ გაიწმინდება. ეს კი დიდ თანხებს მოითხოვს.

მაგალითად, ვაზიანის პოლიგონისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების (10 ათას ჰა-მდე) ადგილობრივი მოსახლეობისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით მოსახმარებლად გადაცემამდე საჭიროა მათი განნაღმვა. ამისთვის NATO-ს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურმა NAMSA-მ ამოირჩია გამოცდილი ქართველი სამხედრო ინჟინრებით დაკომპლექტებული ორგანიზაცია „ჯანი“, რომელსაც გრანტის სახით მიეცემა თანხა განნაღმვითი სამუშაოების ჩასატარებლად. „ჯანიმ“ საქმიანობა ა.წ. აპრილიდან უნდა დაიწყოს.

გასაგებია, რომ ახალ ქართულ ხელისუფლებას არ გააჩნია თანხები საგარეჯოს ყოფილი რუსული სამხედრო ნაწილის ტერიტორიის გასანაღმავად, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას არ ჰყოფნის პროფესიონალიზმი ან გამოცდილება, რუს კოლეგებს მოსთხოვოს, რომ ტერიტორიები გასუფთავებული დატოვონ.

სანამ დასავლეთი კახელების გაჭირვებას გაიგებს და ისევ გამოყოფს თანხებს საგარეჯოს ყოფილი სამხედრო ნაწილის ნაღმებისაგან გასასუფთავებლად, ამ რაიონის მცხოვრებლებს ვურჩევთ — ნუ დახარბდებიან სამხედრო ნაწილის უფასო საშენ მასალებსა და მით უმეტეს, მიწაში ჩაფლულ რკინის მილებს, რადგან ერთი შეხედვით უპატრონოდ მიყრილი ქონების ქვეშ სიცოცხლისათვის საშიში ასაფეთქებელი მოწყობილობა შეიძლება იდოს. ამასთან, არავითარ შემთხვევაში არ ახლონ ხელი უცხო და უცნობ ნივთებს, რადგან ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების ასამოქმედებლად თოთო ბავშვის ფეხის დაბიჯებაც კი კმარა.

**ჩვენი დოსიე:** ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების — ГРВЗ-ს საგარეჯოს 37-ე საინჟინრო საწყობში თავის დროზე 119 პირობითი ვაგონი საინჟინრო სახის შეიარაღება და აღჭურვილობა ინახებოდა. ეს მარაგი სრულიად საკმარისი იქნებოდა იმ შემთხვევისთვის, თუკი საბრძოლო მოქმედებები დაიწყებოდა საბჭოთა კავშირის სამხრეთის მიმართულებით, თურქეთის საზღვართან. თურქეთის შეიარაღებული ნაწილები და NATO-ს შენაერთები თუ მოახერხებდნენ საქართველოში შემოჭრას, სწორედ საგარეჯოს საინჟინრო საწყობიდან გატანილი ნაღმებით უნდა მომხდარიყო ქართული გზების, ხიდებისა და ხეობების დანაღმვა.



# პენტაგონი ერაყში მსხვილმასშტაბიან როტაციას იწყებს...

## მაინც ვის სცემა ქართველმა ოფიცერმა — ამერიკელ თუ რუს პოლკოვნიკს?



ერაყში მყოფ 69 ქართველ სამხედროს 2 თებერვალს 217 კოლეგა შეცვლის

ერაყში პარტიზანები წარამარა ესხმიან თავს ამერიკულ სამხედრო დანაყოფებსა და მათ მოკავშირეებს. აშშ-ის 130-ათასკაციანი სამხედრო კონტინგენტი უკვე წელიწადია, დგას სპარსეთის ყურეში. ნაწილების პირად შემადგენლობას აშკარად ეტყობა ფიზიკური და, რაც მთავარია, მორალური გადაღლა.

ამიტომაც ახალი წლიდან პენტაგონი შეუდგა ერაყში თავისი კონტინგენტის ნაწილობრივ როტაციას, რაც ა.წ. მაისამდე უნდა დამთავრდეს. ეს, სხვათა შორის, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილმასშტაბიანი და ძვირად ღირებული ოპერაცია იქნება, რადგან მარტო ერაყში 100 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე შეიცვლება, ქუვეითში — 20 ათასი, ხოლო ავღანეთში — 10 ათასი.

ოკეანისგაღმელი კოლეგების მსგავსად, თებერვალში საქართველოს თავდაცვის სამინისტროც აპირებს ერაყში მყოფი თავისი 69 სამხედროს შეცვლას; ამჯერად იქ 217 ქართველი სამხედრო გაემგზავრება.

საკითხავია, რამდენად მიზანშეწონილია სამშვიდობო კონტინგენტის რიცხვის გაზრდა ერაყში მაშინ, როდესაც თავდაცვის სამინისტროს საქართველოში მყოფთათვის ვერ გადაუხდია ხელფასი. გაჩნდა მთავარი პრობლემაც: ამერიკა უნდობლად უყურებს ერაყში გასაგზავნი ახალი ქართული კონტინგენტის ახალ მეთაურს მალხაზ ჩიხლაძეს.

პოლკოვნიკი მალხაზ ჩიხლაძე ბოლო ხანს თავდაცვის სამინისტროს ლოგისტიკის (ე.წ. ზურგის — ი.ა.) მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე გახლდათ და ბრიგადის გენერლის წოდებაზეც იყო წარდგენილი. მანამდე, გარკვეული ხნით, იგი მივლინებული იყო გერმანიაში, ჯორჯ მარშალის ცენტრის აღმასრულებელი პროგრამის კურსებზე. კურსების წარმატებით დასრულების შემდეგ მის გენერლად „კურთხევას“ ალბათ აღარაფერი შეუშლიდა ხელს, მაგრამ გაირკვა, რომ ჩიხლაძეს მარშალის ცენტრში ერთ-ერთი უცხოელი პოლკოვნიკი შემოელახა, რის გამოც სასწავლებლიდან გააძევეს. მშობლიურმა სამინისტრომ გადაწყვიტა, ჩიხლაძე ერაყში გასაგზავნი სამხედრო კონტინგენტისთვის სათავეში ჩაეყენებინა, რამაც ამერიკის სამხედრო ატაშეს გულისწყრომა გამოიწვია.

საქართველოსთვის ეს უსიამოვნო ამბავი გულზე მალამოდ მოეცხო რუსულ საინფორმაციო საშუალებებს. ისინი მთავრული შრიფტით აწყობილი სათაურებით აღფრთოვანებულნი იტყობინებოდნენ — ქართველ ცისფერჩაფხუტიანებს ერაყში უმეთაურებს ხულიგანი ქართველი პოლკოვნიკი, რომელმაც მარშალის ცენტრში ამერიკელი სამხედრო სცემაო.

ქართული წყაროები ამტკიცებენ, პოლკოვნიკ ჩიხლაძეს მარშალის ცენტრში ამერიკელი კი არა, რუსი პოლკოვნიკი შემოელახა აფხაზეთის თემაზე კამათისასო.

ასეა თუ ისე, უკვე მაიორად ჩამოქვეითებული მალხაზ ჩიხლაძე, ეტყობა, მართლაც ვეღარ უმეთაურებს 2 თებერვალს ერაყში გასამგზავრებლად გამზადებულ 217 ქართველ სამხედროს.

ამ ახალ ქართულ ტაქტიკურ ჯგუფში გაერთიანებულნი არიან ერთი სრული ასეული და საინჟინრო და სამედიცინო ქვედანაყოფები. მათი დისლოკაციის ადგილი კვლავ თიქრიტის შემოგარენში, მე-4 ამერიკული სატანკო დივიზიის შემადგენლობაში იქნება.

შარშანდელი აგვისტოდან ერაყში მყოფი ქართველი სამხედროები კი დღეებს ითვლიან სამშობლოში დაბრუნებამდე. მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის სამინისტრო, უმნიშვნელო დაგვიანებებით, მივლინების თანხებს (500-დან 1.500 დოლარამდე) მათ სრულად ურიცხავდა საკრედიტო ბარათებზე, ქართველი სამხედროები, განსაკუთრებით კი თიქრიტში მყოფნი, მაინც უფულობას ჩიოდნენ და ერთი ღერი სიგარეტი ენატრებოდათ.

საქმე ისაა, რომ თიქრიტში ბანკომატების ქსელი არ ფუნქციონირებდა, ხოლო საკრედიტო ბარათების გასანაღდებლად ბაღდადში ჩასასვლელად ერთი ომის გადახდა იყო საჭირო. საბედნიეროდ, ერაყში მყოფ სამხედროთა უმრავლესობას საკრედიტო ბარათების დუბლიკატები ჰქონდათ გაკეთებული, რომლებითაც გასამრჯელოს მათი მეუღლეები იღებდნენ საქართველოში.

გასული წლის მიწურულს, ქუვეითში, თავის საქმეზე მიმავალ ახლობელს ოჯახის წევრებმა ერაყში მყოფი ქართველი სამხედროებისთვის 200-200 დოლარი გაატანეს...

მეორე და არანაკლები პრობლემა გახლდათ ერაყიდან საქართველოში დარეკვა. უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ამერიკელი სამხედროები არ ჩქარობენ აამოქმედონ მობილური სატელეფონო კავშირის სისტემა ერაყის ტერიტორიაზე, რათა ერაყელ პარტიზანებს საშუალება არ მიეცეთ, კოორდინირებული და ორგანიზებული წინააღმდეგობა გაუწიონ მათ ტერიტორიაზე მყოფ სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო კონტინგენტს.

ქართველი სამხედროები იძულებულნი იყვნენ, ამერიკელი კოლეგებისგან ნათხოვარი თანამგზავრული ტელეფონით კვირაში 1-2 წუთით დაკავშირებოდნენ შინაურებს.

იმედია, თავდაცვის სამინისტრო, ერაყში თავისი სამხედრო მოსამსახურეების როტაციის შემდეგ მაინც იზრუნებს იმ პრობლემების მოგვარებაზე, რაც ამ ქვეყანაში ქართველების ნახევარწლიანი ყოფნის დროს გამოჩნდა.

# ჯერ კიდევ ეძებენ...



გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ თეთრმა სახლმა ერაყიდან უკან გამოიწვია ის სპეციალისტები, რომლებიც ბაღდადისა და სხვა ქალაქების სიახლოვეს მასობრივი განადგურების იარაღის ძებნით იყვნენ დაკავებულნი. მაგრამ მალევე ვაშინგტონმა ოფიციალურად უარყო სპეციალისტების ამერიკაში დაბრუნება და გაავრცელა ცნობა, რომ ისინი კვლავ განაგრძობენ ერაყში საძიებო სამუშაოებს.

პრეზიდენტ ბუშის რეიტინგი კატასტროფულად ეცემა, ისევე როგორც მისი დიდი ბრიტანელი კოლეგისა — ორივე გრანდიოზული მასშტაბის სიცრუეში არიან მხილებულნი. მიუხედავად იმისა, რომ ერაყში 1,2 ათასზე მეტი ამერიკელი სპეციალისტი დღე და ღამეს ასწორებს, აქამდე მასობრივი განადგურების იარაღის მსგავსის კვალსაც ვერ მიაგნეს.

არადა სადამ ჰუსეინზე ამერიკულ-ბრიტანული იერიში სწორედ იმ მოტივით დაიწყო, რომ ერაყელი დიქტატორი მალავდა მასობრივი განადგურების იარაღს, რითაც ლამის ნახევარ მსოფლიოს ემუქრებოდა.

ამერიკელებს ჯერ კიდევ იმედი აქვთ, რომ აღმოაჩენენ ერაყულ ქიმიურ თუ ბაქტერიოლოგიურ იარაღს და მატყუარის სახელს მოაშორებენ თავის პრეზიდენტს.

ისე ჩვენ, ქართველებს, გვეძლევა საუკეთესო შესაძლებლობა, ერთხელ მაინც გავუწოდოთ დახმარების ხელი ოკეანისგაღმელ მეგობრებს, რომლებიც ხან შვეულმფრენებს გვჩუქნიან, ხან ჯარს გვიმზადებენ. საქართველოში ლამის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ყრია რუსების მიერ „სახსოვრად“ დატოვებული რადიოაქტიური ნივთიერებების შემცველი სახიფათო კონტეინერები. იქნებ რამდენიმე ასეთი კონტეინერი ჩუმად გაგვეგზავნა ერაყში და ჩვენს მენალმეებს იქვე აღმოეჩინათ?

## არსენალი

# „ბუშმენი“ — ელექტრობატარეიანი ავტომატური პისტოლეტი

იარაღის კონსტრუქტორები ძალიან ცდილობენ, როგორმე გაზარდონ პისტოლეტისა თუ ავტომატის სროლის ტემპი.

ინგლისელმა კონსტრუქტორმა ეალოვეჯამ სპეციალური ელექტრონული მოწყობილობა ჩაამონტაჟა „ბუშმენის“, ამ მართლაც უცნაური იარაღის ტარში.

ექსპერტებს ვერ გადაუწყვეტიათ, რომელ კატეგორიას მიაკუთვნონ ეს ერთ-ერთი პირველი ელექტრობატარეიანი ცეცხლსასროლი იარაღი — ავტომატური პისტოლეტისა თუ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევისას.

„მაკაროვისა“ თუ „ტეტეს“ მფლობელები ალბათ გაიკვირვებენ, — რად სჭირდება პისტოლეტს ელექტრობატარეაო, მაგრამ ინგლისელმა კონსტრუქტორმა იარაღის ტარში ელექტრობატარეები ჩააწყო იმ ელექტრონული მოწყობილობა-რეგულატორის საკვებად, რომელიც შეამცირებდა „ბუშმენის“ მართლაც ფანტასტიკურ სროლის ტემპს.

თავად განსაჯეთ — „ბუშმენით“ ავტომატური ჯერის გაშვებისას სროლის მაქსიმალური ტემპია 1.400 გასროლა/წთ-ში. ასეთი „გიჟური“ ტემპის დროს მიზანში მორტყმაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება, რადგან „ბუშმენის“ ოცვაზნიანი მჭიდი წამში იცლება.

არადა „ბუშმენის“ შექმნისას ინგლისელ კონსტრუქტორ ეალოვეჯას განსაზღვრული ჰქონდა, რომ ახალი ავტომატური პისტოლეტი, უპირველესად, სპეცდანიშნულების რაზმების შეიარაღებაში უნდა მოხვედრილიყო, რომელთათვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თითოეული ტყვიის სროლის სიზუსტეს.

სიზუსტისთვის კი „ბუშმენით“ ავტომატური ჯერით სროლის ოპტიმალური ტემპი 450 გასროლა/წთ-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. ამის მიღწევა მარტო მექანიკური შემანელებლებით (დაახლოებით იმგვარით, როგორსაც მრავალ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევში ამონტაჟებენ) შეუძლებელი გახლდათ. ამიტომაც კონსტრუქტორმა „ბუშმენის“ ტარში ჩაამონტაჟა სპეციალური ელექტრონული შემანელებელი, რომელიც შედგება ელექტროძრავისა და ელექტრონული მოწყობილობისგან. ეს უკანასკნელი კი წუთში 450-ჯერ რთავს ნემსის დამრტყმელ მექანიზმს. მოქმედების პრინციპით ეს ელექტრონული შემანელებელი გარკვეულწილად ჰგავს იმ სინქრონიზატორებს, რომლებსაც მეორე მსოფლიო ომის დროს გამანადგურებელი თვითმფრინავების ტყვიამფრქვევებს უყენებდნენ, რათა მათ სროლისას საჰაერო ხრახნი არ გაეხვრიტათ.

ეს ელექტრონული შემანელებელი მოწყობილობა 30 ათას გასროლაზეა განსაზღვრული, მაგრამ თუკი ელექტრობატარეები დაჯდა, მაშინ „ბუშმენი“ ერთჯერად გასროლებს აგრძელებს.

ამ ელექტრონული „ეშმაკობის“ გარდა, ის ბევრად არ განსხვავდება ტრადიციული იარაღისგან და კონსტრუქციით ლეგენდარულ „მაუზერსაც“ წააგავს. დაუტენავი „ბუშმენის“ მასა 2,9 კგ-ს აღწევს, სიგრძე — 27,6 სმ-ია. „ბუშმენს“ შეიძლება დაუყენონ ოთხი სხვადასხვა სიგრძის ლულა და ორი სახის მჭიდი. ისინი გათვლილია 20 ან 32 ცალ 9X19 PAR ტიპის ვაზნაზე.

მიუხედავად ბევრი დადებითი თვისებისა, „ბუშმენით“ ჯერჯერობით მხოლოდ დიდი ბრიტანეთის პოლიციის სპეცდანაყოფია შეიარაღებული. თუმცა უკანასკნელი ცნობების თანახმად, „ბუშმენით“ დაინტერესდნენ რამდენიმე ქვეყნის საგანგებო დანიშნულების ის



**ავტომატური ჯერით სროლისას „ბუშმენის“ ერთი ხელით დაჭერა საკმაოდ ძნელია**

დანაყოფები, რომლებსაც ქალაქის პირობებში უწევთ სპეციალური ოპერაციების ჩატარება. მათ ყურადღება მიაქციეს „ბუშმენის“ იმ მოდიფიკაციას, რომელსაც გრძელი ლულა (35 სმ-ზე მეტი სიგრძის), მაყუჩი, სადგამები, ოპტიკური სამიზნე და ლაზერული მიზანმაჩვენებელი უკეთდება. სამაგიეროდ, ტანკისტებს და პილოტებს მოეწონათ „ბუშმენის“ ყველაზე კომპაქტური მოდელი (მისი ლულის სიგრძე სულ 8 სმ-ია), რადგან ის ტანკისა თუ გამანადგურებლის კაბინაში მცირე ადგილს იკავებს და თანაც ეფექტური ავტომატური იარაღი ხდება მტრის ზურგში კატაპულტირებული პილოტის ხელში.

„ბუშმენის“ მსროლელს, მისი ეფექტიანად გამოყენებისას, განსაკუთრებით კი ავტომატური ჯერით სროლისას, აუცილებლად უნდა გააჩნდეს საკმაო გამოცდილება.

## სამხედრო კალეიდოსკოპი

# რუსეთი ამერიკას დაეწია, ოღონდ რუბლებში...

წლის დასაწყისში რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ, ბოლოს და ბოლოს, გაამხილა 2004 წლის სამხედრო ბიუჯეტის რაოდენობა — 389 მლრდ! ერთი შეხედვით, იგი უახლოვდება ამერიკულისას — 401 მლრდ-ს, ოღონდ ამერიკული სამხედრო ბიუჯეტი დოლარით განისაზღვრება, რუსული კი რუბლით!

მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსეთის ახალი სამხედრო ბიუჯეტი, გასულ წლებთან შედარებით, საკმაოდ გაზრდილია, რამაც რუსეთის თავდაცვის სამინისტროს შესაძლებლობა მისცა, 2004 წლისთვის დაეგეგმა რამდენიმე ახალი საბრძოლო თვითმფრინავის და ათეულობით ტანკის შეძენა.

# ბულგარელებს სამივლინებო თანხა გაუზარდეს

ერაყში მყოფმა ბულგარელი სამხედროების კონტინგენტმა, რომელიც პოლონური დივიზიის შემადგენლობაში ირიცხება, ამ დღეებში სასიხარულო ცნობა მიიღო — მათ ყოველდღიური ანაზღაურება 62-დან 80 აშშ დოლარამდე გაეზარდათ. ეს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ანაზღაურებაა ამერიკელი სამხედროების შემდეგ. ასეთ წარმატებას ბულგარელმა სამხედროებმა დიდი მცდელობის შემდეგ მიაღწიეს — რამდენიმე კვირის განმავლობაში სოფიაში მუქარის წერილებს გზავნიდნენ — ერაყში ნამდვილ ომში გამოგვგზავნეთ, სადაც დაღუპვის დიდი შანსია, ამიტომაც, კეთილი ინებეთ და, რისკის გამო ანაზღაურებაც მოგვიმატეთო.

# რუსული „ურალები“ მექსიკაში



სამხიდიან რუსულ სამხედრო მანქანებს, „ურალებს“, ჩვენთანაც კარგად იცნობენ და აფასებენ კიდევაც, განსაკუთრებით კი მის დიზელისძრავიან ვარიანტებს. ახლა რუსული „ურალების“ გაცნობა ოკეანის გაღმა, მექსიკამაც მოინდომა — მექსიკის შეიარაღებულმა ძალებმა 52 ცალი „ურალი“ შეიძინა. მანამდე ურალის ქარხანაში 400-მდე „ურალი“ იყიდა ურუგვაის არმიამ, რომელსაც მოქმედება მაღალმთიან რეგიონებში უწევს.

„ურალის“ წარმატება, რომელმაც თავი ავღანეთისა და ჩეჩნეთის რთულ გზებზე გამოიჩინა, შეიძლება გასაგებიცაა, ოღონდ უცნაურია ის, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში მალე გამოჩნდება მანქანა, რომლის წინაპარი — „სტუდაბეკერი“ — ნახევარი საუკუნის წინ ამერიკიდან საბჭოთა კავშირში ლენდი-ლიზით (დახმარების პროგრამა, რომლითაც აშშ-ში მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირს ეხმარებოდა) იგზავნებოდა და ყოველგვარი ლიცენზიის გარეშე ნელ-ნელა „ურალად“ იქცა...

# ებრაელებს არაბებისა შეშურდათ...

თელ-ავივი ნამდვილად არ მოელოდა, რომ მისი მთავარი სამხედრო პარტნიორი, აშშ, არაბებს მათზე უკეთეს იარაღს მიჰყიდდა.

ლაპარაკია ამერიკული გამანადგურებელი თვითმფრინავების ბოლო მოდიფიკაციაზე, F-16E/F-ებზე. ასეთი 80 ულტრათანამედროვე გამანადგურებელი 8 მლრდ დოლარად უნდა შეისყიდოს არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა, ხოლო პენტაგონმა ისრაელისთვის F-16-ის მხოლოდ ძველი მოდიფიკაცია გაიმეტა. ამან ძალზე დააფიქრა თელ-ავივი, რადგან ებრაელებზე გადამტერებული არაბების ხელში აღმოჩნდება ბევრად უფრო თანამედროვე იარაღი, რომელმაც შეიძლება საჰაერო ბრძოლებში დაჯაბნოს ებრაელთა საამაყო სამხედრო-საჰაერო ძალები.




**რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა**

# სიკვდილის შემდეგ გამჟღავნებული საიდუმლო

## ყოფილი ესესელის აღსარება

**ეს ჩანაწერები პავლე ხარატიშვილის სიძემ, გიორგი გელაშვილმა 1972 წელს, სიმამრის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ აღმოაჩინა. დაბალჭერიან, ნახევრად ბნელ ბინაში თითქმის ოცი წელი გაატარა ოჯახისგან განდგომილმა, მარტოსულმა კაცმა, რომელსაც სამშობლოსთან მხოლოდ საიდუმლო და პატარა ლიანა აკავშირებდა, რომლის დედასაც, მისთვის ყველაზე საყვარელ ადამიანს, ოცდათხუთმეტი წელი ემალებოდა. საიდუმლო კი მაინც გამჟღავნდა, ოღონდ მისი სიკვდილის შემდეგ. ჩვენი გმირი ჩანაწერებში ისე დაწვრილებით მოგვითხრობს საკუთარ თავგადასავალს, რომ ბევრი კირკიტი აღარაა საჭირო. სიგარეტის გაშლილი კოლოფის შიდამხარეს გაკეთებული ჩანაწერებიც ისე დაუხარისხებიათ მისი ოჯახის წევრებს, რომ ისღა დამრჩენია, მკითხველთან ერთად ჩავიკითხო რამდენიმე მათგანი.**

**1939 წელი, 11 დეკემბერი.** მას შემდეგ, რაც სცენა ჩაინგრა და საავადმყოფოში მოვხვდი, თვალს რული არ მომკარებია. კიდევ კარგი, ჩემებს არაფერი შეუტყვიათ თბილისში, ისინიც მეცოდებიან. ძალიან დაბნეული ვარ. თავის მოკვლას ვაპირებდი, მაგრამ ეს არც ისე იოლი ყოფილა. რამდენიმე ღამე შინ არ მოვსულვარ და ვალიამ (მეუღლემ — ვ.გ.) დაასკვნა, საყვარელი გაიჩინაო, დაავლო ბავშვს ხელი და ბანძაში გააქანა, მშობლებთან. სამსახურში მისვლა აღარც მინდა, თუმცა ჩემი შემცვლელის პოვნა არ გაუჭირდებათ. მიწგანის გამგედ რომ გამოდგება, ასეთი ოცდაათამდე კაცი მაინც მეგულება გორში, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, ანსამბლს ვინ უნდა უხელმძღვანელოს. არადა, შვილივით ჩამაბარა დათაშკა კავსაძემ თავისი კოლექტივი. მე კი აღარც სიმღერის თავი მაქვს და აღარც ცეკვის. არადა ჯერ კიდევ ბევრი რამის მოსწრება შემეძლო. უმჯობესია, ფინეთის ომში წავიდე მოხალისედ, რაკი თავის მოკვლა ვერ მოვახერხე, ბრძოლაში სიკვდილს მაინც ექნება გამართლება.

**1940 წელი, 13 მარტი.** გუშინ დამთავრდა სსრ კავშირ-ფინეთის სამთვიანი ომი. რუსებმა პატივი დამდეს, ოფიცრობა მიბოძეს და პოლიტხელად გამამწესეს ერთ-ერთ საარტილერიო პოლკში, მე კი მერჩივნა რიგით მებრძოლად გავეშვი წინა ხაზზე. ერთი სიტყვით, ვიდრე მაზარა მოვირგე, ქვემეხები დადუმდნენ. თუმცა დამარცხებული ფინეთი ახლა ფაშისტური გერმანიისკენ იყურება და არც ის ხმები უნდა იყოს გადაჭარბებული, ჰიტლერი დიდი ომისთვის ემზადებაო. თუ ასეა, ნეტავ მალე დაიწყოს. მე აქ სიკვდილის საძებნელად წამოვედი. ერთხელ კი იყო ამისი შანსი, მაგრამ ბედი არ გინდა? მოწინააღმდეგის ნასროლი ჭურვი ზუსტად იმ ქვემეხთან აფეთქდა, სადაც მე ვიდექი. რვა კაციდან მარტო მე გადავრჩი.

**1942 წელი, 20 მაისი.** ომი დაიწყო. ამბობენ, რომ ეს იქნება ყველაზე დიდი ომი კაცობრიობის ისტორიაში. რა არის ომი, ქერჩში გავიგე. ვნახე, როგორ ბომბავდა გერმანელთა ავიაცია ქართველი ბიჭებით სავსე ეშელონებს. დახოცილებში რამდენიმე ნაცნობიც აღმოვაჩინე და ღამით მიწას რომ ვაბარებდით, იმოდენა ბომბი დაგვეცა, ერთიანად დაგვმარხა მკვდარიც და ცოცხალიც. ვიდრე გონს დავკარგავდი, მადლობა შევწირე უფალს ჩემი სულის მიბარებისათვის, მაგრამ თურმე სადა ხარ, ჯოჯოხეთი აწი იწყება! შუადღე გადასული იქნებოდა, ფეხებში რომ დამქაჩა ვიღაცამ. მერე გერმანული ლაპარაკიც გავიგონე და მივხვდი, რომ ცოცხალი ვარ და არც არაფერი მტკივა, თავი მიბრუის მხოლოდ. ეს ალბათ ჭურვის გამაყრუებელი ხმისა და იმ ქვა-ღორღის ბრალია, ზემოდან რომ გადამეყარა. ისიც გავაცნობიერე, რომ ამ წუთიდან გერმანელების ტყვე ვარ. არადა, უმაღლესი მხედართმთავრის ბრძანების შესაბამისად მტერს არ უნდა ჩავბარდე, თავი უნდა მოვიკლა, მაგრამ როგორ? ვინლა მიმიშვებს იარაღამდე. ეს რომ შემძლებოდა, ამას იქვე, ჩემს სამშობლოში გავაკეთებდი და ყველა სატკივარს ერთად მოვიშორებდი...

**1942 წელი, 17 სექტემბერი.** გადიაჩის ტყვეთა ბანაკში ვარ, შიმშილისაგან დასუსტებული. ოცდათვრამეტ კილოგრამს ვიწონი. აქ რამდენიმე ქართველს შევხვდი, ყველანი ჩემს დღეში არიან. გაქცევას ვეცდებოდით, მაგრამ ასე დასუსტებულები სადამდე გავაღწევთ. საშველი გუშინ გამოჩნდა. გერმანიის არმიის „ქართულ ნაციონალურ ლეგიონში" ჩაწერა მოგვთხოვეს. ბიჭები ყოყმანობენ, მე კი თვალიც არ დამიხამხამებია, დავთანხმდი. ხომ ასე გავურბოდი სამშობლოს, ოჯახს, ნაცნობ-მეგობრებს, მაგრამ ახლა ერთი სული მაქვს, როდის ჩავალ საქართველოში. თანახმა ვარ, ჰერ გერმანელებო, ოღონდ აქედან გამიყვანეთ და მერე ვის მხარეზე ვიომებ, მაგასაც ვნახავთ. აქ ძალიან მკვეთრად მცემს კრემატორიუმის სუნი. სიკვდილს ვეძებდი და ახლა, როცა ასე ახლოა, ისე მომწყურდა სიცოცხლე, როგორც არასდროს.

**1942 წელი, 8 დეკემბერი.** გაძლიერებულ კვებაზე გადაგვიყვანეს. ჩრდილოეთ კავკასიაში აპირებენ ჩვენს გადასროლას. ვიცით, რომ იქ გერმანულ შენაერთებთან ერთად კავკასიონს ქართული ლეგიონიც უტევს. ოღონდ კი ფეხი ქართულ მიწაზე დავაბიჯო და მწვერვალიდან ისეთ დღეს დავაყრი გერმანელებს, სამუდამოდ დაავიწყდებათ საქართველო. ასე მგონია, მარტო დავიფრენ ვერმახტის ჯარებს.

**1943 წელი, 10 იანვარი.** ეს იმედიც გადამეწურა. ოთხ თვეში დასრულდა კავკასიონზე შეტევა. ვიღაცამ დამასწრო და კუდით ქვა ასროლინა გერმანელებს. ნამდვილად მშურს მათი... ჰიტლერელები არ აპირებენ ქართული ლეგიონის დაშლას. ეტყობა, კიდევ აქვთ კავკასიონის გადალახვის იმედი. მეც ამ იმედით ვცხოვრობ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გერმანელები ქართულ მიწაზე ვერ დააბიჯებენ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. თუმცა ყველას სჯერა, რომ გერმანია გაიმარჯვებს. ეს აქაც, ჩვენს ლეგიონშიც იგრძნობა. დღედაღამ პლაცზე ვართ, გვავარჯიშებენ. ისეთ ჯანზე ვარ, მგონია, მთებს წამოვიკიდებ. თითქოს დავმშვიდდი კიდეც, მაგრამ ლეგიონში ისეთი დასმენები დაიწყო, ლამისაა თავი შემძულდეს. კიდევ კარგი, ყველას არ გავენდე. ჟორა თევზაძე და დათიკო ფაჩუაშვილი კი გამცემები რომ ყოფილიყვნენ, აქამდე მიმახვრეტდნენ გერმანელები. ორივენი ისე მღერიან და ცეკვავენ, რომ უნტეროფიცერმა ოტო გუმელმა ქართული, ნაციონალური ანსამბლის შექმნა გადაწყვიტა. არც მე მითქვამს უარი. ბოლოს და ბოლოს, სიძულვილს ისევ სიყვარულმა უნდა აჯობოს. იქნებ ამან გადაგვარჩინოს.

— როგორ, ქართული ცეკვა-სიმღერით გერმანელები უნდა დავატკბოთ? — მეკითხება დავითი და წამით ვიბნევი კიდეც, მაგრამ მალე ვპოულობ გამოსავალს. რომელიღაც ბრძენის ნათქვამი მახსენდება — ყოველი ადამიანი ვიღაცის სურვილების ამსრულებელია, ჩემო დავით, აბა, ჩვენს ნებაზე რომ ყოფილიყო, აქ რა გვინდოდა, ვიქნებოდით ჩვენს... კერიაზემეთქი, მინდოდა თქმა, მაგრამ სიტყვა ენაზე მიმეყინა. მე ხომ ჩემი ნებით დავტოვე ის კერია, მაგრამ ეს ჩემი საიდუმლო იყო და ბიჭებს ამას ვერ გავანდობდი.

**1943 წელი, 5 თებერვალი.** ცოტა ხნის წინ ოტო გუმელმა საკონცერტოდ მომზადებული ნომრები ნახა და სულ ბრავობრავო იძახა, ცხენოსნურზე ხომ სულ გადაირია. საოცარი კაცია, მეტად მუსიკალური და პლასტიკური. მე თქვენ კავალერისტთა პოლკში უნდა ჩაგრიცხოთო, გვითხრა და ცოტა ხანში შეგვისრულა კიდეც. გუმელი იმავე პოლკის უფროსად დაუნიშნავთ და დიდად გავიხარეთ. ეს კაცი ძმებივით გვივლიდა, მაგრამ როცა შევიტყვეთ, რომ პოლკი ესესის ერთ-ერთი დანაყოფი ყოფილა, დავღონდით. თუმცა ბოლოს თავი დავიმშვიდეთ და დინებას მივყევით. მით უმეტეს, რომ ჩვენ, ანსამბლის წევრები, მხოლოდ ფორმალურად ვირიცხებოდით იმ შენაერთის შემადგენლობაში. ჩვენი საქმე ცეკვა და სიმღერა იყო, რასაც მე მგონი ღირსეულად ვართმევდით თავს.

**1945 წელი, 28 მაისი.** მოგვიანებით დავადგინეთ, რომ ამსტერდამის მახლობლად (სადაც ჩვენ ამ დროისათვის ვიმყოფებოდით), კუნძულ ტექსელზე დგას ქართველ ტყვეთა ბატალიონი. ოტო გუმელს კუნძულზე კონცერტის ჩატარების ნებართვა ვთხოვეთ. ჩვენ იქ 22 მარტს ჩავედით და კონცერტიც ჩავატარეთ. ერთი მხრივ გვიხაროდა, რომ ომი დასასრულს უახლოვდებოდა, რომ გერმანიის დამარცხება გარდაუვალი იყო, მეორე მხრივ კი ეს გამარჯვება ასამარებდა სამშობლოში დაბრუნების ჩვენს აქამდე მბჟუტავ იმედს. ახლა თითოეული ჩვენგანი, ესესელების პოლკში ირიცხებოდა იგი თუ უბრალოდ მათი ტყვე იყო, ქვეყნის მოღალატეები ვიყავით. იმ დღეს ბევრმა ქართველმა უკანასკნელად მოისმინა მშობლიური „ხასანბეგურა" და „მაღლა მთას მოდგა ლურჯი ირემი". უკანასკნელად ნახა „მთიულური" და „განდაგანა"... ზუსტად ორი კვირის შემდეგ, 1945 წლის 6 აპრილს ქართველები აჯანყდნენ. 522-მა ქართველმა კუნძულზე ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. ომის დამთავრების შემდეგ, იმავე წლის 21 მაისს კანადის საექსპედიციო კორპუსმა დაიხსნა ხოცვა-ჟლეტას გადარჩენილი 228 ქართველი.

**1948 წელი, 26 დეკემბერი.** ომის შემდეგ ქართველები ისე დავიქსაქსეთ, ჟორას და დავითის კვალიც დავკარგე. რაკი სამშობლოში დაბრუნება აღარ შეგვეძლო, მოვილაპარაკეთ და ევროპაში დავთითოკაცდით. თავდაპირველად, თითქოს მეკავშირეც გვყავდა და ერთმანეთსაც ვეხმარებოდით, მაგრამ მერე და მერე გაჭირდა. მე კი იმდენჯერ შევიცვალე მისამართი, რომ ვინლა მომნახავდა. თუმცა კაგებემ მაინც მიპოვა და მაგადანში მიკრეს თავი. იქ, ევროპაში, იმას ვდარდობდი, შორს რომ ვიყავი ცოლ-შვილისგან. ჩემი პატარა ლიანა მენატრებოდა და რას არ მივცემდი ახლა, ერთხელ მაინც შემეხედა, თუნდაც შორიდან. უკვე 14 წლის იქნება, ვერც მიცნობს... აქედან უფრო შორსაა ჩემი სამშობლო, ვიდრე ევროპიდან. თანაც აქედან შინ დასაბრუნებელი გზა ან თეთრი დათვის ხახაზე გადის, ან მონადირის თოფის ლულაზე. სად გაიქცევი, ორმოცდაორი გრადუსი ყინვაა. ჩვენ კი მიწისქვეშა სარეწებში ოქროს მოვიპოვებთ სოციალისტური სამშობლოსათვის. ადამიანები ზეზეურად იყინებიან და გვამებს იქვე გათხრილ არხში ყრიან, რომელიც თვალდათვალ ივსება კვირიდან კვირამდე. მეც ალბათ იქ მომისვრიან ერთ მშვენიერ დღეს, თუმცა რა მოხდა, ამას არ ვნატრობდი?..

**1954 წელი, 15 ნოემბერი.** არა, არა, სულაც არ ვაპირებ სიკვდილს. ისე როგორ წავიდე ამქვეყნიდან, ერთხელ მაინც არ შევავლო თვალი ჩემს გოგონას. ახლა ის უკვე 20 წლის ქალია და იქნებ გათხოვდა კიდეც. შეიძლება ბაბუაც ვარ, მაშინ ერთი კი არა, ორი ლიანა ან ტარიელი მაინც მყავს სანახავი. გადაწყდა, უნდა გავიქცე. გინდა აქ ვყოფილვარ და გინდ — კუბოში (თუმცა აქ კუბოც სანატრელია), თანაც ყოფილ ესესელს ცოცხალს არავინ გამიშვებს. ჯანდაბას, ვცდი. ხვალ აქედან წავალ. აქ არც მავთულხლართებია და არც გუშაგები გვდარაჯობენ იმიტომ, რომ გაქცევა უაზრობაა... რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი ის, რომ შეიძლება გზაში გაიყინო. მეორე — ნადირი დაგგლეჯს, მესამე — მონადირეები მოგკლავენ და ამის საფასურად რამდენიმე ქილა ტომატს მიიღებენ კოლონიის ადმინისტრაციისგან. მე მაინც უნდა წავიდე. ერთადერთი გზა ჩრდილოეთ ამერიკაში ალასკაზე გადის. აქედან სულ სამოცი კილომეტრია, მაგრამ მე ხომ საქართველოში ვაპირებ წასვლას და კანადიდან როგორ მოვახერხებ ამას. ისევ ის სჯობია, ამ ხუთი წლის განმავლობაში ნაგროვები ოქროთი მოვქრთამო ვინმე აქაური, მით უმეტეს, რომ აქედან 140 კილომეტრში, იმ საავტომობილო გზაზე, სადაც მადნით დატვირთულმა თვითმცლელებმა უნდა გაიარონ, ჩუქჩების სოფელი ყოფილა. თუმცა დიდი რისკია იმისა, რომ მანქანაზე ქვემოდან აკრული მძღოლებმა შეგნიშნონ ან ღამით გაიარონ ეს სოფელი, რომლის გარჩევა მხოლოდ მიწურებიდან ამომავალი კვამლით უნდა შევძლო. ისიც საფიქრალია, ვის გადავეყრები. ოქრო აუცილებლად უნდა მივცე. ჩუქჩა უეჭველად მიხვდება, რომ ნაწილს ჩემთვისაც ვიტოვებ. შეუძლია იქვე გამასაღოს, ეს ოქროც დარჩება და ჩემს მოკვლაშიც ჯილდოს მიიღებს...

მაგრამ ხვალ მაინც წავალ. უკვე პოლარული ღამეები დაიწყო. ასე რომ, შენიღბვაც შეიძლება და რაიმეს გარჩევაც. დღეს კარგა ხანს ვუტრიალე ერთ თვითმცლელს და როგორც იქნა, რადიატორის წყლის ონკანზე ისე ჩავაბი თოკი, არავის შევუნიშნივარ. დიდი ხნის წინ გამოკოპიტებული ზუსტად მანქანის შასის სიგანე ფიცარიც ძარის ქვეშ გავჭედე ნაშუაღამევს. ზედ მოვიკალათებ და ღმერთს მივენდობი.



1944 წელი. კუნძული ტექსელი, მარცხნიდან — პავლე ხარატიშვილი, ჟორა თევზაძე და დავით ფაჩუაშვილი

**1955 წელი, 14 იანვარი.** როგორც იქნა, მოყინული თითები დავიმორჩილე და დღეს პირველად ავიღე ხელში კალამი. რომ მოველოდი, იმაზე უფრო რთული მოგზაურობა მქონდა. მძიმეწონიან სატვირთოს ჩვეულებრივ ორი მძღოლი ემსახურება. დილის შვიდ საათზე დავიძარით. მართალია, საგულდაგულოდ ვიყავი დათვის ტყავებით შეფუთული, მაგრამ მანქანამ რომ სიჩქარეს მოუმატა, ყინვამ და ქარმა ძვალსა და რბილში გაატანა. მარჯვენა ხელი, რომლითაც ფიცარზე თავს ვიმაგრებდი, თანდათან კარგავდა მგრძნობელობას და რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ამაოდ ვცადე თითების გაშლა, დავრწმუნდი, რომ მომეყინა... ორი საათის შემდეგ მიწურებიდან ამომავალი კვამლი შევნიშნე. მარცხენა ხელით მოვქაჩე თოკს, ჯერ მძიმედ წამომყვა, მერე კი ერთბაშად ასხლტა და როცა წამოვკრიფე, დავრწმუნდი — მარყუჟი გადარჩენილი იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მანქანის რადიატორის ონკანი გაიხსნა და თოკი გათავისუფლდა. ახლა მანქანა მანამ ივლიდა, ვიდრე წყალს არ აადუღებდა (თუმცა რაღას აადუღებდა, წყალი ყინულებად ცვიოდა) ან ძრავა არ გადახურდებოდა. როგორც იქნა, მძღოლები მიხვდნენ, რომ მანქანას რაღაც სჭირდა და გაჩერდნენ. ახლა ღმერთს იმას ვევედრებოდი, ძარისქვეშ არ შემოიხედონ-მეთქი. კარგა ხნის ჯახირის შემდეგ, როცა რადიატორი „სალიარკით" შეავსეს (აბა, წყალს სად იშოვიდნენ), მანქანა დაქოქეს. ვიდრე დაძრავდნენ, ჩემი ფიცრიდან ჩამოვბობღდი და კარგა ხანს ვეგდე გაუნძრევლად. მერე კი მიწურებისკენ წავლასლასდი. დიდხანს ვიარე და როგორც იქნა ერთ-ერთ განაპირა მიწურთან მივაღწიე. მხოლოდ ის მახსოვს, მასპინძელმა რომ გამომხედა და კიდევ ის, რომ ძალაგამოლეული კართან ჩავიკეცე. გონს რომ მოვედი, პირველი, რაც ვიგრძენი, სითბო იყო, სასიამოვნოდ რომ მეღვრებოდა სხეულში... რაღა ბევრი გავაგრძელო, ღვთისნიერი ხალხი აღმოჩნდნენ ჩემი მასპინძლები, არც ოქრო დაიტოვეს. ორი თვე შემინახეს. ერთ მშვენიერ დღეს კი ჩუქჩად გამომაწყვეს და მთავარ საავტომობილო ტრასაზე გამიყვანეს... ასეა, კეთილი ადამიანები ყველგან მოიძებნება.

**1957 წელი, 16 მაისი.** მარტის შუა რიცხვებში საქართველოში ჩამოვაღწიე და ტყიბულში დავიდე ბინა, უფრო სწორად, ბუნაგი. სამი წელი ისე ვიცხოვრე, არც მეზობლებს გამოვლაპარაკებივარ და არც შახტის მუშებს, რომელთა გვერდით სამადლოდ მამუშავებდნენ. სურსათისთვისაც ღამით თუ გავიდოდი გარეთ. მხოლოდ ერთადერთხელ დავარღვიე განრიგი და ჩემი გოგონას სანახავად ჩავედი თბილისს. მთელი დღე ვიყარაულე ცოლისდების სახლის წინ და ჩემი ლიანაც ვნახე. დეიდამისთან ერთად გამოვიდა სახლიდან. მერე იქვე, ტრამვაის გაჩერებაზე დარჩა და პირველსავე ვაგონში ავიდა. მეც ავყევი, თავს მოვერიე და გამოველაპარაკე, — მგონი ბანძაში მინახავხარ-მეთქი, გოგონა. ბანძის ხსენებაზე თვალები გაუფართოვდა და — შესაძლებელია, იქ ჩემი ბებია და ბაბუა ცხოვრობენო, — მითხრა. მინდოდა დედაზეც, მამაზეც მეკითხა რამე, მაგრამ ველარ გავბედე... 1938 წლის შემდეგ ეს იყო ჩემთვის ერთადერთი ბედნიერი დღე, მაგრამ მალე ყველაფერი ჩამმწარდა. მაღაზიაში თანასოფლელი გადამეყარა, ალბათ, ქვეყანას მოსდებს, ცოცხალია და ტყიბულში იმალებაო. ამას მირჩევნია, სოფელში ჩავასწრო და მეზობლებს წარვუდგე. რაც მოსახდენია, მოხდეს...

**1963 წელი, 10 ოქტომბერი.** ახლა ფურცლების შოვნაც შემიძლია, მაგრამ ისევ სიგარეტის კოლოფის შიდამხარეს ვწერ (ჩვეულება მართლაც რჯულზე უმტკიცესი ყოფილა). მკვდრეთით აღმდგარივით მიმიღო ჩემმა სოფელმა. კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა შემომთავაზეს განათლებით აგრონომსა და ეკონომისტს. მე კი სულაც არ მინდოდა ხელისუფლების ცხვირწინ ტრიალი და როცა ამასთან დაკავშირებით რაიკომშიც დამიბარეს, ვუთხარი — გონებრივად ამ საქმისთვის აღარ გამოვდგები, ფიზიკურად კი არა მიშავს და ორ ჰექტარ ყანას გავიპიროვნებ-მეთქი. ყოველნაირად ვცდილობდი, ჩემკენ გამოხედვის სურვილი აღარ გასჩენოდა ხელისუფლებას, თორემ რა დღეს დამაყრიდნენ მაგადანიდან გამოქცეულ ესესელს, იოლი წარმოსადგენია. ღვთის შეწევნით, ყველამ დამივიწყა... ჩემი გოგონას გარდა. ბუნებრივია, სოფელში ჩემი გამოჩენის ამბავი მოყვრებმაც გაიგეს, მაგრამ რაკი მე თვითონ წაველი მათგან, მოკითხვა ეუხერხულებოდათ, მით უმეტეს, ოცდახუთი წლის შედეგ... წუხელ კი ლიანა თავისი ქმარ-შვილით მეწვია და ეს უკვე ბედნიერების მეორე დღე იყო ამდენი ხნის განმავლობაში. ერთის გარდა, ყველა მილოცავდა. ჩემს ეზოში გაშლილ სუფრაზე იმდენი ხორაგი შემოიტანეს მეზობლებმა, დიდ ქორწილს რომ უმასპინძლებდა. ყველას უხაროდა, შვილიშვილების გვერდით რომ მხედავდნენ. იმ ერთს კი ასე მივმართე სადღეგრძელოთი:

— ჩემო უახლოესო მეზობელო და ნათესავო ქეთევან! ვიცი, ახლა ჩემი ხმა გესმის და ერთი სული გაქვს, ვიდრე შემოგვიერთდები, მაგრამ გეუხერხულება. დღეს დილით ჩემი ვენახიდან შენი ქათმები რომ გადმოვდევნე, მისაყვედურე, მაგ ქათმებს რას ერჩი, ყურძენს რას უფრთხილდები, ერთბაშად შენი შვილიშვილები არ შეესიონ მაგ ვენახსო. ასეთი ოქროს ენა თუ გქონდა, ნეტავ აქამდე დაგეტუქსე. ხედავ, ორი ოქროსთმიანი ბიჭი რა სიხარულით კრეჭს შენს ქათმებს გადარჩენილ მტევნებს ვენახში. ასე რომ, არ გემდური, მადლობელიც ვარ შენი და ნამეტანი ნუ დაიმორცხვე, მოდი, ქეთევან, მოდი, ხომ იცი ურთმანეთოდ ცოდონი ვართ ადამიანები...

P.S. როგორც შეგპირდით, ერთი ჩანაწერი იმ საიდუმლოსაც ხდის ფარდას, რის გამოც გაერიდა ოჯახს ეს კაცი. თურმე გორში, ერთ-ერთი რეპეტიციის დროს, როცა კულისებიდან სცენაზე გადმოფრინდა ანსამბლის ხელმძღვანელი და პირველი სოლისტი პავლე ხარატიშვილი, იატაკი ჩაინგრა და მოცეკვავე ისე უხერხულად ჩავარდა სცენის სიღრმეში, რომ მისი მამაკაცური ღირსების შეხება დასჭირდათ ექიმებს, ამით დაშინებულმა კი იმ დღიდან ქალთან მიკარება ველარ გაბედა.

არადა სინამდვილეში, როგორც შემდგომ გამოირკვა, დასარცხვენი არაფერი სჭირდა.

**ვაჟა გავაშელი**

# რატომ ვაყრით თბილისს ნაგავს ფანჯრებიდან



იყო დრო, თბილისი სისუფთავით ყოფილ საბჭოთა სივრცეში ერთ-ერთ ყველაზე სანიმუშო ქალაქად ითვლებოდა. ერთ დროს „მზის და ვარდების ქალაქი“ უკვე ძნელი საცნობია. სამწუხაროა, მაგრამ დანაგვიანებული, დაბინძურებული და მოუვლელი ქუჩები დღეს თბილისის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს.

სულ ცოტა ხნის წინ ერთმა ახლობელმა შემომჩივლა: „კვირის პალიტრა“ ყველა პრობლემას აშუქებს და რა იქნება ამ საკითხსაც მიაქციოთ ყურადღება. ნაგავმა ქალაქი წალეკა და ხმას არავინ იღებსო. საინტერესოა, რომ ქუჩების დაბინძურებით შეწუხებული კაცი სავსე ნაგავსაყრელებსა და ამ ნაგვის გატანით დაკავებული სამსახურების მუშაობას არ გულისხმობდა. აღმოჩნდა, რომ მას გაცილებით სხვა პრობლემა ჰქონდა მხედველობაში. „ნაგვის გამტან სამსახურებს რას ვერჩი, კაცო. ჩემს სახლთან ახლოს ნაგვის ბუნკერებია დადგმული და ყოველ დილას თუ არა, ყოველ მეორე დღეს მაინც მოდიან და ნაგავი გააქვთ. მაგრამ რად გინდა, მთელი უბანი მაინც ნაგვით არის სავსე. დილით სახლიდან რომ გამოვალ, სადარბაზოს წინ ნაგვით სავსე ცელოფანები მხვდება. მთელ ქუჩაზეა ჩამწკრივებული. ორმოცდაათი ნაბიჯის გადადგმა ეზარებათ, რომ ბუნკერში ჩაყარონ ნაგავი“.

ახლობლის ასეთი საჩივრის შემდეგ გადავწყვიტე გამერკვია, მარტო ერთ, ჩემი ახლობლის უბანში ხდებოდა ასე თუ უფრო გავრცელებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ამის გასარკვევად თბილისის სხვადასხვა უბანს მივაკითხე. გავუსწრებ მოვლენებს და გეტყვით: არც ნაგვით მოფანტული ქუჩებისა და არც ამით შეწუხებული რესპონდენტების ძებნა გამჭირვებია.

„დავბერდი კაცი და ასეთი რამე არ მომსწრებია, — ამბობს 75 წლის პეტრე მეგრელიშვილი, — „ნახალოვკისა“ და ლოტკინის საზღვარზე ვცხოვრობ. დილით, ადრე ლოტკინიდან ფეხით მოდიან ხოლმე ქალაქში. ნაგავს ზედ ჩემი სახლის კუთხეში ყრიან. ეს რამდენიმე წელია გრძელდება. ერთხელ აბრაც დავდგი. ზედ დავაწერე — „ნაგვის დამყრელო, სიკვდილს ეთამაშები“, მაგრამ რად გინდა? მაინც ყრიან. ძალიან მაინტერესებს ამ ხალხის ტვინის აგებულება. შე დალოცვილო, ყოველდღე ამ გზით მიდიხარ სამსახურში და ამ გზითვე ბრუნდები. გსიამოვნებს ნაგვიან ქუჩაში სიარული? გამოდის, სიამოვნებთ. რა მოუვიდა ამ ხალხს, მე კი ვყრი ყოველდღე ჩემსა და სხვის ნაგავს. მაგრამ ამათ რა ეშველებათ...“

მსგავსი პრობლემები არც ე.წ. „ელიტარული უბნებისთვის“ ყოფილა უცხო.

„ჩვენი კორპუსის წინ ფეხბურთის სათამაშო მოედანია, — ამას ვაკეში მცხოვრები ცისანა გლურჯიძე გვეუბნება, — აქვეა ბავშვების სათამაშო ატრაქციონი. მოედნიდან თხუთმეტიოდე მეტრში ნაგვის ხუთი უზარმაზარი ყუთი დგას. მაგრამ რად გინდა, ბუნკერში ნაგავს არავინ ყრის. ჩვენთან ამისთვის უფრო იოლი ორი ხერხი არსებობს. პირველი ყველაზე მარტივია: როცა დაბნელდება, პირდაპირ ფანჯრებიდან ყრიან ნაგავს. მეორე ხერხი კი ცოტა გარჯას მაინც მოითხოვს. ღამით, ეტყობა ეზარებათ ბუნკერამდე მისვლა და შუა გზაში ტოვებენ ნაგავს(?!). საწყალი ბავშვები, როცა ფეხბურთის თამაში უნდათ, ჯერ „სტადიონს“ ასუფთავებენ ხოლმე. ასე უკვე დიდი ხანია გრძელდება და იცით, რა შევნიშნე? ნაგვის დაყრა კონსპირაციის უმაღლეს დონეზე აქვთ აყვანილი. ბევრჯერ ჩაუსაფრდნენ კაცები და ერთხელაც ვერავინ დაიჭირეს. არადა, მუხიანიდან ხომ არ გამოვლენ ვაკეში ნაგვის დასაყრელად. ამას ისევე ჩვენი მეზობლები აკეთებენ. იქნებ იმ ბავშვებთან ერთად მათი შვილებიც თამაშობენ. თვითონაც ხომ აქ, ასეთ დაბინძურებულ უბანში უნდა იცხოვრონ. მაინც ეთაკილებათ ბუნკერამდე მისვლა და იქ ნაგვის ჩაყრა. უბედურება კიდევ ის არის, რომ ეზოში და სადარბაზოებთან დაყრილ ნაგვიან ცელოფანებს ყველაზე ადრე ქუჩის ძაღლები ესტუმრებიან ხოლმე და ნაგავს მთელ ეზოში ფანტავენ. ერთი სიტყვით, სისუფთავე რომ იყოს, ყველას ცოცხი უნდა ეჭიროს ხელში და გარეთ უნდა იყოს გამოფენილი. ეს კი შეუძლებელია...“

„საკუთარი ნაგვის სხვისთვის შეჩეჩება არც ჩვენი უბნისთვის არის უცხო, — ამბობს „პლეხანოველი“ კობა გეწაძე, — დილით, სამსახურში რომ მიდიან, ისე აქვთ სავსე ცელოფანები იღლიაში ამოდებული, გეგონება, დიდი განძი მიჰქონდეთ. მიიხედ-მოიხედავენ და თუ დარწმუნდნენ, არავინ უთვალთვალებს, გზისპირას მიაგდებენ ნაგავს. მეტიც, ხშირად პირდაპირ ფანჯრებიდან ყრიან. დანაგვიანებას რომ თავი დავანებოთ, ვის მოხვდება თავში, არც ნაღვლობენ. მე პატარა, ხუთსართულიან კორპუსში ვცხოვრობ. შენობის უკანა მხარეს ავტოფარეხი და ბაღი მაქვს. დილით, გარაჟამდე რომ მივაღწიო, წინა ღამით გადმოყრილ ნაგავზე ფეხი რომ არ დავადგა, ჯამბაზივით მიწევს ხტუნვა. ვიღაცას ჩემს კორპუსში „კილკის“ კონსერვის ჭამა უყვარს. გახსნის კონსერვს და ფანჯრიდან გადმოისვრის. კონსერვებს თავი დავანებოთ, ათას უბედურებასაც ფანჯრიდან ყრიან (მეუხერხულება ახლა ამაზე თქვენთან საუბარი).

რატომ მოედო ჩვენს ქალაქს ასეთი სენი (შუქნიშანზე გაჩერებისა არ იყოს — დ.დ.), რატომ არ ენაღვლებათ ქუჩების სისუფთავე მაშინ, როცა საკუთარ ბინებს თვალისჩინივით უფრთხილდებიან. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ისღა დაგვრჩენოდა, ფსიქოლოგისთვის მიგვეკითხა.

## ფსიქოლოგიური პორტრეტი — რატომ შეგვძულდა გარე სამყარო...

**ნანა ჩაჩუა**, ფსიქოლოგი: ვისაც ძველი თბილისი ახსოვს, იცის, როგორი დამოკიდებულება იყო სისუფთავის მიმართ. ძველი თბილისი იმიტომ ვახსენე, რომ პრობლემა, რომელზეც თქვენ მუშაობთ, ძალიან სერიოზულია და მის ამოსახსნელად წარსულში დაბრუნება არის საჭირო. მაშინ განსაკუთრებული დამოკიდებულება იგრძნობოდა ქუჩებისა და ეზოების სისუფთავის მიმართ.

გავიხსენოთ, როგორი იყო ძველი თბილისის არქიტექტურა. აქ ჭარბობდა დაკიდებული აივნიანი სახლები. აივნის არქიტექტურაში არსებობა, რომელიც ქუჩას გადმოჰყურებს, ნიშნავს გახსნილობას, ჩაკეტილი სივრციდან გარეთ გამოსვლის მოთხოვნილების რეალიზაციას. თანდათანობით არქიტექტურაში სურათი შეიცვალა. აივნები დაპატარავდა ან მთლიანად გაქრა. თანამედროვე არქიტექტურა ძალიან ჩაიკეტა. ეს შუა საუკუნეების ციხესიმაგრეების სტილია, გალავნიანი ეზოებით და ჩაკეტილი სივრცით.

— **რა კავშირი აქვს არქიტექტურას ნაგვის დაყრასთან?**

— პირდაპირი... არქიტექტურა კარგად მიგვანიშნებს, თუ რა ფსიქოლოგია აქვს საზოგადოებას. გადმოკიდებული, ყვავილებიანი აივნების გაქრობა და მათ ადგილზე გალავნიანი ეზოების, ჟალუზებიანი და ცხაურებიანი ფანჯრების მომრავლება დასტურია იმისა, თუ როგორ ჩაიკეტა საზოგადოება შევიწროებულ სივრცეში.

აივნები, ანუ ღია სივრცე ბიოფილური ტენდენციის მქონე ფსიქიკისთვის არის დამახასიათებელი. ბიოფილია სიცოცხლის სიყვარულს ნიშნავს. ადამიანი კონტაქტისთვის მზად არის და ამას საფუძვლად სიყვარული უდევს. ასე რომ, ძველი საზოგადოება ბიოფილური იყო. მაშინ ასეთი პრობლემებიც არ არსებობდა.

— **თქვენ გინდათ თქვათ, რომ დღევანდელ საზოგადოებას სიცოცხლის ეშინია?**

— არა. დარაბებს და ჟალუზებს მიღმა ჩაკეტილობა შიშის ფაქტორთან არის დაკავშირებული. შემდეგ ეს შიში კი აკვიატებასთან დაკავშირებულ აგრესიაში გადადის.

— **რისი შიში აქვს საზოგადოებას?**

— თავისუფლების. ჩაკეტილობა, როგორც ვთქვი, აგრესიაში გადადის. აგრესია კი გარე სამყაროს წინააღმდეგ არის მიმართული. საზოგადოება იკეტება თავის სახლში, ანუ თავის „ციხესიმაგრეში“. აქ ყველაფერი სუფთადაა, მაგრამ გარე სამყაროსთან აგრესიას გამოხატავს სიბინძურის მიყრით. მაპატიეთ, მაგრამ ეს არის მიფურთხება გარე სამყაროსთვის...

იმიტომ, რომ ეზიზღება, ეშინია მისი და ეს შიში გადადის სიძულვილში.

— **ღია სივრცის შიში რამ გამოიწვია?**

— ჩაიკეტა იმიტომ, რომ შეეშინდა. რომ შეეშინდა, შესძულდა. რისიც გვეშინია, ის გვძულს. რადგან ჩაკეტილ სივრცესთან გვაქვს საქმე, გამოდის, რომ საზოგადოებას თავისუფლების ეშინია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მან ვერ მიიღო ისეთი თავისუფლება, როგორსაც ელოდა. თავისუფლება ქვეყანაში კანონის უზენაესობის არსებობას ნიშნავს. რაც ჩვენთან არ მოხდა. ამიტომ საზოგადოება შეშინდა და საკუთარ, დახურულ სივრცეში ჩაიკეტა. მისთვის გარე სამყარო უკვე ზიზღის ობიექტია და ამიტომაც ნაგავს აყრის მას.

არის ისეთი მომენტი, როცა ნეკროფილური კრიზისი, იგივე კვდომის პროცესი, ნებისმიერი საზოგადოების რიგებში იჩენს თავს. თუ ეს პროცესი დროში გახანგრძლივდა, მაშინ უკვე სახიფათო პერსპექტივამდე მიგვიყვანს... ხელისუფლების ცვლილებასთან დაკავშირებით საზოგადოებას რაღაც იმედი გამოუჩნდა. ეს არის შანსი, რომ საზოგადოებამ გარე სამყაროს სიძულვილი დაძლიოს და ჩაკეტილიდან ღია სივრცეში გამოვიდეს. ამით მისი თვალთახედვის არეალი გაფართოვდება. აღარ შეეშინდება გარე სამყაროსი და ნაგავს აღარ მიაყრის მას. თქვენს გაზეთსაც შეუძლია საზოგადოების ღია სივრცეში გამოყვანაში წვლილის შეტანა ასეთი წერილებით. ერთი წლის შემდეგ მობრძანდით და ერთად განვიხილოთ, რაც მოხდება...

P.S. როგორც ვნახეთ, საბედნიეროდ, ჩვენი საქმე არც ისე ცუდად არის და ქართველებს ბიოფილური ფსიქიკის წყალობით კრიზისის დაძლევა შეგვიძლია, თუმცა ეს მომავალში გაირკვევა. დღეს კი სამწუხაროდ, ისევ დღევანდელ რეალობაში ვრჩებით — ეს დაბინძურებული ქუჩები და ნიჰილისტურად განწყობილი ადამიანები არიან. იმედია, ფსიქოლოგის პროგნოზი მალე გამართლდება და თუნდაც ერთი წლის შემდეგ თბილისი ისევ „მზისა და ვარდების“ მხარედ იქცევა.

*დავით დევიძე*







# კლიმაქსი დღეს – „ულიმღამო მომავალს“ აღარ წარმოადგენს

სასქესო ჰორმონები ქალის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს. პირველ რიგში, მენსტრუალური ციკლის ნახევარში პრევალირებს ესტროგენები, რომელიც განაყოფიერებისთვის ამზადებს არა მარტო კვერცხუჯრედს, არამედ მთელ ორგანიზმს. სწორედ ეს არის ქალის მოზღვავებისა და კარგი გუნება-განწყობის წყარო: ცხოვრება დუღს, მოზღვავებულია დადებითი ემოციები, გაბრწყინებულია თვალები; მათში გამოსჭვივის ყველას გაგებისა და დახმარებისთვის მზადყოფნა. ციკლის მეორე ნახევარში გამომუშავებას იწყებს პროგესტერონი. ბალანსდება ესტროგენების გავლენა, იქმნება აუცილებელი ჰორმონალური ბალანსი (გადამეტებული ემოციური ფონი ყოველთვის სასარგებლო არ არის), რომელიც გულს, სისხლძარღვებს, ძვლებს, ნერვულ სისტემას იცავს.

ვერსად წაუვალთ: ახლოვდება ბალზაკის ასაკი, იწყება ჰორმონალური გარდაქმნა და საკვერცხეები სულ უფრო ნაკლებ ესტროგენებს გამოიმუშავებს, ირღვევა ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული ენდოკრინული ჯირკვლების მოღვაწეობა - ვითარდება კლიმაქტერული სინდრომი. სამწუხაროდ ის მხოლოდ ერთი-ორი წელი არ გრძელდება. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაშია შესაძლებელი თავი ავარიდოთ ასაკთან დაკავშირებულ სასქესო ჰორმონების დეფიციტით გამოწვეულ დისკომფორტს. ქალების უმეტესობისთვის ეს ტანჯვაა. საშინელი ალები - სიცხის შეგრძნება სახეზე, კისერზე, მკერდზე, რომლებიც ცხოვრების ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში იჩენს თავს, პათოლოგიური ოფლიანობა, დაუსრულებელი სისუსტე, დაღლილობის შეგრძნება, ხასიათის არაკონტროლირებადი ცვლილებები. . . გარდა ამისა, გამოცდას ექვემდებარება სექსუალური ცხოვრებაც - სიახლოვე აღარ მოგეჩვენებათ ქალის ცხოვრების ზამბარად, თვით სექსიც ხუნდება. ნუთუ უნდა ვითმინოთ და შევეგუოთ იმას, რომ წინ მხოლოდ „ულიმღამო მომავალია“.

სწავლული მედიკოსები დაუღალავად ეძებენ ახალ საშუალებებს, რომლებიც ქალებს მენოპაუზით გამოწვეულ დისკომფორტს დაავიწყებენ და ამ პერიოდს უმტკივნეულოდ გადაატანინებენ. ევროპაში, ამერიკასა და რუსეთში თანმხლები ჰორმონალური თერაპია საკმაოდ გავრცელებულია. ამ ქვეყნების ქალებისთვის ჰორმონალური თერაპიის ან ბუნებრივი საშუალებების მიღება უბრალოდ კულტურად იქცა. კლიმაქსი არ ართმევს ქალურობას, მხოლოდ ორგანიზმს უნდა დავეხმაროთ მისთვის ახალი არსებობის პირობების ათვისებაში.

თუმცა ჰორმონები ყველასთვის რეკომენდებული არ არის, ხოლო ზოგიერთი ქალი ჯერ კიდევ სიფრთხილით ეკიდება ჰორმონალურ პრეპარატებს და ამიტომ, მენოპაუზის პერიოდის ნეგატიური გამოვლინებების კომპენსაციისთვის ხშირად უწევთ სხვა ხერხების და საშუალებების ძიება.

უმსხვილესი ამერიკული კომპანია **„შიფ“**-ი დიდი ხანია დაკავებულია კლიმაქსისა და მისი გამოვლინებების შესწავლითა და მისი შესაძლო კომპენსაციით ბუნებრივი, ნატურალური საშუალებებით, მათ რიცხვს მიეკუთვნება პრეპარატი **„მენოპაუზ-ფორმულა“**, რომელიც აკომპენსირებს ორგანიზმის მიერ ესტროგენების არასაკმარის გამომუშავებას.

პრეპარატს რაიმე უკუჩვენება და გვერდითი მოვლენა არ გააჩნია. **„მენოპაუზ-ფორმულა“** სწრაფად და უსაფრთხოდ მოგიხსნით ყველაზე უსიამოვნო კლიმაქტერულ სიმპტომებს - ალები, გულის აჩქარება, ოფლიანობა, პანიკური შეტევები, გარდა ამისა, პრეპარატი დაგეხმარებათ ქალურობის, საკუთარი ქალური „მე“-ს შენარჩუნებაში, რომელიც მისმა მფლობელმა ქალბატონმა შეისისხლხორცა, და რომლის გარეშეც შემდგომი არსებობა არ წარმოუდგენია. ამ „მე“-ს ატრიბუტებს წარმოადგენენ თმა, კანი, ფიგურა. კლიმაქსი ხომ თითოეულ მათგანზე ახდენს გავლენას - თმა უფრო ჩამქრალი და მტვრევადი ხდება; კანი ფერმკრთალდება, ისეთი მკვრივი აღარ არის, ფიგურის კონტურები სიმსუბუქეს კარგავენ. სანამ პრეპარატის მიღებას დაიწყებდეთ, თქვენ მიიღებთ ექიმის კვალიფიციურ კონსულტაციას ვიტამინ-ცენტრ **„ჯეოვიტში“**. ჩვენ ყოველთვის გელით და მოხარული ვიქნებით თქვენი ცხოვრება უფრო ხარისხიანი გავხადოთ.






„მენოპაუზ-ფორმულა“ კლიმაქსის რაციონალური მართვა ჰორმონების გარეშე!

*აქვე შეგიძლიათ მიიღოთ კვალიფიციური ექიმი-დიეტოლოგის უფასო კონსულტაცია შარდსასქესო სისტემის დაავადებებისას სწორი კვების შერჩევის თაობაზე.*

## „ჯეოვიტი“ – თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი!

**თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ მათში, ვისაც ყველაზე მთავარს – საკუთარ ჯანმრთელობას ანდობთ!**

ჯეოვიტი GEOVIT

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),

☎ 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით

www.schiffvitamins.com

# რა აქვს სათქმელი მეფეთა შთამომავალს ახალი პრეზიდენტისთვის?

## „მერე ღამითაც დავიძინებ და სიკვდილისაც აღარ შემეშინდება...“

„კვირის პალიტრისთვის“ მოულოდნელად გახდა ცნობილი, რომ საქართველოს ახალარჩეულ პრეზიდენტთან შესახვედრად სხვადასხვა ოფიციალური დელეგაციის გარდა, თბილისს სტუმრობს ერეკლე მეორის, სოლომონ მეორისა და რაჭის უკანასკნელი ერისთავების ერთ-ერთი შთამომავალი, ქალბატონი **თინა ერისთავი**.

არ იფიქროთ, რომ იგი ქართველი ემიგრანტია, რომელმაც 1921 წელს დატოვა საქართველო, მთელი ცხოვრება უცხოეთში გაატარა და ნოსტალგიით დატანჯული, როგორც იქნა, დაბრუნდა. ქალბატონი თინა იმ ავადსახსენებელ 1921 წელს 3 წლისა ყოფილა და არც მას და არც მის მშობლებს ფიქრადაც არ გაუვლიათ სამშობლოდან გაქცევა. მან თავისი ცხოვრების 85 წელი ქუთაისში გაატარა და დედაქალაქსაც სწორედ იმერეთიდან ესტუმრა, ერთი შეხედვით უბრალო მიზეზით — ახალ პრეზიდენტთან კაი სიტყვის სათქმელად შეხვედრა სურს. ქალბატონ თინას, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლად გადაადგილება უჭირს, 4 იანვრის არჩევნებში მონაწილეობა მიუღია და მეორე დღეს შვილიშვილის დახმარებით გეზი თბილისისკენ აუღია, თანაც ხელთ გამოუყოლებია პრეზიდენტისთვის საგულდაგულოდ გაკეთებული საჩუქარი (ამაზე ცოტა მოგვიანებით შეიტყობთ)...

> 85 წლის ქალი გაოცებული ვარ, რა გვჭირს ადამიანებს, ერთმანეთს ვერ ვუგებთ, ვუღრენთ და ამ დროს ცაში უცხოპლანეტელებს ვეძებთ სამეზობლოდ. ეეჰ, ასეთი ბოროტებით სავსეს ვინ დაგვენახება და მოგვეკარება? რას ეძებ ამ უკიდეგანო სამყაროში უხილავს, როცა კოსმოსში კი არა, გვერდით გყავს საფიცარი? არ გაბოროტდეთ შვილებო, მინდა ჩემს მიხეილს შევხვდე და მასაც ეს ვუთხრა.

შეუძლებელია ქალბატონ თინაზე საუბრისას ყურადღება მხოლოდ მისი თბილისში ჩამოსვლის მიზეზზე გავამახვილო და ამ უაღრესად საინტერესო ადამიანის შესახებ უფრო მეტი არ გიამბოთ. როგორც ქალბატონი თინა ამბობს, ღმერთმა ყველა მისი ხნისა მოგყაროთ. მე კი დავძენ, რომ მასავით მახვილი თვალი და შესანიშნავი აზროვნებაც გაგყოლოდეთ. 85 წლის ქალბატონი, როგორ დაუჯერებლადაც არ უნდა გეჩვენოთ, სათვალის დაუხმარებლად ეცნობა პრესას, ამიტომ ღიმილი ველარ შევიკავე მის წუწუნზე — საღამოობით, ზოგჯერ ცუდი შუქია და უსათვალოდ კითხვა მიჭირსო. ვერც მაშინ დარჩებით გულგრილი, როცა ქალბატონი თინა სინანულით დასჩერებია მისი ასაკისთვის უჩვეულოდ ლამაზ თითებს და ამბობს — „მარილებმა დამიუშნოეს თითები, სადღაა ძველებური ხიბლი და სილამაზე. ადამიანი დიდხანს უნდა ცხოვრობდე, მაგრამ არ უნდა ბერდებოდე, არ უნდა ჭაღარავდებოდე. არც ნაოჭები უნდა გიკლავდეს გულს და, თუ ამას ვერ აცდები, გადაადგილება მაინც უნდა შეგეძლოს დამოუკიდებლად. ძნელია, როცა სახსრები გღალატობს და ტკივილის შიშით თითქმის სულ ზიხარ ან წევხარ და ელოდები სხვას, ვინც სიარულისას დაგეხმარება“.

თინა ერისთავი 1918 წელს დაბადებულა რაჭაში, ერისთავების „იქოურ რეზიდენციაში“ — როგორც მათი შთამომავალი ხუმრობს.

„ამ სიბერეში უცნაური რამ დამჩემდა, რაც კი დამრჩა ჩემი მშობლების და სიყმაწვილის მოსაგონებლად, დაკარგვის შიშით ყველაფერს ისე ვინახავ, თავადაც ველარ ვპოულობ, თუ მთელი სახლი არ გადმოატრიალეს. ეს შიში ბავშვობიდან გამომყვა. ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ საქართველოში, მამა რაჭაში წავიდა ოჯახთან ერთად, იქ გვიან შემოაღწიეს იმ ოხრებმა. მაგრამ რაც გვებადა, თითქმის ყველაფერი წაგვართვეს, მამულები, ძვირფასი წყაროები, ერთი კარადა ოქრო. ის კარადა ახლაც დგას ჩვენს რაჭულ ოდაში. რამდენიმე საიდუმლო უჯრა აქვს, რომლებსაც ვერ მიაგნეს ბოლშევიკებმა და გადამალული ძვირფასეულობა დაგვრჩა. კარგა ხანს გაგვქონდა თავი იმ ოქროთი. დღემდე შემომრჩა მხოლოდ დედაჩემის ნაჩუქარი ძველისძველი ბეჭედი, რომელიც ჩემს შვილთაშვილს ვაჩუქე. კიდევ კარგი, თორემ მაგასაც სად შევინახავდი, ღმერთმა უწყის. თბილისში წამოსვლის წინ ვერაფრით გავიხსენე, სად შევინახე უნიკალური ფოტოები, ჩვენი პრეზიდენტისთვის მინდოდა მეჩვენებინა. მამაჩემი მიხეილ ერისთავიც ისეთი დაუმორჩილებელი იყო, როგორც ეს ჩემი პატარა მიხეილი (სააკაშვილს გულისხმობს), საქართველოს დამოუკიდებლობამდე რამდენიმე წლით ადრე ქართველ თავადაზნაურთა ერთ ნაწილს უარი უთქვამს ნიკოლოზ-ის და რუსის ჯარში სამსახურზე. მათ შორის მამაჩემიც ყოფილა. ისეთი ვაჟკაცი იყო, მეტსახელად გორდას ეძახდნენ. თურმე სადაც გამოჩნდებოდა, შიშს და მოკრძალებას იწვევდა. სხვების მსგავსად, პროტესტის გამო მამაც ციხეში ჩაუსვამთ. მცირე ხანს იხდიდა სასჯელს. ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად მჯდარა. ციხეში ფოტოებიც გადაუღიათ. მამას ბოხოხი ახურავს, ერთმანეთს გადახვეულები კაი სანახავები არიან“.

> ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ საქართველოში, მამა რაჭაში წავიდა ოჯახთან ერთად, იქ გვიან შემოაღწიეს იმ ოხრებმა. მაგრამ რაც გვებადა, თითქმის ყველაფერი წაგვართვეს, მამულები, ძვირფასი წყაროები, ერთი კარადა ოქრო. ის კარადა ახლაც დგას ჩვენს რაჭულ ოდაში. რამდენიმე საიდუმლო უჯრა აქვს, რომლებსაც ვერ მიაგნეს ბოლშევიკებმა...

ისტორიიდან ცნობილია, რომ ერეკლე -ის ერთ-ერთი ქალიშვილი, ელენე ცოლად გაჰყვა იმერეთის მეფის, სოლომონ პირველის ძმას დავითს, რომელიც სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდეგ ავიდა ტახტზე, დავითს და ელენეს შეეძინათ არჩილი, შემდგომ იმერეთის მეფე სოლომონ -დ წოდებული და მარიამი, რომელიც ცოლად შეურთავს თინა ერისთავის ბაბუას მედინ ერისთავს. ამ დიდებული შტოს წარმომადგენელი ქალბატონი კი, მისი უფროსი დის მსგავსად, გლეხს გაჰყოლია ცოლად, რის გამოც ძალიან განრისხებულა მამამისი... „ეს რა ჩაიდინე, როგორ მომჭერით თავი შენ და შენმა დამ, ჩემს მოჯამაგირეებს როგორ წაჰყევით ცოლადო, — შემომწყრა მამა და დიდხანს ხმას არ მცემდა. მაგრამ როცა ჩემი მეუღლე მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს, ღმერთს ევედრებოდა — ოღონდ ცოცხალი დაბრუნდეს და სამეფო ქორწილს გადავუხდი ჩემს თინასო. 70-ჩაფიან ქვევრს მოვხდიო. ეჰ, არ დაცალდა ამ აღთქმას ასრულება. ცხრა თვის გათხოვილი ვიყავი, ჩემი ქმარი პედაგოგი იყო. ბავშვები საზაფხულო არდადეგებზე გაუშვა, თვითონ კი ომში წაიყვანეს. სამ დღეში ქალიშვილი შემეძინა, მამამ და შვილმა ერთმანეთი ველარ იხილეს. მეუღლე ომში დაიღუპა და როსტოვის მიწაში განისვენებს... კი ხედავთ, როგორ მომერია სიბერე, ძალა გამომაცალა, ხშირად ვწევარ. მხოლოდ დღისით მძინავს. ასე მგონია, როცა მზე ანათებს, სიკვდილს ძალა არა აქვს და ვერ მომერევა. ღამით კი ვფხიზლობ, მღვიძავს და ფიქრებში სად არ დავდივარ. არ მინდა სიკვდილი, ახლა ყველაზე მეტად მინდა სიცოცხლე, მინდა თქვენს ლამაზ მომავალს მოვესწრო.



შვილთაშვილებთან ერთად

მამაჩემის სიტყვები მახსენდება ხშირად. სასულიერო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. სხვანაირი ლაპარაკი იცოდა. იტყოდა ხოლმე, — მთელი ცხოვრება გზაჯვარედინზე მდგომი მგზავრებივით ვართ, რომელმაც გუმანით მშვენივრად იცის, საით უნდა წავიდეს, მაგრამ გადაწყვეტილებებს მანამ ვერ იღებს, სანამ ცხოვრება ხელში არ შემოადნებაო. ჩემს მამამთილს ვუამბე ერთხელ მამაჩემის ნათქვამი და ვკითხე, ნეტავ გზაჯვარედინზე შენი გზის ან კიდევ ნაბიჯის სისწორე როგორ უნდა განსაზღვრომეთქი? მამამთილმა მითხრა, თუ შენს გულში ღმერთის ხმას დაუგდებ ყურს, არც გზის გარჩევა გაგიჭირდება და არც მცდარ ნაბიჯს გადადგამ. სხვანაირად კი ან ეშმაკის კერძი გახდები, ან ამ უტვინო კომუნისტებისო. ჩემი მამამთილი თოდაძე იყო, გლეხი, მაგრამ ისეთი ნათელი გონება ჰქონდა, ცხრა უმაღლესიც რომ ვერ მოგცემს, თუ ზეციდან არ გაქვს ნაბოძები. მისმა სიტყვებმა მიმახვედრა, რომ ჩემს ქმართან დაქორწინებისას სწორი ნაბიჯი გადავდგი. ამით უნებლიეთ დავარღვიე ადამიანების მიერ დადგენილი უღმერთო კანონი, რომელიც ღვთის შვილებს ერთმანეთისგან გვარიშვილობით ასხვავებს. არც ერთბაშად ყველაფრის უგულებელყოფა ვარგა, მაგრამ არც გვარიშვილობის გამო ამპარტავნებას მოაქვს სიკეთე. ამ ქვეყანაზე მთავარი სიყვარული და თავმდაბლობაა. ჩემი ქმარი რომ დაიღუპა, ტკივილებს გულში ვიკლავდი და თან ვცდილობდი გამეგო, რას ერჩიან ადამიანები ერთმანეთს. დღემდე მიკვირს, ნუთუ იმისთვის აჩენენ დედები შვილებს, რომ მერე მათ ერთმანეთი დახოცონ, ომები გააჩაღონ და სიცოცხლე მოსპონ. რატომ ხდება ისე, რომ ჩვენი გონება და ენერგია ნგრევისკენ უფროა მიმართული, ვიდრე შენებისკენ. 85 წლის ქალი გაოცებული ვარ, რა გვჭირს ადამიანებს, ერთმანეთს ვერ ვუგებთ, ვუღრენთ და ამ დროს ცაში უცხოპლანეტელებს ვეძებთ სამეზობლოდ. ეეჰ, ასეთი ბოროტებით სავსეს ვინ დაგვენახება და მოგვეკარება? რას ეძებ ამ უკიდეგანო სამყაროში უხილავს, როცა კოსმოსში კი არა, გვერდით გყავს საფიცარი? არ გაბოროტდეთ შვილებო, მინდა ჩემს მიხეილს შევხვდე და მასაც ეს ვუთხრა. ახალს კი ველარაფერს ვეტყვი, მაგრამ ჩემი ხნის ქალის ნათქვამს ალბათ სხვანაირად მოისმენს, უყვარს მაგას მოხუცები.

ჯერ ბოლშევიკებმა გაგვძარცვეს, მამაჩემს სამეფო ბანკში შეტანილი მთელი ქონება წაართვეს და სალაროს წიგნაკები დღეს კოლექციონერივით მაქვს შენახული, მერე ჩემი მთელი ცხოვრებისეული დანაზოგი, სიბერის ტკბილად გასატარებლად რომ მინდოდა, შევარდნაძემ და მისმა ხალხმა წამართვა, მაგრამ არ გავბოროტებულვარ. ვიფიქრე, ღმერთმა უკეთ იცის, ვის რა უნდა მიუზღოს-მეთქი. აგე, მიუზღო კიდეც. ამას წინათ მიშას წერილი მომივიდა (გულისხმობს ნაციონალური მოძრაობის მიმართვას თითოეული პენსიონერისადმი — ავტ.), სადაც მწერდა, ქალბატონო თინა, ვინ იცის, როგორ გიჭირთ, იქნებ ხშირად პურის ფულიც არ გქონიათ, რადგან თქვენი დანაზოგი ვიღაცებმა მიიტაცეს. მათხოვრულ პენსიას კი არ გაძლევენ, ჩვენ ვიზრუნებთ თქვენი დანაკარგის დაბრუნებაზეო. ჩემთვის თუ არა ღმერთმა სხვისთვის მაინც შეაძლებინოს ამის ასრულება. მჯერა, რომ მართლა უნდა სიკეთე გააკეთოს. თუ ეგეც თამაშობს, საშველი არ ყოფილა. არ არის კაი საქციელი ჩვენი ხნის ადამიანების გრძნობებზე თამაში. უნებლიეთ მოთამაშე რომ არ გახდე, ბევრი უნდა იფიქრო იმ სწორი გზის არჩევანზე, წელან რომ ვამბობდი. უნდა შევხვდე მიხეილს, ერთი-ორი სიტყვა ვუთხრა, არა მგონია ჩემი მოსმენა იუკადრისოს, თანაც მაგისთვის ისეთი კაი ჯანჯუხები მაქვს წამოღებული (ჯანჯუხას დასავლეთ საქართველოში ჩურჩხელას ეძახიან). გიორგობა დღე მშვიდი და უსისხლო რომ გაგვითენდა და დაგვიღამდა, გავიხარე, რძალი ბაზარში გავუშვი, საუკეთესო ყურძენი მოვატანინე, ჩემ თვალწინ დავაწურინე, მოვადუღებინე ფელამუში და ჩემი ხელით დარჩეული თხილის ჯანჯუხები ამოვავლე. თუ მოიცალა და შემხვდა, ხომ კარგი, თუ არადა იქნებ სანდრასთან მაინც შევძლო შეხვედრა, იმას ვაჩუქებ ჯანჯუხას და მიშასთან სათქმელსაც დავაბარებ“.

ქალბატონი თინა განსაკუთრებულად მოხიბლულია სანდრას „ქართველობით“ და უმაყოფილოა ქართველი ახალგაზრდების უცხოური კულტურისკენ ლტოლვით. „კარგი გოგოა სანდრა, მიკვირს მაგას, ჰოლანდიელ ქალს მოწონს ქართული სიმღერა, როგორ ლამაზად კვნესოდა — „ბიჭოვ, ბიჭოვ მე შენს მეტი ჯერ არავინ მყვარებიაო“. ამ ჩვენებს რა ჯანდაბა ჭირთ, ვერ გავიგე. ყვირიან, ვითომ მღერიან. ისე იმღერეთ, რომ კაცს თქვენს მოსმენაზე გულის ფრიალი არ ეწყებოდეს. სიმღერა ლოცვასავით არის, თუ არასწორად იმღერებ, ყველა საქმეში მოგეცარება ხელი და ვერც გზაჯვარედინზე გაიგნებ გზას. იმღერეთ წესიერად, მოუსმინეთ ერთმანეთს, გაათბეთ ქვეყანა სიყვარულით, ძაღლი და კატასავით ნუ მოიქცევით, შენდობა ისწავლეთ, ცოტა თქვით, ბევრი კარგი გააკეთეთ და მოიყარეთ ჩემი ხნისა, ასე დაგლოცავთ მე, 85 წლის თინა ერისთავი. ჩემო შვილებო, მინდა სანამ ცოცხალი ვარ, ბაგრატოვანთა წარმატებული მეფობის დროინდელი დიდება საქართველოში დაბრუნებული ვნახო, მერე ღამითაც დავიძინებ და სიკვდილისაც აღარ შემეშინდება...“

***ეკა ლომიძე***



## რას გვეტყვი, მამაო?

**— ამბობენ, რომ ხანდახან წყევლაც სრულდება. მართალია თუ არა ეს და რა სახის ცოდვებს მიეწერება წყევლა?**

— წყევლა ერთ-ერთია მომაკვდინებელ ცოდვათაგან. იგი მრისხანების ცოდვაა... როცა ვინმეს ვწყევლით, ბოროტი აგრესიის გამტარნი ვხდებით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ სოფელში, სადაც მარადიულად იბრძვის სიკეთე და ბოროტება, ზოგჯერ სიკეთეც მარცხდება. თუ ჩვენს კეთილ სურვილებს უფალი შეისმენს და ახორციელებს, ბოროტს — დემონიც უსმენს და ასრულებს, ოღონდ ჩვენდა საზიანოდ. ბოროტი, როცა ვცოდავთ, ჩვენივე ნებით შემოდის ჩვენს ცხოვრებაში. წყევლისას ადამიანის ნება მის ნებას ემთხვევა... ბოროტიც გამარჯვების ხელსაყრელ შემთხვევას ხელიდან არ უშვებს. ამიტომაც არის, რომ შეიძლება ჩვენგან უკვე დიდი ხნის დავიწყებული მრისხანების შედეგიც შესრულდეს... დავფიქრდეთ, სანამ მოყვასს და ჩვენს თავს ბოროტი ძალის ზეობისთვის გავიმეტებდეთ, უფალს უნდა ვთხოვოთ ჩვენთვის ტკივილების მომტან ადამიანს გონება გაუნათოს და მიახვედროს, რას სჩადის.

**— ვცხოვრობ გორში. ჩვენი წინაპარი მღვდელი იყო, რომელსაც ცოდვა ჰქონდა ჩადენილი... შესაძლოა ამის გამოა, რომ ჩვენს სანათესავოში უცნაური, არასასიამოვნო ამბები ხდება... როგორ მოვიქცეთ, რით გამოვისყიდოთ ეს ცოდვა?**

— რამდენიმე ხნის წინ ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ მკითხველს უკვე განვუმარტეთ, რომ წინაპრის ცოდვის გამო შთამომავალი პასუხისმგებელი არ არის: მაგრამ იქვე დავაზუსტეთ ისიც, რომ შთამომავალზე წინაპრის ცოდვა მაინც აისახება... რადგანაც თქვენც გრძნობთ მის ზემოქმედებას, შეგიძლიათ წინაპრის ცოდვა აღსარებაში, თქვენს ცოდვებთან ერთად მოინანიოთ. გარდა ამისა, წარმოთქვით დილა-საღამოს ლოცვები და მოიხსენიეთ თქვენი ოჯახის წევრები და ნათესავები, სთხოვეთ უფალს მათი კეთილდღეობა... და რაც მთავარია, იცხოვრეთ ქრისტიანულად, რომ თქვენც და თქვენი შთამომავლობაც უფლის წყალობით იყოთ გარემოცული.

**— ბიბლიაში წერია: „ოღონდ ხორციელი ცოცხლად მის სისხლთან ერთად არ შეჭამო“. რას ნიშნავს ეს სწავლება, ქრისტიანებს ხომ ხორცის ჭამა არ გვეკრძალება?**

— ძველი აღთქმის ეკლესიაში არსებობდა წესი, რომ ადამიანის ცოდვის გამოსყიდვა ხდებოდა სისხლიანი მსხვერპლით. მაგრამ უფალი კრძალავდა არა ხორცის ჭამას, არამედ ხორცის ჭამას სისხლიანად. ჯერ სისხლი უნდა გამოშვებულიყო, რომელიც მსხვერპლად იწირებოდა, მხოლოდ შემდეგ შეიძლებოდა ხორცით დანაყრება. ძველი აღთქმის მიხედვით, ცხოველის სისხლი შეიცავდა სულს და სწორედ ამ სულს სწირავდნენ უფალს... ხოლო შემდეგ, რაც მოვიდა ქრისტე და ეწამა, ეს კანონიკა შეიცვალა. ქრისტეს შეწირვით დამთავრდა ყოველნაირი მსხვერპლშეწირვა. ამიტომ ხორცის მირთმევა, გარდა სამარხვო დღეებისა, ყოველთვის შეგიძლიათ... თუმცა უნდა ვთქვათ, რომ ეთიკის თვალსაზრისით, ცალკე სისხლის „ჭამა“ არც დღესაა სასიამოვნო.

**— ამ კვირაში, ოთხშაბათს და პარასკევს უნდა ვიმარხულოთ თუ არა?**

— მართლმადიდებელი ეკლესიის განჩინებით, შობიდან ნათლისღებამდე, ანუ 7-დან 19 იანვრამდე ოთხშაბათი და პარასკევი არის ხსნილი. მარხვა უნდა შევინახოთ მხოლოდ ნათლისღების წინადღეს, 18 იანვარს. შეგახსენებთ, რომ ამ დღეს ეკლესიაში სრულდება დიდი აიაზმა — წყლის კურთხევა, რაც ნათლისღების დღესაც აღესრულება. აღნიშნულ დღეებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ეკლესიაში თქვენი ჭურჭლით და წაიღოთ შინ ნაკურთხი წყალი.

**— შეიძლება თუ არა ნაკურთხი წყლის განზავება?**

— ნაკურთხი წყლის განზავება შეიძლება, მაგრამ ის უნდა განაზავოთ არა იმ ჭურჭელში, რომელშიც ნაკურთხი წყალია, არამედ ამ ჭურჭლიდან მცირეოდენი წყალი უნდა ჩავამატოთ სხვა, სუფთაწყლიან ჭურჭელში.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ- 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

# „მე, სიმართლის მთქმელ აქციონერს, შუაზე გადაჭრით მემუქრებიან“

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

*ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავიხსენოთ ამონარიდი იმ ინტერვიუდან, რომელიც „კვარციტის“ ყოფილ გენერალურ დირექტორს, გიორგი მგალობლიშვილს ჩამოვართვით რამდენიმე თვის წინ. მაშინ ამ მონაკვეთის დაბეჭდვა საჭიროდ არ ჩავთვალეთ.* ***გიორგი მგალობლიშვილი****, კერძოდ, აცხადებდა: „ოქროს დორე შენადნობები სპეციალურ ყალიბებში ისხმება. ყალიბებზე ამოტვიფრულია მისი ნომერი, რომელიც ზოდის ჩამოსხმის დროს ავტომატურად ფიქსირდება დორე შენადნობის ზოდზე. ყალიბები მკაცრი აღრიცხვის საგანია (სხვათა შორის, „კვარციტში“ ამას დიდ ყურადღებას რომ არ აქცევენ, „კვირის პალიტრა“ ჯერ კიდევ შარშან, 11-17 აგვისტოს ნომერში ერთ-ერთ გამომძიებელთან ინტერვიუში წერდა. ციტატა: „კვარციტის“ კომერციულ მენეჯერს, გიორგი ყოჩიაშვილს (ამჟამად უკვე კომერციულ დირექტორს. — ზ. ჩ.) გამოძიებამ (რამდენიმე წლის წინ) შინ ყალიბები აღმოუჩინა.*

ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ თბილისის პოროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსს, **ვალერი გრიგალაშვილსაც** გავესაუბრეთ.

— **რატომ ჩამოაშორეს გამოძიებას თბილისის პროკურატურა? პროკურატურა ხომ უფრო ზემდგომი ორგანოა, ვიდრე შსს.**

— მართალია. რაც მთავარია, ჩვენ საშუალება არ მივეცით ლობჟანიძესა და მის კლანს მიეთვისებინათ 600 კგ ოქროს დორე შენადნობის ზოდები. ამასთან, გამოძიების პროცესში დავადგინეთ 1.500 კგ ოქროს მითვისების ფაქტიც. შს სამინისტროს კი საქმე იმიტომ გადაეცა, რომ „ინვესტბანკიდან“ სასწრაფოდ ამოსაღები იყო ოქროს ზოდები. ამას სამინისტრო უკეთ გააკეთებდა — მას უფრო მეტი ოპერატიული ღონისძიების ჩატარების საშუალება და შესაძლებობები აქვს, ვიდრე პროკურატურას.

— **ხომ არ გეჩვენებათ, რომ ძალზე საეჭვოდ გაუქმდა გირავნობის ხელშეკრულება, რაც საქმე სამინისტროს გადაეცა?**

— თავდაპირველად, ზოდები TBS ბანკში ინახებოდა. როდესაც ბანკში მივედით, საღამოს ათი საათი იყო. ამიტომ მეორე დღისთვის გადავდეთ ოპერაცია, მაგრამ მეორე დღეს იქ ოქროს ზოდები აღარ დაგვხვდა. „კვარციტის“ ხალხს წაუღია. რამდენიმე დღე ვეძებდი მის ასავალ-დასავალს და როგორც იქნა „ინვესტბანკში“ მივაკვლიე, სადაც უკვე „შეედგინათ“ გირავნობის ხელშეკრულებები ძველი თარიღით. მაგრამ რამდენიმე იაღლიში მაინც გაეპარათ საბუღალტრო დოკუმენტებში.

— **„ინვესტბანკის“ ოქროს დორე შენადნობების საცავი დალუქეთ ან დაცვა დააყენეთ?**

— კომერციული ბანკია და საცავში კი არა, შენობაშიც არ შეგვიშვეს და რას დავლუქავდით? არც დაცვა დაგვიყენებია. ბანკს თავისი დაცვა ჰყავდა.

— **ჩვენი ინფორმაციით, ის ოქროს დორე შენადნობების ზოდები შეცვალეს.**

— ვერაფერს გეტყვით... ის კი ვიცი, რომ ლაბორატორია იქნება, სასინჯი ინსპექცია თუ სხვა საკონტროლო უწყება, ყველა ერთმანეთთან არის შეკრული. რაც აძლევთ ხელს, იმას აკეთებენ და წერენ. დღეს დაწერენ, რომ ოქროს შემცველობა 80 პროცენტია ზოდში, რომ გაყიდიან, ოქროს შემცველობას 40 პროცენტად დააფიქსირებენ.

— **და მაინც, რატომ წაიღეს თბილისის პროკურატურიდან ეს საქმე?**

— მხოლოდ 600 კგ ოქროს ზოდების საქმე წაიღეს, თორემ იმ ფაქტების, რაც ქვემო ქართლში ათეული წლის განმავლობაში ხდებოდა, გამოძიება დამთავრებული გვაქვს და გუბერნატორის დაპატიმრებაზე სანქცია გაცემულია. მამალაძე რიგითი კრიმინალი არ გახლავთ. მან მხარის ხელმძღვანელობის პერიოდში თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ყველა და ყველაფერი დახარკა. ყველა საწარმო თუ ბიზნესმენი ვალდებული იყო თავისი მოგების 60 პროცენტი მამალაძისთვის მიეცა. სისტემატურად მონაწილეობდა სხვადასხვა სახის ეკონომიკური ხასიათის დანაშაულებსა და ფინანსურ მაქინაციებში. ჯერჯერობით საქმე მხოლოდ ქრთამის გამოძალვის მუხლით აღიძრა და სასამართლომ მისი დაპატიმრების ბრძანება გასცა. ეს საქმე მხოლოდ ორი ტომია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იმდენი დანაშაული აქვს მამალაძეს ჩადენილი, რომ ეს ორი ტომი ორასტომიან საქმედ გადაიქცევა.

— **თუ შეიძლება დაგვიკონკრეტეთ, რა დანაშაულის გამო გასცა სასამართლომ მამალაძის დაპატიმრების ბრძანება?**

— ინგლისელ ბიზნესმენს ჯაინ პანდიტს, რომელიც „კვარციტის“ ერთ-ერთი უცხოელი პარტნიორი იყო, მამალაძემ გამოსძალა 35 ათასი დოლარი. კერძოდ, გუბერნატორმა პანდიტს თბილისში კომპანია „მიცუბიშ მოტორსის“ მაღაზიაში იძულებით აყიდვინა ამ თანხის ღირებულების „შევროლე ბლეიზერის“ მარკის ჯიპი. უცხოელ ბიზნესმენს გუბერნატორმა ულტიმატუმი წაუყენა — თუ მანქანას არ უყიდდა, მას „კვარციტიდან“ და საქართველოდანაც გააძევებდა. სხვათა შორის, ჯაინ პანდიტმა მომხდარის შესახებ ჯერ კიდევ 1997 წელს განაცხადა, თუმცა მამალაძის პასუხისგებაში მიცემა მაშინ ვერ მოხერხდა. იგი იმ დროს ხელისუფლების წარმომადგენელი და შევარდნაძესთან დაახლოებული პირი იყო და ხელშეუხებლობის სტატუსით სარგებლობდა. გარდა ამისა, ხდებოდა პროკურატურაზე ზეწოლაც. ამიტომ დაცდა ვამჯობინეთ. რამდენიმე დღის წინ კი ყოფილი გუბერნატორის დანაშაულებრივი საქმიანობის თაობაზე მასალები შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა და დღეს მათი ერთობლივი შესწავლა მიმდინარეობს.

— **შს სამინისტრომ კი საქმის მასზე გადაცემა პარალელური გამოძიების გამორიცხვით ახსნა.**

— ამ ეტაპზე ხელმძღვანელობის მოთხოვნა ასეთი გახლდათ(?!)...

*როდესაც სტატიას ვამზადებდი, რედაქციას წერილით მომართა „მადნეულის“ კომბინატის აქციონერმა, ბოლნისელმა* ***გივი მჭედლიშვილმა****. გთავაზობთ წერილიდან ამონარიდს (სტილი დაცულია):* „ეს ერთი ხანია, პრესა და ტელევიზია წალეკა „მადნეულისა“ და „კვარციტის“ რეკლამამ. საწარმოების ხელმძღვანელები უსირცხვილოდ აცხადებენ, რომ შპს „კვარციტიდან“ მიღებულმა შემოსავალმა დივიდენდების სახით 22,8 მილიონი ლარი შეადგინა. მე კი შევახსენებ მათ, რომ „მადნეულის“ არსებობიდან დღემდე ჩემმა 375 ცალმა აქციამ დივიდენდების სახით მხოლოდ ათი ლარი მიიღო(?!). თუ ასეთი ძლიერი და „წელში გამართულია“ ეს საწარმო, ათ ლარზე მეტი რატომ ვერ გადამიხადეს?! განა ყოველივე ეს იმაში დაეჭვების საფუძველს არ იძლევა, რომ საწარმოს მოგება ხელოვნურად არის შემცირებული და გაფლანგულ-მითვისებული სათადარიგო ნაწილების, აგრეგატების, საწვავის შესაძენად ხელოვნურად გაბერილი ფასებით. აქ ნაღდი ფულის აღებმიცემობა არის გამეფებული... საწარმოში ლობჟანიძის მოსვლის შემდეგ დაიწყო სახელმწიფო ქონების დატაცების აღმასვლის პროცესი. მისი მხარდამჭერები მე, სიმართლის მთქმელს, შუაზე გადაჭრით მემუქრებიან...“.

დასასრულ, ჩვენ ხელში ჩაგვივარდა პროფესორ მერაბ ტყემალაძის წიგნი — „ბოლნისის რაიონის სპილენძისა და ტყვია-თუთიის საბადოების ფორმირების გეოლოგიური სტრუქტურული პირობები“. წიგნში მოცემულია სპილენძის მადანსა და კონცენტრატში ოქროს და სხვა ძვირფასი იშვიათი ლითონების გამოსაანგარიშებელი ფორმულები. მაგალითად, ერთ ტონა სპილენძის კონცენტრატში შედის დაახლოებით ას-ასი გრამი სელენი, ტალიუმი, ვერცხლი და სხვ. სპილენძის კონცენტრატში არსებული თუნდაც ვერცხლის ღირებულების გადახდა თურმე იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ ხერხდება, რომ (მადნეულის ხელმძღვანელების მიერ კონტროლის პალატის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილი 2000 წლის 28 სექტემბრის წერილი. სტილი დაცულია. — ზ.ჩ.): „ვერცხლის ღირებულების გადახდის შესახებ განვმარტავთ შემდეგს. თანახმად კონტრაქტის პირობებისა, ფირმა „გლენკორთან“ და „ტრაფიგურასთან“, ფასი ვერცხლზე გადაიხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთ ტონა კონცენტრატში ვერცხლის რაოდენობა უნციას აღემატება. რადგან ჩვენს შემთხვევაში კონცენტრატში ვერცხლის შემცველობა მხოლოდ 18-25 გრამს შეადგენს ტონაზე, ამიტომ ანაზღაურებას ვერცხლზე ვერ მოვითხოვთ“. ამ „დაუდევრობით“ საქართველომ ბოლო წლებში თუნდაც „მადნეულის“ ანგარიშით 4-5 ტონა ვერცხლი დაკარგა. სხვა ლითონებისა და ოქროს მაქინაციებით მითვისებულ თანხებსაც თუ დავუმატებთ, გასაგები გახდება, რატომ ვერ ელევა ლობჟანიძე სავარძელს. მაგრამ საფიქრებელია, რომ პრეზიდენტი და ხელისუფლება ძველის მსგავსად არ „დახუჭავს“ თვალს საქართველოს ძარცვის მრავლობით ფაქტზე და მოსახლეობას დაუბრუნდება ის ქონება და სიმდიდრე, რომელიც მისთვის უკანონოდ წაუღლეტიათ, ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს, ჯერჯერობით კი... გასულ კვირას საწარმოთა მართვის სახელმწიფო სააგენტოს (ყოფილი ქონების მართვის სამინისტრო. — ზ.ჩ.) „მადნეულისა“ და „კვარციტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა უკვე მეორედ უთხრეს უარი ლობჟანიძის თანამდებობიდან გადაყენებაზე და ლობჟანიძის დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთების წარმოდგენა მოითხოვეს(?!).

ჩვენ წერილით მივმართეთ „მადნეულისა“ და „კვარციტის“ ხელმძღვანელებს. როგორც ამ საწარმოების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა **ნინო თხელიძემ** ბრძანა: „კითხვები იმდენად რთულია, რომ შრომატევადი სამუშაოების შესრულებასა და ბევრ დროს მოითხოვს, ამიტომ კითხვებზე პასუხის გაცემას ვერ ვასწრებთ. მომავლისთვის თქვენს კითხვებზე პასუხებს მოვამზადებთ და მოგაწვდით“.

*P.S. ვალერი გრიგალაშვილის ცნობით, ლევან მამალაძეს სამშობლო მონატრებია და იგი ყალბი პასპორტით აჭარაში მალულად ჩასულა. იმავე დღეშია ალბათ ამ საქმესთან დაკავშირებული სხვა უამრავი კორუმპირებული ჩინოვნიკიც. საკითხავია, როდემდე იქნებიან უცხოეთში ან აჭარაში?! ან როგორია ყოველდღე დაპატიმრების მოლოდინით ცხოვრება? თუმცა ამაზე უფრო ადრე უნდა ეფიქრათ...*

**ზვიად ჩაკვეტაძე**

**თითქმის ყოველივე, რაც ადამიანზეა დამოკიდებული, შეიძლება წახდეს და წაიბილწოს ოქროსგან...**

*პლატონი*



# თბილისს ვაშინგტონთან დაახლოება სურს — მოსკოვს ეს არ მოსწონს

საქართველოს ახალ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, თავისი კაბინეტის კედლებზე ევროპის და ამერიკის უნივერსიტეტებში მიღებული დიპლომები, ევროსაბჭოს დროშა და ორი გადაჯვარედინებული კავკასიური ხმალი უკიდია. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაზე მთავარი ქართველი მთლიანად ორიენტირებულია დასავლეთზე, თანაც ნაციონალისტია. მართალია, კაბინეტის ინტერიერი პოლიტიკის მიმართულებას არ განსაზღვრავს, მაგრამ მიანიშნებს იმ გზისკენ, საითაც უნდა წაიყვანოს თავისი ქვეყანა სახელმწიფოს ახალმა მეთაურმა. თუმცა, არ ღირს პრობლემის შექმნა იმის გამო, რომ სააკაშვილის პოლიტიკური კომპასი დასავლეთისკენაა მიმართული. ბოლოს და ბოლოს, საქართველო, მე-18 საუკუნიდან მოყოლებული, რუსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ჯერ კიდევ სააკაშვილის წინამორბედი ედუარდ შევარდნაძე ცდილობდა ევროპასთან და აშშ-თან დაახლოებას, ნატოში შესვლა უნდოდა და ტერორიზმთან საბრძოლველად საქართველოში აშშ-ის სამხედრო ინსტრუქტორები მიიწვია. მაგრამ საბჭოთა კავშირის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ შევარდნაძეს არასოდეს ავიწყდებოდა, რომ ამერიკა მდიდარი და ძლიერია, რუსეთი კი — საშიში მეზობელია. ანუ შევარდნაძე ყოველთვის ცდილობდა კავკასიაში მოსკოვის ინტერესების გათვალისწინებას — ამ მიმართებით მისი ბოლო ნაბიჯი რუსული კომპანიებისთვის საქართველოს ელექტრომომარაგების სფეროს გადაცემა იყო.



სააკაშვილს, ყოველგვარი ქვენა ზრახვების გარეშე, შეიძლება ეწოდოს „ამერიკელების კაცი“. სწავლობდა ამერიკაში, მუშაობდა ადვოკატად, მერე ნავთობკომპანიების ლობისტი იყო. ოპოზიციის ლიდერობისას ამერიკულ ფონდებს ეყრდნობოდა, მაგალითად, სოროსის ფონდს. ამბობენ, ამერიკელი დიპლომატებისგანაც იღებდა კონსულტაციებსო. ასე რომ, აშშ-ში იციან, სააკაშვილის დახმარებით როგორ დაიცვან თავისი ინტერესები კავკასიის იმ სახელმწიფოში, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. ვაშინგტონს რუსეთის მოსაზღვრე სამხრეთ კავკასიის სხვა რეგიონებშიც აქვს გადგმული ფესვები — რუსეთის გვერდის ავლით აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით თურქეთისკენ გაჰყავს ნავთობსადენი, ამერიკელი სამხედროები ქართულ ჯარს წვრთნიან, მოგვიანებით — იარაღსაც მიჰყიდიან.

საქართველოდან რუსეთის უკანასკნელი სამხედრო შენაერთის გაყვანისთანავე, აქ შეიძლება ამერიკული ჯარებიც გამოჩნდნენ. მოსკოვს თავი ქუდში შეიძლება მხოლოდ სომხეთში ჰქონდეს. ყოველივე ეს მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობის გაგრილების ფონზე ხდება. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ზესახელმწიფო აშშ-ისა და ევრაზიული რეგიონული ზესახელმწიფო რუსეთის ინტერესები ისე არსად შეხებია ერთმანეთს, როგორც საქართველოში. აშშ ამ ქვეყანაში ფულს აბანდებს და სააკაშვილს უჭერს მხარს, რუსეთი — ადგილობრივ სეპარატიზმს აძლევს სტიმულს. ამგვარი სახელისუფლებო თამაშები ჯერჯერობით „ცივ ომად“ არ ჩაითვლება, მაგრამ ურთიერთობას კი ამძიმებს. შეძლებს კი ორი ქვეყნის გავლენის ქვეშ მოქცეული ქართველი მედასავლეთე სააკაშვილი ოქროს შუალედის მოძებნას? ამას დრო აჩვენებს.

***ტომას ავენარიუსი***
***ზიუ დოიჩე ცაიტუნგი***

# მიხეილ სააკაშვილი: „პრეზიდენტობაზე ყოველთვის ვოცნებობდი“

*მიშა — ასე ეძახიან საქართველოში კაცს, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 95% მიიღო, „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთ ლიდერს და მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტს. ქვეყნების უმრავლესობამ საქართველოში ჩატარებული არჩევნები და მიხეილ სააკაშვილის გამარჯვება აღიარა, მხოლოდ რუსეთი იკავებს თავს კომენტარებისგან, ოფიციალური შედეგების გამოცხადებას ელოდება. 36 წლის პრეზიდენტი კი ძველებურად, დაქოქილივით დაქრის თბილისში, დღეღამეში რამდენიმე საათი სძინავს, შიგადაშიგ უსაფრთხოების ელემენტარულ წესებსაც არღვევს და საქართველოში შექმნილი სიტუაციის შესახებ ინგლისურ, ფრანგულ და ქართულ ენებზე აკეთებს კომენტარებს. „იზვესტიის“ კორესპონდენტს,* ***ნატალია რატიანს*** *კი რუსულად ესაუბრა.*

— ყოველთვის ვოცნებობდი, პრეზიდენტი გავმხდარიყავი. ახლა, როცა ნატვრა ამისრულდა, გაკვირვებული ვარ — არავითარი სიხარული არ მიგრძნია. როცა პოლიტიკაში მოდიხარ, ყოველთვის უნდა გწამდეს, რომ ადრე თუ გვიან უმაღლეს მიზანს მიაღწევ. მაგრამ ახლა, როცა ვხედავ, რა გვერგო მემკვიდრეობად... ეტყობა, სრულფასოვანი სახელმწიფოს პრეზიდენტს სხვაგვარი გრძნობა ეუფლება... საქართველოს პრეზიდენტობა დავალებასავითაა: დაშლილი „კონსტრუქტორიდან“ სრულყოფილი მექანიზმი უნდა ააწყო. პასუხისმგებლობასთან ერთად განგაშის ზარიც რეკავს სულში — როგორ უნდა ააწყო ეს „კონსტრუქტორი“... მე ხომ პასუხს ვაგებ იმ ხალხის წინაშე, რომელიც გამომყვა. ქუჩაში მხვდებიან და მეუბნებიან — თქვენი სადღეგრძელო დავლიეთო. ვპასუხობ — მთავარია სამი წლის შემდეგ მოგინდეთ ჩემი სადღეგრძელოს დალევა-მეთქი. უამრავი პრობლემა გვაქვს დასაძლევი, საქართველო ისეთი უნდა გავხადოთ, რომ ინვესტიციების ჩადების სურვილი გაუჩნდეს ყველა ჩვენს თანამემამულეს რუსეთიდან, ამერიკიდან... საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისთვის ორმაგი მოქალაქეობის შემოღებას ვაპირებთ და განა მარტო ქართველებისთვის, თუ ვინმე უცხოელსაც მოუნდა ჩვენი მოქალაქეობის მიღება — კი, ბატონო, მიიღოს.

**— ამერიკიდან და ევროპიდან უკვე მოსალოც დეპეშებს იღებთ, რუსეთი ოფიციალურ შედეგებს ელის. როგორ გგონიათ, რატომ?**

— ალბათ ეს დროებითი მოვლენაა, ბიუროკრატიაა. პირველსავე საღამოს გამოგზავნა წერილი ბრიტანეთის პრემიერმა ტონი ბლერმა, მეორე დღეს — გერჰარდ შრედერმა მიმიწვია გერმანიაში, ჯორჯ ბუში ოფიციალური ვიზიტით ჩასვლას მთავაზობს. ვფიქრობ, მოსკოვიც მომილოცავს. დასავლეთთან დაახლოება განა ანტირუსულ განწყობილებას ნიშნავს. ეს ხომ სასაცილოა! ასე მხოლოდ შეზღუდულად მოაზროვნე ადამიანები ფიქრობენ. ალბათ დროთა განმავლობაში ყველაფერი გამოსწორდება. ჩვენს ურთიერთობაში დათბობა უკვე შეიმჩნევა. კმაყოფილი ვარ იმით, თუ როგორ აშუქებდა რუსეთის მედია ჩვენს არჩევნებს. თავიდან ალმაცერად მიყურებდნენ — რაკი სააკაშვილმა 3 წელი ამერიკაში გაატარა, პროამერიკელიაო. სხვათა შორის, ხშირად ყველაზე ანტიდასავლელები სწორედ დასავლეთში განათლებამიღებულნი ხდებიან. მე გულთბილი გრძნობა მაქვს ამერიკის მიმართ, მაგრამ ადამიანური კონტაქტებით, კულტურული ურთიერთობით, ისტორიით — გაცილებით მეტი რამ გვაკავშირებს რუსეთთან. მე რუსულ კულტურაზე გავიზარდე. სოლჟენიცინს, ბერდიაევს, პლატონოვს მაშინ ვკითხულობდი, როცა ისინი რუსეთში აკრძალული იყო. საქართველო ყოველთვის ხიბლავდა რუს პოეტებს. მაიაკოვსკი იმავე სახლში ცხოვრობდა, რომელშიც ბებიაჩემი, მას ის კარგად ახსოვს. ცხადია, რუსეთთან პრობლემები მხოლოდ იმ შემთხვევაში გვექნება, თუ ვიგრძნობთ, რომ ეროვნულ ინტერესებს გვიბღალავენ. გარწმუნებთ, მე რუსეთთან დაბრკოლებები არ მექნება იმის გამო, რატომ მეგობრობ სხვა ქვეყნებთანო. სხვა სახელმწიფოები ნაკლებად მაღელვებს — მე მხოლოდ საქართველოს ბედი მაწუხებს.

***იზვესტია***
***ამონარიდი ინტერვიუდან***

***რუბრიკა მოამზადა***
***თინათინ მარგველაშვილმა***

# ხავერდოვანი რევოლუცია გრძელდება

საქართველოს პრეზიდენტის 4 იანვრის არჩევნებში გამარჯვება ცნეს ევროპის საბჭომ და მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა. მიხეილ სააკაშვილს პირადად მიულოცეს დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის მეთაურებმა, აშშ-ის პრეზიდენტმა. 7 იანვარს ჯორჯ ბუშმა, სატელეფონო საუბრისას, რომელიც მისივე თაოსნობით მოხდა, აღნიშნა, რომ ამაყობს ქართველი ხალხის ბოლოდროინდელი მიღწევებით, აღფრთოვანებულია სააკაშვილის ვაჟკაცობით და რომ აშშ დიდ იმედებს ამყარებს ახალ საქართველოზე. ჯორჯ ბუშმა დახმარება აღუთქვა საქართველოს, როგორც სახელმწიფო რეფორმების გატარებაში, ასევე ეროვნული უსაფრთხოების დარგში. ამერიკის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილი აშშ-ში მიიწვია. იმავე დღეს სააკაშვილს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმაც მიულოცა არჩევნებში გამარჯვება. გარდა ამისა, მათ ისაუბრეს რუსეთ-საქართველოსა და საქართველო-თურქეთის ურთიერთობებზე. საქართველოში მომხდარი მოვლენები მხოლოდ ამ ქვეყნის ისტორიის ახალი ფურცელი როდია — პოსტსაბჭოურ სივრცეში პირველად, ხელისუფლებაში ახალი თაობა მოვიდა. სააკაშვილს მძიმე მემკვიდრეობა ერგო — ავტონომიების სეპარატიზმი, ეკონომიკის კოლაფსი და მისი შედეგი — სიღატაკე, უზარმაზარი საგარეო ვალი. ამის დასაძლევად ახალ ხელისუფლებას საგარეო პრიორიტეტების მკაფიო განსაზღვრა მართებს. მიხეილ სააკაშვილს, ნინო ბურჯანაძეს და ზურაბ ჟვანიას აუცილებლად მიაჩიათ რუსეთთან, აშშ-სა და დსთ-თან მჭიდრო კავშირი.

ვკითხულობ ზოგიერთი „ჭკუის კოლოფის“ ნააზრევს სხვადასხვა საიტზე და ვერ გამიგია, საიდან აქვთ ამდენი ღვარძლი და ბოღმა საქართველოს მიმართ? მათ რომ ცოტა ხანი მაინც ეცხოვრათ ამ ოდესღაც ნაყოფიერ ქვეყანაში, დღეს სხვაგვარად ილაპარაკებდნენ, რასაკვირველია, თუ კეთილის დანახვა შეუძლიათ. მე ქართველი არა ვარ, მაგრამ ორმოცი წელი ვიცხოვრე საქართველოში, ვიცი მისი ენა და ვიცნობ მის უძველეს კულტურას, ინტელიგენციის ბევრ გამოჩენილ წარმომადგენელს, უბრალო ხალხსაც, რომლებიც მზად არიან, ფართოდ გაუღონ კარი სტუმარს და მეზობლისგან სესხებაც რომ დასჭირდეთ, გულუხვად გაუმასპინძლდნენ. ვიცი, რომ დამოუკიდებლობის წლებმა ქართველებს მოლოდინი გაუცრუა და ქვეყანა, როგორც ბევრი ოცნებობდა, მეორე შვეიცარიად ვერ იქცა. არ გადაწყდა ის სერიოზული პრობლემები, რომელიც ამ პატარა და ამაყი ქვეყნის წინაშე იდგა. მაგრამ მჯერა, რომ ის ბედნიერი იქნება, და ახალი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, მისი მომხრეები, საქართველოს ხალხი ყველაფერს გააკეთებენ ამისთვის.

ხავერდოვანი რევოლუცია გრძელდება...

***გენადი დერტკინი***
***ვონგ სტრიტ რევიუ***

# აბაშიძესთან „ურთიერთობების გარკვევას“ აპირებენ

ახალი ხელისუფლება 25 იანვრის შემდეგ ასლან აბაშიძესთან „ურთიერთობის გარკვევას“ აპირებს. 7 იანვარს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, გივი უგულავამ ბრძანა, — ავტონომიაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა უკანონოა, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება საქართველოს პრეზიდენტის პრეროგატივააო. აჭარის ლიდერის აზრით კი, საგანგებო მდგომარეობამ რეგიონში „კონსტიტუციური წყობა უნდა დაიცვას“. აჭარის თავკაცებს ეშინიათ — ახალგაზრდულმა ორგანიზაცია „კმარამ“ არ დაიწყოს ანტისამთავრობო აქციები. ამ დღეებში პროვოკაციული პლაკატების გაკვრისას დააკავეს რამდენიმე აქტივისტი. როგორც ოფიციალური წყაროები ამტკიცებენ, მათ ოჯახებში ჩხრეკის დროს, იარაღი და ნარკოტიკი აღმოუჩინეს. „კმარას“ თბილისის ოფისში ნარკოტიკებზე არაფერს ამბობენ, მაგრამ დაპატიმრებულთა რიცხვს კი ასახელებენ — 15 ადამიანს. მათ შორის პოლონელი ჟურნალისტიც მოხვდა. დაპატიმრებათა წინააღმდეგ მაშინვე გაილაშქრა სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ — ამგვარი რამ მიუღებელია და ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩაჰბარდეს წარსულსო. ასეა თუ ისე, აჭარის ქალაქების ქუჩებში კვლავ გაჩნდა პოლიციელთა პოსტები, ყველას საბუთებს უსინჯავენ, აიკრძალა მიტინგები და ყოველგვარი ქუჩის აქციები. დანარჩენ საქართველოსთან მიჯნა გადაკეტილია, ხოლო მედია მკაცრად კონტროლდება. სხვათა შორის, საპრეზიდენტო არჩევნების დამკვირვებლები ამბობენ, რომ აჭარაში პრესის თავისუფლება სერიოზულად იზღუდება. ეუთოს ოფისის ხელმძღვანელმა კრეიგ ჯენესმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ აჭარაში აკრძალულია ტელეარხ „რუსთავი-2“-ის მაუწყებლობა. ამ არხის კორესპონდენტები აჭარის საზღვარზე დააკავეს და ბათუმიდან რეპორტაჟის გაკეთება აუკრძალეს. აჭარაში საგანგებო მდგომარეობის კანონიერების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიღებს, რომელსაც მიმართა ოპოზიციური ორგანიზაცია „ჩვენი აჭარის“ ხელმძღვანელმა თამაზ დიასამიძემ. მაგრამ მარტო საგანგებო მდგომარეობითა და „კმარას“ აქტივისტების დაპატიმრებით არ შემოიფარგლება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების პრეტენზიები აბაშიძისადმი. საგანგებო პრესკონფერენციაზე გივი უგულავამ ისიც გაუხსენა აბაშიძეს, რომ მან თავის უფლებებს გადაამეტა, როცა საკუთარი თავი ავტონომიის მთავარსარდლად დანიშნა. იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ისიც თქვა, რომ ახალმა ხელისუფლებამ აჭარას იმიტომ ვერ მიუთითა, რომ საამისო ლეგიტიმური სტატუსი არ ჰქონდა. 25 იანვრის შემდეგ ახალ პრეზიდენტს ხელები გაეხსნება და „ურთიერთობა თბილისსა და ბათუმს შორის საბოლოოდ გაირკვევა“.

***უტრო რუ***


# ჯადოსნური კუპონი



„ბუთქუნას და მეგობრების“ ბოლო 6 წიგნის ყველა ეგზემპლარში დევს ჯადოსნური კუპონი ფირმა „თოლიასაგან“. თუ ამ კუპონს წარადგენთ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, საჩუქრად მიიღებთ უგემრიელესი ნამცხვრის, „ზღაპრულის“ ან „ლიმპოპოს“ ერთ შეკვრას.



კუპონების განაღდება ასევე შეიძლება იმ სავაჭრო ობიექტებში, სადაც იყიდება „თოლიას“ ნაწარმი



უფროსებო!
გაახარეთ პატარები!

თან საინტერესო, თან გემრიელი!

წიგნები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში და წიგნის მაღაზიებში

# გილოცავთ ახალ წელს!



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პაცანები გენიოსობენ

პატარა **ლილიკო შარაბიძე** პირს აცმაცუნებს. დედა შეშფოთებული ეკითხება:

— რა გაქვს პირში, ლილიკო?

— ენა, — პასუხობს ლილიკო.

***

პატარა **მარიამ კილასონიამ** გაღვიძებისთანავე ფანჯარაში გაიხედა, დაინახა თოვლჭყაპი და იყვირა: — გაიხედეთ, გარეთ წვნიანი თოვლი მოსულა.

***

სამწლინახევრის **ლერიკო ჭალაგანიძეს** ძალიან მოსწონს ზღაპრების მოსმენა. განსაკუთრებით უყვარს „წითელქუდა“. ამას წინათ, ამ ზღაპრის მორიგი მოსმენისთვის მოემზადა და მოულოდნელად ხვეწნა-მუდარით მიმართა დედას:

— ჩემი დედიკო თუ ხარ, გეხვეწები, არ ჩააცვა, არ გამოაწყო, არ გაუშვა ტყეში ჩემი წითელქუდა... იქ მგელია, მგელი!

**უპასუხე გრაგნილებზე მოცემულ კითხვებს და ჩაწერე ნაძვის ხეზე დაკიდებულ მძივში მოცემული ნუმერაციის მიხედვით, ხოლო ქვემოთ მოცემულ კინოკადრებზე იპოვე 10 განსხვავება.**

1-4. ძლიერი ხე, რომელსაც მუმლი ვერას აკლებს; 1-8. ცბიერი, ვერაგი, მუხთალი; 5-9. ქალის სახელი; 9-13. ცირკის მოედანი; 10-11. ნოტი; 12-15. ცვარი, ანუ...; 14-19. ბედის გამომცნობი, მკითხავი; 16-24. საზოგადოებრივი სისუფთავის დაცვა;

20-23. ხელში სამარი რაიმე იარაღის სახელური; 24-29. უშნოდ მაღალი, აყლაყუდა; 25-27. „ ... ღვთისა და ... ერისაო“; 28-32. ხეშეში, ხმელი, ხამი; 30-36. წახალისება, წაქეზება, ბიძგის მიცემა; 33-36. ქმრის და.







## ანა, გამოიცანი

**1) რას ნიშნავს სიტყვა „ამინ“?**

ა) ღმერთმა ინებოს; ბ) გვფარავდეს ღმერთი; გ) ჭეშმარიტად; დ) ღმერთო, შემეწიე.

**2) რას ამბობენ გაჯიუტებულ ადამიანზე?**

ა) კამეჩზე შეჯდაო; ბ) ჯორზე შეჯდაო; გ) ლომზე შეჯდაო; დ) აქლემზე შეჯდაო.

**3) რა არის იქტიოლოგია?**

ა) იხვების შემსწავლელი მეცნიერება; ბ) მეცნიერება თევზების შესახებ; გ) ქირურგის მეორე სახელწოდება; დ) ცურვის სახეობა.

ბიბლიური მოთხრობა

## იგი იუდეველთა მეფეა

იმ დროს, როდესაც იესო დაიბადა, იერუსალიმში ჰეროდე მეფობდა. მაშინ აღმოსავლეთიდან იერუსალიმს მოვიდნენ მოგვნი (ბრძენი კაცები). მათ იკითხეს: „სად არის იუდეველთა ახალშობილი მეფე? ჩვენ ვიხილეთ, როგორ ამოვიდა მისი ვარსკვლავი. ახლა მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას“.

როდესაც მეფე ჰეროდემ ეს გაიგო, შეძრწუნდა. მასთან ერთად შეძრწუნდა ყველა, ვინც კი იერუსალიმში ცხოვრობდა. ჰეროდემ მოაყვანინა მღვდლები და მოძღვარნი, რომლებიც საღვთო წერილში ერკვეოდნენ. მან იკითხა: „სად დაიბადა მესია, მხსნელი?“ მათ უპასუხეს: „იგი დაიბადება ბეთლემში. ასე თქვა წინასწარმეტყველმა მიქამ: „და შენ ბეთლემ, იუდას ქვეყანაო, არაფრითა ხარ უმცირესი იუდას მთავართა შორის, ვინაიდან შენგან გამოვა ის, რომელიც წარუძღვება და უთავკაცებს ისრაელის ხალხს“.

ჰეროდემ მოგვნი წარგზავნა ბეთლემს: „წადით, მოძებნეთ ბავშვი! როდესაც მას იპოვით, მაცნობეთ, რათა თვითონ მოვიდე და თაყვანი ვცე მას“. როდესაც მოგვნი გზას გაუდგნენ, მათ წინ უძღოდათ ვარსკვლავი, რომელიც აღმოსავლეთით იხილეს. იგი გაჩერდა იმ სახლის თავზე, რომელშიც იესო იყო. მათ მთელი გულით გაიხარეს. შევიდნენ სახლში, იხილეს მარიამი და ყრმა, დაემხნენ მის წინაშე და თაყვანი სცეს მას.

იოანე, მღვდელ ზაქარიასა და მისი ცოლის ელისაბედის ძე, უდაბნოში ცხოვრობდა. როდესაც ღმერთმა მას, როგორც თავის მოციქულს, მოუწოდა, იგი მდინარე იორდანეს მიდამოებისაკენ გაეშურა და ხალხს უთხრა: „მოინანიეთ! შეცვალეთ თქვენი ცხოვრება! მოინათლეთ იორდანეში, რათა ღმერთმა ცოდვები შეგინდოთ“ და იყო ისე, როგორც წერია ესაია წინასწარმეტყველის წიგნში: „ხმა უდაბნოში მღაღადებლისა: გაამზადეთ გზა უფლისა, გაასწორეთ მისი ბილიკნი. ყოველი ხევი ამოივსება, და ველი მთა და ბორცვი დამდაბლდება; მრუდე გასწორდება და ფლატე გავაკდება. და ყოველი ხორცი იხილავს მხსნელობას ღმრთისას“

ბევრი ადამიანი მოდიოდა იოანესთან მდინარე იორდანეზე. ისინი ინათლებოდნენ და ეკითხებოდნენ: „რა ვქნათ? „იოანე ეუბნებოდა: „ვისაც ორი ხელი სამოსი აქვს, მისცეს არმქონეს. ვისაც საჭმელი აქვს, მშიერს გაუნაწილოს“. მებაჟეებს მან უთხრა: „ნურაფერს აიღებთ თქვენთვის დაწესებულზე მეტს“ და ჯარისკაცებს უთხრა: „ნურავის შეავიწროებთ, ნურავის გამოსძალავთ და დასჯერდით საფასურს თქვენსას“.

ბევრს ეგონა, რომ იოანე მესია, მხსნელი იყო. მაგრამ იოანემ მათ უთხრა: „მე გნათლავთ თქვენ მხოლოდ წყლით. ჩემ შემდეგ მოდის ის, ვინც ჩემზე ძლიერია. მე იმისი ღირსიც არა ვარ, რომ შევხსნა მისი ხამლის საკვრელი. ის მოგნათლავთ თქვენ სულიწმიდითა და ცეცხლით“.

*პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე* *გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*


# საუკეთესო ზღაპრები
## +4 გასართობი გვერდი
გამოსულია 40-ზე მეტი ქართული და უცხოური ზღაპარი



ყურადღება!
პატარა მკითხველების თხოვნით, ზღაპარი „სამი გოჭი“ ხელახლა დაისტამბა

ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

# ყველაზე, ყველაზე ძვირად ღირებული...



## სასტუმრო

დუბაის სასტუმრო BURY AL ARAB-ს ხუთი კი არა, 7 ვარსკვლავი აქვს მიკუთვნებული. ამიტომაც ყველაზე დაბალფასიან ნომერში ღამის გატარება 770 დოლარი ღირს, სამეფო აპარტამენტები კი ათჯერ მეტი.

## ნახატი

პიტერ პაულ რუბენსის „ყრმათა გვემა" „სოტბის" აუქციონზე 75 მილიონ დოლარად გაიყიდა.

## განძი

ამერიკელმა მეცნიერებმა ატლანტის ოკეანეში ჩაძირული გემი იპოვეს, რომლის ტრიუმებში აღმოჩნდა ყველაზე ძვირფასი განძი, რომელიც ზღვაოსნობის ისტორიაში ზღვის ფსკერიდან ამოუღიათ.

მკვლევართა მტკიცებით, გემზე, რომელიც 1860 წელსაა აგებული, 180 მლნ დოლარის ოქროს მონეტა უნდა იყოს.

გემი SS.Republic, რომელსაც 59 მგზავრი გადაჰყავდა და ოქროს მონეტები მოჰქონდა ნიუ-იორკიდან ახალ ორლეანში, ქარიშხალმა ჩაძირა ქალაქ სავანის (ჯორჯიის შტატი) რაიონში, 1865 წლის 25 ოქტომბერს.

## სიგარეტი

ზოგჯერ სიგარეტის ნამწვიც კი შეიძლება ოქროსი იყოს. TREASURER-ი („ხაზინადარი") 30 დოლარი ღირს. ამ სიგარეტს ნამდვილი ვირჯინიული თამბაქოთი 100 წლის წინანდელი რეცეპტით ამზადებენ.

## კომპანია

„კოკა-კოლას" საფირმო მარკა 68,9 მლრდ დოლარადაა შეფასებული. ეს კი, სხვათა შორის, მთელი კომპანიის ღირებულების 60%-ია.

## მხატვრული ფილმი

რეჟისორ ჯეიმს კემერონის „ტიტანიკის" გადაღება 200 მლნ დოლარზე მეტი დაჯდა, მაგრამ ფილმმა ხარჯები მთლიანად აანაზღაურა – მან 1 მლრდ-ზე მეტი დოლარი მოაგროვა მსოფლიო გაქირავებაში.



## წიგნი

ლეონარდო და ვინჩის „ტრაქტატი წყალზე, დედამიწასა და ციურ საქმეებზე", რომელიც სარკისებური შრიფტითაა დაბეჭდილი ძვირფას ქაღალდზე, ბილ გეიტსმა 24 მლნ დოლარად იყიდა.

## ფეხსაცმელი

გსურთ თავი იგრძნოთ „ოქროს ანტილოპად" იმავე სახელწოდების მულტფილმიდან, რომელსაც ჩლიქებიდან ოქროს მონეტები სცვივა? ამისთვის უნდა მოიზომოთ იუველირ სტიუარტ ვაიტმანის მიერ დამზადებული 1,6 მლნ ევროდ ღირებული მაშიები. მაშიებს 642 ლალი ამშვენებს.

## თოჯინა

ის, ვინც ამტკიცებს, რომ თოჯინა სათამაშოა და მეტი არაფერი, შეიძლება გაკვირვებულიც კი დარჩეს, როცა გაიგებს, რომ „ბარბი" 100 ათასი დოლარი ღირს — მას აცვია ბრილიანტებით მოოჭვილი კაბა.

## ტელეფილმი

ავსტრიის სატელევიზიო ეკრანებზე გამოვიდა 4-სერიიანი სატელევიზიო ფილმი „ნაპოლეონი". მის გადაღებას 40 მლნ ევრო დასჭირდა და ფრანგი რეჟისორი ივ სიმონო ნახევარი წლის განმავლობაში იღებდა ავსტრიაში, საფრანგეთში, ჩეხეთში, უნგრეთსა და კანადაში. მთავარ როლებს თამაშობენ მსოფლიოს ვარსკვლავები: ჟერარ დეპარდიე, ჯონ მალკოვიჩი და იზაბელა როსელინი. ბატალურ სცენებში, რომლებსაც იღებდნენ უნგრეთში, 10 ათასი ჯარისკაცი მონაწილეობდა.



## ბიუსტჰალტერი

ჩვეულებრივი ქალის აზღუდიც კი შეიძლება ხელოვნების ნიმუშად იქცეს და კარადაში კი არა, სეიფში შეინახონ. ბრილიანტებით მოოჭვილი ბიუსტჰალტერი 12,5 მლნ დოლარი ღირს. გერმანელ ფოტომოდელს, ჰაადი კლუმს, რომელსაც იგი ნიუ-იორკში, მაღალი მოდის ჩვენებაზე უნდა წარედგინა, გაძლიერებული დაცვა ახლდა.

## სადილი

დევიდ აინჰორნმა 250.100 დოლარი გადაიხადა, რათა ესადილა თავის კერპთან — ამერიკელ მილიარდერ უორენ ბატეფთან ერთად. თავად სადილი გაცილებით იაფი დაჯდა.



## კოსტიუმი

თურმე ყველაზე ძვირად ღირებული ტანსაცმელი ზეპურ საზოგადოებაში კი არა, არამედ კოსმოსში „გასასვლელად" იკერება. ამერიკელ ასტრონავტთა კოსტიუმი თითქმის 9 მლნ დოლარი ჯდება.



## მანქანა

სერიული სედან „მაიბახი", რომელსაც კონცერნი „დაიმლერ-კრაისლერი" უშვებს, 360 ათასი ევრო ღირს. „მერსედესი-600" მის გვერდით „ზაპოროჟეცად" მოჩანს.

## კარტოფილი

ჯიში COPI LA BONMOTE, რომელიც საფრანგეთში მოდის, კილოგრამი დაახლოებით 500 ევრო ღირს.

## ქალი

რამდენიმე წლის წინ ჯენიფერ ლოპესმა თავისი სხეული მილიონ დოლარად დააზღვია. მას შემდეგ მან ქმართან გაყრაც მოასწრო, მაგრამ მისმა ყოფილმა მეუღლემ საერთო ქონებიდან დაპირებული ნახევარიც ვერ მიიღო.

## აქცია

ამერიკული საინვესტიციო ფირმის BERKSHIRE HATHAWAY ერთი საბირჟო აქცია 77 ათას დოლარზე მეტი ღირს. კომპანია სხვადასხვა დარგში მუშაობს: საბირჟო ოპერაციებით დაწყებული — ნამცხვრის წარმოებით დამთავრებული. ის არის აგრეთვე „კოკა-კოლას", „ჟილეტის", „ვაშინგტონ პოსტის" თანამფლობელი.

## შეწირულობა

იაპონიის ქალაქ ნარას ბუდისტური ტაძრის ბერებმა ყველაზე დიდი შეწირულობა მიიღეს. ტაძრის ერთ-ერთი დარბაზის შესაწირ ყუთში ნახეს 4,87-კარატიანი საფირონითა და რამდენიმე ბრილიანტით მოოჭვილი ბეჭედი. ძვირფასი ძღვენი ვარდისფერ ქსოვილში იყო გახვეული და ღირებულების აღმნიშვნელი ქაღალდი ჰქონდა მიმაგრებული, რომელზეც ეწერა, რომ მისი ფასი 22 მლნ დოლარია.

## სარეკლამო კამპანია

კორპორაცია „პეპსის" წუთ-ნახევრიანი რგოლი, რომელშიც ბრიტნი სპირსი მონაწილეობდა და ამერიკული ფეხბურთის ჩემპიონატის ფინალისათვის სპეციალურად გადაიღეს, 7,53 მლნ დოლარი დაჯდა. ვარსკვლავის ქონებას კი კიდევ 1 მლნ დოლარი შეემატა.



## ნაძვის ხე

მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი ნაძვის ხე დგას ტოკიოს ერთ-ერთ დახურულ კერძო კლუბში. 6-მეტრიანი ცოცხალი ხე მხოლოდ საგანგებოდ მოწვეულ მდიდარ სტუმრებსა და ჟურნალისტებს უჩვენეს. ნაძვის ხე 11 მლნ დოლარის (1,35 მლრდ იენის) ღირებულების საიუველირო ნაწარმითა და ძვირფასი მაჯის საათებითაა მორთული. ნაძვის ხე შვეიცარიულმა კომპანია Piaget-მა მოკაზმა. კომპანიას ამ გზით სურს გინესის რეკორდების წიგნში შესვლა. სხვათა შორის, შარშანდელი რეკორდიც ამავე ფირმის ჟენევის განყოფილებას ეკუთვნის. საშობაო ნაძვის ხეზე აუარება გამჭვირვალე ბუშტი ჰკიდია და ძვირფასეულობებიც სწორედ მათში დევს. მათ შორისაა 154 მლნ იენად შეფასებული 44-კარატიანი ბრილიანტებით მოოჭვილი მაჯის საათი. კლუბის პატრონები დარწმუნებულები არიან, რომ მათი შეძლებული კლიენტები სიამოვნებით შეიძენენ ნაძვის ხეზე გამოფენილ ძვირფასეულობას.

რ ოცა ბატონი **ზურაბ ქაფიანიძე** ქუჩაში მოდის, დაძახილივით შემოგენთება გულზე კარგი ქართული სიმღერა და, თუ საჭიროა, ხმლის მოქნევაც მოგინდება... იქნებ ივანე კოტორაშვილი გახსენდება და იმიტომაც... ძალიანაც კარგი. ივანე კოტორაშვილივით ძლიერი და კეთილი ბატონი ზურა მართლაც იმსახურებს ამ შეგრძნებას. უყვართ ქართველებს და სიყვარულით რაღას არ ეძახიან — ჩხუბიანიძეს, ქეიფიანიძეს, ჩაფიანიძეს... ოღონდ რას წარმოვიდგენდი, რომ ჩვენი მთასავით ძლიერი არტისტი ოჯახის წევრებისათვის ბიჭუნაა. ამ სახელს დიდი სიყვარულით ეძახიან დები — სხვანაირად არც ახსენებენ. ბატონ ზურას გაეღიმა, ეს რომ ვუთხარი:

— დედაჩემისა და მამაჩემისთვის სულ ბიჭუნა ვიყავი. ეს სახელი მერე სხვებმაც დამიძახეს...

**— დედმამიშვილებში ერთადერთი ვაჟი იყავით?**

— ერთი ძმა ადრე დამეღუპა — 1941 წელს. მაშინ ჩრდილოეთ კავკასიაში ვცხოვრობდით — ჩეჩნეთში. დედა წამოვიდა საქართველოში აკვნის ბავშვით. გზაში მატარებელი გააჩერეს, ხალხი ჩამოსვეს, ჯარისთვის დასჭირდათ თურმე, გაუცივდა ბავშვი და გარდაიცვალა. დავრჩი მე. ჩემი დები ჩემთან შედარებით 14 და მეტი წლით უმცროსები არიან, მაგრამ მაგათთვისაც კი სულ ბიჭუნა ვიყავი.

**— ისე, როგორც ამბობენ, მოჩხუბარი ბიჭუნა გამოდექით...**

— ჩხუბი ხდებოდა თბილისში, მაგრამ მაშინ ჩვენი ქალაქი წესიერი, ვაჟკაცური ქალაქი იყო და თუ ვჩხუბობდით, მხოლოდ ვაჟკაცური წესებით. კაცი რომ წაიქცეოდა, იმას ვინ დაარტყამდა! მიუხედავად რაჭველობისა, ფიცხი ვიყავი. ერთს დავიძახებდი აუჰ-მეთქი და მზად ვიყავი საჩხუბრად. ამის გამო რაღას არ მეძახდნენ: ჩხუბიანიძეს, ცოფიანიძეს... სხვათა შორის, ქეიფიანიძეს და ჩაფიანიძესაც მეძახდნენ.

**— ეს იმიტომ, რომ ჩაფით სვამდით ღვინოს?**

— ჰო, ჩაფით ვსვამდი და იმიტომ. ერთხელ ახალგახსნილ სასტუმრო „ივერიაში“ მომივიდა ჩხუბი. უცხოელებით იყო სავსე რესტორანი. სულ სომხურ სიმღერებს მღეროდნენ. გავაფრთხილე მომღერლები: — ბიჭო, ამდენ სომხურს ნუ მღერით, ქართულიც იმღერეთ-მეთქი. არ მომისმინეს. იმათ რა ენაღვლებოდათ, ფულს ვინც იხდიდა, იმათთვის მღეროდნენ, სულ არ ადარდებდათ, რომ ვიღაც ქართველი „ბიჭუნა“ ქართულ სიმღერებს სთხოვდათ. ავედი მერე და ერთმანეთის მიყოლებით გადმოვყარე მომღერლები... ამის მერე „ივერიელი“ დამარქვეს.

**— ამ სახელებიდან ყველაზე ახლოს რომელს გრძნობთ?**

— მაღალი და დიდი თუ ხარ, აუცილებლად წარმოიდგენენ, რომ დევი უნდა იყო... არადა მე და ჩემი მეგობრები ახლაც „ბიჭოს“ ვეძახით ერთმანეთს.

**— კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“, სადაც თქვენ მუშაობდით, არაერთი კარგი მოგონება დაგიტოვათ. ამბობენ, პროფესიონალიზმის გარდა, იქ მეგობრობასა და სიყვარულსაც სწავლობდნენო.**

— მართალია, ჩემი კოტე დაუშვილი, დოდო აბაშიძე, თენგიზ არჩვაძე, ჩვენი სამსახიობო განყოფილების უფროსი ლილი ხუტაშვილი, ლეილა აბაშიძე, დუდუხანა წეროძე, სესილია თაყაიშვილი... კიდევ ბევრი სხვა დიდებული ადამიანი იყო კინოსტუდიაში. გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ სესილია თაყაიშვილი ჩემი მეგობარი იყო. მეტყოდა ხოლმე: უჩემოდ არსად წახვიდე დასალევადო. ქალბატონო სესილია, როგორ შემოგკადრებთ, მე ხანდახან იმნაირ „ბრადიაგებში“ ვჯდები დასალევად-მეთქი... არა, მეც შენთან ერთად უნდა ვიყოო. საოცარი გულის ქალი იყო. საერთოდ, ჩვენს მეგობარ მანდილოსნებთან სისუფთავეს, დისტანციას და ურთიერთპატივისცემას ყოველთვის ვიცავდით, იმას, რასაც ქართული ადათ-წესები გვასწავლიდა. სხვათა შორის, ამისი კარგი ცოდნა სოფლიდან გამომყვა... „რაჭფილმია“ და არა „ქართული ფილმი“ ეს სტუდიაო, — ვხუმრობდით. დოდო აბაშიძე, კოტე დაუშვილი, ოთარ კობერიძე, თენგიზ არჩვაძე, მე — რაჭველები ვიყავით. მერე

# ჩხუბიანიძეს, ცოფიანიძეს, ქეიფიანიძეს, ჩაფიანიძეს — ერთი კეთილი „ბიჭუნაა...“

## მადლობელი ვარ, რომ კარგ თბილისს ჩამოვუსწარი...

დოდო ჭიჭინაძე გავარაჭველეთ... წავიყვანეთ რაჭაში, მოეწონა ჩემი მშობლები, ბებია-ბაბუა, ხშირად დადიოდა რაჭაში. ჩვენებური ლორი უყვარს. დოდოს საგანგებოდ ვუნახავდით. შოთა მანაგაძე ლეჩხუმელი იყო, ისიც რაჭაში გადმოვწერეთ. კარგი დამოკიდებულება გვქონდა. ამასთან, კინოსტუდია მსახიობობის დიდი სკოლა იყო.

თქვენ არ გეხსომებათ, ალბანელებმა დაიწყეს მსოფლიო მნიშვნელობის ფილმის გადაღება და მთავარი გმირისთვის მსახიობებს ყველა ქვეყანაში ეძებდნენ... ჰოლივუდში ვერ ნახეს, ინგლისში, საფრანგეთში,. იტალიაში, რუსეთში ვერ იპოვნეს... ჩამოვიდნენ საქართველოში და აქ სამი მსახიობი შეარჩიეს. აკაკი ხორავა, სერგო ზაქარიაძე და ვერიკო ანჯაფარიძე. ამას სადღეგრძელოსავით კი არ ვამბობ, შვილო, ფაქტია... გადაიღეს „ალბანეთის დიდი მთავარი“. ალბანეთში დგას უზარმაზარი ძეგლი. აკაკი ხორავა როგორიც იყო ამ ფილმში, ზუსტად ისე გამოაქანდაკეს. საქართველოში თუ კარგად მოძებნე, არაჩვეულებრივ ნიჭს მიაგნებ, რა დარგშიც არ უნდა დაგჭირდეს. აი, პოლიტიკაში არ ეძებენ ნიჭიერებს, ეს არის...



ზურაბ ქაფიანიძე დედასთან ერთად

> დედას უზარმაზარი ნაწნავები ჰქონდა, მუხლებამდე სწვდებოდა... სოფლიდან რომ წამოვედი, დედის ნაწნავი წამოვიღე და პატარა დების ფოსტლები... რომ მომენატრებოდნენ, ვუყურებდი, ფოსტლები საწოლთან მეკიდა...



ზურაბი დებთან და მეუღლესთან ერთად

**— პოლიტიკაზე დღეს არაფერს გკითხავთ... კინოსტუდიაში როცა მიხვედით, თავს უცხოდ ხომ არ გრძნობდით, ვიდრე დაგიმეგობრდებოდნენ?**

> ვერაფერი ვუშველე ჩემს სამშობლოს, უკმეხი კაცი ვარ, არ მიყვარს მოფერება, მაგრამ ერთგული ვარ... რასაც დამავალებ, ჩემი სამშობლოსათვის ყველაფერს გავაკეთებ. თუ ვერ გავაკეთებ, გეტყვი: არ გამომდის-მეთქი.

— აკაკი ხორავამ შვილობილად მიმიღო. მაშინ რანაირი საქართველო იყო, შვილო, იცი? ახლა რომ არიან მამები, ბიძები და მამიდები და თავიანთი შვილებისათვის, ძმიშვილებისათვის შოულობენ ადგილებს სამსახურში, მაშინ ღირსების, მონაცემების მიხედვით გირჩევდნენ. მთავარი იყო, თეატრს გამოდგომოდი. ხმაც უნდა გქონოდა, გარეგნობაც, ნიჭიც. მისაღებ გამოცდებზე თუ ვერ გაამჟღავნებ ნიჭს, მერე ოთხი წელიწადია წინ და გაქვს საშუალება, გამოხატო შენი მონაცემები. მე მიმიღეს თეატრალურ ინსტიტუტში, თორემ რომ არ მიველე, ვერ მოვხვდებოდი... ვერც ქართულს დავწერდი, ვერც რუსულს, როგორც ახლა თქვენ ჩინური არ იცით, ისე არ ვიცოდი რუსული. ოთხი სიტყვა მიკარნახა ბატონმა საშა კიკნაძემ, როგორ დამავიწყდება, 8 შეცდომა დავუშვი. ხორავას ხუთი ხუთიანი ჰქონია დაწერილი ჩემთვის. იგავარაკში, ლექსის წაკითხვაში, მოთხრობის წაკითხვაში, სმენასა და რიტმიკაში. რუსულის გამოცდაზე სამდივნოდან ნიშნების გამოტანა მთხოვეს, მოვიტანე. თურმე იქიდან უნიშნებიათ, ეგ ხორავას უკვე ჯგუფში ჰყავსო. აი, ასე... ხორავამ, შემდეგ აკაკი ვასაძემ, იქონია დიდი გავლენა ჩემზე. ისე გავიხსენი სცენაზე, თვითონაც არ ვიცოდი. მაშინ ასე იყო: თუ თბილისში არ იყავი ჩაწერილი, სამსახურში არ მიგიღებდნენ. დოდო აბაშიძემ ჩამწერა თავის ბინაში. ამასთან დაკავშირებით კოტე დაუშვილმა პურმარილი გაშალა. ესენი რომ ჩემს გვერდით დადგნენ, სირცხვილით რა მექნა, არ ვიცოდი. კინოსტუდიაში რომ მიმიღეს და ჩემი სურათი აკაკი ხორავას, სერგო ზაქარიაძის, ვერიკო ანჯაფარიძის, ლეილა აბაშიძის და სხვების ფოტოების გვერდით დაკიდეს, ორი თვე ვეღარ შევედი მსახიობთა განყოფილებაში. მერიდებოდა, სწორედ მათი შეწევნით კარგად ავუღე ალღო მსახიობობას. კიდევ მეტის გაკეთება შემეძლო, მაგრამ კომუნისტების დრო იყო, მე ვქართველობდი, ეს კი თვალში არ მოსდიოდათ. მაინც მადლობელი ვარ, რომ კარგ თბილისს ჩამოვუსწარი.

**— ვიდრე თბილისში ჩამოხვიდოდით, სოფლად ცხოვრობდით?**

— ძალიან კარგი იყო, რომ აქ ჩამოსვლამდე სოფელში ბევრი რამ ვისწავლე. ბარვა, თოხნა, ტყეში სამასალე ხეების მოჭრა. ერთხელ გაავდრდა: მე და მამა ხის ქვეშ ვისხედით, „ადიალა“ გვეფარა, რომ დაგვეცემოდა წვიმის წვეთი, გაივლიდა ცივად სხეულზე... ასე გაგვითენებია არა ერთი ღამე. სამაგიეროდ, ჯანმრთელები ვიყავით... ულამაზესი ვაჟკაცური საქმეა თიბვა... წავიდოდით მთაში — ხიხამთა გვქონდა, მამა გამომიკვერავდა ორ ცელს. მე ყოველთვის წინ მივუძღვებოდი, უკანამ ვერ უნდა აჯობოს წინ მიმავალ მთიბველს, თორემ ჩამოიტოვებს. ვპირველობდი, მიხაროდა. მიმაგრდებოდა მკლავი, სხეული, ვვაჟკაცდებოდი. დიდი სიკეთე მომცა სოფელმა. მან მაზიარა იმ ტრადიციებს, რაც ოდითგან მოგვდგამდა, ახლა აღარ არის... ნაკიეთში, ჩემს სოფელში, ბავშვი რომ იყავი, სუყველას ბავშვი იყავი, დააშავებდი, ვინც შეესწრებოდა, დაგტუქსავდა. კარგ საქმეს გააკეთებდი, შეგაქებდნენ. იქ სხვისი შვილი არ არსებობდა! ცოტაა ასეთი შეგრძნება?! ბებია მყავდა ჩალაძე... სადაც არ უნდა შემხვედროდა ჩალაძის გოგონა, არ შეიძლებოდა შემყვარებოდა. სხვათა შორის, ერთი ჩალაძის გოგო მართლა შემიყვარდა. არც მითქვამს არასოდეს, ორმოცი წლის შემდეგ შემხვდა ის ქალი, უკვე დაოჯახებული. ვუთხარი: იცი, როგორ მიყვარდი-მეთქი? ვიცი, გატყობდიო. დედა ხიდეშელი მყავდა, არც ხიდეშელი შეიძლებოდა შემყვარებოდა. ბებიის სიყვარულის გამო, დედის სიყვარულის გამო არ შეიძლებოდა შეგვებღალა გვარი... რაც სოფელმა, დედ-მამამ, ბებია-ბაბუამ გამომატანა კაცური, ვერსად ვისწავლიდი სხვაგან.

**— დედა განსაკუთრებით გყვარებიათ. სოფლიდან რომ ჩამოხვედით, განსაკუთრებული რელიკვიაც ჩამოგიტანიათ დედის სახსოვრად...**

— დედას უზარმაზარი ნაწნავები ჰქონდა, მუხლებამდე სწვდებოდა... დედის ნაწნავი ჩამოვიტანე და პატარა დების ფოსტლები... რომ მომენატრებოდნენ, ვუყურებდი, ფოსტლები საწოლთან მეკიდა...

**— დარწმუნებული ვარ, ბევრი ვერც წარმოიდგენდა, რომ თქვენში ასეთი სინაზეა... პირველი იის ამოსვლა თუ გიხაროდათ გაზაფხულზე?**

— დედას უყვარდა ყვავილები. ია რომ ამოვიდოდა და კაწალ-კუწულა (ასე ყოჩივარდებს ვეძახდით), აუცილებლად დავუკრეფდი და ბღუჯად მიმქონდა ხოლმე... თან ვარსენაობდით, ვგიორგისააკაძეობდით... ეს ერთმანეთს სულაც არ უშლის, ყვავილიც უნდა გიყვარდეს, ხმალიც...

**— დაგიკლავთ რამე სოფელში?**

— არა... უარს ვამბობდი. ერთხელ ქათამი დავკალი, მაგრამ მერე აღარაფერს წავკარებივარ...

**— თქვენი გაზრდილი თუ გყავდათ რამე?**

— ძაღლი — ბეხია ერქვა. მე და ის რომ ჭიდაობას დავიწყებდით, ხალხი კიოდა, — არიქა, დახოცეს ერთმანეთიო. დიდი ძაღლი იყო. მე მაისურის ამარა ვეჭიდებოდი. მკლავში ჩამავლებდა პირს, მიმათრევდა, რომ გამიშვებდა, ერთი ნაკაწრიც არ მრჩებოდა, არაფრით არ მატკენდა, ღონიერი ძაღლი იყო... მამა კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. ცოფი გავრცელდა და გამოსულა განკარგულება, ყველა ძაღლი დავხოცოთო. მე ბიძასთან გამიშვა. მამას ჯერ თავისი ძაღლი უნდა მოეკლა, სამაგალითოდ. დავბრუნდი, მაჩვენეს ბეხია მკვდარი, სასაფლაოც გავუკეთე. ის ადგილი ახლა გადასწორებულია, მაგრამ მივაგნებ... რიონის პირზე, ჭალაში...

**— ამ ამბებს რომ მიყვებით, სამწუხაროა, მკითხველებს არ შეუძლია თქვენი გამომეტყველების დანახვა... როგორი გამომეტყველება გაქვთ.**

— აბა, იცი, სოფელი მაქვს, ნაკიეთი. იქაურები ამბობდნენ, ჩვენ იმ ქვეყნიდან ვართ, სადაც საფქვავი ცოტაა, წისქვილი — ბევრიო. ასე იყო მთელი რაჭა... რა იყო, იცი? ჩვენ ხომ მთის მდინარეები გვაქვს. მარტო ჩემი სახლის აყოლებაზე ათი წისქვილი მაინც იყო... V კლასიდან X კლასამდე პირი არ დამიბანია, იმიტომ, რომ დილით საბანაოდ გამოვდიოდი, ზამთარ-ზაფხულ, ყინვაშიც, ოჟამურშიც, წისქვილის შხიმში ვბანაობდი. რა სიცივე, რის სიცივე... სიცივეს საერთოდ ვერ ვგრძნობდი.

**— ასეთ შრომას მიჩვეულს, თეატრი როგორ შეგიყვარდათ?**

— დრამწრე გვქონდა სკოლაში...

**— გიგა ჯაფარიძის ხომ არა?**

— არა, აცხონოს ღმერთმა გიგა ჯაფარიძე, მაქამდე ვინ მიგვიშვებდა?! ჩვენ „კაკო ყაჩაღი“ დავდგით. კაკოს ვთამაშობდი... მაშინ ჩავიდე გულში არტისტობის სიყვარული. მათემატიკაც მიყვარდა, ქართული — თავისთავად...

**— კიდევ რა გიყვარდათ?**

— ცხენის ჭენება. ცხენი მხოლოდ მამას ჰყავდა ჩემს სოფელში, რომ მოვიდოდა ღამით, ბოსლიდან ჩუმად გამოვიყვანდი და სოფლიდან მოშორებით, აღმა-დაღმა დავაჭენებდი. ძალიან მიყვარდა ის ცხენი, კუკურა ერქვა... ხილი რომ შემოვიდოდა, ვიპარავდით ბავშვები, კიტრს ვიპარავდით,. ოღონდ კერძოს არ ვპარავდით, კოლმეურნეობის ბაღში შევდიოდით. ბაღი არ ჰქონდა კოლმეურნეობას და კერძოსა ვჭამდით... ოღონდ, წესიერად უნდა ავსულიყავით, ტოტები არ უნდა დაგვემტვრია.

**— წინაპრებისგან რაიმე რელიკვია არ დაგრჩათ?**

— ხმალი და ჭურჭელი... ბაბუაჩემი ექვთიმე, ხმალსაც ატარებდა, ხანჯალსაც, მერე მამას დარჩა... მამა რომ მოხრიდა, წვერსა და ტარს ერთმანეთთან მიიტანდა.

**— მამას ჰგავხართ გარეგნობით?**

— არა, დედას. დედა მაღალი ქალი იყო, მამა — შუა ტანისა, მაგრამ შეუპოვარი და უტეხი კაცი იყო. ზემო რაჭაში განთქმული, როგორც კარგი ვაჟკაცი, სმაში, შრომაში, ჩხუბში...

**— მარტოობას ხომ არ გრძნობთ, იმ სამყაროს რომ მოსწყდით, რაც ნაკიეთში გქონდათ?**

— არა, რატომ, დები მყავს, შვილები, შვილიშვილები... შვილიშვილი საოცარი ნაწილია სიცოცხლის, მაგას ვერ აგიხსნი, უნდა გამოსცადო. მარტო რად ვიქნები, საფიქრალი მაქვს... მინდა IX კლასის სახელმძღვანელო დავწერო ქართულ ასომთავრულზე. საოცარი სიმდიდრეა, შვილო, ანბანში... პირველი ცივილიზაცია — შუმერული — ჩვენი ცივილიზაციის საფუძველია... ბევრ რამეს მივაკვლიე... აღარც ხეთებმა იციან, აღარც ქართველებმა, ვინ ვინ ვართ, აღარც კაბადოკიელებმა იციან, რომ ჩვენი ნათესავები არიან. ისპობენ ენას ჭანები, ლაზები, ხეთები და რაღაც სელჩუკურ ენაზე ლაპარაკობენ. იცი, რამდენია ისტორიაში საკვლევი? ვის უნდა ეს? აქამდე არავის უნდოდა. არადა, თუ სახელმწიფო გვინდა, ისტორიაც უნდა გვინდოდეს.

**— როცა ძალიან იღლებით, ძალას რა გაძლევთ?**

— ღვინო. ეს ღმერთების გაჩენილი და ქართველების სახელგანთქმული სითხეა. ღვინო და ვაზი გაიგივებულია ქართველთან. ლხინია, ჭირია — უღვინოდ არ შეიძლება.

ვითომ დამოუკიდებელი რაც გახდა საქართველო, ტკივილისა და წყენის მეტი არაფერი არ მიგრძნია. სამშობლოს ძალიან განვიცდი. ამას შენი პრესის გულისთვის კი არ ვამბობ... ვერაფერი ვუშველე ჩემს სამშობლოს, უკმეხი კაცი ვარ, არ მიყვარს მოფერება, მაგრამ ერთგული ვარ... რასაც დამავალებ, ჩემი სამშობლოსათვის ყველაფერს გავაკეთებ. თუ ვერ გავაკეთებ, გეტყვი: არ გამომდის-მეთქი.

საქართველოზე სულ ვფიქრობ... კიდევ ვიფიქრებ. ღმერთმა ნუ ქნას სხვანაირად...

**ლელა ჯიყაშვილი**

CMYK

# სკანვორდი ფრაგმენტებით





- სამკურნალო მცენარე
- დიდი საზეიმო კონცერტი
- ბასკი ეროვნების მოდელიერი
- პერსონაჟი ვერდის ოპერიდან „აიდა“
- სახ. მდივანი აშშ-ში 1996-2000 წ.წ.
- ... ალე იმნ ხინა
- „დაისი“ პერსონაჟი
- იტალიელი თოვლის პაპა ... ნატალე
- ფერარი, ბეარზოტი
- სტალონეს მეტსახელი
- გაფუჭებული კვერცხი
- მარსელ მარსოს ამპლუა
- კანის დეფექტი
- კროუფორდის სახეზე
- ქოქოსის ნუგბარი
- რუგბის კარგად მოთამაშე კუნძულოვანი სახელმწიფო
- ინდოეთის დედაქალაქი
- ჰერას მერე შერისხული ქურუმი ქალი
- ქუთაისი ძველად
- საუკეთესო უნგრული ღვინო
- ამერიკელი მსახიობი ... რივზი
- მაგარი ქანის ნატეხი
- მდინარე აღმოსავლეთ ციმბირში
- „მე-4 მალა“ (ფინელი მწერალი)
- ძვ. ფრანგული ხურდა ფული
- კამათელი
- ლორდის მეუღლე
- ერთ ჯერზე მისაღები წამლის რაოდენობა
- განის დედაქალაქი
- ნული რულეტზე
- ატმოსფეროს მდგომარეობა გარკვეულ ადგილზე
- ბავშვური, მიამიტური მხატვრობა
- გამოდნობით მიღებული ოქროს ნაჭერი
- სხვისი შვილის გამზრდელი
- „პიქურა თბილისზე“ (ბერძენი შემსრულებელი)
- ქართ. მწერალი ... ველაშვილი
- ქალაქი საქართველოში
- ოპერა „ფაუსტის“ ავტორი
- ქართველთა განმანათლებელი
- გერმანელი მწერალი ძმები
- 1/1000 კილოგრამი
- ვინეტუზე შექმნ. რომანების ავტორი
- დიდი ლიტერატურული ნაწარმოები
- მამაკაცის სასიმღერო ხმა
- დუმბაძის პერსონაჟი
- გამარჯვების ბერძნული ქალღმერთი
- თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი
- ვალსი, რუმბა, ტანგო,
- ხვრელი თვალის ფერად გარსში
- ჰერის დედაქალაქი
- მერიმეს ნოველა
- სირანო ... ბერჟერაკი
- დედამიწის ზედაპირის შემცირებული ნახაზი
- ტროპიკული ხილი
- ინგლისელი კომიკოსი ... ჰილი
- ხის ფეხსაცმელი
- კიპლინგის პერსონაჟი
- კუნძული წყნარ ოკეანეში
- თაქთაქიშვილის ოპერა
- ვივიენ ...
- „ბრძენი ფრინველი“ კომში
- უნივერსალური მანტრა
- გრეის ...
- მუსლიმანთა წიგნი
- ვოლტერის ნამდვილი გვარი
- კარპატელი მწყემსების ჩასაბერი საკრავი
- ამურის სამიზნე







**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. სტალონე; 2. არამისი; 3. გი; 4. მენტორი; 5. ტორი; 6. ანარქია; 7. ბე; 8. „სალამბო“; 9. ავი; 10. ნევა; 11. რეინო; 12. კიი; 13. იბერი; 14. ბერი; 15. ერი; 16. ლიოტარი; 17. როტვაილერი; 18. ფლო; 19. სუ; 20. ახსნა; 21. სიფთა; 22. სონატა; 23. დაცინვა; 24. ზაალე; 25. ვაზა; 26. ვიაგრა; 27. ტრენე; 28. ალსუ; 29. ნონა; 30. ფინტი; 31. ყულაბა; 32. რკონი; 33. ლემიე; 34. ჭიანური; 35. ბისტრო; 36. გალენი; 37. კახეთი; 38. ჭია; 39. დუ; 40. ფიაკრი; 41. დი; 42. ედი; 43. ფარია; 44. ბურა; 45. ბოი; 46. კოსტავა; 47. ვიოლინო; 48. „ისი“; 49. დუტა; 50. იუნგა; 51. ბიო; 52. რაგუ; 53. ღვინო; 54. ნო; 55. რაუნდი; 56. მანგო; 57. ნერონი; 58. ნოე; 59. მანჩესტერი; 60. იორღა.

1. ჩემსავით თუ გადახტები; 2. ფორსირება; 3. ლენონის მილიონ ფუნტად ღირებული ნივთი; 4. მშრალი საუზმე; 5. მსუნაგი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანმიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ.**
**ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

შეადგინა რამაზ ალანია

# იცოცხლეთ, რამდონიც არ მოგწყინდებათ!..



რაც არ უნდა მშრალი იყოს ზამთარი, ძველით ახალ წელს მაინც გათოვდებაო, — ამბობენ გურიაში და მართლებიც არიან — 13 იანვრის ღამეს ყოველთვის თოვს, — დგება ნამდვილი ახალი წელი — კალანდა...

მთებს ჩახუტებულ პატარა გურიაში კალანდა ჩიჩილაკთან ერთად შემოდის... ბედნიერი ახალი წლის იმედით გათლილ ჩიჩილაკს ტკბილი სურნელი ასდის და სახლში დედოფალივით დგას. გურიაში ადრე საკალანდო მზადება შობის დღიდან იწყებოდა — ოჯახს სუფრაზე გამოჰქონდა საუკეთესო, რაც გააჩნდა. შობის სიხარულს ახალი წლის სიხარული აგრძელებდა კრიმანჭულითა და გადაპატიჟებ-გადმოპატიჟებით. დღესაც ნამდვილი ახალი წელი გურულებისთვის — კალანდაა. მართალია, ახლით ახალ წელს ინდაურის საცივის გარეშე არ ითენებენ, მაგრამ ღორის თავს საკალანდოდ ხარშავენ და საგანგებოდ შენახული ადესაც იმ ღამით გამოაქვთ სუფრაზე.

ვიდრე კალანდობის ღამე შემოვა, წინასწარ, საცეცხლედ ცხემლას შეათვალიერებენ და 13 იანვრის ღამეს (ძველი სტილით 31 დეკემბერს) დაჭრილსა და ტყის სუნადენილს ბუხარში შეუძახებენ. სანამ 12 საათზე თოფების გამაყრუებელი ბათქაბუთქი არ ამტყდარა, სოფელში მხოლოდ ძაღლების ყეფა, შეშის ტკაცუნი ისმის...

შემოდის კალანდა:

**ნათელა ჯინჭარაძე:** — ბუკისციხელმა ჯინჭარაძეებმა რძლად რომ მომიყვანეს, იმ წელიწადს კალანდობა ღამეს სოფელში იმფერი სროლა ატყდა, მეგონა, მთა ჩამეინგრამეთქი. ჯერ ჩვენი ოჯახის ბაბუა გევიდა გარეთ, გეიტანა თოფი და დაცალა. იმ წამში გალმა გორიდანაც გამეეპასუხა ვინცხა და შეიქნა გადაძახილ-გადმოძახილი...

სროლა რომ ჩაწყნარდა, რაფერც წესი იყო — ჩემი ქმრის ბებიამ გამეიტანა ნამზითვი ხის გობი, დაალაგა ზედ ღორის თავი, ჯანჯუხა, ნიგოზი, დაანთო ღორის თავზე სანთელი და სამჯერ შემოუარა ტაბლას. ილოცებოდა: ღმერთო ძლიერო, შენ გთხოვ, შენ გევედრები, შენ ამყოფე კარგად და ბედნიერად ჩემი ოჯახი, ყველა მოკეთე და მონათესავე. შეეწიე ყველა ქრისტიანს, ყველა გაჭირვებულს უშველე და მიეხმარეო... ამასობაში, კარზე ბაბუამ დააბრახუნა. რა მოგაქო, — კითხა ბებიამ. ბედნიერება, ოქრო, ვერცხლი, ძროხა და ქათამიო... სამჯერ რომ გეიმეორა ეს, მერე შემოუშვა სახში. შემევიდა ბაბუა და შემოყარა სიმინდის კეკალი და შაქარყინული: — ამდონი სიტკბო, სიმრავლე და სიხარულო გქონოდეთო. მერე ბებიამ „მამაო ჩვენო" თქვა და მხოლოდ ამის შემდეგ მოგვცა სუფრასთან დაჯდომის უფლება. ამით დამთავრდა „შელოცვა საღამო" (ასე ვუძახით კალანდობის წინა საღამოს) და დაიწყო ახალი წელი... ახალი წლის პირველი — კალანდობა დღე — ბედობის დღეია. ამ დღეს კაი ფეხადი უნდა შემევიდეს ოჯახში. ჩვენი ფეხადი ბაბუე იყო. წევიდოდა, გაათევდა მეზობელთან ღამეს და დილით შემეიტანდა ჭიშკარში სიმინდს, ჩევიდოდა საძროხეში და დააპურებდა ყოლიფერს. ბებიე ამბობდა, — მაი ფეხბედნიერი კაცია, ამ წელიწადს ყოლიფერი კაი გვეყოლებაო... მერე მე მაჩუქა ჩემი ქმრის ბებიამ თავისი ნამზითვი გობი და კი ვინახამ დღემდე დიდ განძად. ასე, 100 წლის მაინც იქნება. კალანდობა-ღამე რომ შემოვა, ვაწყობ ზედ ღორის თავს და ტკბილეულობას და ვილოცები ბებიასავით: — უფალო, მშვიდობა მიეცი ამ ახალ წელიწადს ჩემ შვილსა და მომავალს, ჩემ ქვეყანას... გაამრავლე, გაახარე, აცოცხლე და ადღეგრძელე-თქვა.

თქვენც იდღეგრძელეთ და გეიხარეთ. ტკბილად დაბერდით ამ წუთისოფელში...

**ნოდარ თალაკვაძე:** — თუ იცი, შვილო, რეიზა უძახიენ კალანდობას ახალ წელიწადს? იმიზა, რომე ახალი წლის კალენდარი იწყება ამ დღიდან. კალანდობა მარტო ძველი წლის გაცილება და ახლის შეხვედრა კი არ არის, ამ დღეს ანგარიშს აბარებს კაცი ძველ წელიწადს — ამდენი და ამდენი ფუთი სიმინდი, ლობიე და ღვინო მევიწიე, ასე და ასე ვიშრომე და ვიყოჩაღეო...

72 წლის კაცი ვარ და კიდო მიხარია კალანდობა. კალანდობა-საღამოს ოზურგეთში, ჩემ სოფელ ვანისქედში „ცხემლისჭრა საღამოს" ვუძახოდით. ძველით ახალი წელიწადი რომ დგება, ახლაც ვჭრი ცხემლას, ვდობ ბუხარში და ვაგუზგუზებ... ჩემ ბაღნობაში ეილებდენ ცხემლის ნიგუზალს, ურტყამდენ ერთმანეთს და ნაპერწკალი რომ დაცვივოდა, ზედ აყოლებდენ: ღმერთო, ამდენი და ამდენი ღორი, ძროხა, ქათამი მოგვეციო... ცხემლა მაგარგულიანი ხეა, კაი ნაკვერჩხალი იცის. ადრე გაჭირვება რომ იყო, წავაფარებდით ნაცარს ნაკვერჩხალს, ვინახავდით დილისთვის და ვუმღეროდით:

— ცეცხლო, ელოდე, მელოდე, მთვარეს ელოდე, მზეს ელოდე, დილას ადრე ავმდგარიყავი, დოჩხაურას დამხვდებოდი... ჰოდა, იმას ვამბობდი... რომ აგუზგუზდებოდა ეს ცხემლა და გახდებოდა ღამის 12 საათი, გამეიტანდა ყველა თოფს და ულაპარაკოდ სროლილობდა. მერე ოჯახის კაცს ხის გობზე დაუდებდენ კურკანტელით და ანთებული სანთლებით მოკაზმულ ღორის თავს, თაფლს, ნიგოზს, ღომის თაველს (ღომიც მოყავდათ მაშვინ გურიაში. ციყვის კუდი რომაა, ე, იმფერი ფუმფულა თაველი აქ ღომს) და ასე გაბდღიალებული გობით ოჯახის უფროსი ჯერ სამჯერ შომოუვლიდა სახლს და მერე კარზე დააკაკუნებდა. ეტყოდნენ, რა მოგაქო? — ხვავი, ბარაქა, სიკეთე და ჯანმრთელობაო, უპასუხებდა. გოუღებდენ კარებს და შემოყრიდა ფულებს (ახლა ჩემი შვილიშვილები გვიყრიან ახალ წელს მე და ჩემს ცოლს კანფეტებს) და ილოცებოდა... ეს დღე ბედობის დღეია. თუ იმ დღეს რაიმე ახლის შემოტანას და შემომატებას დააბედებ ოჯახს, ხომ კაი, თვარა, ისე უნდა დალოცო... ჰოდა, ბიძაშვილი მყავს, პაპუნა თალაკვაძე, იმას კიდო მეზობელი ყავს აჭარელი. ეილო იმ აჭარელმა ბედობა დღეს კაკალი და სანამ გატეხავდა, თქვა: ღმერთო, ჩემი ოჯახი ამ ახალ წელიწადს ასე გამეიპრანჭევიო — ვითომ ასე აავსეო. მერე გატეხა იი კაკალი და ფუტურე არ გამოდგა?! გადირია კაცი. იმ წელიწადს დარდით კილამ მოკვტა, მარა არ გაჭირვებია, არ დამართია გლახა აჟერი. სულ ილოცებოდა, ღმერთო, მაპატიე, ასე რომ გთხოვეო... ჰოდა, მეც გოუჭირვებელი ახალი წელიწადი მინდა ჩემი ხალხიზა... სიამტკბილობა გქონებოდეთ, აშენდით, გამრავლდით და ყოლიფერი კაი მოგცათ ღმერთმა — პური, ღვინო, სტუმარი, სიხარული და სიცოცხლე. სიყვარული გქონებოდეთ ერთმანეთის და დაფასება... იცოცხლეთ იმდენი წელი, რამდონიც არ მოგწყინდებოდეთ!..

***ეთერ ერაძე***

# ბედნიერ ზომხას გისურვებთ!..

ძველით ახალი წლის შეხვედრა განსაკუთრებით სოფლად არის კარგი. მაშინაც კი, როცა ათეისტურ-კომუნისტური სახელმწიფო მხოლოდ ერთ ახალ წელს აღნიშნავდა და აღიარებდა, საქართველოს სოფლებში ძველით ახალ წელს გაცილებით უფრო მომზადებულები ხვდებოდნენ. ასე ყოფილა ოდითგან სვანეთშიც.

— ჩვენი ახალი წელი ზომხაა, — მითხრა ოსანა ბებიამ და კარადიდან საგანგებოდ თეთრ ტილოში შეხვეული თხილისა და გოგრის თესლის ჩურჩხელები გამოალაგა, — უწინაც ასე იყო, შეიკრიბებოდნენ ოჯახის წევრები და 13 იანვარს აღნიშნავდნენ ზომხას, 31 დეკემბერს კი არა... აი, ნახავთ, როგორი ახალი წელი ვიცით სვანებმა და არასოდეს სხვაგან აღარ შეხვდებით ზომხას, ყოველთვის ჩვენთან ამოხვალთ...

— ამოსვლით როგორ არ ამოვალთ, მაგრამ თოვლისა და ზვავის გვეშინია, — მივუგეთ.

ოსანა ბებიამ გაკვირვებულმა შემოგვხედა.

— ასეთი ახალგაზრდები და მშიშრები ყოფილხართ! თოვლს შიში რად უნდა, თოვლს უნდა ხელში ნიჩაბი და ფრთხილი სიარული. ისეთ ადგილებში არც გაგიშვებთ, ზვავი რომ ჩამოდის ხოლმე... ჩვენ აქ არ ვართ!

საახალწლო სუფრას არაფერი აკლია: ხბოს ხორცი და თონეში შემწვარი გოჭები, დედლის საცივი და კუბდარები, ხაჭაპურები, ღორის ხორცის მწვადი... დანარჩენი — თანამედროვე ნუგბარია, ყველგან რომ შეხვდები, მთაშიც და ბარშიც.

მახვშის ხის სავარძელში ოჯახის უფროსი ჩაბრძანდა, ვიდრე მან ხელში ჭიქა არ აიღო და სვანური დალოცვა არ წარმოთქვა, სუფრას არავინ მიჰკარებია. როცა უფროსმა სასმისი შესვა, ახლა სხვა მამაკაცებმაც აუბეს მხარი... შემდეგ ბავშვებმა მიირბინეს სუფრასთან, ტკბილეული დაინაწილეს.

ოსანა ბებიამ ჩვენთვის მოიცალა, ახლოს ჩამოგვიჯდა და გვითხრა:

— მიირთვით შვილებო, ყველაფერი ნატურალური და კარგია, ყველაფერი ჩვენი ხელითაა მოყვანილი და გაზრდილი...

— თბილისელები რომ ქიმიით გაჟღენთილ საკვებს მიირთმევთ, ის არ გეგონოთ.

გაგვეღიმა.

— ნუ გეცინებათ, — გვითხრა ბატონმა ჭიჭიკომ, რომელიც განსაკუთრებით საპატიო ადგილას დასვეს, როგორც უხუცესი სტუმარი, — ჩემს სიჭაბუკეში დათვი ემტერებოდა ყანას, დამწიფდებოდა თუ არა სიმინდი, დაერეოდა ტაროებს და ერთიანად ანადგურებდა. როცა პირველად კომუნისტებმა სასუქი შემოიტანეს და ყანაში დავყარეთ, იმ წელს დათვი აღარ შესულა, მიხვდა, სასუქიანი სიმინდი არ ვარგოდა. დათვი მიხვდა და ჩვენ ვერ მივხვდებოდით?! ის იყო და ის, ავკრძალეთ სასუქის ხმარება, რასაც ხედავ, ყველაფერი ღვთით ნაბოძები სიკეთეა, მიირთვით, შეგერგებათ...

სამი ჭიქის შემდეგ სვანები ფეხზე ადგნენ და ლილეო შემოსძახეს. თითქოს იმ თოვლიან, სუსხიან ღამეს დიდი მზე ამობრწყინდა ცაზე, სულში სითბო ჩაგვეღვარა.

მასპინძლის 4 წლის შვილიშვილიც მღეროდა.

— რა კარგია, „ლილეო" რომ იცი, — მოვეფერე პატარას.

— ლილეოც ვიცი, მირანგულაც, ბუბას გიგა ქაქუჩელაც. ბაბუამ მითხრა, ვინც ვაჟკაცურად მოიქცევა და სვანურ სიმღერებსაც ისწავლის, მახვში გახდებაო...

— მახვშობა გინდა?

— მახვშობა ყველაზე მაგარია! — თქვა პატარამ დაბეჯითებით.

— ხვალ, ნაბახუსევს, თაშმუჯაბს და თაშმუტყაბს გაგასინჯებთ, — გვპირდება მასპინძელი, — ეს სვანური კერძებია და ყველით მზადდება.

მალე ოთახში ოსანა ბებია შემოდის და სუფრის თავში განიერ ხონჩას დგამს. ზედ მოხარშული ღორის თავი დევს, პურის ფქვილი ყრია, ფქვილში სხვადასხვა ტკბილეულია არეული: კანფეტები, ვაშლი, ჩურჩხელა... ვაშლში ხურდა ფულია ჩარჭობილი, თავზე ხის ტოტიც ადევს. ეს ყველაფერი სვანებს ოჯახის ბედნიერების, ხვავისა და ბარაქის მომტანად მიაჩნიათ.

ახალი წლის დილას ოჯახის უფროსი ადრიანად დგება, ეს ხონჩა გარეთ გააქვს, იქ, ეზოში, თოვლის გადმოსაბერტყ ნიჩაბს აიღებს და სამჯერ დაარტყამს წრეს სახლს, ბოსელს, ეზო-კარს... შემდეგ შინ შებრუნდება და მეკვლეს დაელოდება...

მთელი საღამო ლხინში გავატარეთ, რახით შემთვრალი მასპინძლები ათას ამბავს გვიყვებიან. საქართველოს სადღეგრძელოს შემდეგ სვანეთს ადღეგრძელებენ.

— ჩვენს კუთხეს გაუმარჯოს. კარგები ვართ, იმიტომ, რომ ერთი პირი გვაქვს სვანებს. ქალმაც, კაცმაც, მოხუცმაც, ბავშვმაც ერთმანეთის გატანა და ფასი იცის.

გამახსენდა ჩვენი ქართული შეძახილი: „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ" და გამეღიმა... მასპინძელმა ცოტა ნაწყენმა გადმომხედა:

— არ გჯერა? ყველა კაცი, ვინც დღეს თავის ადგილზე დარჩა, სახლ-კარი არ მიატოვა და ეშმაკებს არ დაუთმო წინაპართა კერა, კარგი კაცია. მე აქაურ სვანებზე გეუბნები. ბარში ვინ რას აკეთებთ, არ ვიცი...

შევხედე დათოვლილ ბუმბერაზ მთებს, სვანებს, რომლებიც ყოველ დილით შინიდან გამოსულები თავიდან ჭრიან ბილიკს თოვლში, რომ ბოსლამდე ან ფეხსალაგამდე მივიდნენ... მართლა დიდი ვაჟკაცობაა აქ ცხოვრება. აქაურებიც ვაჟკაცები არიან, რა თქმა უნდა!

იმ ღამეს ახმაურებული იყო სოფელი. მართალია, მთაში ბევრი აღარ ჩერდება და სოფლები ცარიელია, ზომხამ თავისი ქნა... იყო სიხარულის შეძახილები, ლხინი, სტუმრობა, თოფის სროლა...

დილით, ეზოში გამოსულები, საკვირველი სურათის მოწმეები გავხდით. მეზობლის 9 წლის ბიჭი ფეხშიშველი გამორბოდა თოვლში.

— არ გცივა? — ვკითხეთ პატარას.



— თოვლი თბილია, თანაც ერთი წუთით გამოვედი, — მხიარულად შემოგვძახა, ქუდი მოიხადა, მაღლა ააგდო, დაიძახა: — ხოჩა ზაიუ აქცაადენა (ახალ წელს გილოცავთო) და გაიქცა.

დალოცვილო, მადლიანო საქართველო, ყველა კუთხეში, ყველა სოფელში, ყველა წყაროს თვალთან, მთაში, ბარში, ყველგან ბედნიერების მომტანი ზომხა დაგდგომოდეს!

***ლელა ჯიყაშვილი***

ეპილაცია
ალექსანდრიტის ლაზერის 2003 წლის აპარატით

სამედიცინო ცენტრი "ექიმი გილი"

ნაოჭების გასწორება
ტუჩების კორექცია
ეპილაცია
მკერდის კორექცია
ლიპოსაქცია
კონტურული მაკიაჟი

- ნებისმიერი ფერის თმებისთვის
- სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
- ჩხვლეტის გარეშე
- უმტკივნეულოდ

საახალწლო ფასდაკლება

ექიმი ქირურგი: გია გვარამია
ლაზეროთერაპევტები: ნია ბალათურია, მარიკა ხოფერია

ქოსტავას ქ.63 ტელ: 212-312, 364-464

## საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

საბერძნეთში დროებით მცხოვრები ქართველები გულითადად გილოცავთ საპრეზიდენტო არჩევნებში ბრწყინვალე გამარჯვებას. გისურვებთ ჯანის სიმრთელეს, მხნეობას, სიძლიერეს. თქვენი პრეზიდენტობის ხანა ყოფილიყოს საქართველოსთვის გაერთიანების, ფიზიკური და ზნეობრივი აღმავლობის დასაწყისი.

დიდი სიყვარულით

მარინა ბაიაშვილი,
დარეჯან ადეიშვილი,
იზოლდა ბაიაშვილი

ათენი, საბერძნეთი, 2004 წლის იანვარი

# 13-დან 19-მდე

## უფროსებისთვის დაწერილი წერილი

# ოჯახის დანგრევა ჩემი ბრალია!...



*ნუცამ წერილი გამოგვიგზავნა, სადაც თავის გულისტკივილზე გვწერდა და როცა დავუკავშირდით, შეხვედრაზეც დაგვთანხმდა.*

*დაბნეული ჩანდა, დიდხანს ვერ იწყებდა საუბარს, ბოლოს დარცხვენილმა მკითხა:*

— იქნებ არც ღირდეს ჩემი ამბის გაზეთში გამოქვეყნება, მაგრამ... რატომ მოგწერეთ იცით? — მინდა უფროსებმა წაიკითხონ და მიხვდნენ, რომ მათი შვილები იმაზე მეტს ხედავენ და ხვდებიან, მათ რომ ვერც წარმოუდგენიათ და, რაც ყველაზე მთავარია, ძალიან განვიცდით სიყალბეს!...

ჩემი მშობლები არც სხვებზე უარესები არიან და არც უკეთესები. ყველას მსგავსად, ისინიც ზოგჯერ კამათობდნენ, ჩვენც გვიბრაზდებოდნენ. უფროსი, 19 წლის და და უმცროსი, 12 წლის ძმა მყავს. ყველაფერი ჩვეულებრივად იყო, სანამ ერთ დღეს სახლში ადრე მოსულმა (შეუძლოდ ვიყავი და მასწავლებელს დავეთხოვე), გასაღებით კარი გავაღე (წესით ამ დროს სახლში არავინ არ უნდა ყოფილიყო) და საძინებელში დედას უცხო მამაკაცთან შევუსწარი... ნანახით გაოგნებული, გარეთ გამოვვარდი და დაღამებამდე ქუჩაში ვიხეტიალე. იყო მომენტი, თავის დახრჩობაც დავაპირე, მაგრამ შემეშინდა, ვერ გავბედე... მერე რა მოხდა? მეგონა სახლში მისულს, გაუბედურებული, თავზე ცაჩამომხობილი დედა დამხვდებოდა. ის კი, საყვედურით შემხვდა: „სად დაეხეტები, რომელი საათიაო?!“... მამამაც კვერი დაუკრა.

ღამე თეთრად გავათენე. კიდევ მქონდა იმედი, რომ დედა ჩემს ოთახში შემოვიდოდა, მომიბოდიშებდა და დამარწმუნებდა, რომ არაფერიც არ მომხდარა, რომ ყველაფერი მომეჩვენა, მაგრამ.... მომდევნო დღეებშიც რომ არაფერი მითხრა, გავღიზიანდი, მამაზეც ვბრაზობდი: „როგორ ვერაფერს ხვდება-მეთქი!“. უხეში გავხდი, მშობლებს ენას ვუბრუნებდი და როცა მამამ ამის გამო შენიშვნა მომცა, თავი ველარ შევიკავე და ყველას გასაგონად ვიყვირე: „შენ რა ხმა გაქვს ამოსაღები, როცა ისიც კი არ იცი, რომ ცოლი გღალატობს და თანაც საკუთარ საძინებელში-მეთქი!“

არასდროს დამავიწყდება მამის გაფითრებული სახე და შეშლილი თვალები, დედის არაფრისმთქმელი გამომეტყველება, ჩემი დის გამყინავი ხმა — „იდიოტოო!“.

მამამ ჩაიცვა და დედას უთხრა გამომყევიო. ისიც მორჩილად გაჰყვა და ორიოდე საათის შემდეგ შინ მარტო დაბრუნდა. შემომხედა და ცივი თვალებით მითხრა: „შე სულელო, გგონია მამაშენმა არ იცოდა, რომ არასოდეს მყვარებია და ვღალატობდი, მაგრამ თვალს ხუჭავდა, ოჯახს თქვენთვის, შვილებისათვის ვინარჩუნებდით... ხომ არ გგონია, ახლა თავის დასახრჩობად წავიდა, თავის საყვარელს მიაკითხა და აღარასოდეს დაბრუნდება. ეს გინდოდა?“

ჩემმა დამ სილა გამაწნა — „სულ ასეთი მეტიჩარა იყავი, შენი გულისთვის ამდენი ვინმე უნდა გაუბედურდესო!“

მამა მართლა წავიდა სახლიდან, უკვე წელიწადზე მეტია თავის ყოფილ საყვარელთან ცხოვრობს და მის შვილს ზრდის. ჩვენ მხოლოდ იმიტომ გვნახულობს, რომ ფული მოგვიტანოს. ვგრძნობ, ჩემთან შეხვედრა განსაკუთრებით უჭირს.

რამდენიმე თვეა დედამაც მიგვატოვა: „რაღაცით ხომ უნდა ვირჩინოთ თავიო?“ და საბერძნეთში წავიდა სამუშაოდ, ვიღაც მოხუცს უვლის თვეში ხუთას დოლარად. როცა ტელეფონზე რეკავს, მაშინაც კი არ მელაპარაკება.

ჩემი და ძმას დედასავით უვლის, მე კი ვგრძნობ, როგორ გამრიყეს ოჯახიდან.

... მერწმუნეთ, მომხდარის გამო ყველაზე მეტად ვიტანჯები, მაგრამ არც ის მესმის, როგორ შეიძლებოდა ღალატით ცხოვრება და თავის დამშვიდება, რომ ვითომ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ნუთუ მართლა ჩვეულებრივი ამბავია ცოლ-ქმრის ღალატი?

*ეს ის შემთხვევაა, როცა დაბნეული ვერაფრით ვამართლებ უფროსების საქციელს და, აქედან გამომდინარე, ვერც სულიერ ტკივილებსა და იმედგაცრუებას ვუმსუბუქებ 15 წლის ნუცას.*

*ეს წერილი ალბათ უფრო უფროსებისთვის მომზადდა. ოჯახი ტაძარივით სუფთა და ხელშეუხები ღირებულებაა, მით უმეტეს, როცა ბავშვები ჩნდებიან და მშობლების ურთიერთობების მიხედვით ეცნობიან საზოგადოებას, სწავლობენ ადამიანურ ღირებულებებს...*

*რა ქნას ნუცამ, რომელიც ერთი შეხედვით არაფერშია დამნაშავე და მაინც დაისაჯა, მარტოდ დარჩენილი კითხვებზე პასუხს ვერ პოულობს, დედ-მამამაც გაქცევით უშველა თავს და... თუმცა, არა მგონია ამით ბედნიერება და სიმშვიდე დაიბრუნონ, მაგრამ...*

*რა ვქნათ, რით ვუშველოთ ნუცას გაბზარულ სულს და... მომავალს?*

**ინგა ჯაყელი**

## საყვარელო „პალიტრავ“! არ ვიცი, როგორ მოვიქცე



**ძვირფასო „კვირის პალიტრის“ რედაქციავ, დიდი მადლობა ასეთი კარგი გაზეთისთვის, მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ და ვიცი, ყოველდღე ასობით წერილს იღებთ, ამიტომ არ გამიკვირდება, თუ ჩემს წერილს უყურადღებოდ დატოვებთ, თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ წაიკითხავთ.**

მე და ანა დიდი ხანია ვმეგობრობთ, ჩვენმა მეგობრობამ ოჯახებიც დააახლოვა. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთი ძალიან გვიყვარს, ბოლო ხანს ანას უცნაურობა დასჩემდა — გამუდმებით ჩემზე ეჭვიანობს. მას ერთი, თვალში საცემი ნაკლი აქვს და როგორც ჩანს, ჰგონია, რომ მას ვჩრდილავ. თითქმის მესმის მისი, თუმცა მეც არა ვარ ისეთი გოგო, ბიჭმა ერთი შეხედვით გონება რომ დაკარგოს. რამდენჯერმე ისე მოხდა, რომ მისმა რჩეულმა თვალი მე დამადგა, მართალია, მე მასთან არაფერი მაკავშირებს, მაგრამ ამ ფაქტმა ანა ძალიან გააღიზიანა და მას მერე, სულ ერთსა და იმავეს მიმეორებს, რომ მახინჯია. ვერაფრით დავარწმუნე, რომ ადამიანში მთავარი გარეგნობა კი არა, შინაგანი სამყაროა. თუმცა ამაზეც აქვს პასუხი: შენით ჯერ გარეგნობით იხიბლებიან და მერე ხასიათითო.

არ ვიცი, როგორ მოვიქცე, არ მინდა ამდენი წლის შემდეგ ასეთი სისულელისთვის დაქალს დავშორდე, მირჩიეთ რამე, თქვენ გარდა რჩევას ვერავის ვკითხავ.

**პატივისცემით ლიკა, 18 წლის, თბილისი**

*ლიკა, როგორც შენი წერილიდან ჩანს, უკვე გადაგიდგამს პირველი ნაბიჯი და მეგობართან გისაუბრია. მაგრამ ეტყობა, შენს გულწრფელობაში მას ეჭვი მაინც შეეპარა. სწორედ ამიტომ ვერ შეძელი მისი გადარწმუნება. იქნებ კიდევ ერთხელ სცადო აუხსნა, რომ ადამიანში ფასეული მხოლოდ და მხოლოდ მისი შინაგანი სამყაროა. მთავარია, გულით ბოღმა არ ატაროს და ცხოვრებას ლაღი და პირნათელი შეეგებოს. დაარწმუნე იმაშიც, რომ დღეს ბიჭები თუ მისი ნაკლის გამო ზურგს აქცევენ, ეს მხოლოდ მათი პრობლემაა. აუცილებლად მოვა დრო და მის ცხოვრებაში გამოჩნდება ადამიანი, რომელიც სწორედ მის ლამაზ ბუნებას და სულის სიმშვენიერეს დაინახავს...*

## მეგონა, ახალ წელს მაინც დაბრუნდებოდა

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ რედაქციაში წერილს გავაგზავნიდი. „კვირის პალიტრას“ აგერ წელიწადზე მეტია, რაც ვკითხულობ. სამხედრო მინდა გამოვიდე. ერთხელ უფროსების საუბარს მოვკარი ყური, თქვენს გაზეთზე ლაპარაკობდნენ, ვიღაცის სტატიას არჩევდნენ, მერე რატომღაც გაზეთი ვიყიდე და რომ აღმოვაჩინე სტატიები სამხედრო თემაზე, მას შემდეგ „კვირის პალიტრის“ მკითხველი გავხდი. რომ გითხრათ, კითხვა ძალიან მიყვარს-მეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ „პალიტრას“ ყოველკვირა ვკითხულობ. ახლა უკვე არა მხოლოდ „სამხედრო თემას“, სხვა გვერდებიც ძალიან მაინტერესებს. „13-დან 19-მდეში“ გოგონას წერილი წავიკითხე და მეც მომინდა ჩემ შესახებ მეთქვა რაღაც. სოფელში ვცხოვრობ, ერთ პატარა სახლში მე, დედა და ბებია. სულ რაღაც ერთი წლის წინ, ჩვენთან მამაც ცხოვრობდა. იყო დრო, ვამაყობდი მისით. რამდენჯერ ბიჭებთან მიტრაბახია, მამაჩემი აფხაზეთში იბრძოდა-მეთქი. სამხედროები რაღაც განსაკუთრებული ადამიანები მეგონა. თუმცა არც დღეს შემცვლია აზრი და ვიცი, სკოლას რომ დავამთავრებ, სამხედრო აკადემიაში ჩავაბარებ. მამა ყოველთვის გმირი იყო ჩემთვის, დღეს კი ჩვენს ოჯახში მას აღარავინ ახსენებს. არასოდეს დამავიწყდება ბებიაჩემის ცრემლიანი თვალები, ხელიდან წავიდა ბიჭიო, რომ თქვა. მაშინ არ ვიცოდი, რომ ამას მამაზე ამბობდა. მერე გვიან გავიგე, როცა მამა სახლიდან წავიდა, თბილისში გადაბარგდა და, რაც ყველაზე საშინელია — ნარკომანი გახდა. დედამ მითხრა, ადრეც, ათასში ერთხელ, წამალს იკეთებდაო, მაგრამ ბოლო ხანს სულ აურიაო. მოსაშორებელი დროზე უნდა მოიშოროოო — მითხრა ბებიამაც. არც ის გვეხმიანება და მეც არ ვიცი, სად ვეძებო. მე კი მამა ძალიან ვაჟკაცური, თბილი მახსოვს, ზოგჯერ ბავშვივით ალალიც... დიდი ხანია, თოვლის ბაბუის აღარ მჯერა, მაგრამ მაინც ველოდი სასწაულს, რომ ამ ახალ წელს, ჩვენი ძაღლი აყეფდებოდა და მამა ეზოში შემოაბიჯებდა. არაფერია, წელს სკოლას დავამთავრებ, თბილისში ჩამოვალ და მოვძებნი. ვიცი, რომ დამინახავს, მომეხვევა და მეტყვის: — წამო, შვილო, სახლში წავიდეთო.

**ალექსანდრე, 17 წლის იმერეთიდან**

## გოგონებო, ბედის დამორჩილება გსურთ? მაშინ...

**ახალი წლის დადგომასთან ერთად გიმძაფრდება ჩანაფიქრის აცხადების სურვილი. შენ გულწრფელად გიყვარს, მაგრამ არ იცი, როგორ „დააჩოქო“ შენი რჩეული. იქნებ ვარსკვლავები დაგეხმარონ და მის შესახებ ბევრი რამ შეიტყო. ისიც გაიგო, როგორ მოიქცე, რომ ოცნება რეალობად აქციო.**



**ვერძი** — *მას ზღვა ენერგია აქვს:*

- აფასებს ენთუზიაზმს და ოპტიმიზმს;
- იმ გოგონებს აღმერთებს, რომლებიც მას კომპლიმენტებს ეუბნებიან.
- თავისუფლება ყველაფერს ურჩევნია;
- მას გულწრფელობა და სიმართლე უყვარს;
- დაიმახსოვრე, არასოდეს მოიმოქმედო ისეთი რამ, რაც მას გააღიზიანებს.



**კურო** — *იგი სერიოზული ბიჭია:*

- მისი იდეალია — კომფორტი და სიმშვიდე;
- ფლირტი აღიზიანებს;
- მას გაწონასწორებული ხასიათის გოგონები მოსწონს;
- არ მისცე საშუალება „ღრმა ძილს მიეცეს“. რამე მოიფიქრე; რომ ხშირად შეაჯანჯღარო.



**ტყუპები** — *მისი შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელია:*

- მისი სტიქიაა — ინტელექტი;
- ვერ იტანს უხეშობას და გულგრილობას;
- თავისუფლება ყველაფერს ურჩევნია;
- ყოველ წუთს ახალი ემოციებით უნდა დატვირთო, თორემ სხვის საძებნელად გაიქცევა.



**კირჩხიბი** — *ნამდვილი რომანტიკოსია:*

- იგი მელანქოლიურია;
- აგრძნობინე, რომ ყველასგან გამორჩეულია;
- აჩვენე, როგორ აფასებ მის ფანტაზიას და რომანტიკულობას;
- იყავი ტაქტიანი;
- ერთი სიტყვით, „მზრუნველი დედა“ გახდი.



**ლომი** — *მუდამ ყურადღების ცენტრში უნდა იყოს:*

- ჯერ საკუთარი თავი დაარწმუნე, რომ დედოფალი ხარ;
- არასოდეს გააკრიტიკო, განრისხებული თავს ვერ აკონტროლებს;
- კომპლიმენტები უთხარი, ისე, სხვათა შორის;
- არასოდეს ეცადო შენს ჭკუაზე გადმოიყვანო.



**ქალწული** — *პრეტენზიულია, ხშირად აუტანელი:*

- ოცნებები მისთვის უცხოა;
- არაფერს გააკეთებს ისე, სარგებელს თუ არ მოელის;
- ხშირად ნუ შეაქებ, თორემ ჩვევად ექცევა;
- პირველი ნაბიჯის გადადგმა ძალიან უჭირს.



**სასწორი** — *კარგი მოსაუბრე და ენამჭევრია:*

- თუ რომელიმე გოგოს გულის მოგება ვერ შეძლო, საშინლად ბრაზდება;
- ეჭვიანობის სცენები არასოდეს მოუწყო;
- მისი მოტყუება თითქმის შეუძლებელია;
- გაუწონასწორებელს ხშირად რჩევის მიცემა სჭირდება.



**მორიელი** — *ძალიან ემოციურია:*

- მასთან მგრძნობიარე უნდა იყო;
- აღფრთოვანებულია დამოუკიდებელი გოგონებით;
- ადვილად მოსაპოვებელი არ იზიდავს, ამიტომ ეცადე, რაც შეიძლება დიდხანს აწვალო;
- მისთვის სასურველ გოგონას მუდამ თვალები უნდა უბრწყინავდეს.



**მშვილდოსანი** — *რისკიანია;*

- იყავი მუდამ მის გვერდით, განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტებში;
- უყვარს ცვლილებები, მაგრამ თავად არასოდეს იცვლის აზრს;
- ბორკილს ნუ დაადებ, დარწმუნებული იყავი, უშენობა მოჰბეზრდება და მალე დაგიბრუნდება;
- შეყვარებულისთვის არაფერი ენანება.



**თხის რქა** — *ძალიან მომთხოვნია:*

- სითბო აკლია და ბედნიერია, თუ მას შენთან მაინც იპოვის;
- ნუ იქნები ბაქია, თხას „დამჯდარი“ გონების გოგონები მოსწონს;
- არასოდეს გაანდო შენი საიდუმლო;
- ყოველთვის სიმართლეს ამბობს და იმავეს მოითხოვს შენგანაც.



**მერწყული** — *კომუნიკაბელურია:*

- საჩუქარივით არის, სულ რაღაც ახალი შემოაქვს შენს ცხოვრებაში;
- ნუ აჩქარდები, ჯერ დააინტერესე;
- ინტრიგაც ძალიან ხიბლავს;
- უყვარს თავისი სასიყვარულო ამბების მოყოლა, ნუ შეიმჩნევ, რომ არ გაინტერესებს.



**თევზები** — *მეოცნებეა:*

- იყავი ნაზი, დელიკატური. იგი მუდამ აღფრთოვანებული უნდა იყოს შენით;
- რომანტიკული საბურველი შემოისხი და ისიც განსაკუთრებული სიყვარულით მოგექცევა;
- არასოდეს გაკიცხო, ძალზე მგრძნობიარეა;
- წაკინკლავებისთანავე ნუ გაიქცევი, ის აუცილებლად დაგიბრუნდება.

**გვერდი მოამზადა ლია იაკობაშვილმა**

C M Y K

# ამ ქვეყნიდან გულნატკენი არ წავალ...

## ანუ პირადი ცხოვრებისა და „ინტიმური სატელეფონო ხაზის“ შესახებ



ქალბატონ დიანას ერთი შვილი ჰყავს, მეუღლეს კარგა ხანია გაშორდა. „ინტიმურ სატელეფონო ხაზზე“ ვმუშაობ და საკმაოდ საინტერესო ადამიანებსაც ვესაუბრებიო, — მითხრა. „საინტერესო ადამიანების“ თემა ბოლოსთვის შემოვინახე და ჯერ პირადი ცხოვრებით დავინტერესდი:

— თბილისში დავიბადე და გავიზარდე. თაყვანისმცემლები მყავდა, მაგრამ გული არავისზე არ მიმდიოდა. რა თქმა უნდა, მომწონდა, როცა განსაკუთრებულ ყურადღებას მაქცევდნენ, სიყვარულსაც მიხსნიდნენ, მაგრამ...

27-ის რომ გავხდი, შინაურები ამიბუნტდნენ: რას ჰქვია, არ გინდა გათხოვება, რას იტყვის ხალხი? ჭორაობას დაიწყებენ, ალბათ შერცხვენილი სახელი აქვს და ამიტომაც ვერ ბედავს გათხოვებას, შენც თავი მოგეჭრება ტყუილუბრალოდ და ჩვენცო. იმდენი ქნეს, „შესაფერისი“ სასიძო გამაცნეს. არ მომეწონა. რაღაც არაბუნებრივად თავაზიანი მეჩვენა. ვაგრძნობინე კიდეც ჩემი განწყობილება. რა თქმა უნდა, ჩემიანებმა რისხვა დამატეხეს თავს, მაგრამ აღარც მე დავიხიე უკან: თუ ძალას დამატანთ, საერთოდ წავალ საქართველოდან-მეთქი. დამითმეს. მერე ჩემმა ბიძაშვილმა თავისი მეგობარი გამაცნო, რომელსაც თურმე შორიდან მოვწონდი. აქაოდა, გავიცანი და კეთილი თვალით შემომხედაო, იმ ბიჭმა ჩემს ბიძაშვილთან შეთანხმებით ჩემი მოტაცება გადაწყვიტა. მომიტაცა და ერთ-ერთ სოფელში მიმიყვანა. წივილ-კივილი არ ამიტეხია, თავს მოვერიე... ჩემმა საქმრომ და მისმა მეგობრებმა იფიქრეს, ბედს შეურიგდაო. სახლში მასპინძელი არ დაგვხვედრია. მივხვდი, ერთ-ერთი თანმხლების აგარაკი იყო. სუფრა გაშალეს. მე დაღლილობა მოვიმიზეზე. მეორე სართულზე ავედი, საძინებელ ოთახში. ზეწრები გადავაბი ერთმანეთს, მოაჯირზე გამოვნასკვე, ამ გზით ეზოში ჩავედი და უკან მოუხედავად გამოვიქეცი. თურმე არმაზში ვიყავი. მთავარ გზაზე გამოვედი. ბედად, თბილისში მომავალმა ვილისმა გამიჩერა... შინ მისულს არ გამკვირვებია ჩვენების სიმშვიდე, თუმცა კი გაოცებულნი მიყურებდნენ. მოვუყევი, რაც გადამხდა და განვაცხადე, ვინც კიდევ ერთხელ მიხსენებს იმის სახელს (ძალად საქმროს ვგულისხმობდი), დავკარგავ-მეთქი. განთიადზე ჩემი ბიძაშვილი მოვარდა — გამოპარულა ის ქაჯი და შინ მოვიდა თუ არაო? ჩემებმა დაამშვიდეს. მერე ჩემი ძმის ნათქვამი გავიგონე: მოვეშვათ, თორემ ისეთი ტიპია, თავს რამეს აუტეხს. თუ არ უნდა გათხოვება, ძალით ხომ არ გავაგდებ შინიდანო. ერთი სიტყვით, კარგა ხნით დაისადგურა სიმშვიდემ ჩემს ოჯახში.

ბოლოს, გამოჩნდა „ახალი სასიძო“. უკვე 32 წლის ვიყავი და რამდენიმე თვის შემდეგ კოტეს წინადადებას დავთანხმდი. მჯეროდა, სიყვარული უთუოდ მოვიდოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. თანაც დრო გადიოდა, შვილი არა და არ მიჩნდებოდა. ექიმებთანაც ვიარე. მამშვიდებდნენ, ჯანმრთელი ხარო და მირჩევდნენ, მეუღლეც მოიყვანეო. ის კი არ მომყვებოდა — სამკურნალო არაფერი მჭირსო. აღარ ვიცოდი, გავშორებოდი თუ ბედს შევრიგებოდი და ბავშვი მეშვილა. სწორედ ამ დროს გავიცანი კაცი, რომელმაც დიდი სიყვარული მაჩუქა. ის ძალზე რომანტიკული პიროვნება იყო. ისეთ სიურპრიზებს მიწყობდა, ისეთ სიტყვებს მეუბნებოდა, როგორიც ან დამსიზმრებია, ან ოცნებაში წარმომისახავს. სამწუხარო ის იყო, რომ ცოლშვილის პატრონი გახლდათ. მე მას ვერაფერს დავაძალებდი. თვითონ უნდა გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. ვატყობდი, ეშინოდა ოჯახის დანგრევის. ამიტომაც რამდენჯერმე ვცადე მასთან ურთიერთობის გაწყვეტა, მაგრამ კინაღამ გაგიჟდა. არ შემეძლო მისი ტანჯვის ყურება, რადგან ძალიან მიყვარდა, თანაც ბავშვს ველოდი მისგან. არც ის შემეძლო, ქმრისთვის თვალში ნაცარი შემეყარა. გადავწყვიტე, გავშორებოდი. გაოგნდა, არ ელოდა ჩემგან ამას. თუ გინდა, წამოგყვები ექიმთან და მეც გავესინჯებიო, — მითხრა. მხოლოდ უშვილობა ეგონა გაშორების მიზეზი. აღარაფერი მითქვამს. არ მინდოდა, იგი, როგორც მამაკაცი, შეურაცხყოფილი დამეტოვებინა, ამიტომაც ვუთხარი, არ მიყვარხარ, თანაც შვილი არ გვყავს და არც გვეყოლება, რადგან მე ვარ უშვილო-მეთქი და წამოვედი. რამდენიმე თვის შემდეგ, როცა გაიგო, ორსულად ვიყავი, მოვიდა და შერიგება მთხოვა. ეგონა, ის იყო მამა. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი და ოფიციალური განქორწინება მოვთხოვე. ალბათ მკაცრად მოვექეცი, მაგრამ რა მექნა, თუკი სულ სხვა მიყვარდა და იმისგან ველოდი შვილს?

ჩემთვის ძვირფას ადამიანს როცა ვუთხარი, ბავშვს ვაჩენ-მეთქი, შეცბა. აღარ იცოდა, რა ეთქვა. განა არ გაუხარდა, მაგრამ დაბნეულობისგან ვერ გამოხატა ეს სიხარული. მისთვის კვლავაც დიდ ბარიერად რჩებოდა ოჯახი. ვერც გავამტყუნებ, რადგან დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა ცოლ-შვილის მიმართ. არაერთხელ უთქვამს: არც კი ვიცი, რა მოვიმიზეზო, რა ვუთხრა ცოლს, რისთვის გშორდებიო. მე ხომ არ ვუკარნახებდი, ვინც უფრო გიყვარს, ის აირჩიე-მეთქი? პირიქით, როგორც გულმა გითხრას, ისე მოიქეცი, თუ გინდა, ნუღარ მნახავ და დავშორდეთ-მეთქი. არადა განშორებაზე ლაპარაკიც აღიზიანებდა. ბოლოს, შევთანხმდით, რომ ბავშვსაც გაუწევდა მამობას და ჩემ გვერდით იქნებოდა ჭირსა თუ ლხინში, ოღონდ ოჯახს შეინარჩუნებდა. მაქსიმალურად ვნიღბავდით ჩვენს ურთიერთობას. ისიც თანდათან დამშვიდდა. კარგ ადგილას მუშაობდა და მართლაც ცივ ნიავს არ მაკარებდა. მიყიდა ოროთახიანი ბინა, გამირემონტა. ახლობლებს სიმართლე არ გავუმჟღავნე, ვუთხარი, რომ ნაქირავებ ბინაში გადავდიოდი საცხოვრებლად. გაუკვირდათ, მაგრამ დიდი წინააღმდეგობა აღარ გამიწიეს. იცოდნენ, მაინც ვერ მაჯობებდნენ. როცა ბიჭი გავაჩინე, ქმარყოფილი მესტუმრა და მთხოვა, მისი გვარით გამეტარებინა ბავშვი. უარი ვუთხარი. ბავშვის მამა დიდგვაროვანი გახლდათ და რატომ მივცემდი სხვის გვარს? ქმარყოფილმაც და ჩემიანებმაც ეს ახირებად ჩამითვალეს და ხელი ჩაიქნიეს. მე კი, ჩემი შვილიანად, ახალ ბინაში ახალი ცხოვრება დავიწყე... სიყვარულსა და ბედნიერებაში გავიდა 2 წელი. ჩვენებს გამოვუტყდი სიმართლეში. აღარაფერი უთქვამთ. „ის“ ისე მიიღეს, როგორც სიძე. როცა მას გავაგებინე, რომ მეორე შვილსაც ველოდი, მითხრა, — ჩვენი სიყვარულის ნაყოფად ერთიც კმარაო... დავყევი მის სურვილს, თუმცა იმ დღიდან რაღაც ბზარი გაუჩნდა ჩვენს სიყვარულს. ადრე ვერ ვგრძნობდი, მაგრამ ბოლოს საკუთარ თავს ვატყობდი, ძალიან მაღიზიანებდა მისი სიფრთხილე. იცით, ვის მაგონებდა? „ძველ ვოდევილებში“ ვასო გოძიაშვილის გმირს, რომელსაც მშვენიერი ქალბატონი ეკითხება: თქვენ შეგიძლიათ ქალის გულისთვის მსხვერპლი გაიღოთ? ის კი პასუხობს: მერე მე არაფერი არ მომივაო? ეგოიზმმა დამრია ხელი. მართალია, ოჯახის მიტოვება არ დამიძალებია, მაგრამ ჩემი სიყვარულის და ბავშვის არსებობის საქვეყნოდ აღიარება მოვთხოვე. კვლავ შეყოყმანდა და სწორედ მაშინ გადავწყვიტე, საბოლოოდ გამეწყვიტა მასთან ურთიერთობა. დიდხანს მთხოვდა შერიგებას. ისიც კი მითხრა, რახან ასე გინდა, გავშორდები ცოლსო, მაგრამ შევატყვე, ამას გულით არ მეუბნებოდა... მას მერე რამდენიმე წელი გავიდა. იგი მოდის ხოლმე, ხშირად მიჰყავს ბავშვი თავისთან. ცოლმა აპატია „ღალატი“, მე კი ვერ დავივიწყე მისი ორმაგი თამაში. მიმაჩნია, რომ სწორად მოვიქეცი, თუმცა ერთადერთი მამაკაცი, რომელიც დღემდე უსაზღვროდ მიყვარს, მხოლოდ ისაა.

**— „ინტიმურ სატელეფონო ხაზზე“ როდის დაიწყეთ მუშაობა?**

— ინგლისური ენის სპეციალისტი ვარ, თუმცა ყოველთვის მაინტერესებდა ფსიქოლოგია და ამ პროფესიასაც დავეუფლე. სოლიდურ ტურისტულ ბიუროში ვმუშაობდი. ერთმა მეგობარმა ინტიმურ სატელეფონო ხაზზე საქმიანობა შემომთავაზა. სიხარულით დავთანხმდი, რადგან „ხაზზე“ მუშაობა გულისხმობდა ფსიქოლოგის ცოდნას, მოთმინების უნარსა და კომპეტენტური რჩევების მიცემას. თავდაპირველად კვირაში 3-ჯერ, საღამოს 7 საათიდან ღამის 12 სთ-მდე ვმუშაობდი. ერთი წელია, რაც მხოლოდ კვირაობით ვმუშაობ საღამოს 8-დან დილის 8 საათამდე. თავიდან ათასი ჯურის უცნაური ადამიანი რეკავდა. ზოგს აშკარად ჰქონდა სექსუალური გადახრა. მე მშვიდად ვუხსნიდი ყოველ მათგანს, რომ ეს არ იყო „სექსი ტელეფონით“. ჩვენი ბიურო მოემსახურებოდა ნებისმიერ გაჭირვებულ ადამიანს, რომელსაც ვერ მოეგვარებინა პირადი პრობლემები, უძნელდებოდა საკუთარ გრძნობებში გარკვევა... ასე თანდათან „გასუფთავდა“ ჩემი კლიენტურა და ახლა მათ იციან, რომ კვირაობით შეუძლიათ დაურეკონ გულშემატკივარ ფსიქოლოგს, შესჩივლონ სატკივარზე და სთხოვონ რჩევა.

**— თქვენი ინკოგნიტო კლიენტებიდან რომელი დაგამახსოვრდათ?**

— მე მათ ყველას კარგად ვცნობ — ისეთი მართლები და ალალები არიან, რომ შინაურებად ვთვლი. ადრე ერთი უცნაური ბიჭი, 19 წლის ბესიკი მირეკავდა. პირველად იმიტომ დარეკა, რომ დეპრესიაში იყო. შეყვარებულმა მიატოვა და რჩევა მთხოვა, როგორ მოქცეულიყო, რათა იმ გოგოს ყურადღება კვლავ მიეპყრო. დავიწყე სატელეფონო ფსიქოსეანსები და იცით, რა მოხდა? ერთი თვის მერე ბესიკმა მითხრა, სიგიჟემდე მიყვარხარო. იძულებული გავხდი, მეთქვა, დედად გერგები, თითქმის შენხელა შვილი მყავს-მეთქი. კარგა ხანს მირეკავდა. მეუბნებოდა, შენი ხმის გაგონება მამშვიდებსო, თან თავის ამბებს მიყვებოდა. ბოლოს, მახარა, — არ მეგონა, თუ ვინმე სერიოზულად კიდევ შემიყვარდებოდაო. მართლაც გამიხარდა და მივულოცე. მას მერე აღარ დაურეკავს. ალბათ ბედნიერი და კმაყოფილია ბედით. უკვე შევეჩვიე, რომ ჩემთან მხოლოდ შეწუხებული და უბედური ადამიანი რეკავს.

კარგა ხანია მირეკავს ერთი მამაკაცი, რომელსაც იმდაგვარი პრობლემა აქვს, როგორიც თავის დროზე ჰქონდა ჩემი შვილის მამას. 47 წლისაა, ჰყავს ცოლ-შვილი, ძალიან უყვარს ერთი გათხოვილი ქალი, მაგრამ ორივეს ოჯახური „ტვირთის“ მოშორება ეძნელება. მართალი გითხრათ, პირველად, ჩემს სიცოცხლეში, რაც ამ სამსახურს შევუდექი, გამიჭირდა მისთვის რჩევის მიცემა... იცით, მათ ახლო (ანუ სქესობრივი) ურთიერთობა არა აქვთ. უყვართ ერთმანეთი და მეტი არაფერი. ხშირად თვე ისე გავა, მხოლოდ ტელეფონით თუ ახერხებენ საუბარს. არადა ზოგჯერ უსაშველოდ, გულის მოწურვამდე ენატრებათ ერთმანეთი. ვურჩიე, გაეგრძელებინა ეს, ერთი შეხედვით, მეგობრული ურთიერთობა. იმედი გამოვთქვი, რომ დრო აჩვენებს ორივეს იმ გრძნობის სიღრმესა და ღირსებებს, რომელიც ახლა აქვთ.

**— თქვენს პირად ცხოვრებაში სიახლე არ არის?**

— ანუ გაინტერესებთ, მყავს თუ არა მეგობარი მამაკაცი? არა, არავინ მყავს...

**— არ გიჭირთ მარტოობა?**

— რატომ მარტოობა? იცით, რა კარგი ვინმე მეზრდება? ჩემს ბიჭს ისეთი ვაჟკაცური თვისებები აქვს, ბევრ ზრდასრულ მამაკაცს შეშურდება. ის ჩემი ყველაზე ერთგული მეგობარია. მასთან უსაზღვროდ ბედნიერი ვარ და კიდევ, ბედნიერი ვარ იმით, რომ ის დიდი სიყვარული, რომელზეც ძალიან დიდხანს ვოცნებობდი, მაინც გამოვცადე და ამ ქვეყნიდან არ წავალ გულნატკენი...

***მარინა ბაბუნაშვილი***

# გამოხმაურება ლელა, გელოდები...

მკითხველის ამ წერილს უკომენტაროდ ვბეჭდავთ და თავადაც მიხვდებით, რატომ...

„კვირის პალიტრა“ გაახაროს ღმერთმა! მართლაც რომ მალამოსავით მომეცხო თქვენი შემოთავაზება — თუ რამე გაწუხებთ, გაგვიზიარეთ, რამენაირად დაგეხმარებითო.

გთხოვთ დამიბეჭდოთ ეს პატარა წერილი-მიმართვა და ყველაზე დიდ დახმარებას გამიწევთ.

„ჩემო ლელა, სხვა გზა აღარ დამიტოვე. მეც ავდექი და ჩემსავით „შერეკილებს“ მივბაძე... გადავწყვიტე, სახალხოდ მოგმართო წერილობით.

შუაღამე გადავიდა უკვე. ყველა მხიარულობს, ზოგსაც ღრმა და მშვიდი ძილით სძინავს. მე კი რა მომასვენებს უშენოდ?

აბა, გაიხსენე ის ლამაზი დრო, როცა ერთად ვიყავით. ნუთუ შეიძლება იმ დღეების დავიწყება? რა მოხდა მერე, თუკი ორ თვეში დაგპირდი დაბრუნებას, მაგრამ ვერ შევძელი და წლამდე დავრჩით უერთმანეთოდ. ხომ გიამბე, რა ფათერაკიც გადამხდა.

უცხო ქვეყანაში არასოდეს არის დაზღვეული კაცი ამდაგვარი რამეებისგან... ვინ შთაგაგონა, რომ გზააბნეული და ზედაპირული ვარ? მიყვარხარ უსაზღვროდ და არასოდეს დავიღლები შენს სიყვარულში.

გეფიცები, არაფერში ვარ დამნაშავე და ნუ შემაქცევ ზურგს, ნუ აჰყვები ბოროტ ენებს. მოდი, შევრიგდეთ და დავანახოთ მთელ ქვეყანას, რომ სიყვარული ყველაფერზე ძლიერია, რომ მისი დამარცხება შეუძლებელია, თანაც იმ ხერხებით, როგორითაც ცდილობენ ჩვენი მტრები. ჰო, მტრები არიან, აბა, რა ჰქვია იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენი დაშორებისთვის ძალღონეს არ იშურებენ?

მაინც დავინდობ მათ, რადგან ისინი შენი „მეგობრები“ და ნათესავები არიან, სახალხოდ არ გამოვაცხადებ მათ ვინაობას და არც მათ საქციელს დავაკონკრეტებ, მაგრამ მინდა, თვალი აგიხილო და გითხრა, — ძალიან ტყუვდები, ჩემო ძვირფასო, იმათ რომ უსმენ და ენდობი.

ერთადერთი, რამაც შეიძლება ჩვენი ურთიერთობა იხსნას, ისევ და ისევ ლამაზი წარსულის გახსენებაა.

განა შეიძლება, რომ მე შენთვის მეღალატა? გახსოვს, რას ვპირდებოდით ერთმანეთს, როცა თბილისის ქუჩებში დილიდან საღამომდე დავეხეტებოდით? მოიშორე ეგ შავი ფიქრები და მიენდე იმას, ვისაც წრფელი გულით უყვარხარ...

*გურამი*“.

მეორე წერილიც:

„მე და ჩემმა მეგობრებმა ძალიან ვიმხიარულეთ, როცა ქმრების „ოინების“ შესახებ წავიკითხეთ. მსგავსი რამ ჩვენც გამოგვიცდია მეუღლეებისგან.

რაც შეეხება შვიდი ბიჭის მამის კურიოზს, ზუსტად იმდაგვარი ამბავი ჩემი მეზობლის ოჯახშიც მოხდა, ოღონდ ჩემი მეზობელი ორი გოგოს მამა გახლდათ. წინასაახალწლოდ კი მესამე გოგო „ბანდეროლით“ გამოუგზავნეს.

ის პატარა გოგონა ახლა მესამე კლასშია და მის გარეშე ცხოვრება ვერც წარმოუდგენიათ მშობლებს...

ძალიან კარგი იქნება, თუ ხშირად დაბეჭდავთ სახალისო ამბებს...

*თქვენი გულშემატკივარი ლეილა და მისი მეგობრები. თბილისი*“.

# კახური ღვინო სჯობს თუ 3 მილიონი?

*მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავს, დევიდ ბექჰემს საშობაო-საახალწლოდ მეუღლის საჩუქრებში 3 მლნ გირვანქა სტერლინგი დაუხარჯავს და ისეთი რაღაცები უყიდია?!. ვიქტორია ადამსი კი უზარმაზარი ბაფთით მორთულ ყუთში ევას სამოსში „გამოწყობილი“ ჩამძვრალა და ძღვნად საკუთარი თავი მიურთმევია ცხოვრების თანამგზავრისათვის. ამ ამბის მოსმენის შემდეგ ძალიან დამაინტერესა, რას ჩუქნიან პოპულარული ქართველები ერთმანეთს, მაგრამ იმდენად უინტერესო პასუხები მივიღე, რომ ძალიან გამიკვირდა. ვიფიქრე, ამ ხალხს ან სიმდიდრის გადასახადების ეშინია(?), ან კიდევ ფანტაზია და სიყვარული არ ჰყოფნით ერთმანეთის საამებლად-მეთქი. ამიტომაც ნაცნობ-მეგობრებს დავუკავშირდი.*

**ელენე (21 წლის):** — დიდი ხანია ვნატრობდი, ნეტავ ლეკვს მაჩუქებდეს ვინმე-მეთქი, მაგრამ დედაჩემის შიშით ამას ვერავინ ბედავდა. მამაჩემს ორიგინალური რამ მოუფიქრებია, წასულა თოვლის ბაბუების ბიუროში და ჩემს სახელზე შეუკვეთავს მასტიფის ლეკვი. გარდა ამისა, დედაჩემისა და ჩემი ძმებისთვისაც შეუკვეთავს მათთვის სანატრელი საჩუქრები. თოვლის ბაბუა ახალი წლის ღამით დატვირთული რომ გვეწვია, დედა სახტად დარჩა. ჯერ ეგონა, თოვლის ბაბუას მისამართი შეეშალა, რადგან ჩვენს ოჯახში უკვე ყველა 20 წელს გადაბიჯებულია. ნირი კი ეცვალა ბურდღუნია ლეკვის დანახვაზე, მაგრამ რაღას იზამდა?



**მაკა (42 წლის):** — ჩემი მეუღლე საახალწლოდ ყოველთვის რაღაცას მჩუქნის. მართალია, ძვირფასს არა, მაგრამ თვითონ ფაქტია სასიამოვნო — ამიტომ ჩემთვის უბრალო ყელსაბამს ბრილიანტის ფასი აქვს. ამ ახალ წელს ულამაზესი ვარდები მომიტანა. მე, იმის მაგივრად, რომ მადლობის ნიშნად მეკოცნა, შემკრთალმა ვკითხე, — რა ხდება, დათო, გადადგომას ხომ არ მთხოვ-მეთქი. კინაღამ სიცილით მოკვდა: — არა, გენაცვალე, ეს თაიგული სიყვარულის ნიშანიაო.

**ლაშა (28 წლის):** — ჩემმა ცოლმა საშობაო-საახალწლოდ მართლა დიდებული საჩუქარი მომიძღვნა — 7 იანვარს, ღამის 3 საათზე მაგარი ბიჭი გამიჩინა და თვალის დახამხამებაში მამად მაქცია. ახლა თავს ვიმტვრევ ფიქრით, რით გადავუხადო „სამაგიერო“. ძმაკაცმა მითხრა — მოდი, ეგ საქმე მომავლისთვის გადადე და ცოლს საჩუქარი გაისად გაუკეთე, თანაც ისე, რომ თვითონაც ჩართე მაგ საქმეში და ახლა თუ ბიჭი გააჩინა, გაისად გოგო გააჩენინე და საჩუქარიც ეგ იქნებაო. კაი იდეაა, მაგრამ რომ არ გამოვიდეს გოგო და ბიჭი გაჩნდეს, მერე ნახე შენ...

**ნატალია (48 წლის):** — შვილმა მაჩუქა საახალწლოდ მაგარი სარეცხი მანქანა. იცით როგორია? თუ გინდა ფეხი ფეხზე გადაიდე და ხელს ნუ გაანძრევ. ყველაფერს თავისით აკეთებს. ახალი წლის დილას შვილიშვილმა გამაღვიძა — ბებო, თოვლის ბაბუას შენთვის საჩუქარი დაუტოვებია აბაზანაშიო. ძალით წამომაგდო ლოგინიდან და აბაზანაში სარეცხი მანქანა რომ დავინახე, კინაღამ გული წამივიდა სიხარულისაგან...

**დათო (42 წლის):** — მეგობარმა საახალწლოდ კახეთიდან გამომიგზავნა ღვინო. უკეთესი რა უნდა ეჩუქებინა? ღვინო კი არა, მართლა „მზეია, მზეი“. გგონიათ, მეორე დილით რომელიმე უგუნებობას ვგრძნობდით? არა, თაფლივით შეგვერგო. ახლა თქვენი გაზეთით ვუხდი მადლობას ჩემს მეგობარს და ვურჩევ, ამიერიდან საჩუქრის შერჩევაზე ფიქრით თავს ნუ შეიწუხებს, ისევ ის ღმერთების სასმელი გამომიგზავნოს. მთელ რედაქციას დაგპატიჟებთ და მოვულხინოთ. იმ ღვინოს რომ დალევ, თაკარა ივლისშიც ახალი წელი „დაგიდგება“.

P.S. სამწუხაროა, დევიდ ბექჰემი ჩვენს გაზეთს რომ ვერ კითხულობს, თორემ დარწმუნებული ვარ, 3 მილიონს აღარ დახარჯავდა საახალწლოდ.

***ეკა ლომიძე***

CMYK

# ისე არ ვარ დაკავებული, როგორც შემიძლია

*გამიგონია, ისეთი კოლორიტული თამადებიც არსებობენ, ორ, ზოგჯერ სამ სუფრასაც თამადობენ სხვადასხვა ადგილასო. მსახიობ* ***ნინო ლეჟავას*** *2004 წლის პირველ ღამეს დაახლოებით ამ ამპლუაში მოუხდა მოღვაწეობა. თუმცა, არც ყანწებს „უჭახუნებდა" და არც „საჯარიმოებს" ასმევდა ვინმეს. ხომ გსმენიათ, თუ გული გულობსო და, ნინოს საახალწლო საღამო „ერთდროულად" მიჰყავდა ორ სხვადასხვა ადგილზე. საუკეთესო ემოციებით აღსავსე, მეორე დღეს სულაც არ გრძნობდა თავს დაღლილად. ამჯერად იგი ჩვენთან ერთად გილოცავთ ახალი წლის დადგომას.*

**— ნინო, როგორ ფიქრობ, „ახდენილი ოცნებების წლები იწყება" (როგორც ეს ერთ სიმღერაშია ნათქვამი)?**

— რა გითხრათ, ახდენილი ოცნებების არა, მაგრამ ჩემთვის ალბათ ბევრი საინტერესო წინადადების შესაძლო განხორციელების წელი იწყება. ვერ ვიტყვი, რომ შემოქმედებითად ძალიან დაკავებული ვარ, თუმცა, საბედნიეროდ, ღმერთმა მომცა ბევრის კეთების უნარი. ანუ თუ ხელოვნებაში, პროფესიული თვალსაზრისით ბოლომდე ვერ ვიხარჯები, საჭირო ვარ მეგობრებისთვის, ოჯახის წევრებისთვის და ამ საჭიროებას რომ ვგრძნობ, თავს ბედნიერად ვთვლი.

**— ვფიქრობ, 2003 წელზე არ უნდა იყო გამწყრალი, თავისუფალ თეატრში მშვენიერი როლი აჩუქე მაყურებელს.**

— მართალია, ჟანა დ'არკი ვითამაშე, მაგრამ იმედია, სწორად გამიგებთ, ეს ძალიან ცოტაა, თუმცა, ახლა რეჟისორების დიმა ღვთისიაშვილისა და ნინო შოთაძის სპექტაკლებშიც ვითამაშებ. საკმაოდ საინტერესო პიესებია.

**— კინოპროექტებში არ გიწვევენ?**

— თითქმის არა. ბოლო დროს ამ მხრივ არავინ „მაწუხებს".

**— ისე, ბევრი ისეთი ახალი ქართული ფილმი გამოვიდა ეკრანებზე, მათში რომ არ მონაწილეობ, მგონი კიდეც უნდა გიხაროდეს.**

— გეთანხმებით. მაგრამ ყველაფერზე უარსაც ვერ იტყვი, რადგან მერე გივიწყებენ რეჟისორები. ახლახან გადავიღეთ „27 დრაკონი", ბესო გიორგობიანის ფილმი. ვფიქრობ, ნორმალური გამოვიდა. სერიალის „ყავა და ლუდი" ერთ სერიაში ვთამაშობ (მალე გამოვა ეკრანზე) საშინელი, გოიმი ქალის როლს, რომლის გამოც ყველას ვაფრთხილებ — თქვენ ნახავთ, თუ როგორ არ უნდა იქცეოდეს ადამიანი. ისე, გაგიმხელთ საიდუმლოს და განგებ ვითამაშე ისე, რომ დამენახვებინა ჩემი პერსონაჟის ცუდი თვისებები. საუბარია ქალზე, რომელიც ამერიკელს წაჰყვა იმის გამო, რომ ამერიკაში ეცხოვრა. ამ კაცს კი ისე მოეწონა ბოზბაში და ქინძმარაული, რომ საქართველოდან წასვლა აღარ უნდა. მოკლედ, საშინელი როლია, მაგრამ იხალისებთ, თანაც იქ ტექსტში ჩემი იმპროვიზაციებიც გავურიე და...

**— ახალი წლის ღამით ერთობ დაკავებული ყოფილხარ.**

— მართალია. თუმცა, მასშტაბურ, სერიოზულ პროექტებში არავის მივუწვევივარ. ან „დენს ვირტყმევინები" ან მართლა იმის ბრალია ეს იგნორირება, რომ „ტუსოვკური" ცხოვრება არ მიზიდავს. რა ვქნა, „ტუსოვკაზე" მეტად სხვა რამეა ჩემთვის მნიშვნელოვანი. ასეთ თავყრილობაზე დროის კარგვას მირჩევნია, თავისუფალი დრო პროფესიონალიზმს მოვახმარო, წიგნი წავიკითხო ან შვილის აღზრდას მივხედო. ხშირად უთქვამთ, უნდა „იტუსოვკო", რომ შეგამჩნიონო, კარგით რა, არ იციან, რას ვაკეთებ სარდაფის, თავისუფალ ან სხვა თეატრების სცენებზე? არ იციან, როგორ ვთამაშობ? არ მიცნობენ რეჟისორები?



**— 31-ში, ღამით რა გადარბენები გქონდა?**

— ორ რესტორანში „ერთდროულად" მიმყავდა საღამო. ერთგან ჩემს კლასელებს „ვმასპინძლობდი". ჩვენმა ჯგუფელმა დათომ, რომელიც ძალიან კარგი ადამიანია, გადაწყვიტა, ზეიმი მოეწყო თანაკლასელებისთვის და 45 ადამიანი შეგვკრიბა საახალწლოდ. იცით, დღეს ბევრს აქვს საშუალება ადამიანებს ზეიმი მოუწყოს, მაგრამ ფულს „აზის", ვერ იმეტებს სიკეთისთვის. ამ კაცმა კი ერთ კლასელს მანქანა უყიდა საახალწლოდ. მეორე მანქანა კი ჩვენს შეხვედრაზე ახალი წლის ღამეს, ლატარიაში გაათამაშა და ასე გააბედნიერა კიდევ ერთი კაცი, რითაც ყველა ჩვენგანი ვხარობდით. აი, ამას ჰქვია სიყვარული და სიკეთე. მასმედიით გასაშუქებლად კი არ ჩაატარა რაღაც აქცია, დაუვიწყარი სიხარული განგვაცდევინა ყველას.

**— მეორე ადგილას სადღა მოგიხდა საზეიმო საღამოს წაყვანა?**

— ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში, რეკლამა რომ არ გამომივიდეს, დასახელებისაგან თავს შევიკავებ. ასე რომ, იმ ღამეს ამ ორ რესტორანს შორის დავრბოდი, ხან ერთგან მიმყავდა საღამო, ხან მეორეგან.

# შეკვეთილი მეკვლეები არ მიყვარს



*მიუხედავად იმისა, რომ ქართველები ორჯერ, პირველსა და 14 იანვარს ვზეიმობთ ახალ წელს,* ***ზუმბას — ზაზა კორინთელის*** *აზრით, იგი წელიწადში ერთხელ დგება. თუმცა, ჩემი რესპონდენტი ყოველი ახალი დღის გათენებას ახალი წლის დადგომად მიიჩნევს და შეუძლია, ყოველდღე იზეიმოს. ოჯახის წევრებისთვის საახალწლო საჩუქრები თითქმის არასოდეს გაუკეთებია, უბრალოდ, ცდილობს, საყვარელი ადამიანები ღიმილით ან ყოვლისმომცველი სიხარულით დაასაჩუქროს... მას სჯერა, რომ არსებობს თოვლის ბაბუა და სულაც არ აინტერესებს, ვისი ნაყიდი შეიძლება იყოს ახალი წლის დილას ნაძვის ხესთან ან სულაც საწოლთან ნაპოვნი საჩუქარი. 29 დეკემბერს, თავის დაბადების დღეს კი, მან მართლაც განსაკუთრებული წინასაახალწლო საჩუქარი გაუკეთა ქარელში მცხოვრებ ბავშვებს. თუმცა ამის შესახებ სჯობს, თავად გვიამბოს:*

— 29 დეკემბერს 30 წლის გავხდი და გადავწყვიტე, დაბადების დღე ბავშვებთან ერთად გამეტარებინა. ოჯახი, რა თქმა უნდა, ემზადებოდა სტუმრების მისაღებად, თუმცა დაპატიჟებით არასდროს არავის ვეპატიჟები. ვისაც ვახსოვარ და სურს მოლოცვა, მოდის. მეწვია ჩემი მოძღვარი თავის სულიერ ძმასთან ერთად. ისინი ქარელში მოღვაწეობენ. ტრადიციისამებრ, სუფრას შემოვუსხედით. 6 საათი გახდა. სხვა სტუმრები არ ჩანდნენ. ავდექი და ჩემს სტუმრებს გავყევი ქარელში, სადაც ჩემს მოძღვარს და მის სულიერ ძმას უპატრონო ბავშვთა სახლი აქვთ გახსნილი და პატარებს ზრდიან. სამწუხაროდ, ეს სახლი დანგრეული შენობაა, რომელსაც არც ფანჯარა აქვს, არც სახურავი უვარგა და არც შემინულია. ძალიან მომინდა იმ პატარების გახარება. მივატოვე ყველაფერი, ავიღე გიტარა და წავედი. პატარა კონცერტი ვაჩუქე ბავშვებს, მე კი უზომოდ დიდი ენერგია და სიყვარული მივიღე.

**— ე.ი. ახალ წელს ერთობ „გამდიდრებული" შეხვდით.**

— გარკვეულწილად ასეა. რა უნდა იყოს მამების ლოცვასა და ბავშვების სიყვარულზე დიდი საჩუქარი. თუ სულს არ რჩება რაღაც, არც ქეიფს აქვს გემო და არც ურთიერთობას.

**— ახალ წელს როგორ ხვდებით?**

— იმის მიხედვით, როგორი იყო გასული წელი. 2003 წელი დაძაბულიც იყო, ცოტა გაურკვეველიც, სიახლეებიც მოხდა, ნაყოფიერიც იყო. ფინალი კი მშვენიერი ჰქონდა და, შესაბამისად, კარგ განწყობაზე ვარ, ბევრ სიახლეს ველოდები, რა თქმა უნდა, კარგს.

**— მეკვლის ინსტიტუტზე რას იტყვით?**

— შეკვეთილი მეკვლეები არ მიყვარს, წინასწარ რომ შეიპირებენ, — მოდი, შენ კაი ფეხი გაქვსო. მეკვლემ ოჯახში შესვლისას კეთილი, დადებითი ენერგია უნდა შეიტანოს. სანამ ზღურბლს გადააბიჯებ, საკუთარ თავში უნდა დაალაგო ყველაფერი და ბოროტი ეშმაკუნები კუდით დაიფრინო. მეკვლეობა არაქრისტიანული, წარმართული გადმონაშთი მგონია, მაგრამ მასში ერთიანდება სიკეთის, ბედნიერებისა და სიყვარულის მოლოდინი, ალბათ ამიტომ „იგუა" ქრისტიანობამ.

**— ზაზა, 2004 წელს ალბათ დიდი გეგმები გაქვთ დასახული.**

— სიმღერები, კლიპები და ა.შ. თავისთავად იქნება, მაგრამ ეგ ჩემთვის მეორეხარისხოვანია. დიდი ხანია ვოცნებობ და წელს თუ განვახორციელებ, კაი ბიჭი ვიქნები. სოფელ-სოფელ მინდა ვიარო და ჩემი შემოქმედება ვუჩვენო ხალხს, თორემ, იცით, რა ხდება? ვითომ თბილისში რაღაც კეთდება, ვითომ აქ არის კონცენტრირებული კულტურული ცხოვრება, მაგრამ სინამდვილეში თბილისი ყველაზე დიდი სოფელია კულტურის თვალსაზრისით, რაიონებში კი არსად არაფერი ხდება, არც კლუბები ფუნქციონირებს, არც კონცერტია, არც კინო და საერთოდ...

**— ე.ი. „მეროჭიკე" მუსიკოსობას აპირებთ?**

— არა მხოლოდ. ბევრი იდეა მაქვს კულტურასთან დაკავშირებით და ახალი მთავრობა თუ ისურვებს, სიამოვნებით გავანდობ ჩემს მოსაზრებებს. ძალიან მინდა, თბილისშიც დავუკრა ისეთ ადგილზე, სადაც მსმენელი 40-50 ლარს კი არა, 5 ლარს გადაიხდის და მხოლოდ მუსიკის მოსასმენად მოვა. უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა აიღონ ინიციატივა და პირველ რიგში მათ უნდა ჰქონდეთ ასეთი კლუბები და კულტურაც ასე წავა წინ.

**— და თქვენი სიმღერაც — „ამ პატარა სამოთხეს წურბელები აზიან" — დღის წესრიგში აღარ დარჩება?**

— რა თქმა უნდა. მთავრობის შეცვლით არაფერი იცვლება, თუ მენტალიტეტი არ შეიცვალა. თანაც ხალხი უნდა მიხვდეს, რომ სულ მთავრობის ხელში შემყურეც არ უნდა იყოს, თვითონაც უნდა მოვინდომოთ და გავაკეთოთ რაღაც. უნდა ვიფიქროთ, როგორ დავაკავოთ ხალხი სოფლებში, რათა არ გამოიქცნენ თბილისში, სადაც მეტროს წინ უქმად დგომის, მზესუმზირის ფურთხებისა და საკუთარი დედის გინების გარდა ვერაფერს სწავლობენ. გარდა ამისა, აუცილებელია, ამ ქვეყანაში საერთოდ ყველაფრის და პირველ რიგში ხელოვნების ხარისხზე გამახვილდეს ყურადღება, „ერთ ქვაბში არ მოხარშონ" თუნდაც პოპმუსიკის სახელით „მოასპარეზე" მასხარა და ნამდვილი მუსიკოსი ან მომღერალი. ამას კი თქვენ, მასმედიამ უნდა შეუწყოთ ხელი და ფსევდოკულტურა კი არა, ნამდვილი კულტურა და ხელოვნება უნდა გააშუქოთ.

**— კი, მაგრამ, ისინი თითქმის არ ჩანან და მასმედიაც ნებსით თუ უნებლიეთ წერს იმათზე, ვინც ჩანს.**

— მაგაშიც გეთანხმებით, არ ჩანან იმიტომ, რომ ბევრ ნიჭიერ ადამიანს არა აქვს საშუალება, სისტემატურად გამოამჟღავნოს თავისი ნიჭი, არ არსებობს კლუბები, სადაც დაუკრავენ, იმღერებენ, ითამაშებენ. უცხოელი სტუმრები ხშირად მთხოვენ ხალხური მუსიკის მოსასმენად წაყვანას. რესტორანში ხომ არ წავიყვან, არადა, არ არსებობს კლუბი, სადაც მიხვალ და ჩოხებში გამოწყობილი მომღერლების ხელოვნებით დატკბები. ყველა მიმართულებას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს, ყველაფერი ეროვნული უნდა ვაქციოთ, კარგი გაგებით, მოდად, თანაც ისეთად, რომელსაც არასდროს გაუვა ყავლი. ეს სულაც არ არის ძნელი, მთავარია, ჩვენ, ხელოვანები და მსმენელი, შევიკრათ და შევთანხმდეთ, რა გავაკეთოთ. ვთქვათ ის, რაც სათქმელია, ვინ ვინ არის, რისი გარჩევის გემოვნებაც, საბედნიეროდ, გვაქვს. ქართულ ფოლკლორს უნდა მიექცეს ყურადღება. ერთადერთი ვახუშტი კოტეტიშვილი უძღვებოდა ამ საქმეს წინათ, ახლა კი...

სვანეთში პირველად ვიყავი გასულ ზაფხულს. აღვფრთოვანდი იქ ნანახით. არადა, მცირეს გაცნობა და დათვალიერება მოვასწარი. მარგიანების მე-17 საუკუნის დანგრეულ სახლ-მუზეუმში სურვილი გამიჩნდა, გაცოცხლებული ტრადიცია მენახა და სვანების მიერ სტუმრის მიღების უძველესი რიტუალის მოწმე გავმხდარიყავი. იცით, ეს რა იყო? მოხუცმა სვანებმა საუკუნეების იქით წარსულში მამოგზაურეს, ისინიც კმაყოფილები იყვნენ და მეც. მაგრამ იცით, რაზე დარდობენ ყველაზე მეტად? ამბობენ, ჩვენ შემდეგ ამ უდიდეს ცოდნას გაქრობა უწერია, იმ ქვეყნად წავიღებთ და აქ არავის არაფერი ემახსოვრება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ არც შვილს აინტერესებს ეს ტრადიციები და არც შვილიშვილსო. ეს ძალიან მადარდებს, ჩვენ შეუფასებელი განძის მფლობელები ვართ, მისი მოვლა და თაობისათვის გადაცემა უნდა ვისწავლოთ, ვიმეორებ, ისევ მასმედიის წყალობით უნდა მოხდეს ეს.

***გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ***







## ორშაბათი 22 დეკემბერი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ბასკერვილების ოჯახი" 1ს. 10.10 მხ. ფილმი „თავისუფალი გიჟები" 11.40 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები„ 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. ფილმი „პროფესია დოკუმენტალისტი" 15.15 მხ. ფილმი „ლეგენდა ბაგერა ვანსზე„ 17.15 რამე 17.20 საქართველო, დრო, მოვლენები 18.00 ვესტნიკი 18.20 ტელესერიალი „სოლედადი" 19.15 მრავალჟამიერ 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 „იმღერე რამე" 21.35 კრიმინალური ქრონიკა 21.45 „სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" 22.35 „ჩვენ მშვიდობა" 23.15 ჩვენი ფეხბურთი 00.15 მხ. ფილმი „ჯადოქრები„

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტსერიალი „პოკაჰონტასი„ 19.35 კინოსეანსი „ხელმეორედ ქორწინება" 21.30 ვახშმობის წინ 22.10 მხ. ფილმი „შერეკილები გამოცდებზე„

07.00 დილა მშვიდობისა 09.40 დოკ. ფილმი „გურმანთა მეგზური" 10.10 მულტფილმი „მძინარე მზეთუნახავი„ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 კურიერი 11.15 მულტფილმი „მძინარე მზეთუნახავი„ 12.20 მხ. ფილმი „ნადირთმჭერი" 14.15 მხ. ფილმი „თუ ვერ დაიჭერ, ქურდი არ არის" 16.00, 17.00, 18.00, 21.00 კურიერი 16.15 მხ. ფილმი „თუ ვერ დაიჭერ, ქურდი არ არის" 16.35 მხ. ფილმი „მაიმუნის ქალი„ 18.45 მხ. ფილმი „სამსახურებრივი რომანი" 22.00 მხ. ფილმი „გაქცევა შოუშენკიდან". მთ. რ-ში: მორგან ფრიმენი, ტიმ რობინსი. 00.40 კურიერი

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა 08.30 მხ. ფილმი „ინდიელი ქალაქში" 10.20 მხ. ფილმი „სირანო დე ბერჟერაკი„ 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.10 მულტფილმი 13.30 დოკ. ფილმი 14.10 დოკ. ფილმი 17.30 მულტფილმი 18.00, 21.00 დოკ. ფილმი 19.45 მუსიკა 20.00 მულტფილმი 22.15, 23.00 დიალოგი 23.45 მხ. ფილმი „ორფეოსი".

07.00, 11.00, 12.00, 13.00 ქრონიკა 07.15, 11.45, 13.15, 16.50, 17.20, 02.55 იმედის მელოდიები 07.45 „იმედის„დილა 10.00 მხ. ფილმი „ცხოვრება მშვენიერია" 12.10 სერიალი „კლონი" 13.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი" 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 ქრონიკა 14.05 სერიალი „კლონი" 15.10 მხ. ფილმი „ოხუჯანია" 17.25 X -კლუზივი 18.05 სერიალი „სიყვარული უდაბნოში„ 19.00, 21.00, 22.00, 01.45 ქრონიკა 19.30 სერიალი „კლონი„ 20.30 სერიალი „ნეშ ბრიჯისი" 21.30 სპორტ. პროგრამა „გოლი" 22.50 „არჩევანი თქვენ" 00.05 მხ. ფილმი „შარაგზის რაინდი" 02.00 სპ. პროგრამა „გოლი სერია „A"

09.00 საინფ. გამოშვება „მზერა" (გან) 10.00 სერიალი „ენი მწვანე სახურავების მამულიდან" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 მხ. ფილმი „პირადი მცველი" 13.45 მხ. ფილმი „ზაზუნას დღე" 16.10 მხ. ფილმი „დაქირავებული მკვლელი" 18.30 მულტსერიალი „კროტის თავგადასავალი" I-ლი ს. 19.00 სერიალი „ენი მწვანე სახურავების მამულიდან" 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 20.45 მხ. ფილმი „საათები„ (ნიკოლ კიდმანი) 22.45 საინფ. გამოშვება „ღამის მზერა" 23.45 მხ. ფილმი „ზოროს ნიღაბი"

კავკასია 12.00 ინდური მხ. ფილმი „სიყვარულის მაგია„ 15.00 მხ. ფილმი „უკან მომავალში" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 მხ. ფილმი „ოცნების ზღვარი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „ეშმაკის საკუთრება" 22.30 „საქმე და ეკონომიკა„ 23.00 დოკ. ფილმი 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 პროფათეული 14.10 მუსიკა 15.20 ფილმი „ძარცვა ინგლისურად". მთ.რ-ში მინი დრაივერი, კრი მაკკორმაკი. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული, 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 00.00 „ბრავო" „ნიშნები 2„ მთ.რ-ში სტივენ ბოლდუინი, ბილი ზეინი. 01.40 „ღამურა" „წმ. ვალენტინის დღე". მთ.რ-ში დევიდ ბორეანაზი, დენიზ რიჩარდსი. 03.00 პაუზის გარეშე

08.00 პროგრამა „დილა" 09.30 დღის ამბები 09.45 პროგრამა „დილა" 10.20, 11.50, 14.15, 17.50, 20.15 მუსიკა 10.30 რუს. სერიალი „დეტექტივ დუბროვსკის დოსიე" მე-12ს. 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 12.15 ქართ. ფილმი „სიყვარული ყველას უნდა" 13.40 „ბელისიმო" 14.50 „მსოფლიო ფეხბურთი" 15.20 მხ. ფილმი „ძალიან, ძალიან შეყვარებული" 17.00 მხ. სერიალი „სამოდელო სკოლა" 18.00 მულტფილმი „მარკოს და ჯინის თავგადასავალი" I-ლი ს. 18.30 მხ. სერიალი „პატარა აინშტაინები" 103-ე ს. 19.00 სერიალი „ზამთრის ალუბალი" მე-11 ს. 20.00 დოკ. სერიალი „მსოფლიო კულტურის საგანძური" მე-9ს. 21.15 სერიალი „მოჯადოება" 22.15 ღამის მატარებელი 00.30 მხ.ფილმი „ფრანგი მეკობრის ყური"

08.00, 14.00, 18.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.40 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფ.გამოშვება „დღეს„ 09.10, 12.10, 16.10, 19.15, 22.30, 00.20 საინფ.გამოშვება „ნოვოსტი„ 09.20 სათავგად. ფილმი „ინდიანა ჯონსი დაკარგული განძის მაძიებელი„ 11.15 დოკუმენტური ფილმი 12.20 კომედია „მამაჩემი, დედაჩემი, ჩემი ძმები და დები„ 13.50 მუსიკა 14.05 მელოდრამა „დისნული„ 15.45 მუსიკა 16.20 მულტფილმი „ბემბი„ 17.30 კომედია „აგენტი ჯონი ინგლიში„ 19.30 მუსიკა 20.00 ფილმი-ფანტასტიკა „ვარსკვლავური ომები „ახალი იმედი„ 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.20 დოკუმენტური ფილმი 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 მხატვრული ფილმი „იმპერატორული კლუბი„ 02.50 მუსიკა 03.40 ისტორიული ფილმი „ბუს ციხესიმაგრე„

ОРТ 07.00 Доброе утро! 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20 Худ.фильм "ИНДИАНА ДЖОНС И ПОСЛЕДНИЙ КРЕСТОВЫЙ ПОХОД" 12.40 Следствие ведет Колобков 13.20 Сериал "НЕУДАЧА ПУАРО" 14.20 Худ.фильм "СУВЕНИР ДЛЯ ПРОКУРОРА" 16.20 Угадай мелодию 16.50 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.50 Большая стирка 19.30 Шутка за шуткой 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 21.00 Жди меня 22.00 Время 22.30 Худ.фильм "МУСОРЩИК" 00.20 Худ.фильм "СХВАТКА" 03.30 Худ.фильм "СИЛА ОРУЖИЯ" 05.00 Сериал "ШПИОНКА"

РОССИЯ 06.00 Доброе утро, Россия! 09.45 Худ.фильм "ШАНХАЙСКИЙ ПОЛДЕНЬ" 11.50 В Городке 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.30, 15.10, 17.40, 21.30, 00.00 Вести-Москва 12.50 Ток-шоу "Что хочет женщина" 13.50 Комната смеха 14.45, 17.25, 01.15 Вести. Дежурная часть 15.30 "Частная жизнь" 16.30 Сериал "ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА" 18.10 Сериал "МАРОСЕЙКА, 12". "Сын" 19.05 Сериал "НАВЕКИ ДЖУЛИЯ" 20.00 Сериал "ТАЙНЫ СЛЕДСТВИЯ. МЯГКАЯ ЛАПА СМЕРТИ" 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 Сериал "РУССКИЕ АМАЗОНКИ-2" 23.00 Сериал "НЕОТЛОЖКа" 00.20 "Мой серебряный шар. Надежда Румянцева" 01.30 Худ.фильм "ЖЕНИХ ИЗ МАЙАМИ" 02.45 Комедия "МАЛЕНЬКИЙ КУПАЛЬЩИК" 04.15 Дорожный патруль

## სამშაბათი 23 დეკემბერი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ბასკერვილების ოჯახი" 10.10 მხ. ფილმი „ჯადოქრები" I-ლი ს. 11.20 „მრავალჟამიერ" 11.45, 21.35 კრიმინალური ქრონიკა 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ლურჯი შოუ 15.15 მხ. ფილმი „შეყვარებული გასტროლიორი" [illegible]

[illegible] 11.40 მუსიკა 12.20 ფილმი-ფანტასტიკა „ვარსკვლავური ომები „ახალი იმედი„ 14.25 მელოდრამა „ცეკვები ლუნასის დროს„ 16.20 მულტფილმი „გუფი და მისი მეგობრები„ 17.25 კომედია „დიდი რბოლა„ 19.30 „დღეს მსოფლიოში„ 20.00 ფილმი-ფანტასტიკა „ვარსკვლავური ომები„საპასუხო დარტყმა„ 23.00 „Пресс-папье„ 23.10 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.30 საახალწლო ტრადიციები აჭარაში 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 საახალწლო პროგრამა 01.50, 03.40 Новогодний огонек из Москвы 05.00 დოკუმენტური ფილმი

ОРТ 07.00 Доброе утро! 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20 Худ.фильм "ЗАПОМНИТЕ, МЕНЯ ЗОВУТ РОГОЗИН!", 1 с. 11.30 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 12.40 Мультсериал "Ким Пять-с-плюсом" 13.20 Сериал "НЕУДАЧА ПУАРО" 14.20 Закрытое досье 15.00 Город женщин 16.20 Угадай мелодию 16.50 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.50 Большая стирка 19.30 Последний герой 20.30 Кривое зеркало 22.00 Время 22.30 Кривое зеркало 01.30 Дискотека 80-х 03.50 Худ.фильм "ЗНАМЕНИТОСТЬ"

РОССИЯ 06.00 Доброе утро, Россия! 09.45 Комедия "МАТРОС С "КОМЕТЫ" 11.45, 14.45, 17.25 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.30, 15.10, 17.40, 21.30 Вести-Москва 12.50 Ток-шоу "Что хочет женщина" 13.50 Сам себе режиссер 15.30 "Частная жизнь" 16.30 Сериал "ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА" 18.10 Сериал "МАРОСЕЙКА, 12" 19.05 Сериал "НАВЕКИ ДЖУЛИЯ" 20.00 Сериал "ТАЙНЫ СЛЕДСТВИЯ. МЯГКАЯ ЛАПА СМЕРТИ" 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 "Аншлаг". Старый Новый год 01.25 Комедия "ВХОД ЧЕРЕЗ ОКНО" 04.00 Агентство одиноких сердец 04.25 Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ"

## ოთხშაბათი 24 დეკემბერი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ბასკერვილების ოჯახი" 10.10 მხ. ფილმი „ჯადოქრები" მე-2ს. 11.20 „გლობუსი" 12.00, 15.00, 20.00, 00.30 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ქართული ენის გაკვეთილი [illegible]

[illegible] Российской эстрады 16.20 მულტსერიალი „ვუდი ვუდპეკერი„ 17.10 კომედია „სახლი თავდაყირა„ 19.30 მუსიკა 19.50 ფილმი-ფანტასტიკა „ვარსკვლავური ომები, ჯედაის დაბრუნება 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.20 დოკუმენტური ფილმი 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 მელოდრამა „[illegible]„ 03.40 სათავგადასავლო ფილმი „შვიდი წელი ტიბეტში„ 05.50 მუსიკა

ОРТ 07.00 Доброе утро! 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20 Худ.фильм "ЗАПОМНИТЕ, МЕНЯ ЗОВУТ РОГОЗИН!", 2 с. 11.30. 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 12.40 Мультсериал "Чудеса на виражах" 13.20 Сериал "НЕУДАЧА ПУАРО" 14.20 Спецназ 15.00 Город женщин 16.20 Угадай мелодию 16.50 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.50 Большая стирка 19.30 Смехопанорама 21.00 Кто хочет стать миллионером? 22.00, 00.30 Время 22.30 Худ.фильм "ЖЕЛЕЗНОДОРОЖНЫЙ РОМАНС", 1 с. 23.40 Тайны века 00.50 Теория невероятности 01.20 Сканер 01.50 Русский экстрим 02.20 Худ.фильм "ОБМЕН ТЕЛАМИ" 04.20 Худ.фильм "ПРОФЕССИОНАЛЫ"

РОССИЯ 06.00 Доброе утро, Россия! 09.45 Сериал "РУССКИЕ АМАЗОНКИ-2" 10.50 "Короткое замыкание". Ток-шоу 11.45, 14.45, 17.25, 00.50 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.30, 15.10, 17.40, 21.30, 00.00 Вести-Москва 12.50 Ток-шоу "Что хочет женщина" 13.50 Сериал "НЕОТЛОЖКА" 15.30 "Частная жизнь" 16.30 Сериал "ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА" 18.10 Сериал "МАРОСЕЙКА, 12" 19.05 Сериал "НАВЕКИ ДЖУЛИЯ" 20.00 Сериал "ТАЙНЫ СЛЕДСТВИЯ. МЯГКАЯ ЛАПА СМЕРТИ" 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 Сериал "РУССКИЕ АМАЗОНКИ-2" 23.00 Сериал "НЕОТЛОЖКА" 00.20 Авторитет с Дмитрием Киселевым 01.05 Худ.фильм "ДОМ СВИДАНИЙ" 02.50 Синемания 03.20 Дорожный патруль 03.30 Горячая десятка 04.30 Агентство одиноких сердец 04.55 Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ"

## ხუთშაბათი 25 დეკემბერი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ბასკერვილების ოჯახი" 10.10 მხ. ფილმი „ლურჯი ფრინველი„ 11.45, 21.35 კრიმინალური ქრონიკა 12.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ინგლისური ენის გაკვეთილი 14.30 გინდ დაიჯერეთ, გინდ არა 15.15 მხ. ფილმი [illegible]

[illegible] ავური ომები, ჯედაის დაბრუნება 14.35 მელოდრამა „გზაჯვარედინები„ 16.20 მულტფილმი „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი„ 17.10 კომედია „არლეკინი„ 19.30 „დღეს მსოფლიოში„ 20.00 დრამა „[illegible]„ 21.50 მუსიკა 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.20 „ექსკლუზივი„ 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 მხატვრული ფილმი „ბრონქსის ისტორია„ 02.55, 05.30 მუსიკა 03.40 ბოევიკი „[illegible]„

ОРТ 07.00 Доброе утро! 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20 Худ.фильм "ЖЕЛЕЗНОДОРОЖНЫЙ РОМАНС", 1 с. 11.30, 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 12.40 Мультсериал "Базз и его команда" 13.20 Сериал "НЕУДАЧА ПУАРО" 14.30 Спецназ 15.10 Город женщин 16.20 Угадай мелодию 16.50 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.50 Большая стирка 19.30 Док. детектив 21.00 Слабое звено 22.00, 00.30 Время 22.30 Худ.фильм "ЖЕЛЕЗНОДОРОЖНЫЙ РОМАНС", 2 с. 23.40 Человек и закон 00.50 Док.фильм "Ворота в рай" 01.40 Гении и злодеи 02.10 Идолы 02.40 Худ.фильм "ДОЛГ" 04.20 Худ.фильм "800 ПУЛЬ"

РОССИЯ 06.00 Доброе утро, Россия! 09.45 Сериал "РУССКИЕ АМАЗОНКИ-2" 10.50 "Короткое замыкание". Ток-шоу 11.45, 14.45, 17.25, 00.20 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.30, 15.10, 17.40, 21.30, 00.00 Вести-Москва 12.50 Ток-шоу "Что хочет женщина" 13.50 Сериал "НЕОТЛОЖКА" 15.30 "Частная жизнь" 16.30 Сериал "ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА" 18.10 Сериал "МАРОСЕЙКА, 12" 19.05 Сериал "НАВЕКИ ДЖУЛИЯ" 20.00 Сериал "ТАЙНЫ СЛЕДСТВИЯ. МЯГКАЯ ЛАПА СМЕРТИ" 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 Сериал "РУССКИЕ АМАЗОНКИ-2" 23.00 Сериал "НЕОТЛОЖКА" 00.35 Худ.фильм "МАЛХОЛЛАНД ДРАЙВ" 03.25 Дорожный патруль 03.40 Агентство одиноких сердец 04.05 Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ"

## პარასკევი 26 დეკემბერი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ბასკერვილების ოჯახი" 10.10 მხ. ფილმი „ვაჟკაცი ელემენტი„ 11.45, 21.35 კრიმინალური ქრონიკა 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 მსოფლიო კლასიკა 15.15 სატ. ფილმი „ოთარ მელქიშვილი" 16.10 თბილისი და თბილისელები. 16.55 სერიალი [illegible]

[illegible] „გასაოცარი გადარჩენა„ 17.25 სათავგადასავლო ფილმი „დაკარგული სამოთხე„ 18.45 მუსიკა 19.30 მუსიკა 19.50 ისტორიული ფილმი „გისიე N„ 21.50 „გალერეა„ 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.20 დოკუმენტური ფილმი 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე 01.00 თრილერი „[illegible] & COM„ 02.35, 05.50 მუსიკა 03.40 სათავგადასავლო ფილმი „ზოროს ნიღაბი„

ОРТ 07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости. 10.20 Сериал "ЖЕЛЕЗНОДОРОЖНЫЙ РОМАНС". 11.30 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ". 12.20 "Ералаш" 12.40 "ТВИНИСЫ" 13.20 Детектив "НЕУДАЧА ПУАРО". 5 с. Закл. 14.50 "Ералаш" 15.00 Город женщин. 16.20 "Угадай мелодию" 16.50 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.50 "Большая стирка" 19.20 Док. фильм "Василий Лановой. Воспоминания о настоящем". 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 20.50 "Поле чудес" 22.00 Время. 22.30 Алла Пугачева в музыкальной комедии "ЗА ДВУМЯ ЗАЙЦАМИ" 00.30 Дженнифер Лопес в боевике "ГЛАЗА АНГЕЛА". 02.30 Роджер Мур в комедии "В ЯБЛОЧКО" 04.10 Дэвид Хассельхофф в боевике "ОБЕЗГЛАВИТЬ ГИДРУ" 05.50 "Индийские касты". 06.10 "Пришельцы. Фотография на память".

РОССИЯ 06.00 Доброе утро, Россия! 09.45 Сериал "РУССКИЕ АМАЗОНКИ-2". 10.50 "Короткое замыкание". Ток-шоу. 11.45, 14.45, 17.25 Вести. Дежурная часть. 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести. 12.30, 15.10, 17.40, 21.30 Местное время. Вести-Москва. 12.50 Мусульмане. 13.00 Вся Россия. 13.15 Москва-Минск. 13.30 Колоссальное хозяйство. 13.50 Ярослав Бойко в телесериале "НЕОТЛОЖКА". 15.30 Сериал "СЛЕДСТВИЕ ВЕДУТ ЗНАТОКИ". 1-я серия. 18.10 Александр Балуев в детек-тиве "МАРОСЕЙКА, 12". 19.05 Сериал "НАВЕКИ ДЖУЛИЯ". 20.00 Комната смеха. 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 Сериал "РУССКИЕ АМАЗОНКИ-2". 23.00 Премьера. Ярослав Бойко в телесериале "НЕОТЛОЖКА". 00.00 Курт Расселл в фильме "ПРОКЛЯТЫЙ СЕЗОН" 02.20 Гэри Олдмен в фильме "ДРАКУЛА" 04.50 Дорожный патруль. 05.05 Агентство одиноких сердец. 05.30 Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ".

## შაბათი 27 დეკემბერი

08.00, 15.00, 20.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი „ჩრდილოეთის ვარსკვლავი" 09.45 კრიმინალური ქრონიკა 10.00 დილის ჰიმნი 11.05 მზიური კარუსელი 11.35 მოგზაურობა სასიტყვოთში 12.05 გლობუსი 12.35 პოზიცია 13.25 კვალი 13.50 დოკ. ფილმი 14.25 საქართველო, დრო, მოვლენები 15.15 ქართ. ფილმი „ბრეჟი მერცხალი" 16.45 დოკ. სერიალი [illegible]

[illegible] მაციო დაიჯესტი 08.40 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფ.გამოშვება „დღეს„ 09.20, 12.10, 16.10, 19.15, 22.30, 00.20 საინფ.გამოშვება „ნოვოსტი„ 09.30 სათავგადასავლო ფილმი „ზოროს ნიღაბი„ 11.40 მუსიკა 12.20 ისტორიული ფილმი „გისიე N„ 14.30 კომედია „[illegible]„ 15.50 მუსიკა 16.20 მულტფილმი „მაგიური მარგალიტი„ 17.25 კომედია „ზევსი და როქსანა„ 19.30 „ტიკა-ტიკა„ 19.40 მუსიკა 20.00 დრამა „უბრალო ისტორია„ 21.45 მუსიკა 23.00 «Слово» 23.40, 00.40 მუსიკა 01.00 ბოევიკი „ჩალის ძაღლები„ 02.50, 05.50 მუსიკა 03.40 კომედია „მეთორმეტე ღამე„

ОРТ 07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости 07.10 "Ералаш". 07.20 Василий Лановой в фильме "АЛЫЕ ПАРУСА" 09.00 "ТВИНИСЫ". 09.20 Играй, гармонь любимая! 10.00 Слово пастыря. 10.10 Здоровье. 11.10 "Смак" 11.30 "Возвращение домой. Иосиф Кобзон. Днепропетровск. Донецк" 12.10 Дог-шоу. 13.10 История с географией. "Волчья стая". 14.20 Умницы и умники. 15.00 Дисней-клуб: "Тимон и Пумба". 15.20 Василий Лановой в фильме "ПЯТЬДЕСЯТ НА ПЯТЬДЕСЯТ" 17.10 Юбилейный вечер Василия Ланового 19.10 Боевик "МЫШИНАЯ ОХОТА" 21.00 "Кто хочет стать миллионером?" 22.00 Время. 22.25 Новогодняя ночь 02.00 Брендан Фрэйзер в комедии "ВЗРЫВ ИЗ ПРОШЛОГО" 03.50 Боевик "УЛИЧНЫЙ БОЕЦ-2" 05.40 Сериал "ШПИОНКА".

РОССИЯ 06.45 Василий Лановой в фильме "КОЛЛЕГИ". 08.25 Сериал "АКАДЕМИЯ КОЛДОВСТВА". 08.45 Золотой ключ. 09.05 Русское лото. 09.45 Большая перемена. 10.10 Мультсериал "Том и Джерри". 10.45 Утренняя почта. 11.20 "Не скуЧАЙ!" с Михаилом Евдокимовым. 12.15 Сам себе режиссер. 13.15 В поисках приключений. 14.15 "Другой мир. Карлики и великаны". 15.00, 21.00 Вести. 15.20 Олег Жаков в детективе "БЕЗ ПРАВА НА ОШИБКУ". 17.00 Питер Фальк в комедии "ДЕШЕВЫЙ ДЕТЕКТИВ" 19.00 Аншлаг. 20.00 Новогодний голубой огонек на Шаболовке. 23.40 Мел Гибсон в комедии "ЧЕГО ХОТЯТ ЖЕНЩИНЫ" 02.10 Рон Перлман в фильме "ПЕРВОБЫТНАЯ СИЛА" 04.05 Кевин Спейси в фильме "ПОЛНОЧЬ В САДУ ДОБРА И ЗЛА"

## კვირა 28 დეკემბერი

08.00, 15.00 მოამბე 08.15 დოკ. ფილმი „გასეირნება ზოოპარკში" 08.35 მხ. ფილმი „ოთხთა სიყვარული" 10.00 დილის ჰიმნი 11.00 დიდი დასვენება 11.30 „ტელეტო" 12.10 სპა 12.35 მოსკოვი-თბილისი 13.05 ლამის ჟამი 13.35 მეტრო 14.10 საკვირაო გამოფენა 14.25 არათბილისური ამბები 15.15 სპექტაკლი „საშობაო სიზმარი" 17.30 მულტფილმი 18.00 [illegible]

[illegible] 10.55 დოკუმენტური ფილმი 11.20 „ექსკლუზივი„ 12.20 დრამა „უბრალო ისტორია„ 14.05 თრილერი „[illegible]„ 15.25 «Слово» 16.20 მულტფილმი „[illegible]„ 17.30 ბოევიკი „პრეზიდენტის თვითმფრინავი„ 18.35 მუსიკა 19.30 „დღეს მსოფლიოში„ 20.00 მხატვრული ფილმი „შიშის საფასური„ 22.30, 00.20 «Новости в воскресенье» 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.40, 05.40 მუსიკა 00.50 ფანტასტიკა „[illegible]„ 03.40 ისტორიული ფილმი „რევოლუცია„

ОРТ 07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости 07.10 "Короли смеха". Марсель Марсо. 07.30 Борис Бабочкин в фильме "АКТРИСА" 09.00 "ТВИНИСЫ". 09.20 Армейский магазин. 09.40 "Микки и Минни в Москве". 10.10 "В мире животных" 11.10 "Непутевые заметки" 11.30 Пока все дома. 12.00 "Новый русские бабки". 12.30 "Угадай мелодию" 13.10 Георгий Вицин в комедии "ЖЕНИТЬБА БАЛЬЗАМИНОВА" 15.00 Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья". 15.20 "Чтобы помнили..." Борис Бабочкин. 16.00 "Воскресный ералаш". 16.30 Мел Гибсон в фильме "ПОБЕГ ИЗ КУРЯТНИКА" 18.00 Живая природа. "Животные на пределе" 19.00 Времена. 20.00 Джо Пеши в комедии "ОДИН ДОМА - 2" 22.00 Время 22.45 Крис О'Доннелл в боевике "ВЕРТИКАЛЬНЫЙ ПРЕДЕЛ" 00.50 Бокс. Мануэль Маркес - Деррик Гейнер. 01.30 Эллен Берстин в фильме "РЕКВИЕМ ПО МЕЧТЕ".

РОССИЯ 07.00 Марина Левтова в фильме "ПОДЗЕМЕЛЬЕ ВЕДЬМ". 08.20 Сериал "АКАДЕМИЯ КОЛДОВСТВА". 8.40 Мир на грани. 09.10 "Военная программа" 09.30 Студия "Здоровье". 10.05 "ТВ Бинго шоу". 10.25 Местное время. Вести-Москва. Неделя в городе. 11.05 "Городок". Дайджест 11.40 "Сто к одному". Телеигра. 12.30 Вокруг света. 13.25 Диалоги о животных. 14.15 Парламентский час. 15.00 Вести. 15.20 Пьер Ришар в комедии "ВОЗВРАЩЕНИЕ ВЫСОКОГО БЛОНДИНА" 16.55 "Никита Михалков. Русский выбор". Версальские кадеты. 17.55 Комната смеха. 18.55 Джеймс Белуши в комедии "КРУТОЙ ДЖО" 20.50 В Городке. 21.00 Вести недели. 22.00 Специальный корреспондент. 22.25 Лиам Нисон в космической саге "ЗВЕЗДНЫЕ ВОЙНЫ" 00.55 Жан Рено в боевике "ЛЕОН"

ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზავრმა"

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ვარ 35 წლის ქალი. სქესობრივი ცხოვრებით ამჟამად არ ვცხოვრობ. დამიდგინეს სასქესო ორგანოების კანდიდოზის დიაგნოზი. როგორ შეიძლებოდა დავსნებოვნებულიყავი სოკოთი?**

***ერთგული მკითხველი***

კანდიდოზი (ან სხვაგვარად რძიანა) სასქესო ორგანოების დაავადებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პათოლოგიაა ქალებში. ორსულებში კი მისი სიხშირე 30-50%-ს აღწევს. დაავადებას იწვევს საფუარისმაგვარი სოკო კანდიდა, რომელიც სასქესო გზებში ნაწლავიდან ხვდება, თუმცა დაინფიცირება სქესობრივი გზითაც შეიძლება მოხდეს, მაგრამ ეს გაცილებით იშვიათია.

დაავადების რისკ-ფაქტორებს მიეკუთვნება ორგანიზმის ჰორმონული სტატუსის ცვლილებები, იმუნიტეტის დაქვეითება და ანტიბიოტიკების მიღება. კანდიდოზისთვის დამახასიათებელია ქავილი, რომელიც ღამის საათებში ძლიერდება და დიდი რაოდენობით თეთრი ფერის „ხაჭოსებური" გამონადენი. დიაგნოზი, როგორც წესი, არ არის ძნელი დასასმელი. მისი დაზუსტება შესაძლებელია საშოს ნაცხის მიკროსკოპული გამოკვლევით.

დღეისათვის კანდიდოზის სამკურნალო უამრავი პრეპარატი არსებობს, მაგრამ პრობლემა ბოლომდე გადაჭრილად მაინც არ ითვლება, რადგან დაავადების რეციდივი ხშირია.

თანამედროვე საშუალებებიდან კარგ შედეგებს იძლევა დიფლუკანი, რომლის ერთი აბის მიღებაც კი საკმარისია. სამკურნალო საშუალების კონკრეტულ სახეობას, მისი მიღების ხანგრძლივობას, დოზებს და განმეორებითი კურსების საჭიროებას მხოლოდ მკურნალი ექიმი დაგინიშნავთ.

**ვარ 35 წლის, რამდენიმე წელია შევამჩნიე, რომ ჩემი ორგანიზმი ძალიან მგრძნობიარე გახდა ამინდის ცვლილების მიმართ. ტემპერატურა მეცემა 35 გრადუს ცელსიუსამდე, მტკივდება თავი, მასხამს ცივი ოფლი, სუსტად ვარ. როგორ მოვიქცე ამ დროს? წინასწარ გიხდით მადლობას.**

***მკითხველი***

არ არის გამორიცხული, რომ თქვენ მიეკუთვნებით მეტეომგრძნობიარე ადამიანთა რიცხვს, რომელთაც გარემოს არახელსაყრელი პირობების გავლენით უვითარდებათ სხვადასხვა ორგანოებისა და სისტემების ფუნქციური (შექცევადი) დაზიანება. თუ თქვენი ჩივილების მიზეზები მხოლოდ გარემო პირობების ცვლილებებია, მაშინ გირჩევთ დაიმშვიდოთ ნერვული სისტემა მცენარეული საშუალებებით (მაგალითად ვალერიანით). გამწვავებულ პერიოდში ეცადეთ შინ იყოთ და მოერიდოთ სტრესულ სიტუაციებს. მაგრამ თუ ატყობთ, რომ ასეთი მდგომარეობა გახშირდა და იგი მაინცდამაინც არ არის კავშირში მეტეოროლოგიურ პირობებთან, უმჯობესია ექიმს მიმართოთ დამატებითი გამოკვლევების ჩასატარებლად. თქვენ მიერ აღწერილი სიმპტომები ახასიათებს ნივთიერებათა ცვლის დაქვეითებას, უნდა გამორიცხოთ ჰიპოგლიკემია (სისხლში შაქრის დონის დაქვეითება), ანემია და ჰიპოთირეოზი (ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება).

**ჩემს შვილს სამჯერ გავუკეთე სისხლის ანალიზი და სამჯერვე აღმოაჩნდა „ანიზოციტოზი". წინა ორი ანალიზის დროს ბავშვი ავად იყო, მაგრამ ამჟამად საავსებით ჯანმრთელია, თუმცა ანიზოციტოზის გრაფაში ისევ „+" დაუწერეს. ყველა სხვა მაჩვენებელი ნორმის ფარგლებშია. ჰემოგლობინი 124, ექიმმა მითხრა, ყველაფერი კარგად არისო, მაგრამ მაინც მეშინია. იქნებ ამიხსნათ ამ ტერმინის მნიშვნელობა და მართლა არის თუ არა საწერვიულო ასეთი ანალიზი?**

***მკითხველი***

ანიზოციტოზი ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ადამიანის სისხლში ჩნდება სხვადასხვა ზომისა და ფორმის ერითროციტები. ამ დროს ნორმალურ ერითროციტებთან ერთად გვხვდება უფრო მცირე ზომის მიკროციტები და უფრო დიდი ზომის — მაკროციტები. ჩვეულებრივ ანიზოციტოზი ახასიათებს სხვადასხვა ანემიებს: რკინადეფიციტურ ანემიას — მიკროციტოზი, $B_{12}$ ვიტამინისა და ფოლიუმის მჟავის დეფიციტით გამოწვეულ ანემიებს — მაკროციტოზი, მაგრამ ასეთ დროს ჰემოგლობინიც დაქვეითებული უნდა იყოს და სისხლის ფორმულაშიც გარკვეული ცვლილებები უნდა აღინიშნოს. შეკითხვის ავტორი არ აკონკრეტებს ბავშვის ასაკს. მცირე ასაკის ბავშვებში ანიზოციტოზი ნორმალურ პირობებშიც ფიქსირდება და რაიმე პათოლოგიაზე არ მეტყველებს. თუ პატარას სხვა მაჩვენებლების ცვლილებები არ აღენიშნება, მაშინ სანერვიულო მართლაც არაფერია. თუმცა სისხლის ანალიზი 2-3 თვის შემდეგ კიდევ ერთხელ გაიმეორეთ.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის" დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში" მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## სკლეროზის საუკეთესო წამალია ტანგო



ინგლისელი ექიმების მტკიცებით, რეგულარული ცეკვა უნარჩუნებს ადამიანს არა მარტო ფიზიკურ, არამედ ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ამიტომ საცეკვაო დარბაზებს უნდა მივაკითხოთ კვირაში ერთხელ მაინც, მით უმეტეს 60 წელს გადაცილებულებმა. განსაკუთრებით სასარგებლოა ტანგო. ისინი, ვინც ცეკვისათვის კვირაში სამ დღეს მოიცლიან, სკლეროზი და მეხსიერების დაქვეითება 76%-ით შეუმცირდებათ. ზოგიერთის აზრით, ცეკვისას ძირითადად ფეხები მუშაობენ, არადა თურმე გონებაც ვარჯიშობს. სამეჯლისო ცეკვები ავითარებს ყურადღებას, რადგან განსაკუთრებულ მობილიზებას ითხოვს.

მეცნიერებმა ტანგოს სკლეროზის წამალი უწოდეს. დაქვეითებული მეხსიერების მქონე ყველა ასაკის ადამიანზე დაკვირვებით დაასკვნეს, რომ საცეკვაო დარბაზებში მისვლა აღუდგენს მათ მახსოვრობის 25-30%-ს. მათი აზრით, მსგავსი შედეგები არ ახასიათებს არც ერთ სხვა ვარჯიშს.

P.S. სასურველია არ დაელოდოთ ხანდაზმულ ასაკს

***მეგაპოლის-ექსპრესი №1***

## უარი თქვით ზედმეტ კალორიებზე



სხვათა შორის, წონის დაკლება არც ისე ძნელია, თუკი გეცოდინება მისი კანონზომიერებანიო, — გვაიმედებენ სპეციალისტები. მაგალითად:

— უარი თქვით ტკბილეულზე და სხვა არაფერი შეცვალოთ რაციონში. თუ ხორცს არ მიირთმევთ, ორგანიზმს დააკლდება ვიტამინები და აუცილებელი მიკროელემენტები, ნამცხვრებსა და კანფეტში, გარდა კალორიებისა, სასარგებლო არაფერია, კალორიები კი თქვენ არ გჭირდებათ;

— თუ ტკბილეულის გარეშე ვერ ძლებთ, შეჭამეთ ერთი კოვზი თაფლი;

— თუმცა ტკბილეულის მთლიანად გამორიცხვა მეხსიერებასა და აზროვნებას აქვეითებს. ტვინის უჯრედები ხომ იკვებება გლუკოზით, რომელსაც შაქარი შეიცავს.

— დიეტის დროს, თუ ძალიან მოგინდათ ტკბილი, შეჭამეთ რამდენიმე მარმელადი, რადგან მარმელადი არ შეიცავს ცხიმს, რომელიც ნახშირწყლებთან ერთად არასასურველ ზეგავლენას ახდენს აღნაგობაზე. ნუ გაგიტაცებთ ფრუქტოზაც, რადგანაც ესეც კალორიული და ორგანიზმისთვის უსარგებლო პროდუქტია, თუმცა შაქრისგან განსხვავებით, ნაკლებად საზიანოა კბილებისთვის და არც ჰორმონებზე მოქმედებს;

ერიდეთ შაქრის შემცვლელებს, რომლებიც არ შეიცავენ კალორიებს, მაგრამ ვნებენ იმუნიტეტს;

— კვების რაციონში ჩართეთ $B_{12}$ ვიტამინი, რომელსაც დიდი რაოდენობით შეიცავს თევზი, გოგრა, კომბოსტო და ა.შ.

— ფიზიკური დატვირთვის შემდეგ, მაშინვე ჭამეთ, რადგან ამ დროს ნახშირწყლები ცხიმებად კი არ გარდაიქმნება, არამედ კვებავს გადაღლილ კუნთებს;

— უმჯობესია წაიხემსოთ ხილით ან მცირეკალორიული ნამცხვრით, ასე მოიკლავთ შიმშილის გრძნობას და ნაკლებ ზიანს მიაყენებთ აღნაგობას;

— უპირატესობა მიანიჭეთ არა ხილის წვენს, არამედ ხილს, რადგან ხილში უფრო ბევრი ვიტამინია, ვიდრე წვენში;

— ნუ მიეძალებით ალკოჰოლს — ის ამცირებს ორგანიზმში ცხიმის წვის უნარს;

— რაც უფრო მეტი სხვადასხვა ფერის პროდუქტია ჩართული რაციონში (წითელი პომიდორი, მწვანე კომბოსტო, ყვითელი წიწაკა) მით უფრო სასარგებლოა ორგანიზმისთვის — მიაჩნიათ დიეტოლოგებს;

— დღის ნორმაში ცილების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს 200 გრამს;

— დანაყრებისთანავე შეწყვიტეთ ჭამა და დატოვეთ საჭმელი თეფშზე;

— ჭამეთ პატარა ლურჯ თეფშზე, რადგან ლურჯი ფერი ახშობს შიმშილის გრძნობას, პატარა თეფში კი, საჭმლით სავსე თეფშის შთაბეჭდილებას სტოვებს და გგონიათ, ბევრს ჭამთ;

— ცხიმიანი საკვები ჭამეთ სადილზე, რადგან სწორედ ამ დროს სჭირდება ორგანიზმს ცხიმი;

— ნუ იკითხავთ ჭამის დროს, რადგან შეიძლება ტვინის ნიშანი, სიმაძღრის შესახებ, გამოგეპაროთ. მაგრამ თუ საღამოს მოგინდათ ჭამა, მაშინვე დაიწყეთ კითხვა, რადგან საინტერესო წიგნი დაგავიწყებთ შიმშილს;

— სუფრაზე ნუ დადებთ ბევრ პურს, ასე ნაკლებს შეჭამთ;

— ჭამის შემდეგ სწრაფად გაიხეხეთ კბილები და აღარ მოგინდებათ ნამცხვარი ან სხვა ტკბილეული.

***ჩასტნაია ჟიზნი №15***



## არ აკოცოთ კუჭის წყლულით დაავადებულს
## „დე-ნოლი" -პრობლემის მადაწყვეტა

თანამედროვე მედიცინა თვლის, რომ პილორული ჰელიკობაქტერიით (Helicobacter Pylori) დაინფიცირება არის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისეთი დაავადებების განვითარებისა, როგორიცაა გასტრიტი, გასტროდუოდენიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის პეპტიური წყლული. ეს აღმოჩენა ეკუთვნის ავსტრალიელ ექიმებს — უორენს და მარშალს (1983-1984 წ). მარშალმა გაიმეორა ლუი პასტერის გმირობა და ექსპერიმენტი ჩაიტარა თავის თავზე. წინასწარი გამოკვლევის შემდეგ (გასტროსკოპია, ბიოფსია), გამორიცხა რა კუჭში რაიმე პათოლოგიური პროცესის არსებობა, გადაყლაპა ამ მიკრობის კულტურა და დაელოდა ის. ორი კვირის შემდეგ მას განუვითარდა გასტრიტის უმწვავესი ფორმა.

მარშალის ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ პილორული ჰელიკობაქტერია არ იღუპება კუჭში მარილმჟავას ზემოქმედებით, რადგან თვითონ გამოყოფს ფერმენტს, რომელიც ანეიტრალებს მარილმჟავას და მოქმედებს საკმაოდ აგრესიულად. ამდენად, ცნობილი გამოთქმა: არ არის მჟავა - არ არის წყლული, საფუძვლიანად შეიცვალა: არ არის პილორული ჰელიკობაქტერია - არ არის წყლული. თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის შემთხვევაში პილორული ჰელიკობაქტერია აღმოჩენილია პაციენტების 95%-ში, ხოლო კუჭის წყლულისა და გასტრიტის დროს-60-70%-ში. ზოგიერთმა მკვლევარმა პილორულ ჰელიკობაქტერიოზს რომანტიული სახელიც მოუგონა — დაავადება კოცნით დასნებოვნება უმეტესად ხდება ბავშვობის ასაკში, დაავადებული ადამიანის ნერწყვიდან, ან შინაური ცხოველებიდან. მოხვდება რა მიკროორგანიზმი კუჭში, აზიანებს მის ლორწოვანს, რაც ხელს უწყობს დაზიანებულ ზედაპირზე აგრესიული ფაქტორების ზემოქმედებას.

ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში კუჭნაწლავის დაავადებების და ინფექციების სამკურნალოდ, იყენებდნენ ბისმუტის მარილებს. თანამედროვე ბისმუტის პრეპარატს წარმოადგენს „დე-ნოლი" — ბისმუტის კოლოიდური სუბციტრატი. „დე-ნოლი" ჯერ კიდევ 70 წლებში აქტიურად გამოიყენებოდა წყლულის სამკურნალოდ. მაშინ, მართალია მედიცინამ არ იცოდა H.Pylori-ის არსებობის შესახებ, მაგრამ მკვლევარებისათვის იმ დროსაც ცხადი იყო, რომ „დე-ნოლით" მკურნალობის შემდეგ დაავადების რეციდივის (განმეორების) შემთხვევები მნიშვნელოვნად მცირდებოდა.

დღეისათვის სპეციალისტთა დიდი ნაწილი ზემოაღნიშნული დაავადებების სამკურნალოდ სწორედ „დე-ნოლს" იყენებს. აღნიშნულ პრეპარატს აქვს უნარი წარმოქმნას დამცავი აპკი წყლულის ზედაპირზე. დამცავი აპკის ქვეშ წყლული დაცულია მარილმჟავას მავნე ზემოქმედებისაგან და სწრაფად განიცდის შეხორცებას. ჰელიკობაქტერიის აღმოჩენის შემდეგ გაირკვა, რომ პრეპარატს აქვს უნარი არამარტო დაიცვას წყლული აპკის წარმოქმნით, არამედ გაანადგუროს თვით ჰელიკობაქტერიაც. ამჟამად წყლულოვანი დაავადებების სამკურნალოდ მოწოდებულ სამ და ოთხკომპონენტიან თერაპიაში „დე-ნოლს" ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. „დე-ნოლით" მკურნალობა აქტიურად გამოიყენება პედიატრიაშიც. მისი უსაფრთხო გამოყენება ბავშვთა ასაკში განპირობებულია იმით, რომ პრეპარატი არ შეიწოვება სისხლში და მოქმედებს მხოლოდ ადგილობრივად. მისი გამოყენება შესაძლებელია კუჭის ნებისმიერი მჟავიანობის შემთხვევაში (მაღალი, ნორმალური, დაბალი), მაგრამ ოპტიმალურ მოქმედებას ავლენს, როდესაც PH მერყეობს 2.5-3.5-მდე.

პრეპარატს პრაქტიკულად არ გააჩნია უკუჩვენება თირკმელების ქრონიკული უკმარისობის და ორსულობის გარდა. გვერდითი მოვლენებიდან აღსანიშნავია მხოლოდ ფეკალური მასის ფერის ცვლილება (შავ ფერს განაპირობებს ბისმუტის მარილის არსებობა).

„დე-ნოლი" შექმნილია იაპონური ფარმაცევტული კომპანია Yamanouchi-ის (იამანუჩი) მიერ. მისი წარმოება ხდება ჰოლანდიაში.

პრეპარატი „დე-ნოლი", ბისმუტის კოლოიდური სუბციტრატი გამოდის 120 მგ №112 ტაბლეტის სახით.

„დე-ნოლის" მაღალმა ხარისხმა, ეფექტურობამ და უსაფრთხოებამ განაპირობა მისი ფართოდ დანერგვა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის და ეროზიების სამკურნალოდ. მას ფართოდ გამოიყენებენ თავიანთ პრაქტიკაში და დადებით შეფასებას აძლევენ საქართველოს წამყვანი გასტროენტეროლოგები: პროფ. ბ. რაჭველიშვილი (თ.ს.ს.უ შინაგან სნეულებათა და დიაგნოსტიკის კათედრა. ქ. მე 4 საავადმყოფო; თევდორე მღვდლის ქუჩა №13, I სართული), ა. მაჭავარიანი, ხ. პაჭკორია (სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალური კლინიკა), რესპუბლიკის მთავარი ენდოსკოპისტი ვ. შენგელიძე (ენდოსკოპიის სასწავლო-კვლევითი ცენტრი. ჭავჭავაძის გამზირი №5) და სხვა სპეციალისტები.

პრეპარატის შეძენა ხელსაყრელ ფასში შესაძლებელია სამედიცინო ფირმა „ავერსი"-ის საცალო აფთიაქების ქსელში რესპუბლიკის მასშტაბით.

დამატებითი ინფორმაციისა და კვალიფიციური კონსულტაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ ხსენებულ სპეციალისტებს.

R

# თვალები თუ დაგეღალათ...

*პროფესიონალები გვირჩევენ:*

1. 5-6-ჯერ დაატრიალეთ თავი ხან ერთ, ხან მეორე მხარეს.
2. ერთი წუთის განმავლობაში გაიკეთეთ მასაჟი კისერსა და ყელზე.
3. 5 წამით (6-7ჯერ) დახუჭეთ ხან ერთი, ხან მეორე თვალი.
4. ნელ-ნელა ასწიეთ მაღლა და დასწიეთ დაბლა ხელები და თვალი ადევნეთ თითის წვერებს (გაიმეორეთ 5-ჯერ).



5. თვალები ხშირად დაახამხამეთ, ეს მარტივი მოძრაობა ხელს უწყობს ცრემლის გამომუშავებას, სისველე კი ხსნის თვალების დაღლილობას და ამშვიდებს.
6. პერიოდულად 1-2 წუთით დახუჭეთ თვალები. საღამოს დაღლილ თვალებზე დაიდეთ 15-20 წუთით ჩაის ნახარშში ან გვირილის ნაყენში დასველებული მარლის საფენები ან წყალში დასველებული პირსახოცი.

*გარდა ამისა:*

1. არ გირჩევთ ტრანსპორტში კითხვას, რადგან ცუდი განათება და მუდმივი რყევა ღლის თვალებს.
2. ცურვისას გაიკეთეთ სპეციალური სათვალე, რადგან ქლორიანი წყალი აღიზიანებს თვალებს.
3. ტელევიზორის ყურებისას, ჩართეთ დამატებითი შუქი, მხოლოდ სინათლე არ უნდა ხვდებოდეს პირდაპირ ტელევიზორსა და თვალებს.
4. ხოლო კომპიუტერთან მუშაობისას თვალები რომ არ დაგეღალოთ, ჩაიტარეთ შემდეგი პროცედურა: დილით 10-15-ჯერ დაიბანეთ დახუჭული თვალები ჯერ თბილი და შემდეგ ცივი წყლით. საღამოს კი, დაიწყეთ ცივი და დაამთავრეთ თბილი წყლით.

***ტრუდ-7***

# გამხმარი ხურმა სასარგებლო ხილია

გამხმარი ხურმა მშვენივრად ცვლის კანფეტს. ნაყოფის შემცველი შაქარი უფრო რაფინირებული და სასარგებლოა. ხურმა მდიდარია კალიუმით, ამიტომ ექიმები ხშირად სთავაზობენ გულ-სისხლძარღვებით დაავადებულებს.

შარდმდენი პრეპარატების ნაცვლად უმჯობესია რაციონში ჩართოთ ხურმა. ნარინჯისფერი ნაყოფი მდიდარია მაგნიუმით, რომელიც ამცირებს თირკმლებში ქვების წარმოქმნას. ასევე ბევრია მასში C და P ვიტამინები, პროვიტამინი A და რკინა.

***ფრუქტოვი სად***


გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად

შეიძინეთ!!! 95 ლარად



- აპარატები
- ტესტ-ჩხირები
- ერთჯერადი ნემსები
- ავტომატური საჩხვლეტი

შპს „კონტრასტი" ბორჯომის ქ. 4

☎35-44-05; 34-74-03

899-19-60-55

ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.

რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი, მეწალისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა.



მრავალი წლის განმავლობაში ამ დაავადებებს დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდებით: მანუალური თერაპია, სამკურნალო მასაჟი, სამკურნალო ფიზკულტურა, ტრენაჟორები.

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე ალმაშენებლის 90/84 I სად, II სართ.

ტელ: 95-47-67; 75-06-14 (საღამოს); 899-26-51-08





**უკვე 1 წელია ფრჩხილები მემტვრევა. ისინი მყიფეა და იფცქვნება. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი და რით ვუშველო?**

***რ. ყოლბაია***

*ფრჩხილების აფცქვნა* თავს იჩენს ზამთრობით. ეს არ არის კოსმეტიკური დეფექტი. ფრჩხილების გაყოფის, გაორების და აშრევების ერთ-ერთი მთავარი და სერიოზული მიზეზი არის ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები — ჰიპოთირეოზი — ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების ნაკლებობა. ამ დროს აუცილებლად მიმართეთ ენდოკრინოლოგს.

*ფრჩხილების მტვრევა* შესაძლოა გამოიწვიოს სინთეტიკური სარეცხი საშუალებების გამოყენებამ. ამიტომ, გირჩევთ, რეცხვისას გაიკეთოთ რეზინის ხელთათმანები, წაისვით მალამოები, რომლებიც არ შეიცავენ გლიცერინს. გაშრევებული ფრჩხილების დაჭრას სჯობს მათი გაქლიბვა.

*დრეკადი და მტვრევადი ფრჩხილები* მიუთითებს, რომ თქვენ არასრულფასოვნად იკვებებით, რის გამოც ორგანიზმში კალციუმის და ვიტამინების ნაკლებობაა.

ჩართეთ მენიუში კალციუმით მდიდარი საკვები — რძის პროდუქტები და რძე, განსაკუთრებით ხაჭო. კალციუმი ბევრია თევზში.

მიიღეთ რკინის შემცველი პროდუქტებიც — ხორცი, მარცვლოვანები (ბარდა, ლობიო), ასევე ბოსტნეული, განსაკუთრებით C ვიტამინის შემცველი, რომელიც ხელს უწყობს რკინის შეწოვას. კარგია ყველა სახის კომბოსტო.

საკვებში გამოიყენეთ ჟელატინი. ჟელატინი და სელენი (ელემენტი) აუმჯობესებს ფრჩხილის ფირფიტის სტრუქტურას.

მიიღეთ ახალგამოწურული ფორთოხლის, გრეიპფრუტის, ქლიავის და სტაფილოს წვენები.

ფრჩხილების „ჯანმრთელობისთვის" საუკეთესოა ცხიმში ხსნადი ვიტამინები: A, C, E, P, K.

**A** ვიტამინი — მონაწილეობს ნივთიერებათა ცვლაში და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ფრჩხილის სტრუქტურას.

**C** ვიტამინი — ანიჭებს ფრჩხილს სიმაგრესა და ბრწყინვალებას.

**E** ვიტამინი — მას ქალურ ვიტამინს უწოდებენ, რადგანაც ის ძლიერ ზეგავლენას ახდენს ქალის ენდოკრინულ სისტემაზე, ასევე გამოდევნის ორგანიზმიდან ტოქსინებს და მძიმე მეტალების მარილებს.

ფრჩხილებისთვის კარგია აბაზანების მიღება: 1/2 ჭიქა ზღვის მარილი 1ლ წყალში გახსენით და 15-20 წუთით შიგ ჩააწყვეთ მტევნები. შემდეგ გაიკეთეთ მასაჟი კრემით.

*ზეთოვანი აბაზანები:* წყლის ორთქლზე გაათბეთ ზეითუნის ზეთი, შემდეგ ჩაყავით შიგ მტევნები 15 წუთით.

აბაზანები გაიმეორეთ ყოველ მეორე დღეს. თითოეული აბაზანის კურსი 15 დღეა. შემდეგ ეს პროცედურები ტარდება საჭიროების მიხედვით, თუნდაც კვირაში ერთხელ.

კარგ ეფექტს იძლევა ფრჩხილებზე ყოველდღიურად ლიმონის ნაჭრის წასმა.

ფრჩხილების მოვლის დაწყებას გირჩევთ ფრჩხილებისთვის განკუთვნილი სპეციალური სითხით, რომელიც ბიოტინს შეიცავს. ის შეგიძლიათ წაისვათ ძილის ან დასვენების წინ.

ბიოტინი კვებავს ფრჩხილს და ხელს უწყობს ჯანმრთელი ფრჩხილის ზრდას.

ვისაც მშრალი კანი და მშრალი, მსხვრევადი ფრჩხილები გაქვთ, გირჩევთ, გამოიყენოთ ალვის ხის პროდუქტებისგან დამზადებული ვიტამინებისა და მიკროელემენტების შემცველი ხსნარები, რის შედეგადაც უმჯობესდება ფრჩხილის სტრუქტურა, ჩნდება ჯანმრთელი ფერი.

თუ ძალიან მკვეთრი ფერის ლაქს ხმარობთ, გირჩევთ, ფრჩხილების დაცვის მიზნით, ლაქის ქვეშ წაისვათ ნატურალური დამცველი, რომელიც შეიცავს პროტეინს. ეს კარგია ლაქის მიმართ „მგრძნობიარე" ფრჩხილების დასაცავად.

ფრჩხილებზე უსწორმასწორობის გამოსასწორებლად კარგია სპეციალური ხსნარები (ლაქი), ისიც ლაქის ქვეშ გამოიყენება.

კარგია ჟოჟობას ზეთზე დამზადებული გელი. ის კვებავს, ატენიანებს და ასუფთავებს ფრჩხილის ფირფიტას მკვდარი უჯრედებისგან.

ჩაის ხის ზეთი კი ძალზე კარგია სოკოვანი დაავადებებისგან ფრჩხილების დასაცავად.

პერიოდულად ფრჩხილებისთვის აუცილებელია E და P ვიტამინები. ამ ვიტამინების დამცავი აპკი ზრდის ფრჩხილის ელასტიკურობას, ის აღარ იფცქვნება.



# ფრჩხილი — სილამაზე და... სარკე

იმისათვის, რომ შეცვლილმა ფრჩხილებმა დაიბრუნონ ჯანმრთელი იერი: სიგრძე, სისქე, ფერი, სტრუქტურა — რამდენიმე თვე არის საჭირო, თუმცალა პირველი შედეგი ერთი კვირის მერეც შეიმჩნევა.

ფრჩხილების უმნიშვნელო უსწორმასწორო ზედაპირი, ნაჭდევები, ხაზები — განპირობებულია ორგანიზმში ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების ნაკლებობით.

ამ დროს კარგია ფრჩხილის სამკურნალო ლაქი.

სამკურნალო საშუალებების უმეტესობა დამზადებულია კალციუმზე ან პროტეინზე. მათში შედის ასევე ელასტინი, კერამიდი.

თუკი თქვენი ფრჩხილები ძალიან გამჭვირვალეა და მტვრევადი, ამ დროს გირჩევთ, სამკურნალოდ პროტეინზე დამზადებული ლაქი გამოიყენოთ. თუკი ფრჩხილების ფერი ნორმალურია, მაგრამ ისინი თხელია, იფცქვნება, აქ აუცილებელია კალციუმზე დამზადებული დამცავი ლაქი.

სამკურნალო ლაქები უნდა წაისვათ სუფთა ფრჩხილზე — 1 ან 2 შრე და 4-6 დღის შემდეგ მოიშოროთ ისეთი მოსაცილებელი საშუალებით, რომელიც აცეტონს არ შეიცავს.

***მაია მუხიგული***

# საჩუქარი ღვიძლს!

რა პრობლემების გადაწყვეტა აღარ უხდება ადამიანის ღვიძლს — შლის ცილებს, ცხიმებსა და ნახშირწყლებს, ვიტამინების სინთეზირებაც მას ეხება, სისხლსაც ამდიდრებს, გვიცავს ორგანიზმში მოხვედრილი საწამლავისგან. დროდადრო ღვიძლს ძალიან უჭირს. დადგენილია, რომ სწორი მუშაობისათვის ღვიძლს სჭირდება B ჯგუფის ვიტამინები, აგრეთვე E და F ვიტამინები, მაგნიუმი, ფოსფორი, კალიუმი, კალციუმი.

პირველ რიგში გამორიცხეთ საკვების მიღება ძილის წინ. ივახშმეთ 6-7 საათზე მსუბუქად. გასაკვირია, მაგრამ მნიშვნელოვანია საკვების ტემპერატურა. ის არ უნდა იყოს მეტისმეტად ცივი ან ცხელი. უპირატესობა მიანიჭეთ: ხაჭოს, რძეს, თევზს, წიწიბურას, მცენარეულ ზეთს.

ძალიან სასარგებლოა ვიტამინებით სავსე პროდუქტები: სტაფილო, გარგარი, ასკილის ნახარში.

მიაქციეთ ყურადღება: ღვიძლისათვის ძალიან სასარგებლოა ძველი პური, განსაკუთრებით შავი, მავნეა თეთრი, ფუმფულა, ცხელი. ყოველ დღე მიირთვით თუნდაც ცოტა ვეგეტარიანული წვნიანი. ძალიან სასარგებლოა მწვანილი, მურაბები, თაფლი, რძიანი ჩაი.

რაციონიდან ამოიღეთ სპირტიანი პროდუქტები, სპირტით დამზადებული წამალიც კი. ნუ მიეტანებით ღვიძლს, ტვინს, სოკოს, ცხიმიან ხორცს და ცხიმიან თევზს. არ მიირთვათ კონსერვები, ბევრი ნაყინი და შოკოლადი.

***ჟენსკიე სეკრეტი №12***

# ართროზი თუ განუხებთ...

**გარდა მედიკამენტური მკურნალობისა, არსებობს კიდევ ბუნებრივი, ხალხური საშუალებები, რომლებიც შველის სახსრების ტკივილსა და ანთებას. გთავაზობთ რეცეპტებს:**

**მარილის აბაზანა.** 38-39°C-ის ტემპერატურის წყალში გახსენით 2 კგ მსხვილად დაფქული საჭმელი



მარილი და ჩაწექით მკერდამდე ნახევარი საათით. წყალი რომ არ გაცივდეს, ნელ-ნელა დაუმატეთ ცხელი წყალი. არ შეიმშრალოთ, შემოიხვიეთ ხაოიანი პირსახოცი და 1,5 საათით ჩაწექით საწოლში.

**სალბის აბაზანა.** 500გ სალბს დაასხით 2-3 ლ მდუღარე წყალი, 20 წუთი ადუღეთ ნელ ცეცხლზე, გაწურეთ და ჩაასხით 36-38°C-ის ტემპერატურის წყლით სავსე აბაზანაში. ჩაჯექით შიგ 10-15 წუთი, შემდეგ კარგად შეიმშრალეთ, ჩაიცვით თბილი თეთრეული და დაწექით დასაძინებლად.

**სკიპიდრიანი აბაზანა.** გახეხილ 10გ საბავშვო საპონს დაამატეთ 0,75გ სალიცილის მჟავა (იყიდება აფთიაქში), დაასხით 0,5 ლ ქაფქაფა წყალი, გულდასმით აურიეთ ისე, რომ მიიღოთ ერთგვაროვანი მასა. გააცივეთ 40-50°C-მდე და შეურიეთ 500გ სკიპიდარი. აავსეთ აბაზანა თბილი წყლით (36-37°C), დაამატეთ 1-1,5 ს/კ სკიპიდრიანი ნარევი და ჩაჯექით შიგ 10-15 წუთი. კურსი 10-15 აბაზანაა. ეს აბაზანები უმჯობესია გაიკეთოთ გაზაფხულზე.

**სამკურნალო ლაშქარას (პატარძალა) ცხელი საფენები და დაზელვა:** ახალი ფოთლები წვრილად დაჭერით, დანაყეთ, დაიდეთ მტკივნეულ ადგილზე და შეიხვიეთ. საღამოს გამოიცვალეთ და მთელი ღამე დაიტოვეთ.

**ტკივილგამაყუჩებელი მალამოები:** 1. წვრილად დაჭრილ ლაშქარას 1 ჩ/ჭ ფოთოლს ან ფესვს შეურიეთ 1 ჩ/ჭ მცენარეული ზეთი.. 30 წუთი ადუღეთ თავდახურულ ნელ ცეცხლზე. გაწურეთ, დაუმატეთ 1/4 ჩ/ჭ ხორცსაკეპში გატარებული თაფლის სანთელი და 15-20გ E ვიტამინი (ზეთისებური ხსნარია), ჩაასხით მინის ქილაში, გააცივეთ და შეინახეთ მაცივარში. სახსრებზე წასმისას შეათბეთ მალამო.

2. 1ჩ/ჭ წვრილად დაჭრილ ლაშქარას ფოთოლს ან ფესვს მიქსერით შეათქვიფეთ 1/4 ჩ/ჭ ზეითუნის ზეთი და იმავე რაოდენობის დამდნარი თაფლი. შეინახეთ 2-3 კვირა მაცივარში და რამდენიმე თვე საყინულეში. ამის შემდეგ მალამო წაისვით მტკივნეულ ადგილას. შეიხვიეთ და დაიტოვეთ მთელი ღამე.

3. რეგულარულად მიიღეთ ახალი ალუბალი, წვენი ან კომპოტი და სახსრების ტკივილიც დაგავიწყდებათ. ალუბალი შეიცავს ხილის მჟავებს და მდიდარია C ვიტამინით.

***ჩასტნაია ჟიზნ №15***

**ისრაელი**

## შარონი თანაპარტიელებს დაუპირისპირდა

ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი თანაპარტიელების კრიტიკას არ შეეპუა და კვლავინდებურად აპირებს მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ებრაელთა რამდენიმე დასახლების აყრას. თავისი პარტიის — „ლიკუდის“ ცენტრალური კომიტეტისადმი მიმართვაში არიელ შარონმა განაცხადა, — ამას ითვალისწინებს პალესტინელებისგან გასამიჯნი გეგმა იმ შემთხვევისთვის, თუ ვერ შევძელით მათთან მშვიდობიანი მოლაპარაკება. რამდენიმე საათის მანძილზე პრემიერ-მინისტრი განრისხებული უსმენდა, როგორ აკრიტიკებდნენ თანაპარტიელები და მოუწოდებდნენ, ებრაელთა დასახლებებს ხელი არ ახლოთო. საპასუხოდ პრემიერ-მინისტრმა გადაჭრით განაცხადა, — ეს ჩემი გეგმაა და მას აუცილებლად განვახორციელებ. იგი „საგზაო



რუკას“ ეყრდნობა. თუ რამდენიმე თვის განმავლობაში სასიკეთო შედეგს ვერ მივაღწიეთ, შეიძლება პალესტინელებთან ყოველგვარი ურთიერთობის განწყვეტაც მოგვიწიოს. ვეცადოთ, დავიცვათ უსაფრთხოების ახალი ხაზი, ებრაელები სადავო ტერიტორიიდან გამოვიყვანოთო. არიელ შარონმა ეს განცხადება დეკემბრის დამდეგსაც გააკეთა, მაგრამ მაშინ აუდიტორია ასე სკეპტიკურად არ შეხვედრია ამ წინადადებას.

*ნიუს რუ*

**ჩრდილოეთ კორეა**

## კომპრომისი დახმარების სანაცვლოდ

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის განცხადებას, რომ ქვეყანა შეაჩერებს ბირთვული იარაღის გამოცდას და გაყინავს თავის ატომურ ინდუსტრიას, ფხენიანში აშშ-ის დელეგაციის ჩასვლა მოჰყვა. მათ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის მთავარი ობიექტი, ენბენის კომპლექსი უნდა შეამოწმონ.

ბირთვული პროგრამის შემცირების სანაცვლოდ ფხენიანს ამერიკიდან დახმარების მიღება სურს. თუ ეს მოხდა, ჩრდილოეთ კორეა ატომური ენერგეტიკის განვითარებას შეწყვეტს. ჩრდილოეთ კორეას არა აქვს სრულფასოვანი ატომური ელექტროსადგური, მხოლოდ პატარა რეაქტორი მოქმედებს ენბენში. შარშან, წლის დამლევს, ჩრდილოეთ კორეამ მსგავსი განცხადება გააკეთა, მაგრამ ვაშინგტონი ითხოვდა ბირთვული ობიექტების სრულად გაყინვას. კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საინფორმაციო სააგენტო აშშ-ს აფრთხილებს, რომ თუ ის არ გაითვალისწინებს ფხენიანის მოთხოვნას, მოლაპარაკების პროცესი ჩაიშლება.

*ბი-ბი-სი*

**აღმოსავლეთი**

## საუდის არაბეთში ახალი წელი ბევრს ჩაუშხამეს

ახალი წლის შემდეგ საუდის არაბეთში მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო. ე.წ. ზნეობის პოლიცია, რომლის სრული სახელია „უბიწოების წამახალისებელი და ბიწიერების ალმომფხვრელი უწყება“, უშუალოდ მეფე ფაჰდს ემორჩილება. მისი ერთ-ერთი მიზანია მათი გამოვლენა და დასჯა, ვინც არამუსლიმანურ დღესასწაულებს ზეიმობს. ზნეობის პოლიცია აცხადებს, — ქვეყანაში მხოლოდ ორი დღესასწაულია — რამადანის დასაწყისი და მსხვერპლშეწირვის დღე. პოლიციის აზრით, ყველა დანარჩენი სრულიად უკანონოა და ამიტომაც დაერივნენ მათ, ვინც გაბედა და ან შობა იზეიმა, ან ახალი წელი, ან კიდევ წმინდა ვალენტინის დღის აღნიშვნას აპირებს.

მაღაზიის მეპატრონეები, რომლებმაც საახალწლო სუვენირების გაყიდვა გაბედეს, პოლიციაში მიჰყავთ. დიდი ჯარიმა ელით მათაც, ვინც ჩუმად ყიდდა საახალწლო სანთლებს, პატარა ნაძვის ხეებს, მისალოც ბარათებს. მაღაზიის მეპატრონეებისა და მყიდველების დამსმენებს აჯილდოებენ. ქვეყანაში მცხოვრები ქრისტიანები იძულებულნი არიან საიდუმლოდ შეიკრიბონ საელჩოების და უცხოური კომპანიების ოფისებში.

*ნიუ ზუიქი*

## „სპირიტი“ — დედამიწელთა დესანტი მარსზე



180-კილოგრამიანმა ამერიკულმა მარსმავალმა „სპირიტმა“, რომელიც ცოტა ხნის წინ წარმატებით დაჯდა წითელ პლანეტაზე, უკვე მოასწრო დედამიწაზე 60-მდე შავ-თეთრი ფოტოს, და მარსის ზედაპირის პირველი ფერადი მოცულობითი გამოსახულობების გადმოცემა. NASA-ს საიტზე გამოფენილი ფოტოები სრულებით არ ჰგავს პლანეტის ზედაპირიდან ავტომატური აპარატების მიერ ადრე გადაღებულ ფოტოგამოსახულებებს.

ექვსბორბლიანი მარსმავალი წითელ პლანეტაზე მოძრაობას, ტექნიკური შეფერხებების მიუხედავად, მაინც შეძლებს, — ასეთი დასკვნა გამოიტანეს ამერიკის აეროკოსმოსური სააგენტოს NASA-ს სპეციალისტებმა რობოტის მიერ გადმოცემული ფოტოების გაანალიზების შედეგად.

მარსის ზედაპირზე დაჯდომისას „სპირიტს“ გზა ჩაუხერგეს საჰაერო ბალიშების არასაკმარისად გაბერილმა სექციებმა, რომელთა საშუალებითაც მოდული რბილად დაჯდომას ახორციელებს. თუ ამ პრობლემის აღმოფხვრა ვერ მოხერხდა, მარსმავალი ერთ-ერთი სათადარიგო ჩამოსასვლელით ისარგებლებს, მაგრამ ამისთვის მას დასაჯდომ მოედანზე საკმაოდ რთული ბრუნის გაკეთება მოუხდება. სხვა მხრივ კი, მკვლევართა აზრით, „სპირიტი“ სავსებით მზადაა მის წინაშე დაყენებული ამოცანების შესასრულებლად.

NASA-ს ცენტრის მეცნიერ-მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელი რეი არვიდსონი ამბობს: ჩვენ მზად ვართ ზედაპირზე გადასაადგილებლად. ყველა კამერა და სპექტრომეტრი ნორმალურად ფუნქციონირებს. ყველაფერი შემოწმებულია. როგორც კი მოწესრიგდება საჰაერო ბალიშებთან დაკავშირებული პრობლემები, მაშინვე დავიწყებთ დასახული ამოცანის შესრულებას.

დედამიწაზე კი გრძელდება მარსზე გადაღებული გამოსახულებების გადმოცემა. მათ უკვე მოასწრეს მეცნიერების არა მარტო გახარება, არამედ იმედიც გაუცრუეს — გუსევის კრატერის ზედაპირზე (სადაც დაჯდა მარსმავალი) ჯერჯერობით არ ჩანს იმის ნიშნები, რომ აქ ოდესღაც ტბა იყო, როგორც აქამდე ვარაუდობდნენ მეცნიერები. ექსპედიციის მთავარი მიზანია წითელ პლანეტაზე სიცოცხლის ნიშანწყლის ან უმარტივესი მიკროორგანიზმების პოვნა, რომლებსაც საშინელი სიცივის პირობებში შეუძლიათ არსებობა.

„სპირიტი“ ტყუპი რობოტიდან ერთ-ერთია. ზუსტად ასეთივე მეორე ზონდი — „ოპორტიუნიტი“ მარსზე იანვრის დამლევს უნდა დაჯდეს.

*ნტვ რუ*

## სადამ ჰუსეინის გასამართლება 75 მლნ დოლარი დაჯდება

ბუშის ადმინისტრაციამ 75 მლნ დოლარი გამოყო სადამ ჰუსეინის გასასამართლებლად. ამაში შედის ყოფილი დიქტატორის დანაშაულის გამოსაძიებლად და ერაყში სპეციალური ტრიბუნალის შესაქმნელად საჭირო თანხები. ამერიკელები იმედოვნებენ, რომ სხვა ქვეყნებიც შეიტანენ თავიანთ წვლილს, — განაცხადა ამერიკის საგანგებო დავალებათა დესპანმა. მან თქვა: — ამერიკის მთავრობის აზრით, სადამი აუცილებლად ერაყში უნდა გასამართლდეს და რაც შეიძლება სწრაფად. თუმცა მარტო გამოძიებას რამდენიმე თვე დასჭირდება. ამიტომ სასამართლო პროცესი ალბათ 2005 წლამდე ვერ დაიწყება. დანაშაულის ადგილი მთელი ქვეყანაა, სადაც 25 წლის განმავლობაში საშინელი კანონდარღვევები ხდებოდა. მათ გამოძიება სჭირდებათ.



ერაყის რეჟიმის დამხობის შემდეგ ქვეყანაში 260 მასობრივი სამარხი აღმოჩნდა. სადამს ადანაშაულებენ იმაში, რომ მან გასცა 300 ათასი ერაყელის, მათ შორის ათიათასობით ქურთის დახოცვის ბრძანება.

ჯერ კიდევ სადამის დამხობამდე შეაგროვეს ამერიკელმა სამართალდამცველებმა რეჟიმის საწინააღმდეგო დასაბუთებული მტკიცებულებები.

სადამს ბრალდებას ალბათ მის მიერ 1990 წელს ოკუპირებული ქუვეითიც წაუყენებს და ირანიც, სადაც ერაყის შეიარაღებულმა ძალებმა ქიმიური იარაღი გამოიყენეს.

ბრალდების წაყენებას ისრაელიც ფიქრობს — 1991 წელს ერაყის რაკეტებმა, „სკადებმა“, ქვეყანას რამდენიმე დარტყმა მიაყენა.

ერაყელებს სურთ, რომ სადამი მხოლოდ თანამემამულეებმა გაასამართლონ, თუმცა გამორიცხული არ არის სასამართლო პროცესში უცხოელი სამართალდამცავების მონაწილეობაც.

*ტრუდ-7*




## მოკლედ

**ყანდაარში** თალიბთა შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის ოფისს. დახოცეს ოფისის დამცველები და შენობას ხელყუმბარა ესროლეს. დაიღუპა გაეროს რამდენიმე წარმომადგენელი.

**ირანში,** ქალაქ ბამში მომხდარი მიწისძვრიდან მეცამეტე დღეს ნანგრევებქვეშ ცოცხალი იპოვეს 56 წლის მამაკაცი. იგი საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს. ექიმები გაკვირვებულნი დარჩნენ მამაკაცის გამძლეობით. ბამში 26 დეკემბერს მომხდარ მიწისძვრას 30 ათასზე მეტი ადამიანი შეეწირა.

**მსოფლიოს** ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციამ გააკრიტიკა ჩინეთის გეგმა, რომელიც ატიპური პნევმონიის გავრცელების შეჩერების მიზნით ათიათასობით ვივერის (კატისებრთა ოჯახის პატარა გარეული ცხოველია, რომლის ხორცი დელიკატესად არის აღიარებული ჩინეთში) დახოცვას გულისხმობს. ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია აცხადებს, — სამხრეთ ჩინეთში ატიპური პნევმონიის ერთი-ორი შემთხვევის გამო სიტუაციას საგანგებოს ვერ ვუწოდებთ. გარდა ამისა, არც იმის მტკიცებულება არსებობს, რომ ვირუსის მატარებლები ვივერები არიან. ვივერების გასანადგურებლად გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, როცა დასნებოვნებული მამაკაცის სისხლში აღმოაჩინეს ვირუსი, რომელიც მხოლოდ ამ ცხოველების სისხლში ბინადრობს.

**აშშ**-ის არმია დამატებით ანაზღაურებას სთავაზობს იმ სამხედრო პირებს, ვინც ისურვებს სამსახურის გაგრძელებას ერაყში, ქუვეითსა ან ავღანეთში. ჯარისკაცებს, ვისი კონტრაქტიც იწურება, სამი წლით სამსახურის გაგრძელებაში 10 ათას დოლარს სთავაზობენ.

**ლიბიის** პრეზიდენტმა მუამირ კადაფიმ ჯერ ბირთვული და ქიმიური იარაღის წარმოება უნდა შეწყვიტოს და მხოლოდ ამის შემდეგ მოეხსნება ქვეყანას ეკონომიკური სანქციები, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა. მან ძალაში დატოვა 1986 წელს რეიგანის მიერ ხელმოწერილი დეკლარაცია, რომლის თანახმად, აშშ-მა დაბლოკა ლიბიის აქტივები ამერიკაში იმიტომ, რომ ვაშინგტონმა ტრიპოლი საერთაშორისო ტერორიზმის მხარდაჭერაში დაადანაშაულა. ბუშს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს გააუქმოს დეკლარაცია, როცა კი ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

**პაკისტანის** არმიის ქვედანაყოფმა ავღანეთის საზღვართან, მთიანეთში, შეუტია „ალ-ქაიდას“ მეომრებს. პაკისტანის სამხრეთი რაიონი, ვაზირისტანი, დიდი ხნის მანძილზე ითვლებოდა „ალ-ქაიდას“ წევრებისა და თალიბების თავშესაფარად. ერთი ხანობა, ვარაუდობდნენ, რომ უსამა ბინ ლადენიც იქ იმალებოდა.

**დედამიწაზე** კლიმატის ცვალებადობის გამო უახლოეს ათ წელიწადში შეიძლება გაქრეს ცხოველებისა და მცენარეების მეოთხედი. მეცნიერთა დასკვნით, 2050 წლამდე მილიონ სახეობას ემუქრება გაქრობა. სიცოცხლის მთავარი მტერი — ინდუსტრია და საავტომობილო ტრანსპორტია, რომლებიც იწვევენ გლობალურ დათბობას.

**დიდ ბრიტანეთში** შეიქმნა მოწყობილობა, რომელიც ზურგჩანთას ჰგავს. იგი საეჭვო რაოდენობის ლითონის მატარებელთა გამოსავლენადაა განკუთვნილი. ამ „ზურგჩანთით“ აღჭურვილი სამოქალაქო ტანსაცმლიანი პოლიციელები ხალხმრავალ ადგილებში იტრიალებენ.

**„ჰამასის“** სულიერმა ლიდერმა შეიხმა აჰმედ იასინმა გერმანიის საინფორმაციო სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, — ჰამასი არ შეწყვეტს ტერაქტებს ისრაელის მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ თუ ისრაელი არ შეწყვეტს ოკუპაციას, არ გააუქმებს პალესტინაში ებრაელთა დასახლებებს, არ დააბრუნებს ლტოლვილებს იმ მიწაზე, რომელიც მათ 1948 წლამდე ეკუთვნოდათ. ჰამასის ლიდერმა ისიც განაცხადა, რომ ჩვენ თანახმანი ვართ პალესტინის სახელმწიფოზე 1967 წლის საზღვრებში. მისი დედაქალაქი იერუსალიმი უნდა იყოსო.

**ირანმა** განაახლა ლიბანის ტერორისტული დაჯგუფება „ჰასბოლაჰისათვის“ იარაღის მიწოდება, რაც აშშ-ის ადმინისტრაციის ზეწოლით შეჩერებული იქნა ერაყის ომის წინ. იარაღის გასაგზავნად სირიის თვითმფრინავებს იყენებენ, რომელთაც მიწისძვრით დაზარალებულ ბამში ჰუმანიტარული ტვირთი ჩააქვთ. დამასკში ისინი ირანის იარაღით დატვირთულები ბრუნდებიან, იარაღს შემდეგ ლიბანში გზავნიან.

**დიდი ბრიტანეთის** დედოფლის ელისაბედ -ის კურთხევით, 12 იანვარს, ოკეანეში გავიდა მსოფლიოში უდიდესი ლაინერი QUEEN MARY-2. ლაინერი, რომლის სიგრძე 345 მ და სიმაღლე 75 მეტრია, ლეგენდარული „ტიტანიკის“ მარშრუტით იმოძრავებს საუთჰემპტონსა და ნიუ-იორკს შორის. 23-სართულიანი შენობის სიმაღლის გიგანტის აგება ბრიტანულ კორპორაცია Cunazd-ს 800 მლნ დოლარი დაუჯდა. ერთკვირიანი კრუიზის ბილეთის ფასი 1499-დან 30.000 დოლარამდე ჯდება.

**დაღესტნის** სამართალდამცავი ორგანოების გამოძიების თანახმად, 36 ბოევიკისაგან შემდგარ ბანდას, რომელმაც გასული წლის 15 დეკემბერს ჩეჩნეთიდან დაღესტანში შეაღწია, სათავეში ედგა რუსლან გელაევი. 25 ბოევიკი განადგურებულია, 5 — დატყვევებული. ვარაუდობენ, რომ ზვავში ჩაკარგულთა შორის არის რუსლან გელაევიც.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

## როგორ აღმოჩნდა სანდრა რულოვსი აფრიკის ნაცვლად... ამერიკაში

— გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ საიდან (ჰოლანდიის რომელი ქალაქიდან) არის წარმოშობით, სანდრა რულოვსი და მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ.

*გეგი გეგელია*



კითხვაზე უპასუხებს **მზია სააკაშვილი** (პრეზიდენტის ბებია):

— სანდრა დაიბადა ჰოლანდიის სამხრეთით მდებარე ზღვისპირა ქალაქ ტერნეზენში, ედვარდ და მაგდალინა რულოვსების ოჯახში. დედა მხატვარია, მამა კი ბიზნესმენი — სამშენებლო ფირმის მეპატრონე. სანდრა 35 წლისაა. დაასრულა ბრიუსელის უცხო ენათა ინსტიტუტი და რენე კასენას ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტი სტრასბურგში. ბრიუსელში მუშაობდა წითელი ჯვრის ორგანიზაციაში ჰუმანიტარული დახმარების განხრით. მიხეილი გაიცნო სტრასბურგში 1993 წელს (უცხოელებისათვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში სანდრა აცხადებს, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა წითელი ჯვრის ორგანიზაციიდან აფრიკაში წასულიყო სამუშაოდ, მაგრამ ამჟამინდელ პრეზიდენტს მისი „გადარწმუნება" უცდია და აფრიკის ნაცვლად სანდრა მიხეილთან ერთად ამერიკაში გაემგზავრა. — ავტ.). მათი სამოქალაქო ქორწინება ნიუ-იორკში შედგა, ხოლო სანდრას მართლმადიდებლურად მონათვლის შემდეგ ჯვარი თბილისში (1994 წ.), სიონის ტაძარში დაიწერეს. 1995 წლის 21 ივლისს შეეძინათ ვაჟი, რომელსაც სანდრას მამის საპატივცემულოდ ედვარდი დაარქვეს. სანდრა ძალიან ნიჭიერია: უკრავს პიანინოსა და ფლეიტაზე, გატაცებულია ფერწერით, ცურვით, თხილამურებზე სრიალით, პარაშუტით ხტომით. ქართული ენის ჩათვლით ფლობს 6 ენას. 2 წელი მუშაობდა საქართველოში ნიდერლანდის სამეფოს საკონსულოში — ვიცე-კონსულად. 1997 წელს შექმნა საკუთარი ჰუმანიტარული ფონდი "Soko" შეზღუდული უნარის მქონე ბავშვებისა და მოხუცთა თავშესაფრების დასახმარებლად, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, ასწავლის ფრანგულ ენას რამდენიმე ინსტიტუტში.

## სიტყვათა კონა

**ზარაფხანა** (არაბ.-სპ.) (ძვ.) — 1. სახლი, სადაც ზარაფი ფულს ახურდავებდა და სესხად აძლევდა. 2. სახლი, სადაც ფულს ჭრიდნენ.

**ზარბაბი** (სპ.) (ძვ.) — აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილი ოქრომკედით ნაქსოვი.

**ზარნაშო** — დიდი ბუ.

**ზარნიში** (სპ.) — ლითონის ნივთებზე ამოჭრილი სხვადასხვა სახე, ოქროთი ან ვერცხლით ამოვსებული.

**ზარული** (კუთხ.) — იგივეა, რაც ფეხსადგილი, საპირფარეშო.

**ზარფუში** (სპ.) — მაღალი თავსახურავი, სარქველი, ხუფი (ჩვეულებრივ სპილენძის ქვაბისა).

**ზარხოში** (სპ.) — სასმლისაგან (ღვინისგან...) გამხიარულებული.

**ზაქრა** (არაბ.) — 1. ღვიძლის (ნაღვლის პარკის) ავადმყოფობა, რომლისგანაც ადამიანი ყვითლდება. 2. ბოღმა, ჯავრი, ნაღველი.

**ზაქი** — კამეჩის ნაშიერი დაბადებიდან სამ წლამდე.

**ზახრუმა, ზახრუმალ, ზახრუმალა** (სპ.) — შორისდებული: საკვდილი! არგადარჩენა! (ითქმის წყევლად).

**ზედადგარი** — რკინის სამფეხა — ქვაბისა და მისთანათა ცეცხლზე შესადგმელად.

**ზედაშე** (ძვ.) — 1. წითელი ღვინო, რომელსაც ხმარობენ ზიარების დროს ან ჯვრისწერის წესის შესრულებისას; 2. საეკლესიო დღესასწაულისათვის საგანგებოდ შემონახული საუკეთესო ღვინო.

## რა მანძილია თბილისიდან რაიონულ ცენტრამდე

— ვცხოვრობ თბილისში, ხშირად მიწევს მანქანით ოჯახთან ერთად მგზავრობა. საგზაო ნიშანზე ყველგან არ არის მითითებული, თუ რა მანძილია ამა თუ იმ რაიონულ ცენტრამდე. მამა კი შეკითხვაზე, რამდენ კილომეტრია, მაგალითად ახალციხემდე, მპასუხობს, რომ არ დაჰყვირებია მგზავრობისას სპიდომეტრს. იქნებ თქვენ მიპასუხოთ, თუ რა მანძილითაა დაშორებული ესა თუ ის ქალაქი თბილისიდან.

*მამია გელაშვილი*

ქვემოთ გთავაზობთ ჩამონათვალს იმის შესახებ, თუ რა მანძილითაა დაშორებული თბილისი საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და რაიონული ცენტრისაგან (მანძილი მითითებულია კილომეტრებში):

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აბაშა | 283 | თერჯოლა | 210 | ქუთაისი | 238 |
| ადიგენი | 236 | თიანეთი | 78 | ყაზბეგი | 149 |
| ამბროლაური | 227 | კასპი | 66 | ყვარელი | 140 |
| ასპინძა | 239 | ლაგოდეხი | 154 | შუახევი | 447 |
| ახალგორი | 66 | ლანჩხუთი | 291 | ჩოხატაური | 296 |
| ახალქალაქი | 278 | ლენტეხი | 325 | ცაგერი | 305 |
| ახალციხე | 207 | მარნეული | 39 | ცხინვალი | 120 |
| ახმეტა | 174 | მარტვილი | 279 | წალენჯიხა | 360 |
| ბათუმი | 376 | მესტია | 477 | წალკა | 94 |
| ბაღდათი | 222 | მცხეთა | 24 | წყალტუბო | 249 |
| ბოლნისი | 63 | ნინოწმინდა | 167 | ჭიათურა | 188 |
| ბორჯომი | 160 | ოზურგეთი | 321 | ხარაგაული | 180 |
| გაგრა | 534 | ონი | 200 | ხაშური | 131 |
| გალი | 361 | ოჩამჩირე | 391 | ხელვაჩაური | 387 |
| გარდაბანი | 42 | რუსთავი | 30 | ხობი | 312 |
| გორი | 89 | საგარეჯო | 49 | ხულო | 264 |
| გუდაუთა | 487 | სამტრედია | 268 | ხონი | 463 |
| გულრიფში | 431 | საჩხერე | 176 | ჯავა | 141 |
| გურჯაანი | 111 | სენაკი | 294 | ჩხოროწყუ | 333 |
| დედოფ.წყარო | 124 | სიღნაღი | 109 | | |
| დმანისი | 102 | სოხუმი | 444 | | |
| დუშეთი | 54 | ტყვარჩელი | 418 | | |
| ვანი | 258 | ტყიბული | 241 | | |
| ზესტაფონი | 197 | ფოთი | 334 | | |
| ზუგდიდი | 339 | ქარელი | 106 | | |
| თეთრიწყარო | 57 | ქედა | 419 | | |
| თელავი | 147 | ქობულეთი | 349 | | |

## იარაღის ტარებისთვის ნებართვა გჭირდებათ...

— მაქვს ცეცხლსასროლი იარაღი შენახვის უფლებით. ვცხოვრობ რაიონში. ხშირად მიწევს თბილისში ჩამოსვლა რაღაც პერიოდით. გადაადგილების შემთხვევაში მაქვს თუ არა უფლება იარაღი თან ვიქონიო და რა მდგომარეობაში?

*მამუკა გერგედავა*

კითხვაზე უპასუხებს **მერაბ როხვაძე**, შინაგან საქმეთა სამინისტროს სანებართვო სამსახურის უფროსი.

— „იარაღის შესახებ" კანონის თანახმად, აკრძალულია მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის გადატანა ერთი საცხოვრებელი ადგილიდან მეორეზე, მათ შორის დაშლილისაც. ამ შემთხვევაში ეს იარაღის ტარება გამოდის. ამდენად, თუ თქვენი შეკითხვის ავტორს ნებართვა აქვს აღებული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვაზე, მაშინ იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადაიტანს ამ იარაღს ერთი საცხოვრებელი ადგილიდან სხვა დროებით საცხოვრებელ ადგილას. კანონი გამონაკლისს უშვებს მხოლოდ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლის დროს და წელიწადში ერთხელ, ერთი თვის ვადით დასასვენებლად წასვლის შემთხვევაში. თუ მოქალაქე მიმართავს შსს-ს სანებართვო სამსახურს წერილობითი განცხადებით, წარმოადგენს დამადასტურებელ საბუთს, რომ ნამდვილად გადადის საცხოვრებლად ახალ მისამართზე, სანებართვო სამსახური (უსასყიდლოდ) გასცემს მასზე იარაღის შენახვის ახალ ნებართვას (ახალი საცხოვრებელი მისამართის მითითებით). და ასევე, ვისაც იარაღის შენახვის ნებართვა აქვს, კანონი მათთვის ითვალისწინებს მეორე შეღავათს, — წელიწადში ერთხელ ერთი თვით თუ სურს მოქალაქეს თავისი იარაღის გადატანა დასასვენებელ ადგილზე, მოგვმართავს წერილობითი განცხადებით, სადაც მიუთითებს აგარაკზე ყოფნის ვადასა თუ ადგილმდებარეობას, რის შემდეგაც ჩვენი სამსახური გასცემს იარაღის გადატანის ნებართვას მარშრუტის მითითებით. ამასთან, იარაღი გადატანისას უნდა იყოს დაშლილი (მჭიდი გამოეცალოს). ხოლო მათ, ვინც ხშირად იცვლის დროებით საცხოვრებელ ადგილს, მოუწევთ იარაღის შინ დატოვება და უიმისოდ „მოგზაურობა".

## ნანა დევდარიანი ტელევიზიაში მუშაობას აპირებს?

— სად არის და რას საქმიანობს ამჟამად ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე ნანა დევდარიანი. ხომ არ ნანობს, რომ დათანხმდა თავის დროზე საქართველოსთვის პოლიტიკურად რთულ პერიოდში ასეთ საპასუხისმგებლო პოსტს.

*მანანა ნოდია*



კითხვაზე უპასუხებს ნანა დევდარიანი.

— საჯარო, ანუ სახელმწიფო სამსახურში აღარ ვარ. არც პოლიტიკაში ვყოფილვარ მას შემდეგ, რაც ომბუდსმენის პოსტი დავიკავე. ვაპირებ დავუბრუნდე ჟურნალისტიკას. მაქვს რამდენიმე შემოთავაზება სხვადასხვა ტელეკომპანიიდან. რომელს ავირჩევ, ჯერჯერობით ამაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება. პოლიტიკაში დაბრუნებაც შემომთავაზეს, თუმცა არასწორად მიმაჩნია ის მოსაზრება, რომ საჯარო სამსახურიდან წასვლის შემდეგ პოლიტიკაში უნდა „გადაბარგდე" და თანაც აუცილებლად ოპოზიციაში. პირველად არ ხდება ჩემს ცხოვრებაში ისე, რომ პროფესიას ვუბრუნდები. მაგალითად, 1995 წელს, როდესაც პარლამენტში ვერ მოვხვდი, ერთ-ერთ გაზეთში დავბრუნდი სამუშაოდ. ახლა კი, სიმართლე გითხრათ, მომენატრა ტელევიზია, თანაც ბოლო დროს იმდენი ახალი ტექნიკური საშუალება გაჩნდა, ვფიქრობ, იქ მუშაობა ძალზე საინტერესო იქნება.

რაც შეეხება სინანულს, არაფერს ვნანობ. რაც შევძელი, ის გავაკეთე ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე ყოფნისას. დანარჩენი კი რაც მოხდა (ვგულისხმობ რევოლუციას), მას პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა და არჩევნები მხოლოდ საბაბი იყო. რევოლუცია არ ხდება პოლიტიკური მიზეზების გარეშე. ტოტალურად გაყალბებული 2 ნოემბრის არჩევნები ნამდვილად არ ყოფილა, თუმცა აჭარის მაჩვენებლები ნამდვილად იწვევდა ეჭვს, რადგანაც, ჩემი აზრით, რეალურზე აშკარად მეტი ამომრჩეველი იყო ნაჩვენები. თანაც ამ მონაცემების გადამოწმების საშუალება ნამდვილად არ მქონია. ასევე ეჭვს იწვევდა რამდენიმე მონაცემი ქვემო ქართლიდან, მაგრამ იმისი თქმა, რომ ზეწოლას განვიცდიდი ვინმესგან, ვფიქრობ, მეტისმეტია...

## რამდენი მონარქიული სახელმწიფოა მსოფლიოში

— მაინტერესებს, რამდენი მონარქიული სახელმწიფო არსებობს დღემდე მსოფლიოში. იქნებ ჩამოგვითვალოთ თითოეული მათგანი და მათ შესახებაც მოგვითხროთ.

*აჩი ხაჩიშვილი*

— მონარქია, როგორც მმართველობის ფორმა (მემკვიდრეობითი) დღეს მსოფლიოს 30 ქვეყანაში არსებობს. აზიაში 14 მონარქიული სახელმწიფოა: ბუტონი, იორდანია, კამბოჯა, მალაიზია, ნეპალი, ტაილანდი, იაპონია, ბაჰრეინი, ბრუნეი, კატარი, ქუვეიტი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ომანი და საუდის არაბეთი. უკანასკნელ შვიდში დღემდე აბსოლუტური მონარქიაა, სადაც მონარქს კანონშემოქმედებითი, აღმასრულებელი და სასამართლო ერთპიროვნული ძალაუფლება აქვს.

ევროპაში 12 მონარქიული სახელმწიფოა: ანდორა, ბელგია, ვატიკანი, დიდი ბრიტანეთი, დანია, ესპანეთი, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, მონაკო, ნიდერლანდი, ნორვეგია და შვედეთი. მმართველობის აბსოლუტური, თეოკრატიული (რელიგიური) ფორმა მხოლოდ ვატიკანშია, რომის პაპი ვატიკანის მონარქად ითვლება.

აფრიკაში 3 მონარქიული სახელმწიფოა: ლესოთო, მაროკო და სვაზილენდი. კიდევ ერთი მონარქიაა ოკეანიაში — ტონგა.

მსოფლიოში ყველაზე უძველესია იაპონური მონარქია. იგი ჩვ. წ. აღ-მდე 660 წელს შეიქმნა. ევროპაში უძველესი დანიური მონარქია კი თავის არსებობას 899 წლიდან იწყებს.

## 29 თებერვალს დაბადებულები

— წლევანდელი წელი ნაკიანია. მეც ასეთ წელს ვარ დაბადებული. ყოველთვის მაინტერესებდა ცნობილი ადამიანებიდან ვინ არის ჩემსავით „გამონაკლისი", ანუ ვინ დაიბადა 29 თებერვალს?

*მალხაზ მამარდაშვილი*

— 29 თებერვალს დაბადებული გამოჩენილი ადამიანები არიან:

**კონსტანტინე დიდი I** — რომის იმპერატორი, კონსტანტინოპოლის დამაარსებელი;

**ჯოაკინო როსინი** — იტალიელი კომპოზიტორი;

**იოჟეფ საბო** — წარსულში ცნობილი უკრაინელი ფეხბურთელი.

მართალია გამოჩენილი პიროვნებების სია ძალიან მოკლეა, სამაგიეროდ, 29 თებერვალს „დაბადებულ" ცნობილ ფირმათა ჩამონათვალია შთამბეჭდავი. მათ რიცხვშია: „ქენონი", „ინდეზიტი", "ინტელი", „ფორდ მოტორსი", „ორიფლეიმი" „ბრითიშ ამერიქან თობაქო", „ლუკოილი", „შვარცკოფი" და კიდევ ასობით პოპულარული კომპანია. როგორც ირკვევა, 29 თებერვალს ფირმის რეგისტრაცია ბევრ ბიზნესმენს კარგად აქვს დაცდილი. ახალი საქმის დაწყება ალბათ წლევანდელ 29 თებერვალსაც მომგებიანი იქნება. გისურვებთ წარმატებებს!


ასლგადამღები აპარატები

1. იჯარა - ლიზინგი უნივერსიტეტებს, ორგანიზაციებს, ოფისებს
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით ტექნიკური მომსახურება და სერვისი

შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო" LIBCO. Company LTD

ალმაშენებლის №99/1 ☎ 96-32-89

„პლასტროსის" ფირმის

მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები

ძალიან იაფად

ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.

ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია

მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით

☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 10 იანვრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1200 |
| ევრო | 2,6940 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,8775 |
| რუსული რუბლი | 0,0731 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5527 |

# ცხოვრებისეული კურიოზები

## ელენინის მეუღლე



ელენინი საავიაციო ქარხანაში პარტკაბინეტის გამგედ მუშაობდა. თვითონ ხომ მაღალი და სიმპათიური კაცი იყო, მაგრამ ცოლი ჰყავდა მართლაც გადასარევი და მშვენიერი, ნამდვილი სუპერვარსკვლავი. იმდენად ლამაზი და მოხდენილი იყო (თანაც, სექსუალური), ყველა შემხვედრი თვალს აყოლებდა, კაციც და ქალიც.

ერთხელ შესვენებაზე, საამქროში ვიდექით მეგობრები და ვსაუბრობდით. ამ დროს ელენინის მეუღლე შემოვიდა და გვერდზე ჩაგვიარა. ყველამ ჩვენდა უნებურად თვალი გავაყოლეთ, ხოლო ერთმა, რომელიც ქარხანაში ახალი მოსული იყო, ხმამაღლა ჩაილაპარაკა:

— ოჰ, ერთი ეს ქალი ჩამაგორებინა საწოლში და მერე თუნდაც მომკლა!

მოულოდნელად მშვენიერი ქალი ჩვენკენ მოტრიალდა და ამ სიტყვების მთქმელს გამომწვევად უთხრა:

— მერე, პეტუშოკ, შეძლებ რამეს?

ჩემი მეგობარი ჯერ დაიბნა, არ მოელოდა, ჩრდილოელმა ქალმა ქართული თუ იცოდა, მერე კი გამომწვევად მომლოდინე ანგელოზს რუსულ-ქართული ნარევით, დაქადნებით მიუგო:

— კაკ ნიბუდც, რამეს მოვახერხებ!

— კაკ ნიბუდც ჩემი ქმარიც ახერხებს რაღაცას!.. — კიდევ უფრო გამომწვევად ჩაილაპარაკა ელენინის ცოლმა და ტანის ნარნარი რხევით გზა განაგრძო.

***ტარიელ მარგველაშვილი, ქარელის რაიონი, სოფელი ბერძენაული***

## ვალში არ დარჩა...



თბილისის ერთ-ერთ უბანში კაცები ჩრდილში კარტს თამაშობდნენ. მივიდა უბნის რწმუნებული (მას ეგონა, რომ ფულზე თამაშობდნენ) და დაიშალეთო, უბრძანა. ერთ-ერთი შეეპასუხა, არ დავიშლებით, რადგან უბრალოდ ვერთობით და არც ფულზე ვთამაშობთო. „კუკარაჩას" არ მოეწონა შეპასუხება და ჯიუტ „მოთამაშეს" უთხრა:

— ხვალ მოხვალ ჩემთან და იქ დავილაპარაკებთო.

— მე კი მოვალ და ისევ წამოვალ შენგან, მაგრამ შენ რომ მოხვალ ჩემთან, უკან ველარ წახვალო! — არ ჩამორჩა „დასჯილიც".

მერე გაიგო კუკარაჩამ, რომ ის კაცი მესაფლავე იყო.

***შალვა ლომიაშვილი, კასპის რაიონი, სოფელი მეტეხი***

## თანაგრძნობა



საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარდაცვალების დროს სოფელში ვიყავი. მთელი კვირა გამოცხადებული იყო გლოვა. ტელევიზორში მხოლოდ ბრეჟნევის დაკრძალვის ცერემონიალს უჩვენებდნენ. იმჟამად ჩვენს სოფელში მხოლოდ ორ არხს ვიღებდით — მოსკოვსა და თბილისს. ჩავრთავთ მოსკოვს — მოასვენებენ ბრეჟნევს, ჩავრთავთ თბილისს — უკრავს სამგლოვიარო მუსიკა და ისევ ბრეჟნევს მოასვენებენ. სამი-ოთხი დღის შემდეგ იმავე ცერემონიალს ბებიაჩემმა უყურა, უყურა და... გაკვირვებულმა თქვა: — უი, ქა, რა შორსა ჰქონიათ სასაფლაო, რამდენი ხანია მიასვენებენ საცოდავს და ჯერ ვერ დაუმარხავთო.

***გივი გორელაშვილი, თიანეთი***

## საპრეზიდენტო არჩევნები ჩვენს ქვეყანაში

### სვანეთი:



მესტიაში სვანი კონვერტით ხელში მიდის დამკვირვებელთან და გაბრაზებული საყვედურით შესჩივის, მარკირებას არ მიკეთებენო. როგორ თუ არ გიკეთებენო, წამოხტა მეთვალყურე და მივარდა კომისიის თავმჯდომარეს. თავმჯდომარემ თავი გაიგიჟა, — ვუკეთებთ მარკირებას, მაგრამ არ იჯერებსო. ამაზე სულ გადაირია ეს სვანი. კონვერტი თვალწინ აუფრიალა კომისიის წევრებს:

— ერთი ამ კონვერტზე დაკრული მარკა არ გიჩვენებიათ და მერე მე ვიცი, აგხანჯლავთ სუყველასო.

ძლივს დააწყნარეს და დაარწმუნეს, რომ მარკირება კონვერტზე მარკის დაკვრას არ გულისხმობდა.

— აბა, ისე ვის გაუგია ამდენი კონვერტის გაგზავნაო!.. — ახლა ამაზე გადაირია სვანი.

***ჯანსუღ ბოჭორიშვილი, ქუთაისი.***

## ორიგინალური განცხადება:



ცოდნას მოწყურებულ, რუსეთში გადახვეწილ ახალგაზრდას სასწრაფოდ ესაჭიროება მატერიალური დახმარება „მერსედესის" ბოლო გამოშვების მანქანის შესაძენად (ვინაიდან მეტროთი მგზავრობისას ლექციებზე აგვიანდება ხოლმე).

უმორჩილესად ვთხოვთ ჩვენს 14 ლარის მქონე ყველა მოქალაქეს, ნუ დავკარგავთ „უნიჭიერეს თანამემამულეს", გამოვიჩინოთ გულმოწყალება და თუნდაც თითო ლარით გავუწიოთ დახმარება (დასაშვებია ოქროს ზოდებიც).

დახმარება შეგიძლიათ შეიტანოთ მე-5 იზოლატორის ანგარიშზე — მოკითხვამდე.

***ნიაზი, თბილისი.***

## ქუთაისი-ვანის გზაზე მოსმენილი

***



ვანელთან სტუმრადაა ქუთაისელი. ქუთაისელი:

— „კრიჟანები" (ანუ ძუნწები) ხართ ვანელები, სტუმარი რომ მოგივათ, თავს არ შეიწუხებთ!...

— არაა მაგი მართალი!

— რაფერ არაა?

— რაფერ და წამოი ახლა აგერ ჩემ მეზობელ კოლიასთან და ნახავ რაფერ პურმარილს გაგვიშლის.

— რომელ კოლიასთან, ბიჯო, ქუთაისელი როა?

***



ორი ვანელი შეხვდა ერთმანეთს მოსკოვში, არბატზე, შუაგულ ზამთარში. 15 გრადუსი ყინვაა...

დგანან და ლაპარაკობენ. მოიკითხეს ერთმანეთი, გაიხსენეს ახალგაზრდობა, სკოლის მეგობრები, მეზობლები, ნათესავები...

გადის დრო, ერთსაც გაეყინა ფეხები და მეორესაც. დაიწყეს ჯარისკაცებივით წინ და უკან სიარული. თან ისევ ლაპარაკობენ...

ბოლოს ერთს, ყინვისაგან რომ ცახცახი დააწყებინა, ეყო ჭკუა და მეორეს უთხრა:

— წევიდეთ ახლა ჩვენ-ჩვენს სახლებში, თვარა რესტორანში დამპატიჟებელს არც შენ ჰგავხარ და არც მეო...

***ნური ჭოხონელიძე, ვანი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



— როგორ გაატარე ახალწლის დღესასწაულები? — ეკითხება ქუთაისელი თბილისელს.

— არ ვიცი, ჯერ არ მოუყოლიათ...

***თემურ ტულუში, ლანჩხუთი***



— ალო, ალო, მიტუას ბინაა?

— არა, ჯო, ჩვენა ტელეფონი საერთოდ არა გვაქვს!

***მიხეილ გელაშვილი, სურამი***

ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.

მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.

## მილოცვა

**მარგო ვარამიშვილს!**



გილოცავთ დაბადების 70 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და მშვიდ სიბერეს.

დარდით სავსე ცხოვრება გარგუნა ბედმა. უსაშველოა შენი ტკივილი, მაგრამ სულით ძლიერსა და გაუტეხელს ვერაფერი დაგაკლო.

კიდევ დიდხანს გვაღირსოს ღმერთმა შენთან ყოფნის ბედნიერება და სიხარული.

*ჩაფერფლილია შენს თვალებში სიცოცხლის სხივი,*
*დაღარულ სახეს მწუხარების კვალი აჩნია,*
*მოურჩენელი იარებით გულდასერილი,*
*სისხლად იღვრები, ეს რამდენი წელიწადია.*
*ბევრჯერ სიკვდილი გინატრია სასოწარკვეთილს,*
*შველა ვის სთხოვო, აღარ იცი, რა გზას დაადგე,*
*გაუსაძლისი ტკივილია შენი სიცოცხლე,*
*ჩუმი ცეცხლია, ვერაფრით რომ ვეღარ ჩააქრე.*

*შენი შვილები და შვილიშვილები*

**ძვირფასო ჯაოშვილებო!**

გილოცავთ შობა-ახალ წელს! იმრავლოს ჩვენმა გვარმა, იხაროს თქვენმა ფუძემ და ჭერმა. დოვლათი არ მოგკლებოდეთ, გფარავდეთ უფალი თქვენ და მთელ საქართველოს.

*საგვარეულო კავშირის სახელით ირაკლი ჯაოშვილი (899 90-08-62)*

## მადლობა

**ბატონ რამაზ ჩხიკვაძეს!**

გმადლობთ, რომ არსებობთ. თქვენ, როგორც უდიდესი ხელოვანი, ასევე დიდი პატრიოტი ბრძანდებით. მე კვლავ გიკრავთ ტაშს, „ბრავოს" შეძახილით (აწ უკვე ტელევიზორთან). გილოცავთ შობა-ახალ წელს. იცოცხლეთ და იხარეთ.

*თქვენი მადლიერი მაყურებელი ცირა კაკაბაძე*

## გთავაზობთ სამუშაოს

GIJ – პირველი ქართული AU-PAIR სააგენტო გთავაზობთ გერმანიაში გამგზავრებას. ასაკი – 18-25 წლამდე. კონსულტაციები და ცნობარები უფასოა. საშუამავლო თანხა – 78-90 ევრო ლარებში (წინასწარ – ნახევარი). ტელ: 34-66-02; 91-19-61

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს ბიზნესპარტნიორები. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 38-31-59; 893 33-18-86

უცხოურ კომპანიას ესაჭიროება რუსული ენის მცოდნე, უ/გ, 35-45 წლამდე პედაგოგიური ან ადმინისტრაციული სტაჟის მქონე პასუხისმგებელი პირი ხელმძღვანელის თანამდებობაზე, ოფისში სამუშაოდ. ჩაწერა გასაუბრებით. ტელ: 64-63-40; 893 28-25-59

კადრების დასაკომპლექტებლად, ექიმ-თერაპევტის თანამდებობაზე გვესაჭიროება სამედიცინო განათლების მქონე პირები, რომლებიც 3 თვეში ერთხელ, კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაიგზავნებიან ქ. მოსკოვში. მიღება წარმოებს კონკურსის სახით. სამუშაო საოფისეა. ტელ: 92-17-62. თეა დევდარიანი

სათანამშრომლოდ ვიწვევთ სამედიცინო და ბიოქიმიური განათლების მქონე სერიოზულ პირებს. ასაკი – 22-დან 55 წლამდე. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 92-17-62. ლია ჯიქია

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

## მომსახურება

კომპიუტერული „სასწრაფო დახმარება" – ფირმა „ელიტა-სკ". თუ თქვენს კომპიუტერს პრობლემები შეექმნა, სჭირდება პროფილაქტიკა ან გსურთ დაგეხმაროთ ახალი აპარატურის ან პროგრამის ინსტალაციაში, დაგვირეკეთ და გამოგვიძახეთ: 30-39-20. ფასი: ერთ საათამდე – 10 ლარი.

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ: არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას! მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით), გააკეთეთ სწორი არჩევანი და თქვენი სილამაზე გარანტირებულია! 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასალები იაფად). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

Маска молодости. Тел: 893 95-10-37; 34-36-83

## მკურნალობა

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. მკურნალობა გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 20-19-66

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნაზეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს: უნებლიე შარდვას, ყურებში შუილს, პროსტატიტს, ბუასილს, ფრჩხილების სოკოს, თმის ცვენას, ფსორიაზს, ჰეპატოქოლეცისტიტს, ორგანიზმში დაგროვილ სითხეს, აშორებს მეჭეჭებს; სექსუალური დარღვევა; ელექტროკარდიოგრამა; ექოსკოპია; სქესის დადგენა. მის: აღმაშენებლის გამზ. №93 (მ. „მარჯანიშვილთან"). ტ: 96-38-27

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი ($t = 37,2^{0}C$), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03

პირველად საქართველოში! მკურნალობა აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით: ნევროზი, უძილობა, შიშები, დეპრესია, ქრონიკული დაღლილობა, ჰიპერტონია, სისხლძარღვების შევიწროება, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ინსულტი, პრობლემური კლიმაქსი. ტელ: 93-25-61; 899 22-63-90

ჰიპერტონია, ართიმია, სახსრები, მარილები, ნევროზი, დეპრესია, შიშები, უძილობა, ვარიკოზი, თრომბოზი, სისხლძარღვების შევიწროება, ფსორიაზი, კანის სხვადასხვა დაავადება, თვალის დაავადებები, პროსტატიტი, ცისტიტი, პრობლემური კლიმაქსი. მკურნალობა აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით. ტელ: 99-75-90; 899 22-63-90. ნინო ტელ: 37-68-69

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული, უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილების დაგროვება), პოდაგრა. ეფექტი – პირველივე დღეებიდან. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან", ც. დადიანის №87), კაბ. №11. წინასწარი ჩაწერით ტელეფონზე: ტ: 61-02-97; 39-39-97; 899 57-16-99. ექიმი ალექსიშვილი

ფსიქოთერაპიული ცენტრი „ორსი" კურნავს ფსიქიკურ აშლილობას (ნევროზი, ფსიქოზი, ნარკომანია, ეპილეფსია, დიაბეტი, სექსუალური მოშლილობა, შიშები), ახორციელებს კონსულტაცია-ტრენინგებს და ამზადებს უმაღლესი დონის სპეციალისტებს. ტელ: 93-11-05; 57-37-13

ყურადღება! სიახლე! მხედველობის გაუმჯობესება ექსკლუზიური მცენარეული პრეპარატებით! აგრეთვე: ქრონიკული დაავადებისა და კანის სხვადასხვაგვარი დაავადებისგან განკურნება, ყოველგვარი უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე! შედეგი გარანტირებულია! კონსულტაცია უფასოა! ტელ: 893 97-74-62. მარიკო

დიაბეტით დაავადებულთა საყურადღებოდ! შაქრის დარეგულირება, კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციის კორექცია, ინსულინის ენიექციისაგან გათავისუფლება. ასევე მწეველებისა და ალკოჰოლომანებისათვის! თქვენ დაგეხმარებათ აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებზე დაყრდნობით შექმნილი „ანტითამბაქო" და „ანტიალკოჰოლი". ტელ: 893 96-94-51 (დღისით); 35-17-48 (საღამოს)

პირველად საქართველოში! მკურნალობა ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებზე დაყრდნობით შექმნილი პროგრამებით, აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით: შიში, დეპრესია, უძილობა, ნევროზი, კლიმაქსი, არაენერგიულობა, თავის ტკივილები, ჰალუცინაცია, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ალერგია, ასთმა, დიაბეტი, პროსტატიტი, სქესობრივი სისუსტე, სპერმის უხარისხობა, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, ცისტიტი, ქოლეცისტიტი, ქრონიკული ჰეპატიტი, სოკო, ეგზემა, ფსორიაზი. ტელ: 893 96-94-51 (დღისით); 35-17-48 (საღამოს)

ბავშვებში ზრდის დაქვეითება და ავიტამინოზი, უნებლიე შარდვა, გარდამავალი ასაკის პრობლემების დარეგულირება, შიში, დეპრესია, უძილობა, თავის ტკივილები, ნევროზი, სკლეროზი, გონების დაკარგვა; კოლიტი, ბუასილი, კუჭის წყლულოვანი დაავადებები, ჰეპატიტი. ტელ: 99-75-90. მაია

მაქსიმალურად გარანტირებული შედეგი შემდეგი დაავადებების მკურნალობისას: ალერგია, ბრონქული ასთმა, ობსტრუქციული ბრონქიტი, შაქრიანი დიაბეტი გართულებებით, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი, ნევროზი, ხშირი გაციება, ართროზი, ოსტეოქონდროზი, სიმსუქნე (გახდომა დიეტის გარეშე), ტრადიციული და არატრადიციული მეთოდებით, მათ შორის, ნატურალური ბალახებით, სუნთქვითი ვარჯიშებით და ა.შ. ტელ: 64-63-40; 893 28-25-59

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

დაჩქარებული მეთოდით, ინდივიდუალურად შეგასწავლით საოფისე პროგრამებს (ვინდოუსი, ვორდი, ექსელი). ფასი 60 ლარი. ტელ: 34-32-79; 899 91-86-81; 893 96-00-42

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

უცხო ენებისა და კომპიუტერის სწრაფი კურსები „ელიტა-სკ" იწვევს 15-დან 18 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეებს, ამერიკის, გერმანიისა და საფრანგეთის სკოლებში, აკადემიური წლის პროგრამით. მის: ქავთარაძის ქ. №12. ტელ: 30-39-20; 32-72-95

## იყიდება

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

გთავაზობთ საორსულო ტანსაცმელსა და ბანდაჟების დიდ არჩევანს; კოლგოტებს, კრემებს სტრიებისათვის და ათას წვრილმანს; მოხრილობის საწინააღმდეგო ჟილეტებს ბავშვებისა და დიდებისათვის; რადიკულიტის, დისკოზის, ფეხის ასადგმელ და ყველანაირ სამედიცინო ბანდაჟს; სუპინატორებს – ბრტყელტერფიანობისთვის; ორთოპედიულ ბალიშებსა და საყელოებს; კუზნეცოვის იპლიკატორებს. ტელ: 53-46-41; 899 58-60-64


# დეტექტიური ჟანრის

## დოკუმენტური მოთხრობების კრებული




იკითხეთ საგაზეთო ჯიხურებსა და წიგნის მაღაზიებში

## დათა გულორდავას მონატრება



უსაზღვრო და უსაშველოა შენი ტრაგიკული სიკვდილით გამოწვეული სევდა. წელიწადმა განვლო, მაგრამ დარდი დარდად დარჩა, დრომ ვერ გაანელა შენი დაკარგვით გამოწვეული მწუხარება.

დაუჯერებელია უშენობა, შენ ხომ ხმაურიანი, მხიარული, მეოცნებე და სიცოცხლით სავსე იყავი. როგორ იტევდა შენი პატარა გული ამდენ სიყვარულს, შენ მხოლოდ 13 წელი იცოცხლე.

გვენატრები, გვენატრები ყველას,

*ბიძაშვილები: ირმა, თეა, თეონა, ფიქრია გულორდავები*

## აჩი ჯვარშეიშვილის გახსენება



დედიკო, შვილო, მესამე ახალ წელსა და შენს დაბადების დღეს ვხვდები უშენოდ, ჩემო მარად 30 წლის ვაჟკაცო.

ნაღდი ვაჟკაცი და ნაღდი თბილისელი, აღარ დადიხარ თბილისის ქუჩებში. ძველებური თამრიკო აღარ ვარ, სნეულ დედას ამერია სიყვარულის გზა და მიტევების ნიჭი; მეგონა, შენს თავს ვერავინ წამართმევდა. უშენოდ ჩემთვის დღეები არაფერს ელიან, სულში სიცარიელეა და ტკივილს ვგრძნობ... მენატრები, გეძახი, შენი მოფერება მინდა. სიზმარში მაინც მოდი, შვილო და როგორც იმ უკანასკნელ დღეებში, შენი თხოვნის გარეშე „ნანას" გიმღერებ.

ცხოვრება ერთი ლამაზი წუთი ყოფილა. მრავალი წელი ლამაზად ვიცხოვრე მხოლოდ შენთან ერთად. ჩვენი განშორებისას დაგპირდი, მალე მოვალ შენთან-მეთქი, მაგრამ ვერ შევასრულე, ვერ მივატოვე ეს ცოდვილი ცა და მიწა. მიუხედავად იმისა, რომ უშენოდ ძალზე დაღლილი და მარტოსული ვარ, მაინც ვიბრძვი და ვცდილობ, შიშმა და დარდმა არ დამძლიოს.

შენი ვაჟკაცი მალე 15 წლის გახდება და ისევ ვჭირდები.

ღმერთმა ერთი არჩილი კიდევ მაჩუქა. ვიცი, გაგიხარდება და იმ ქვეყნიდან დამილოცავ შენს სახელზე დანატოვარ ჩემს პატარებს, რათა იავარდით ჰქონდეთ მოფენილი ცხოვრების გზა — ისევ და ისევ შენი სახელის მოსახსენებლად, თორემ უბედურ დედაშენს ვერავინ შეუცვლის მის ერთადერთ შვილზე ტკივილსა და ტანჯვას, ვერავინ შეუშრობს შენი მონატრების ცრემლს.

ჩემო სისხლის, ხორცისა და სულის ნაწილო, ჩემო სიცოცხლევ... უზომოდ მენატრები, სიზმარში მაინც მოდი ძვირფასო; შენ მოფერების ბიჭი იყავი, მოდი, მოგეფერო, მოდი, ჩაგეხუტო.

ნათელში ყოფილიყოს შენი ლამაზი სული, სამოთხეში დაგედოს სამუდამო საცხოვრებელი, აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

*შენი „დე"*

## არჩილ ჯვარშეიშვილის გახსენება

საბავშვო ბაღი, სკოლა, ქუჩა, ინსტიტუტი და სამსახური — უამრავი სამეგობრო წრე.

ჩვენო სულით, გულით და სხეულით ლამაზო ვაჟკაცო, შენი გახსენება ჩვენთვის ტკივილისა და სინანულის, ცრემლის გარეშე როგორ იქნება.

შენს გაყინულ სხეულთან მდგომნი, ერთმანეთს დაბნეულები ვეკითხებოდით, როგორ გვეცხოვრა უშენოდ.

შენ ხომ ჩვენი პატრონი, დამცველი და იმედი იყავი. ყოველთვის შენი დიდი ფრთების ქვეშ ვიყავით ამოფარებულები და როცა ჩვენ გვიჭირდა, შენი ოჯახის პრობლემებს გვერდით გადადებდი და ჩვენთან გაჩნდებოდი ხოლმე, რისთვისაც ცხოვრება მარტომ, ოჯახის გარეშე დაასრულე.

დარწმუნებული ვართ, ერთ-ერთი ჩვენთაგანის უგუნურმა ქმედებამ შეიწირა შენი ლამაზი სიცოცხლე და ჩვენ ვერაფრით დაგეხმარეთ. იმედია, გვაპატიე და იმ ქვეყნიდანაც ჩვენზე ფიქრობ და ზრუნავ.

შენ არ იდარდო, ძმაო, ჩვენ ყველამ ვისწავლეთ უშენოდ ცხოვრება, ვიპოვეთ ჩვენ-ჩვენი გზა და ვაგრძელებთ სიცოცხლეს, მხოლოდ შენ აღარ ხარ ჩვენთან.

უზომოდ ბევრი სიკეთე გვახსოვს დედაშენისგან. მას ვერა, მაგრამ დიდსა და პატარა დათოს ხშირად ვნახულობთ, საფლავზეც ხშირად დავდივართ, მაგრამ შენ რომ იცოდი და გააკეთებდი, ისეთს ვერაფერს გიკეთებთ.

ცხოვრება გრძელდება, წლოვანება გვემატება და იმედს ვიტოვებთ, რომ შენს შვილებს მაინც გამოვადგებით და ცოტაოდენ მაინც შევუვსებთ იმ სიცარიელეს, შენმა წასვლამ რომ დაუტოვა.

ჩვენ კი ძალიან გვენატრები, ძალიან გვიყვარხარ და შენს სახელს დავიწყებას არ მივცემთ.

*სამეგობრო*

## ვასო ვაშაგაშვილის გახსენება



მესამე გაუსაძლისი თვე იწურება, ვასო, მას შემდეგ, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. სამი თვე, ნატვრად ქცეულ მოგონებებში გავატარეთ. ყოველდღე შენი მონატრებით თენდება და ღამდება. საშინელია იმის გააზრება, რომ პირველად უშენოდ უნდა შევხვდეთ ახალ წელს. კიდევ უფრო მწარეა იმაზე ფიქრი, რომ 14 იანვარი — შენი დაბადების დღე საფლავში, ცივ სამარეში უნდა მოგილოცოთ, ყვავილებით და სანთლებით.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სული.

*შენი ოჯახი*

## ნათელა კოჭლამაზაშვილის ხსოვნას!



მეორედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, 12 იანვარს უშენოდ, ჩვენო კეთილო, ლამაზო, მშვიდო, ხალისიანო ნათელა. შენი ღიმილი გვენატრება და გვიჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი. ცხოვრებამ აზრი დაკარგა, ყველაფერი გაუფერულდა, გაიყინა, მაგრამ მაინც ვარსებობთ, ვფიქრობთ.

უფალს ვთხოვთ, სულის სიმშვიდე მოგაპოვებინოს სამუდამო სასუფეველში. ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს მარადიული გზა.

*დედა, ძმა*

## მერი მემარნიშვილის გახსენება



ერთი წელი იწურება, რაც მოულოდნელად გამოგვეცალე ხელიდან, მერი დეიდა.

ახალი წელიც უშენოდ პირველად მოვიდა. აღარასოდეს მოგვილოცავ ახალ წელს და აღარასოდეს გვისურვებ ბედნიერებას. უშენოდ პირველად მოვიდა შენი დაბადების დღე — 10 იანვარიც. შენ გარეშე აღვნიშნავთ დაბადების დღეს, ოღონდ დღეგრძელობას ველარ გისურვებთ, მერი დეიდა. მხოლოდ უფალს შევავედრებთ შენს სულს, რომ იმ ქვეყნად ნათელი დაგიმკვიდროს. შობა-ახალ წელს და დაბადების დღეს ერთად გილოცავთ, ჩემო საყვარელო მერი დეიდა.

გვიყვარხარ, გვაკლიხარ და ძალიან გვენატრები.

*დისშვილები — დათო, მირიანი, ირმა, სოფო, მანჩო; დისშვილიშვილი სანდრო*

## ვალერი სინატაშვილს!



14 იანვარს ექვსი თვე გავიდა შენი გარდაცვალებიდან. რაღაც განსაკუთრებული მინდა გითხრა, მაგრამ რა? გვიყვარხარ, გვენატრები, თითქოს ყველგან ხარ და მაინც ვერ გხედავთ.

მადლობა წარსულისათვის, იმ ორი უძვირფასესი საჩუქრისთვის, რასაც ჩვენი შვილები — ნინიკო და ლევანი ჰქვია და იმისთვის, ისე რომ იცხოვრე ამქვეყნად, რომ ჩვენ ამაყად შეგვიძლია ვთქვათ: ვალერი სინატაშვილის მეუღლე და შვილები ვართ-თქო.

*ირინა*

## ზაზა შალვაშვილის მონატრება



ერთი წლის უკან, 2003 წლის 15 იანვარს, მეხივით გავარდა შენი ტრაგიკულად დაღუპვის ამბავი სოფელში, შენს ოჯახში, ჩემო ზაზა. მარტყოფის წყალმა შეიწირა პატარძეულელი, 22 წლის ვაჟკაცის უმწიკვლო სული და ლამაზი სიცოცხლე. ტკივილიანი და ცრემლიანი წელი გავიდა უშენოდ, ჩემო დიდო ნუგეშო. სულ გეფერები, გელაპარაკები, მესმის შენი წყნარი ნაბიჯების ხმა და ძახილი „დეე!".

ჩემო ზაზა, თანდათან ვრწმუნდები, რომ შვილმკვდარი დედისთვის ყველაზე დიდი სასჯელი სიცოცხლეა. ჩვენო ლამაზო, თბილო და ტკბილო, შეგნებულო, პატიოსნებითა და სიკეთით სავსე ბიჭო, ყველას ენატრება შენი ღიმილი, ხალისიანი მოკითხვა და მშვიდი, მორიდებული სალამი. გჯეროდეს, ჩვენთვის მუდამ ლამაზ მოგონებად და მოუშუშებელ ჭრილობად დარჩები.

*შენზე უსაზღვროდ მონატრებული მშობლები და ძმები*

## ქეთი ხადილაშვილის მონატრება



14 იანვარი შენი დაბადების დღეა, შენ ხომ 5 წლის გახდებოდი. რა დიდი ტკივილი და მონატრება დაგვიტოვე, ქეთი! უშენოდ მარტოდ დარჩა შენი ძამიკო, რომელსაც ძალიან ენატრები. გვაკლია შენი ჟრიამული და მოუსვენრობა. უსაშველოდ გვენატრები და იმედად ისღა გვრჩება, რომ ღმერთი შენს ნათელ სიცოცხლეს სამოთხეში ამყოფებს, ჩემო პატარა ანგელოზო.

*შენი საყვარელი დედ-მამა*

## უშანგი ბადაგაძის გახსენება



მოულოდნელად შეწყდა შენი სიცოცხლე. შეწყდა მაშინ, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა პატარა ანის. 15 იანვარი შენი დაბადების დღეა. შენ ხომ 33 წლის გახდებოდი. უკვე ნახევარი წელია, უშენოდ ვუძლებთ გაუსაძლის რეალობას მე და შენი შვილი. ყველასაგან გამორჩეულს, სიკვდილიც გამორჩეული გერგო: შემზარავი და ტრაგიკული. მოყვასის სიცოცხლე გადაარჩინე — შენ კი... ცეცხლის ალში ჩაიფერფლე. ვერაფერი გავუგე წუთისოფლის უსამართლობას, როგორ ვანუგეშო შენი შვილი, როცა ცრემლიანი თვალებით შეჰყურებს შენს სურათს და პასუხს ჩემგან ითხოვს. ჩვენთვის დილა შენი სურათის ამბორითა და შენთვის სანთლების დანთებით იწყება. ძნელია უშენოდ ყოფნა. უდიდეს ტკივილად დამრჩა შენი ლამაზი ღიმილი და თვალებში ჩამდგარი სევდა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შვილი ანი, მეუღლე ნანა ბესელია*

## ზიტა გელაშვილის მონატრება

*ნეტავი რა სჭირს სიკვდილსა, ვერ მისწვდა ჩემი გონება,*
*მაგ ამოარჩევს რჩეულსა, რომელიც მოეწონება.*

ჩვენო გაუნელებელო ტკივილო ზიტო! გლოვაში, დარდში, ცრემლში გავატარეთ ეს ორი გაუსაძლისი წელი. წახვედი და დაგვიტოვე სევდით დამძიმებული გულები. ცხოვრება გრძელდება, მხოლოდ ჩვენი ცხოვრება გაცივდა, გაიყინა უშენოდ შენი სახლ-კარი.



ჩვენო დიდო იმედო, ჩვენო ერთადერთო სანთელო, ჩვენო საფიცარო, საფიცრადაც რომ ვერ გიმეტებდით, სიკეთის გამსახიერებავ, ირგვლივ სიყვარულს რომ თესდი, ჩვენო სულიერად და ფიზიკურად ლამაზო შვილო.

ოხ, როგორ გვენატრები. არა, არ მჯერა, რომ შენ ჩვენთან არ ხარ, სულ ჭიშკრისაკენ ვიხედები, — ან ახლა შემოაღებს კარს, ან ახლა-მეთქი. ვერ ვეგუებით უბედურები უშენობას. გვგონია, სხვაგან ხარ და მალე დაგვიბრუნდები. შენი სპეტაკი სული დაგვტრიალებს თავზე ისე, როგორც სიცოცხლეში დაგვტრიალებდი, რომ ჩვენ არაფერი გვტკენოდა, როცა შენ თავად გტკიოდა და უხმოდ იტანდი ამ სატკივარს.

ყველასაგან გამორჩეულო, ამბობენ უფალსაც რჩეულები მიჰყავსო. ვინ თქვა, დრო მკურნალიაო და მიწა გრილიო. ჩვენ ისევ ისე გვტკივა, როგორც იმ ავად სახსენებელ 20 იანვარს. მოუშუშებელო ტკივილო, მესამედ უნდა შევხვდეთ შენს დაბადების დღეს. ვაი, ამ შეხვედრას.

მე მხოლოდ იმ იმედით ვცოცხლობ და ვლოცულობ, რომ შენი სათნო და სპეტაკი სული უფალმა იესო ქრისტემ დაამკვიდროს ცათა სასუფეველში და ჩემი დანთებული სანთლით განათებული გქონდეს ადგილსამყოფელი.

*უბედური დედა, დეიდა, ბიძა*

## თამაზ ხორბალაძის გახსენება



უკვე ერთი წელია, რაც შენ აღარ ხარ... გულში მოუშუშებელი იარა დაგვიტოვე და წახვედი. დრო ვერ ანელებს შენს სიყვარულს, შენს მონატრებას, მწარე და გაუსაძლისია ტკივილი, ჩვენო საყვარელო, ახლობლებისა და სამშობლოს მონატრებულო, ძვირფასო თამაზ!

ნათელში იყოს შენი სული, რომელიც ასე უხვად და დაუზოგავად იხარჯებოდა შენი სამშობლოს კეთილდღეობასა და სიყვარულში გერმანიის მიწაზეც კი, სადაც ასე დაუღალავად ილვწოდი ქართული ქრისტიანული სათვისტომოს საკეთილდღეოდ.

ღმერთმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი შენს მშვენიერ სულს. გულისტკივილით გიხსენებთ.

*დედა და დები, ყველა შენი ახლობელი და გულშემატკივარი*

## თამთა ნადირაძის მონატრება



თათი, უშენოდ სამყარო დაცარიელდა ჩვენთვის, სამუდამოდ ჩამობნელდა, ველარაფერს ვხედავ, მარტო შენი ხატება მელანდება, შენი ტკბილი ხმა მესმის, ჩემო ოცნებად ქცეულო, პატარა ანგელოზო, უსაშველოდ კეთილო, ყველასთვის საყვარელო და დაუვიწყარო თათული. უშენოდ არც ერთი დღე ჩვენთვის ლამაზი აღარ იქნება, ჩვენ აღარასდროს ვიქნებით ბედნიერები. შენი მონატრების განცდა ისეთი ძლიერია, სხვა პრობლემა აღარ არსებობს ჩვენთვის. დრომ ვერაფერი შეცვალა, უფრო გაუსაძლისია უშენოდ სიცოცხლე, თუმცა ორი წელი გვაშორებს უკვე ერთმანეთს. 14 იანვარს მოულოდნელად, ერთ წამში შეწყდა შენი პატარა გულის ცემა და ჩვენი ცხოვრებაც წამებად იქცა. დაუჯერებელია, რომ უშენოდ სიცოცხლე შევძელი, მაგრამ ფიქრითა და ოცნებით მე მუდამ შენთან ვარ, ჩემო უსაყვარლესო, განუმეორებელო, შეუცვლელო, ერთადერთო სიცოცხლევ, თათული.

*შენი გულგაყინული ბებია*

## ლევან არჩვაძის მონატრება



ლევან, ჩემო ტკივილამდე მონატრებულო ვაჟკაცო, ჩემო იმედო, ჩემო სიყრმის შვილო! უშენოდ გაუთენდა ჩვენს ოჯახს პირველი ახალი წელი — თუ ამას გათენება ჰქვია. მოგონებები და სურათები დაგვრჩა მხოლოდ შენგან. შენი ლამაზი, მწვანე თვალები შემოგვციცინებენ სურათებიდან, დედუკა და დაუჯერებელია, რომ აღარ გვყავხარ. მხოლოდ ჩვიდმეტი ბედნიერი წელი გვერგო შენთან ერთად ყოფნის. ჩვიდმეტი წელი შენი ცხოვრებით ვცხოვრობდი, შენითა და კოკათი მიხაროდა ყველაფერი. კოკა ფრთამოტეხილი დამიტოვე.

15 იანვარს გაუსაძლისი ერთი წელი სრულდება, დედუკა, რაც გაგვიფრინდი და დაგვტოვე ასე გაურკვეველ მდგომარეობაში. ჯერ კიდევ ვერ გაგვიცნობიერებია, რა მოხდა, ისე მოულოდნელად წახვედი ჩვენგან.

ჩემო გაუხარელო, სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებულო შვილო! ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი ბავშვური, სპეტაკი სული და სამარადისო სასუფეველი დაგიმკვიდროს.

*დედა*

## თამრო საბაურის მონატრება



ჩემო კეთილო დედა! სამი თვე გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ და სამი საუკუნე მგონია. სიცოცხლე სასჯელად მექცა. შენ ხომ ჩემთვის ყველაფერი იყავი. შენი სახით ძლიერი საყრდენი გამომეცალა და უმწეოდ დავრჩი. რაც დრო გადის, მით უფრო ძნელდება ჩემთვის უშენოდ ყოფნა. შენზე ძვირფასი ამქვეყნად არავინ მყოლია. ოჯახში ყველაფერი შენი შექმნილი, შენი შეძენილი, შენი გაკეთებულია; რასაც ვეხები, ყველაფერში შენ ხარ განივთებული, ყველგან შენ გხედავ, დღე და ღამე შენთან ლაპარაკსა და ტირილში იწყება და მთავრდება.

რამდენჯერ გამიმწარა სიცოცხლე უახლოესი, უსაყვარლესი ადამიანების სიკვდილმა, მაგრამ ასე მგონია, ასეთი სიმწარე არასდროს განმიცდია. არც დროის ფაქტორი მოქმედებს ჩემზე. დრო მკურნალიაო — დაუჯერებელია. მე მარადიული ტკივილი მარგუნა ბედმა და ამას დრო ვერ უშველის, ისევე როგორც ვერ გაანელა დრომ შენში შვილით მიყენებული ტკივილი. პირიქით, რაც დრო გავა, მით მეტად მომენატრები. შენი და გივის წასვლით გამოწვეულ გაუსაძლის მწუხარებას ვერანაირი წამალი და დრო ვერ განკურნავს.

სულ ახალგაზრდა, 35 წლის დაქვრივდი, 4 შვილი იმ გაჭირვებულ დროში ისე გაგვზარდე, ობლობა არ გვაგრძნობინე, არაფერი მოგვაკელი, ფაქტობრივად, თავი შემოგვწირე, მხარში შენი ძმები ამოგიდგნენ, მაგრამ განგებამ მოსიყვარულე ძმებიც ხელიდან გამოგაცალა. მტკიცე ხასიათის, მაგარი ქალი იყავი და უძლებდი ამ ტკივილს, მაგრამ შვილის (გივის) უდროოდ დაკარგვამ გაგტეხა, თუმცა ფიზიკურად დღედაღამ შრომამ გადაგარჩინა (უშრომელად ერთი საათიც არ გიცხოვრია). ცამეტი წელი მუდმივ ტირილში გაატარე, ცამეტი წელი შესთხოვდი ღმერთს, გივისთან მალე წასულიყავი და ზუსტად 13 წლისთავზე შეგისრულა ეს და ის ნატვრაც — ჩემი სიალალსიმართლე სულის ლევის დროს დამეხმაროსო. გისმინა ღმერთმა და ისე აღესრულე, როგორც ნატრობდი, რისი ღირსიც იყავი, მშვიდად, წყნარად, სახეზე ნათელი გადგა (ასეთი მშვიდი სიკვდილი იშვიათია).

მადლიანი ქალი იყავი, შენი ცხოვრება სიკეთის კეთებაში განვლე და ღირსეულად ვალმოხდილი წახვედი ამ ქვეყნიდან. ცოცხლების პატივისმცემელი და მიცვალებულთა დამფასებელი იყავი. ვისაც დაიტირებდი, გულწრფელად, ნაღდი ცრემლებით დაიტირებდი. შენში იოტისოდენა სიყალბე და მოჩვენებითობა არ იყო. კაცთმოყვარე იყავი (რაც დღეს იშვიათობას წარმოადგენს), ყველას ტკივილი გტკიოდა, ყველას ბედნიერებით ხარობდი. უზომოდ კეთილი, ყველაფრის მიმტევებელი და სხვისი ჭირის გამიზიარებელი იყავი, შენი დარდით და მწუხარებით კი არავის შეაწუხებდი, ყველანაირ წყენას და გულისტკივილს გულში იკლავდი, არავის უმხელდი, ყველაფერი სამარეში წაიღე.

ჩემო დედა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ნათელი სული და ის სიკეთე, მადლი და წესრიგი, რაც შენ გაგაჩნდა, შენს შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს ფარავდეს და ცხოვრებაში ეხმარებოდეს.

*შენი შვილი ნათელა*

## გია ხოჯაშვილის ხსოვნას!



დიდი ტკივილია, გია, შენი გახსენება ჩვენთვის. სულ ახლახან გადახვედი მარადისობაში და დაგვიტოვე დიდი გულისტკივილი. 50 წლისამ ბევრი სიკეთის გაკეთება მოასწარი, დატოვე ულამაზესი ოჯახი, 5 პატარა შვილიშვილი, პატარა გია ხოჯაშვილი.

შენ არა მარტო დიდი ოჯახიშვილი, არამედ ის დასტაქარი იყავი, რომელიც წარბშეუხრელად გაიღებდი ხოლმე შენი ავადმყოფებისთვის უძილო ღამეებს, შენს სისხლს, უანგაროდ ეხმარებოდი შეჭირვებულებს. მაგრამ ყველაზე მთავარი იყო ის, რომ შენ ადამიანების დაახლოების დიდი ნიჭი გქონდა. შენგან წასული ხალხი უკვე სამუდამო, წმინდა სიყვარულით იყო ერთმანეთთან დაკავშირებული და, რაოდენ მწარეა, რომ ეს ჩარჩა ჩვენში, ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებდით მწუხარებას შენ გამო. ეს იყო შენი ყველაზე დიდი მადლი.

*შენი ახლობლები*

## სოსო ჭყონიას მონატრება



უშენოდ დაგვიდგა ახალი წელი. დაზამთრდა ჩვენს სულებშიც. გავიდა 40 ტკივილიანი დღე. წაგვართვეს შენი ხალისიანი მზერა, მოფერება, იმედი, ასე რომ გვჭირდებოდა დას, ძმებს, მოხუცებულ დედას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

მეზობლები თანაუგრძნობენ *ლადო და გურგენ ჭანტურიებს* დედის გარდაცვალებას. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს განსვენებულს.



მეუღლე თინათინ ქარდავა; შვილები: მერაბ და ბეჟან ლაშხიები; რძლები: ნონა ინაშვილი, სვეტა ორეხოვა; შვილიშვილები: იანა, ირაკლი და სოფიკო ლაშხიები; ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სოხუმიდან დევნილი

**შაქრო იოსების ძე ლაშხია**

*დაკრძალვა:* ქ. ორიოლი, ბუნინის ქ. სახლი 22, ბინა №4.

აბაშის სამეანო გინეკოლოგიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მწუხარებაში მყოფ *ლამზირა, დალი, ნინო ჯვარელიებს*

**ელგუჯა ომარის ძე ჯვარელიას**

გარდაცვალების გამო.

აბაშის რაიონის სოციალური დახმარების სამსახური გულისტკივილით თანაუგრძნობს *დალი ჯღარკავას და ჯვარელიების ოჯახს*

**ელგუჯა (გუჯა) ჯვარელიას**

გარდაცვალების გამო.



# დალის რჩეული

## ანუ როგორ გადავურჩი ნადირობის ქალღმერთის რისხვას...

მე და ჩემი მეგობრები შემოდგომაზე სანადიროდ წავედით სვანეთში. იქ ცხოვრობს დედაჩემის ბიძა, ცნობილი მონადირე ბაბუა ბექნუ. იმისი იმედი გვქონდა, გზასაც გვასწავლიდა და იმ ადგილებსაც, სადაც შეიძლებოდა ნადირის მიმწყვდევა. მასპინძელი გულღიად დაგვხვდა. გაიშალა სუფრა, მოვილხინეთ, თუმცა მეორე დილით სანადიროდ წასვლაზე მტკიცე უარი გვითხრა, ნაბახუსევი კაცი ტყეში არ შეიშვება, დალი გაბრაზდებაო. გაგვეცინა. მასპინძელი კი მშვიდად განაგრძობდა, — თანაც ტანი უნდა დაიბანოთ, ქალს არ უნდა გაეკაროთ, დილით კი ისე ადრე უნდა გახვიდეთ სოფლიდან, თვალი არავინ მოგკრათო.

ბარემ არაფრისა გვჯეროდა, მაგრამ მეტი რა ჩარა იყო, ან უნდა დავმორჩილებოდით მის მითითებებს, ანდა სანადიროდ წასვლას ვერ ველირსებოდით.

ყველა რჩევა შევასრულეთ და ოთხი დღის შემდეგ მოვახერხეთ სანადიროდ წასვლა.

ბაბუა ბექნუ წინ მიგვიძღოდა, ისე თამამად მიდიოდა ციცაბო ბილიკებზე, ძლივს ვეწეოდით. ჯერ კიდევ ბნელოდა... მალე ტყე დამთავრდა და ბუჩქნარი დაიწყო. მერე უკვე პიტალო კლდეებიღა მოჩანდა.

ბაბუა ბექნუმ გაგვაფრთხილა: — მარჯვნივ ნუ წახვალთ, მარცხნივ გადით, ჩაუსაფრდით, ხმა არ ამოიღოთ და არჩვების გამოჩენას დაელოდეთო. ასეც მოვიქეცით, მაგრამ რატომღაც თვალი სულ მარჯვნივ გამირბოდა. რა იგრძნო ჩვენმა მეგზურმა, ვერ გეტყვით, ცოტა ხანში ჩემკენ წამოვიდა, გვერდით ჩამომიჯდა, თან ჩურჩულით მითხრა:

— რაც არ უნდა დაინახო, არ შეიმჩნიო, არც გაუცინო, არც დაელაპარაკო, არც გაჰყვეო...

ვიფიქრე, ეს კაცი ცოტა შექანებული ხომ არ არის-მეთქი. მერე გული დავიმშვიდე: ამხელა მთებში გამოკეტილი ეგება ვერც არის ისეთი ჯანმრთელი ფსიქიკისა, როგორიც საჭიროა-მეთქი.

გავიხედე და დავინახე ოთხი ჯიხვი მოდის ერთად. ერთ-ერთს შუბლზე თეთრი ნიშანი აქვს და ყელმოღერებული ყნოსავს ჰაერს.

— ეს პირველი გაატარე, არ ესროლო, ნიშანი აქვს, — მითხრა ბაბუა ბექნუმ.

მიჭირავს იარაღი და ვფიქრობ: მოდი, ვესვრი-მეთქი. ის კი, ვითომ ჩემს ფიქრებს კითხულობსო, ლულაზე ხელს მაფარებს და მანიშნებს, — გაისუსეო. ჯიხვები დაიძრნენ და ჩვენგან მარჯვნივ, კლდეებს შეუყვნენ ციცაბოს.

ჩვენი სახუნდარიდან ველარ ვესროდი, მორტყმის იმედი არ მქონდა. არადა აზარტში შესული წამოვენთე, კვალს გავყევი.

წინ მე მივრბივარ, უკან ბაბუა ბექნუ მომდევს ფეხდაფეხ, მაგრამ რას დამეწეოდა. კლდის ბილიკებზე ისე მივქროდი, როგორც მინდორში ქარი. ანაზდად მლვიმიდან ულამაზესი, ყვითელთმაგაშლილი ქალი გამოვიდა. წინ დამიდგა და გამიღიმა. მეც გავუღიმე. მოდიო, — მანიშნა.

მივყვები, უკან არ ვიხედები, ისეთ ადგილებზე გავდივარ, რომ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუკი იქ ადამიანს ფეხის დადგმა შეეძლო.

— კარგი ბიჭი ხარ, — მეუბნება ქალი, — რამდენი ჯიხვი გინდა?!

უცებ გამახსენდა ბაბუა ბექნუს გაფრთხილება და ენას კბილი დავაჭირე. გუმანით მივხვდი ნადირობის ქალღმერთი — დალი იქნებოდა.

— მოდი ჩემთან და რამდენიც გინდა, იმდენი არჩვი და ჯიხვი მთხოვე...

ვდგავარ გაქვავებული. უკან მოვიხედავ — უფსკრულია, წინ გავიხედავ — პიტალო კლდე.

— მოდი და გაგიყვან სამშვიდობოს, — მიღიმის დალი.

დავფიქრდი. თუ გავყვები, ვინ იცის, რას მომწევს, მაგრამ თუ არ გავყვები, მაინც შავ დღეში ვარ და ეს არის. ისეთ ქიმზე ვდგავარ, ერთი განძრევაც და აუცილებლად უფსკრულში ჩავიჩეხები. არც ჩვენი მეგზური ჩანს სადმე!

ისევ დალისკენ გავიწიე. მან ხელი გამომიწოდა და ქვის ბაქანზე დამაყენა.

— გიყვარვარ? — მკითხა დალმა.

რა ვუთხრა, ენა მაქვს შიშით ჩავარდნილი...

— ლამაზი ვარ? — მეკითხება ისევ.

თავი დავუქნიე და დავიჩოქე. მგონი, შუბლი მიწაზე მქონდა დადებული. ისე ჩავქინდრე თავი და ბედს მივენდე, თვითონაც არ ვიცი, რატომ. გულში ერთ სიტყვას ვიმეორებდი — მაპატიე-მეთქი. ბოლოს, დალმა დამინდო: — გაგიშვებ, ოღონდ სხვა ქალს არ შეხედო, არ მიღალატო, თორემ კისერს მოგატეხინებო.

მერე ოდნავ მიბიძგა და სულ სხვა ბილიკზე დამაყენა.

მშვიდობით ჩავედი მეგობრებთან.

მასპინძელი ჭირის ოფლს იწმენდდა. მივხვდი, იცოდა, რომ დალმა გამიტყუა და შიშით ვერაფერს ამბობდა.

ბუნდოვნად მახსოვს, შინ როგორ დავბრუნდი. რამდენიმე დღე უძრავად ვიჯექი მაჩუბის წინ და თვალგაშტერებული მივჩერებოდი ჭიუხებს. პირში ხემსი არ ჩამსვლია. დროდადრო მთისკენ მივიწევდი. ბაბუა ბექნუ არ მშორდებოდა. ღამღამობით რაღაც მძაფრსუნიან ბალახს მიხრჩოლებდა და თითქოს თავისთვის ბუტბუტებდა. ამდენმა მცდელობამ თითქოს მარგო და გამოვფხიზლდი.

ერთი თვის შემდეგ დავბრუნდი შინ და ინსტიტუტშიც გავაგრძელე სწავლა...

მალე მივხვდი, რომ დალი თავს არ მანებებდა. მეჩვენებოდა, მიღიმოდა, თეთრ ტანს მიჩენდა, მეძახდა... ღამით თავის ოქროსფერ დალალებში მხვევდა და მკერდზე მკოცნიდა...

ავად ვხდებოდი და მხოლოდ მაშინ მომდიოდა მუხლში ძალა, როცა მშობლები „ჰაერის გამოსაცვლელად“ სვანეთში მიშვებდნენ.

ალბათ ჩემს ცხოვრებაში არაფერი შეიცვლებოდა, მაია რომ არ გამოჩენილიყო. მაია დალს ჰგავდა — ტანსარო და ოქროსთმიანი, ლურჯთვალება...

შემოდგომაზე ჯვარი დავიწერეთ.

არც ქორწილის ღამეს ყოფილა სინათლე, ამიტომ პარაფინის სანთლები და ნავთის ლამპები გვენთო.

ნაშუაღამევს საძინებელ ოთახში უცნაური შრიალი გავიგონე. თვალი გავახილე. კარებში თეთრად ამართულიყო დალი და ცეცხლოვანი თვალებით მოგვჩერებოდა. შიშით ტანში გამცრა.

დალი ჩვენკენ წამოვიდა.

სიცივე დატრიალდა ოთახში.

დამფრთხალი მაია წამოხტა, შანდალს დაავლო ხელი და უნებლიეთ მოიქნია...

დალის ველურმა კივილმა კედლებიც კი დაბზარა — თმაზე ცეცხლმოკიდებული ნადირთმწყემსი თვალის დახამხამებაში გაქრა...

მას შემდეგ აღარც ავადმყოფობას შევუწუხებივარ და აღარც დალი მომჩვენებია, არა მარტო ქალაქში, სვანეთშიც კი...

***ნ. ო., ქუთაისი***

## ჩვენ გვწერენ

# უცხოპლანეტელი მკურნალი

— რამდენიმე წლის წინ ჩემმა ოჯახმა კახეთში საკარმიდამო მიწის ნაკვეთი იყიდა. მამაჩემის ოცნება იყო, სოფელი ჰქონოდა, ამიტომაც, როცა საშუალება მიეცა, მთლად გადასახლდა კახეთში. მიწას ამუშავებდა, მოსავალი მოჰყავდა და ძალიან ბედნიერიც იყო.

შარშან ზაფხულში რომ ჩავედით, ცოტა მოწყენილი დაგვხვდა. მთხოვა, რამდენიმე კვირით დარჩიო. არ მეცალა და ვიუარე, მაგრამ დავპირდი, ერთ თვეში აუცილებლად ჩამოვალ-მეთქი. მართლაც ჩავედი. მამა მოტეხილი მეჩვენა, გამხდარიც იყო. ავად ხომ არ ხარ-მეთქი, ვკითხე, მერე პულსიც გავუზომე, წნევაც. ექიმი ვარ და კარგად ვიცი სხვადასხვა დაავადების ნიშნები. ვგრძნობდი, რაღაც ვერ იყო კარგად, მაგრამ რა სჭირდა, ვერ მივხვდი.

გვიან შევამჩნიე, რომ სადაც მამას ეძინა, იმ ოთახში დილაობით ცეცხლის კვალი ვიწრო ზოლებად გასდევდა კედელს. მამა მთელი მონდომებით წმენდდა და ასუფთავებდა. დილით იგივე ხვდებოდა. ფსიქიკურად ხომ არ დაავადდა-მეთქი, ვიეჭვე. ჩემს მეგობარსა და თანაკურსელს, ცნობილ ფსიქიატრს, რამაზს ჩამოსვლა ვთხოვე. არ დამზარდა. ჩამოვიდა. როცა ოთახი დავათვალიერეთ, მითხრა: — ასეთი რამ ხშირად ხდება, სენის მოძალებისას ხან კაწრავენ კედლებს, ავეჯს, ხან წვავენ, ხან წერენ რაღაც სიტყვებსო. მირჩია, თბილისში ჩამომეყვანა.

მამამ ცივი უარი განაცხადა და მითხრა: — მე ავად არ ვარ, ლევან. ჩვენს სახლში უცნაური არსებები ჩნდებიან, თითქოს ხვლიკის კანგადაკრული, დიდთვალება არსებები. ერთ-ერთმა პაწია ცხვირი სახესთან მომიტანა და რაღაც აპარატი დამადო ყელზე. აპარატი წრიპინებდა, მე კი ღონემიხდილი ვიწექი. კარგა ხანია დანარჩენები წავიდნენ, ის ერთი კი დარჩა, ახლაც აქ არისო...

მისი ნალაპარაკევი ჰალუცინაციად მივიღე. მე და რამაზი აივანზე გამოვედით მოსათათბირებლად და უცებ ზემოდან ქვებისა და კენჭების წვიმა წამოვიდა. ოთახში შევცვივდით, იქაც ისე ცვიოდა ქვები, თითქოს სახურავი ახდილი იყო. მამა კართან მხრებაწურული იდგა და ერთ სიტყვას იმეორებდა — ბრაზობს, ბრაზობსო.

სამიოდ წუთში ქვის წვიმა შეწყდა. შიშით ხმას ვერ ვიღებდით. იმ ღამეს რა დაგვაძინებდა. არც მამას ეძინა. ამიტომაც იყო გამხდარი და გადაღლილი. სახუმარო საქმე ხომ არ არის ასეთ ანომალიურ გარემოში ცხოვრება?!

შუაღამისას უცნაური, მოთეთრომოცისფრო, თვალისმომჭრელი ნათება შევამჩნიეთ ფანჯრის მიღმა. სხივს თან მოჰყავდა პატარა, ასე მეტრნახევრიანი ცოცხალი არსება. შემოვიდა, საქმიანი ნაბიჯით მიუახლოვდა მამაჩემის საწოლს. ერთი შეხედვით ექიმივით იქცეოდა. ხელები წინ ისე ჰქონდა გაშვერილი, როგორც ქირურგს სტერილური ხელთათმანების ჩაცმის შემდეგ. ხელში მართლაც უცნაური ხელსაწყო ეჭირა, რომელიც მრავალფერად ანათებდა. როცა მამაჩემთან საქმეს მორჩა, ფართოდ გახელილი შავი თვალებით ჩვენც მოგვხედა რამდენჯერმე. მერე ჩემი მეგობრისკენ დაიძრა. საწოლში გავქვავდით. მან რამაზს საბანი გადახადა და კუჭის არესთან პატარა ხელსაწყო დაადო. ხელსაწყო აწრიპინდა. შევამჩნიე, რომ თითქოს ბლანტი სითხით ივსებოდა მისი ერთი ნაწილი.

თავს ვერაფერზე დავდებ, მაგრამ როგორც მახსოვს, ხელსაწყოს აღების შემდეგ რაღაც წაუსვა კიდეც კანზე თავის პაციენტს.

ამ პროცედურების შემდეგ შევამჩნიე, მამაჩემსაც და რამაზსაც უმალ გულისძილით ჩაეძინათ და დილამდე ფეხი არ გაუნძრევიათ.

დილით რამაზმა, თვალი გაახილა თუ არა, წამოხტა, ფართხაფურთხით ჩაალაგა ბარგი და უკან მოუხედავად მოუსვა ქალაქისკენ. საღამოს დამირეკა:



— ლევან, საოცრება მოხდა! კუჭის მწვავე წყლული მაქვს, ოპერაციის გაკეთებას ვფიქრობდი, გუშინდელი ამბის შემდეგ რაღაც ვიეჭვე, გავეშუქე. წყლულის ნატამალიც აღარსადააო.

მამაჩემი კიდევ კარგა ხანს დარჩა სოფელში.

როცა ბოლოს და ბოლოს, დავიყოლიე ქალაქში ჩამოსვლაზე და საფუძვლიან გამოკვლევაზე, სრულიად ჯანსაღი აღმოჩნდა, ფიზიკურადაც და ფსიქიკურადაც. ოღონდ ეგ იყო, ყელთან სულ პატარა, თითქმის შეუმჩნეველი, უცნაური ნაიარევი შენიშნა რენტგენმა.

ეტყობა, მამასაც რაღაც სჭირდა და უცხოპლანეტელმა განკურნა.

ამიტომაც თქვეს ექიმებმა — მამაშენი, 70 წლის კაცი, ოცი წლის ბიჭივით ჯანმრთელიაო.

ოღონდაც! როგორ უცნაურადაც შეიძლება მოგეჩვენოთ, მამაჩემის შემელოტებულ თავზე ადრინდებური შავი ქოჩორი გაჩნდა და ბავშვობაში ამოკვეთილი ნუშისებრი ჯირკვლებიც გაეზარდა...

***ლევან წ., თბილისი***

**„საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები**

I. აბა, გამოიცანი:

1) — გ); 2) — ბ); 3) — ბ).

მეზოთერაპია

- ცელულიტის მკურნალობა;
- აკნეს და კანზე არსებული სხვა გამონაყარის მკურნალობა;
- სტრიების კორექცია;
- კანის ფერის, ტონუსისა და ტურგორის გაუმჯობესება;
- ნაოჭების გასწორება და სახის ოვალის აღდგენა;
- პიგმენტური ლაქების მოცილება.

მეზოთერაპია

63, ტელ: 212-312, 364-464

PSP

ახალი აფთიაქი ვარკეთილში

# მუცლით როკვა სადამისთვის



როგორც ჟურნალისტებს ერთმა ამერიკელმა სამხედრომ აუწყა, ერაყელი ლიდერის დაპატიმრებაში დიდი როლი ითამაშა... მუცლით როკვამ.

ამერიკული სპეცსამსახურების დამსახურება რომ არ დაკნინებულიყო, დიქტატორის დაპატიმრების გარემოებები საგულდაგულოდ იმალებოდა. ითქვა, რომ სადამის ადგილსამყოფელი მისმა მეორე ცოლმა, სამირამ გასცა. თუმცა, რატომ გააკეთა ეს, კომენტარს არავინ აკეთებდა.

ამერიკელი სამხედროს თქმით, თურმე ერაყის ლიდერს თავის თავშესაფარში მოუწყენია. დიქტატორის მარტოობის შესალამაზებლად მოცეკვავე ქალები მიჰყავდათ. მუცლით მროკავ ქალებს არც უფიქრიათ, რომ სადამ ჰუსეინს ართობდნენ. ჰუსეინს გუნება გამოჰკეთებია და ცეკვებს აღარ სჯერდებოდა თურმე.

ბუნკერში გამართული ორგიების ამბავი ჰუსეინის ცოლების ყურამდეც მისულა. მეორე ცოლმა გადაწყვიტა, ამისთვის ბოლო მოეღო და ასრულა კიდეც. ამერიკელებისაგან ჰუსეინი მუცლით როკვას ნამდვილად აღარ უნდა ელოდეს.

*მირ ნოვოსტეი*

# იმპერატორი დამნაშავედ აღიარეს



ბონაპარტმა, 1796 წელს სათავადოებად დაყოფილი ჩრდილოეთ იტალია დაარბია და დაიმორჩილა. ამით მან გზა გაუკვალა 60 წლის შემდეგ აპენინის ნახევარკუნძულის ერთ ქვეყნად — იტალიად გაერთიანებას.

ვენეციაში დასრულდა სიმბოლური სასამართლო პროცესი, რომელზეც ნაპოლეონ ბონაპარტი გაასამართლეს.

სასამართლო ცნობილ დოჟთა სასახლეში გაიმართა.

მე-18 საუკუნის კოსტიუმებსა და სამხედრო მუნდირებში გამოწყობილი მოწმეების დაკითხვის, ბრალმდებლისა და დამცველის მოსმენის შემდეგ, სასამართლომ ნაპოლეონ ბონაპარტი ვენეციის რესპუბლიკის გაძარცვასა და განადგურებაში ცნო დამნაშავედ.

ნაპოლეონმა, მაშინ ჯერ კიდევ გენერალმა

სასამართლოს გამართვის წინა პირობად იქცა იტალიის ბანკისა და ნაპოლეონის საზოგადოების განზრახვა — წმინდა მარკოზის მოედანზე იმპერატორის ქანდაკების დადგმისა.

ქანდაკების დადგმა აიკრძალა. სამაგიეროდ, იგი ვენეციის ისტორიის მუზეუმში დადგეს.

ნაპოლეონი რომ ცოცხალი ყოფილიყო, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მას სამუდამო პატიმრობა ელოდა, მაგრამ არა წმინდა ელენეს კუნძულზე, არამედ იტალიის ერთ-ერთ ციხეში.

*ოჯი*

# სასჯელი კოცნისათვის



ტურისტმა ყველაფერი უნდა იცოდეს, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც მოგზაურობს, თორემ...

მაგალითად, თუ ინგლისურ პაბში გაარშიყებას და ლამაზმანის შებმას გადაწყვეტთ, სჯობს, თავი შეიკავოთ. მას, ვინც ინგლისში ქალს სექსს შესთავაზებს, სამთვიანი პატიმრობა და ჯარიმად 180 ევრო ელის. აშშ-ის ბევრ შტატში კი ცუდი თვალით უყურებენ... პრეზერვატივებს. მაგალითად, კონექტიკუტში სრულიად აკრძალულია მათი გამოყენება. ლუიზიანაში კი ქალებს პრეზერვატივის ყიდვის უფლება არ აქვთ. კანონის დარღვევისთვის სოლიდური ჯარიმაა დაწესებული. თუ ირლანდიაში მიემგზავრებით, თან ჩასახვის საწინააღმდეგო აბებიც უნდა წაიღოთ, კათოლიკურ ქვეყანაში პრეზერვატივების გამოყენება აკრძალულია, ამიტომაც ირლანდიაში მათ ვერსად იყიდით.

გგონიათ, ჰავაიზე შეყვარებულებისათვის სამოთხის კარი იხსნება? ცდებით — თუ კუნძულზე თქვენი ოცნების ქალიშვილს შეხვდით და მასთან ნებივრობა მოინდომეთ, გირჩევთ, გადაიფიქროთ. თუ თქვენს რჩეულს 18 წელი არ შესრულებია, მის მშობლებს სამწლიანი შრომა-გასწორების სამუშაოები ელის იმისათვის, რომ თავქარიანი ქალიშვილი აღზარდეს.

უნგრეთში, ბუდაპეშტში, პარტნიორებს მხოლოდ სიბნელეში შეუძლიათ სექსით ტკბობა. თუ თქვენ ამით დღისით, თუნდაც საკუთარ ბინაში დაკავდებით — ჯარიმა უნდა გადაიხადოთ. თუმცა გაუგებარია, ვინ ამოწმებს კანონის აღსრულებას.

იტალიაში პლაჟზე გაშიშვლება მხოლოდ ქალებს შეუძლიათ. მამაკაცების გაშიშვლების საწინააღმდეგო არგუმენტი ასე ჟღერს: „მამაკაცის ანატომიას, თუნდაც წინასწარ განუზრახველად, შეიძლება არასასურველი სახე მიეცეს...“ ვერაფერს იტყვი, რკინისებური ლოგიკაა (თუ შეიძლება ამ აბსურდს ლოგიკა ვუწოდოთ).

შვედეთში აკრძალულია შიშველი ფოტოს გადაღება, ქვედა და ზედა ნაწილების ცალცალკე გადაღება კი ნებადართულია(!).

ჩინეთში ნებადართულია ქალის სხეულის ნებისმიერი ნაწილის ცქერა, გარდა... ფეხებისა. ეს დიდ შეურაცხყოფად ითვლება და „დამნაშავეს“ რამდენიმე დღით ციხეში ამწყვდევენ.

ისრაელის სასტუმროს ნომერში პორნოარხით გართობა ძვირად დაგიჯდებათ. გასულ წელს აქ მიიღეს კანონი, რომელიც კრძალავს პორნოფილმების დემონსტრირებას საკაბელო ან თანამგზავრული ტელევიზიით. თუ წაგასწრეს, სამწლიანი პატიმრობა გარანტირებული გაქვთ. ყველაზე ექსტრავაგანტური კანონი სექსის შესახებ ესტონეთშია. აქ სქესობრივი აქტის დროს აკრძალულია... ჭადრაკის თამაში.

*ეხო პლანეტი*

# ბრილიანტები სანაგვეში



ათასობით ჰოლანდიელი წინასაშობაოდ სანაგვეებში იქექებოდა. იქ ისინი... ბრილიანტებს ეძებდნენ.

საქმე ის არის, რომ ყველა მათგანს ფოსტით სარეკლამო წერილი მიუვიდა, ჰოლანდიელების უმრავლესობა მათ წაუკითხავად ყრის, მაგრამ ამჯერად აშკარად გადაამლაშეს...

მხოლოდ მეორე დღეს შეიტყვეს, რომ 200 კონვერტში წვრილ-წვრილი ბრილიანტები იყო, რომლებითაც ქალაქ აპელდოორნის საიუველირო კომპანია მოსახლეობას შობას ულოცავდა — ასე აღნიშნეს მათ ფირმის შექმნის ათი წლისთავი.

ჰოლანდიელები ნაგვის ყუთების ქექვას შეუდგნენ, მაგრამ ბევრი გაწბილებული დარჩა — მათ ნაგავი ნაგავსაყრელებზე ჰქონდათ უკვე გატანილი. ამიტომაც წინასადღესასწაულო დღეებში უჩვეულო სურათის მოწმე გახდებოდით: ათასობით კოხტად ჩაცმულ-დახურული მოქალაქე ნაგავსაყრელში იქექებოდა იმ იმედით, იქნებ გადაგდებული კონვერტები ვიპოვოთო.

*ოკნა №50*

# ძიძა — ვეფხვი



პეკინის ზოოპარკის ძუ ვეფხვი საი მაი მეტად კეთილშობილი ცხოველი გამოდგა — დიდი და თბილი გული აღმოაჩნდა, სამაგიეროს გადახდა სცოდნია!

საი მაი თვალაუხელელი იყო, როცა ზოოპარკში მიიყვანეს. პაწიას დედობა დედა ღორმა გაუწია — თავის ნაშიერებთან ერთად ბოკვერსაც აწოვებდა ძუძუს.

გამოხდა ხანი. საი მაის ორი მშვენიერი ბოკვერი გაუჩნდა. ერთ დღეს მის ვოლიერში ჭყვიტინით შეძვრნენ პაწაწინა, მშიერი გოჭები.

მომვლელებს გული გაუსკდათ — ვეფხვი უთუოდ სათითაოდ შესანსლავს საცოდავებსო, მაგრამ საი მაიმ სულგრძელად უწილადა შვილების კუთვნილი რძე ობლებს...

მას შემდეგ ერთად იზრდებიან ბოკვერები და გოჭები.

*ოტდოხნი! №1*

# საჩუქრად — რქები



მოღალატე ცოლის პატრონმა ქმრებმა „რქოსანის“ ტიტული პირველად ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკეს კარზე დაიმსახურეს. იმპერატორს თავისი დიდებულების ცოლები ჰყავდა საყვარლებად.

რქოსანი ქმარი ჯილდოდ უზარმაზარ მამულს იღებდა და თავისი „გამორჩეულობის“ დასტურად უფლება ეძლეოდა, მამულის შესასვლელში ირმის რქები დაეკიდებინა.

თუმცა გასული საუკუნეების მორალი საზოგადოებას არწმუნებდა, „მეფური სისხლი საამაყოაო“, ყველა როდი ეთანხმებოდა ამას. მაგალითად, ერთხელ ინგლისის ლორდ-კანცლერს, ედვარდ კლარენდონს აცნობეს, რომ მისი ქალიშვილის, ანას ცოლად შერთვა იორკის ჰერცოგს (მომავალი მეფე იაკობ II) სურდა. მეტიც, ანა ფეხმძიმედ იყო. მიუხედავად ამისა, ლორდ-კანცლერი ამით სრულიად არ აღფრთოვანებულა და სახელმწიფო საბჭოს წინაშე უკმაყოფილებაც კი გამოთქვა.

კლარენდონი იმან კი არ აღაშფოთა, რომ ქალიშვილმა ჰერცოგთან შესცოდა, არამედ იმან, რომ ჰერცოვის ცოლობაზე თანახმა იყო.

ლორდ-კანცლერმა ანას ტაუერში ჩასმა და შემდეგ დასჯა მოითხოვა. საბედნიეროდ, ჰერცოგმა ამის უფლება არ მისცა, ანაზე ჯვარი დაიწერა და მალე იგი ინგლისის დედოფალი გახდა.

*მირორი*

# აკუნინის იაპონელი ცოლი



გრიგოლ ჩხარტიშვილის (ბორის აკუნინი) პირადი ცხოვრება დიდი საიდუმლოებითაა მოცული. მაგალითად, ყურიც არავის მოუკრავს იმაზე, რომ თურმე დეტექტივების ოსტატის პირველი ცოლი იაპონელი ყოფილა... ეს მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მწერლის ახალი წიგნი გამოიცა. წიგნში დაწვრილებითაა აღწერილი ამომავალი მზის ქვეყნის ზნე-ჩვეულებები და იაპონელ ქალთა ხასიათი.

როგორც მწერლის მეგობრები ამბობენ, ჩხარტიშვილმა აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი დაამთავრა იაპონიის სპეციალობით. მან მშობლიურ ინსტიტუტში გაიცნო მომხიბვლელი იაპონელი ასპირანტი. გოგონას ძალიან უყვარდა რუსული კულტურა, გრიშას კი აღმოსავლეთი იტაცებდა... თავ-თავისი ქვეყნების საიდუმლოებების გაცნობამ ისე გაიტაცა ორივე, რომ ვერც კი შეამჩნიეს, როგორ შეუყვარდათ ერთმანეთი. ეს სიყვარული იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ჩხარტიშვილმა იმ დროისათვის უჩვეულო გამბედაობაც კი გამოიჩინა — იაპონელი ქალიშვილი ცოლად შეირთო.

მაგრამ ეს ამბავი მკაცრად იყო გასაიდუმლოებული — მაშინდელი წესებით, თუ ამ ინსტიტუტდამთავრებული უცხოელზე დაქორწინდებოდა, პროფესიით მუშაობა ეკრძალებოდა...

ახალდაქორწინებულები მოსკოვში დაფუძნდნენ. მაგრამ... ეტყობა, ორი განსხვავებული კულტურის წარმომადგენელი ძლიერი პიროვნება ერთმანეთს ვერ შეეგუა. იაპონელ ცოლთან აკუნინმა მხოლოდ რამდენიმე წელი იცხოვრა, მასთან განშორების შემდეგ კი ახლანდელ სიყვარულს — ერიკას შეხვდა, რომელიც მისი ცოლი გახდა.

*კომსომოლსკაია პრავდა №1*

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ციცერონის სიტყვებს ამოიკითხავთ.




ჩ. დაბალი ჩინის პოლიციელი რევოლუციამდელ რუსეთში; ვ. რუსი ფერმწერი; ე. ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; ნ. ხელოვნური ბოჭკო; თ. დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; ა. ბლოკადა; ნ. ხაზის აუცილებელი ატრიბუტი; ე. ჯეკ ლონდონის ნაწარმოები „თეთრი ...“; რ. სია, ნუსხა, ჩამონათვალი; თ. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონების კრებული; ა. ვაზის მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა; დ. ქართველი მწერალი, რომელიც გაუგებრობის გამო 11 თვე იჯდა ციხეში; ა. ღმერთი, რომლის შვილადაც გამოაცხადა თავი ალექსანდრე მაკედონელმა; რ. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ უარყოფითი პერსონაჟი; ა. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; ს. ჩეხი კომპოზიტორი; ო. ბრალდებულის წამება შუა საუკუნეებში დამნაშავეობა-უდანაშაულობის გასარკვევად. თუ წამებას გაუძლებდა, უდანაშაულოდ ცნობდნენ; დ. გემის კურსიდან აცდენა; ე. გადამდნარი კარაქი; ს. რაიმე მოქმედებისათვის ხალისის აღმძვრელი მიზეზი; ი. დოდო აბაშიძის პერსონაჟის სახელი ფილმში „პირველი მერცხალი“; წ. სოფელი ამბროლაურის რაიონში, სადაც მდებარეობს ბარაკონის ეკლესია; ყ. ილია ჭავჭავაძის მშობლიური ქალაქი; ე. რა ერქვა მიზანა ბრეგვაძის ვაჟს; ნ. რეპტილია, რომელსაც შეუძლია საკუთარი გულისცემა არეგულიროს; ე. ატმოსფერული მოვლენა; ნ. ბიბლიური პერსონაჟი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

დ. დიმიტრი; ა. ანძა; ი. იკაროსი; ს. სიგარა; ვ. ვასალი; ე. ერუდიტი; ნ. ნინიძე; ე. ელდარი; თ. თაობა; ჩ. ჩადრი; ვ. ვუალი; ე. ემბლემა, ნ. ნიორი; თ. თარაზო; ა. აკორდი; ნ. ნოტა; ე. ემისია; რ. რიკოთი; თ. თიანეთი; ა. ანცი; დ. დონჯი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: მძაბს უნდო და ბოროტი კაცი.
















### ცნობილი ადამიანები საახალწლო კარნავალზე

| | |
|---|---|
| 1. | თოვლის ბაბუა – ედუარდ შევარდნაძე |
| 2. | ფიფქია – ირინა ონაშვილი |
| 3. | კარლსონი – ზურაბ ჟვანია |
| 4. | დევი – აკაკი ასათიანი |
| 5. | ნაცარქექია – ცოტნე ბაკურია |
| 6. | კომბლე – გიორგი ბარამიძე |
| 7. | ლუარსაბი – ვიტალი ხაზარაძე |
| 8. | დარეჯანი – მედეა მეზვრიშვილი |
| 9. | ბარონი მიუნჰაუზენი – ვახტანგ რჩეულიშვილი |
| 10. | ალიბაბა – ლევან მამალაძე |
| 11. | ყარაბას-ბარაბასი – ასლან აბაშიძე |
| 12. | სიზმარა – შალვა ნათელაშვილი |
| 13. | ბეტმენი – მიხეილ სააკაშვილი |
| 14. | მეფის ასული – ნინო ბურჯანაძე |
| 15. | ბატი ტასიკო – ირინა სარიშვილი-ჭანტურია |
| 16. | კეთილი ფერია – სანდრა რულოვსი |
| 17. | თოვლის დედოფალი – ინგა გრიგოლია |

179-მა რესპონდენტმა ხელიდან არ გაუშვა შანსი და ცნობილ ადამიანებს თავისი გემოვნებით გაუნაწილა საკარნავალო კოსტიუმები.

საქართველოში ყველაზე პოპულარული ბაბუა – ედუარდ შევარდნაძე კარნავალზეც ბაბუა იქნება, ოღონდ – თოვლის. თუმცა, მიხეილ სააკაშვილი აქტიურად ეცილებოდა ამ როლს ყოფილ პრეზიდენტს.

ფიფქია მომხიბვლელი ირინა ონაშვილი იქნება – ასეთია მკითხველის სურვილი.

დევის კოსტიუმისათვის აკაკი ასათიანი და ზურაბ ჟვანია იბრძოდნენ. როგორც ხედავთ, ბრძოლა ასათიანის გამარჯვებით დასრულდა და „კვირის პალიტრის" კარნავალზე ერთხელ უკვე „დევყოფილ" ჟვანიას მკითხველმა კარლსონის კოსტიუმი მოარგო.

ბარონი მიუნჰაუზენი წინა, 2000 წლის კარნავალზე, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მიხეილ სააკაშვილმა განასახიერა. წელს ეს როლი ვახტანგ რჩეულიშვილს ერგო. თავად სააკაშვილი კი თითქმის ყველა კეთილი გმირის ნომინაციაში ლიდერთა შორის იყო და ბოლოს ბეტმენობა ხვდა წილად.

ნათელაშვილმა მაშინაც და დღესაც „ღირსეულად ითამაშა" სიზმარა. წინა კარნავალზე პარალელურად კომბლეს როლიც შეითავსა.

ბატი ტასიკო წარსულში ელენე თევდორაძე იყო, დღეს კი ირინა სარიშვილი-ჭანტურია ეცილებოდა ამ როლს და სძლია კიდეც.

როგორც ვხედავთ, ესტრადის ვარსკვლავები, მსახიობები, სპორტსმენები და სხვა პოპულარული ქართველები მკითხველმა საკარნავალო კოსტიუმების გარეშე დატოვა. მათგან ბედმა მხოლოდ ირინა ონაშვილსა და ინგა გრიგოლიას გაუღიმა...

მეტად პოლიტიკური კარნავალი გამოგვივიდა.

ზურაბ ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟები

# ზამთრის ქართული ტრანსფერები

**ახალი წლის დადგომისთანავე სატრანსფერო ფანჯარა იხსნება და ბუნებრივია, გულშემატკივართა ყურადღებაც აქეთკენაა მიმართული. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ გაზაფხულიდან რამდენიმე ჩვენებურს უფრო მაღალ დონეზე მოუწევს თამაში.**

## კიევის „დინამომ“ ქართველები გაიხსენა


ალეკო ამისულაშვილი

დიდია იმის ალბათობა, რომ სამწლიანი შესვენების შემდეგ კიევის „დინამოში“ ისევ გამოჩნდეს ქართველი ფეხბურთელი, — ამჟამად კიევის „დინამოს“ ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების მცველი ალეკო ამისულაშვილი.

ამ ფეხბურთელმა ადრეც მიიპყრო კიეველთა ყურადღება. ცნობილი ფაქტია, რომ სწორედ მისი თამაშის სანახავად იყო ჩამოსული თბილისში 2002 წლის 12 ოქტომბერს საქართველოსა და რუსეთის ეროვნული ნაკრებების ოფიციალური მატჩისას კიევის „დინამოს“ წარმომადგენელი. ის მატჩი შუქის გამორთვის გამო არ დასრულებულა, კიეველებმაც ამისულაშვილის ტრანსფერის საქმე მომავლისთვის გადადეს და როგორც ჩანს, სულ მალე აისრულებენ კიდეც თავიანთ მიზანს. კიევის „დინამოს“ ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, საქართველოს ნაკრების მცველი გუნდს გერმანიაში გაჰყვება შეკრებაზე.


რომან ახალკაცი

**იოჟეფ საბო,** „კიევის „დინამოს“ სელექციონერი“: — ამისულაშვილის შესახებ კარგი წარმოდგენა გვაქვს, მას დიდი ხანია ვაკვირდებით და ვფიქრობთ, რომ აქვს იმის შესაძლებლობა, დაიკავოს ადგილი გუნდის ძირითად შემადგენლობაში. მის შესახებ თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ წელიწად-ნახევრის წინ დაველაპარაკეთ, თუმცა, მაშინ „დინამომ“ უარი განაცხადა ახალგაზრდა მცველის ტრანსფერზე. აღსანიშნავია, რომ ამისულაშვილი უნივერსალური მოთამაშეა და რამდენიმე პოზიციაზე თანაბარი სიძლიერით შეუძლია თამაში, ამას უნდა დავუმატოთ მისი პიროვნული თვისებებიც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტია“.

ალეკო ამისულაშვილის გარდა შესაძლოა ახლო მომავალში კიდევ ერთმა ქართველმა ფეხბურთელმა მოირგოს კიევის „დინამოს“ მაისური.

კიევის „დინამოს“ სკაუტების, მათ შორის ანდრეი ბიბას რამდენიმე ვიზიტი თბილისში უკავშირდებოდა თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელის დავით სირაძისადმი ინტერესს. ბოლო ხანს გადაწყდა, რომ სირაძე გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში, კერძოდ კი „უნიონში“ გაივლის სტაჟირებას, თუმცა, როგორ მოგვარდება მისი ტრანსფერის საკითხი, რთული სათქმელია.

**დავით სირაძე:** „გერმანულ გუნდში ექვსთვიან სტაჟირებას გავივლი, როგორ განვითარდება ჩემი ურთიერთობა ამ გუნდთან, არ ვიცი. შემიძლია იმის თქმა, რომ „უნიონში“ თავდამსხმელის პოზიციაზე სურთ ჩემი გამოცდა, ჩემი სათამაშო ამპლუა კი ნახევარდაცვაა. სწორედ ამ პოზიციაზე სურდა კიევის „დინამოს“ ჩემი ხილვა. არ გამოვრიცხავ, რომ გერმანულმა სტაჟირებამ ისევ გააღვივოს კიეველთა ინტერესი ჩემდამი“.

## რუსულ „პარაოზს“ მესამე ქართველიც ჩაება

მოსკოვის „ლოკომოტივთან“ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ქუთაისის „ტორპედოსა“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელმა რომან ახალკაცმა.

სიომინის გუნდი ახალკაცით ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დაინტერესდა, როცა თანამეგობრობის თასზე ის ქუთაისის „ტორპედოს“ შემადგენლობაში ასპარეზობდა.

მოსკოვის „ლოკომოტივში“, რომელსაც ამ გაზაფხულისთვის მეტად საპასუხისმგებლო მატჩები ელის ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში საფრანგეთის „მონაკოსთან“, ახალკაცი მესამე ქართველია. მართალია რომანის ყოფილი თანაგუნდელი მალხაზ ასათიანი იშვიათად ჩნდება ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ, ის მუდმივად არის 18-კაციან განაცხადში, რაც იმის ნიშანია, რომ ჩვენებურთან დაკავშირებით, გუნდის მთავარ მწვრთნელს, სიომინს სერიოზული მიზნები აქვს.

რაც შეეხება მესამე ქართველს, მიხეილ აშვეთიას, ის გუნდში მისვლისთანავე საუკეთესო ბომბარდირი გახდა და სწორედ მისი რამდენიმე გატანილი გოლის წყალობით გააღწია გუნდმა ევროპული თასების ყველაზე პრესტიჟული ტურნირის შემდეგ ეტაპზე.

## დემეტრაძე ევროპისკენ იხედება

მოგეხსენებათ, უკრაინის ჩემპიონატში ასპარეზობს გიორგი დემეტრაძე, რომელსაც საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი ერთი წლის წინ ესპანეთის „რეალ სოსიედადში“ ირიცხებოდა, საიდანაც მოსკოვის „ლოკომოტივში“ გადავიდა, რომელმაც თავის მხრივ, გიორგი იჯარის წესით გაუშვა დონეცკის „მეტალურგში“. რამდენიმე თვეში, კერძოდ გასული წლის მაისში, დონეცკელებმა დემეტრაძე გამოისყიდეს.

ამჟამად გიორგი დემეტრაძით რამდენიმე ევროპული გუნდია დაინტერესებული — „ბრიუგე“, „ლანსი“, „სტრასბური“... თუმცა, ტრანსფერს ხელს უშლის ფიფას მიერ შემოღებული ახალი წესი, რომლის მიხედვითაც კონტრაქტის მქონე ფეხბურთელმა გუნდში სულ მცირე, ერთი წელი უნდა დაყოს.

საქართველოს ნაკრების პირადი აგენტის დიმა სელიუკის განცხადებით, სწორედ ეს ფაქტორი აფერხებს დემეტრაძის ევროპულ კარიერას, ზაფხულიდან „დემეს“ ევროპაში გადასვლის არანაირი პრობლემა აღარ ექნება.

## „ლიდსი“ — ქინქლაძის ახალი შანსი

გიორგი ქინქლაძეს ახალი შანსი გამოუჩნდა — ერთი კვირაა, რაც „ლიდს იუნაიტედში“ ვარჯიშობს. მას გამოსაცდელად ორკვირიანი ვადა მისცეს იმისთვის, რომ საკუთარი შესაძლებლობები კიდევ ერთხელ დაამტკიცოს.

ინგლისში, ბუნებრივია, ახსოვთ გიორგი ქინქლაძის საუკეთესო თამაში. „მანჩესტერ სიტიში“ ჩვენებური ამ ათიოდე წლის წინ ბრწყინავდა, თუმცა, ფეხბურთში ათი კი არა, ერთი წელიც საკმაოდ დიდი დროა იმისთვის, რომ ფორმიდან ამოვარდე. ერთი სიტყვით, სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობის გამო, ქინქლაძეს სინჯების გავლა მოუწევს.

„ლიდსის“ არჩევანი ჩვენებურზე საკმაოდ მარტივი მიზეზით შეჩერდა — ბოლო ხანს მძიმე კრიზისს განიცდის პრემიერლიგის ეს ამბიციური კლუბი. ფინანსური სიდუხჭირე გუნდს აიძულებს ძვირად ღირებული ფეხბურთელები გაყიდოს, თუმცა, შესაძლოა საქმეს ვერც ამან უშველოს, რადგანაც გუნდი სუსტდება და პრემიერლიგიდან გავარდნა რეალური ხდება.


გიორგი ქინქლაძე

ასეთ დროს გუნდის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, გაშვებული ფეხბურთელების სანაცვლოდ გააძლიეროს თავისი შემადგენლობა ისეთი მოთამაშეებით, რომლებიც თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობენ და რომელთა გადმობირებაშიც კლუბს ფული არ დასჭირდება.

სწორედ თავისუფალი აგენტის სტატუსი აქვს გიორგი ქინქლაძეს, რომელსაც „ლიდსის“ სარეზერვო გუნდში რამდენიმე მატჩის ჩატარება მოუწევს, რათა გუნდის ხელმძღვანელობა დარწმუნდეს, რომ მას ნამდვილად შეუძლია სარგებელი მოუტანოს „ლიდს იუნაიტედს“.

# გარდაიცვალა შალვა აფხაზავა



საზარელი ცნობა მოვიდა კიევიდან. გარდაიცვალა კიევის „არსენალის“ ქართველი ფორვარდი შალვა აფხაზავა.

გუნდი 7 იანვარს შეკრებაზე უნდა გამგზავრებულიყო. წინადღეს შალვა, როგორც თანაგუნდელები აღნიშნავენ, მხნედ გამოიყურებოდა და შეშფოთების არანაირი საფუძველი არ არსებობდა. თუმცა...

კიევის „არსენალის“ პრესსამსახურის განცხადებით, ფეხბურთელი ფილტვების შეშუპების შედეგად გარდაიცვალა. როგორც იუწყებიან, საბოლოო დასკვნას ექიმები ერთ კვირაში გამოაქვეყნებენ.

**ვიაჩესლავ გროზნი** — კიევის „არსენალის“ მთავარი მწვრთნელი: „გაოგნებული ვარ მომხდარით, შალვამ წინა დღით სრული დატვირთვით ივარჯიშა, ხალისიანადაც იყო და არანაირი სიმპტომი არ ჩანდა იმისა, რომ ასეთი საზარელი რამ მოხდებოდა. აფხაზავა მეორე სეზონია, რაც გუნდშია და დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, მან სპორტსმენის საუკეთესო თვისებები გამოავლინა, გულდასაწყვეტია მისი მოულოდნელი გარდაცვალება იმიტომაც, რომ ის საუკეთესო პიროვნული ღირსებებითაც გამოირჩეოდა. ჩვენ მასთან ერთად დიდი მიზნები გვქონდა დასახული. სამწუხაროა, რომ ახალგაზრდა კაცზე წარსულ დროში მიხდება საუბარი.“

ფეხბურთელის გადმოსვენებისთვის კიევის მერიამ კიევი-ბათუმის სპეცრეისი გამოყო, ხოლო კლუბმა, სადაც აფხაზავა თამაშობდა, ქართველი ფეხბურთელის ორი წლის ვაჟს, 18 წლამდე მამის ხელფასი დაუნიშნა... შალვა აფხაზავა 23 წლის გახლდათ, ის კიევის „არსენალში“ ბათუმის „დინამოდან“ 2002 წელს გადავიდა და პირველივე მატჩებში გამოიჩინა თავი შედეგიანობით. ქართველი ფორვარდი გასულ სეზონში გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მან კიევის „არსენალში“ 43 მატჩი ითამაშა და 16 გოლი გაიტანა.

# რივალდო „კრუზეიროში“ გადავიდა

მას შემდეგ, რაც ბრაზილიური ფეხბურთის ვარსკვლავის რივალდოსთვის მილანური კარიერა უიღბლო აღმოჩნდა, მან ბრაზილიაში დაბრუნება გადაწყვიტა.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ჩემპიონს რამდენიმე მოწვევა ჰქონდა ევროპის სხვადასხვა კლუბიდან, მათ შორის მოსკოვის „სპარტაკიდანაც“, თუმცა, რივალდომ ყველას უგანა და ბრაზილიურ „კრუზეიროს“ მიაშურა.

„დეპორტივოს“, „ბარსელონასა“ და „მილანის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ბრაზილიურ გუნდთან.

რივალდო თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობდა, ასე რომ, ბრაზილიურ გუნდს მისი გადაბირება ერთი ცენტიც კი არ დასჯდომია.

# როდმანი ბრუნდება



NBA-ს ერთ-ერთი გამორჩეული შოუმენი დენის როდმანი, რომელმაც თამაში 2000 წელს დაასრულა, შესაძლოა დიდ კალათბურთს კვლავ დაუბრუნდეს. ის ამჯერად ამერიკის საკალათბურთო ასოციაციის რომელიმე კლუბში ითამაშებს.

კალათბურთელის აგენტმა დარენ პრინსმა განაცხადა, რომ 42 წლის ვარსკვლავი თავისი ჩვეული ფორმის აღდგენას ცდილობს, რათა კვლავ დაუბრუნდეს NBA-ს.

ამერიკული საზოგადოება ამ ცნობას აღფრთოვანებით შეხვდა. მიზეზი მარტივია — მოედანზე ბრუნდება გამორჩეული დამცველი, რომელმაც სახელი, გაითქვა ულამაზესი მოხსნებით.

„მოხსნების მეფედ“ წოდებული კალათბურთელი ცნობილია სკანდალებითაც, ამის დასტურია თუნდაც მისი ქორწილი ფოტომოდელ კარმენ ელექტრასთან. როდმანმა ჯვრისწერისას განაცხადა, რომ გადაიფიქრა დაქორწინება და ადრინდელი გადაწყვეტილება ზედმეტი ალკოჰოლის მიღებას დააბრალა.

„ყველაფერი ჩემი სიმთვრალის ბრალი იყო, კიდევ კარგი, ჩემმა ადვოკატმა ისეთი წინასაქორწინო ხელშეკრულება გააფორმა, რომლის მიხედვითაც არაფრის გადახდა არ მომიწია,“ — ასეთ კომენტარს აკეთებდა თავისი უჩვეულო გადაწყვეტილების შემდეგ როდმანი.

როდმანი კალათბურთის თამაშისას გამოირჩეოდა იმითაც, რომ სხვადასხვა ფერის თმით გამოდიოდა მოედანზე, თმას კი იმ ფერზე იღებავდა, რა ფერის ფორმაც მის გუნდს ეცვა.

საკალათბურთო სკანდალებს შეჩვეულ როდმანს არც NBA-დან წასვლის შემდეგ შეუცვლია ცხოვრების წესი. ბოლო ორი წლის მანძილზე მისი ხმაურიანი თავგადასავლებით შეწუხებულ მეზობლებს თითქმის 70-ჯერ მოუხდათ პოლიციის გამოძახება.

ასე რომ, როდმანი ბრუნდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამერიკულ საკალათბურთო ცხოვრებას ახალი სკანდალები შეემატება.

# „პარმა“ — აბრამოვიჩის ახალი სამიზნე



მას შემდეგ, რაც ჩუკოტკის გუბერნატორმა, რომან აბრამოვიჩმა საფეხბურთო კლუბი „ჩელსი“ შეიძინა, იგი გაკოტრებული საფეხბურთო გუნდების ერთ-ერთ მშველელად მოიაზრება.

ბოლო ხანს მძიმე ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდა იტალიის სერია A-ს ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი „პარმა“, მისი სპონსორი, სახელგანთქმული კომპანია „პარმალატი“ გაკოტრდა.

იტალიურ პრესაში გამოითქვა ვარაუდი, რომ სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის შეძენით რომან აბრამოვიჩი დაინტერესდა, ამავე ინფორმაციას ავრცელებენ ინგლისური ტაბლოიდებიც. ასე რომ, ჩუკოტკის გუბერნატორის მადა, შესაძლოა, აპენინებსაც გასწვდეს.

# გულიტი „ფეინოორდს“ სეზონის ბოლოს ჩაიბარებს



ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ჰოლანდიელი ფეხბურთელი, რუუდ გულიტი სეზონის ბოლოს, როტერდამის „ფეინოორდს“ ჩაიბარებს. ამჟამად გულიტი ჰოლანდიის 19 წლამდელთა ნაკრებს წვრთნის.

„მე დიდი ხანია მინდოდა „ფეინოორდის“ მთავარი მწვრთნელი გავმხდარიყავი, ვფიქრობ, რომ ამის შესახებ კლუბის ხელმძღვანელობაც ინფორმირებულია და იმედი მაქვს, რომ არანაირ წინააღმდეგობას არ შემიქმნიან.“

ასე, რომ შეიძლება გულიტმა 1-ელი ივლისიდან აიღოს „ფეინოორდის“ მართვის სადავეები.

**გვერდი მოამზადა გიგა ხირსელმა**

## №1 (379) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

წლის პირველ რეიტინგს 528 მკითხველი გამოეხმაურა. 6 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 241-მა ქალმა და 281-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელია გასული წლის ყველაზე პოპულარული სიმღერა?“**

რესპონდენტთა დაახლოებით 46%-მა მაქსიმალური შეფასება ნიკოლშოუს „შებერილს“ მისცა. **6.39** საშუალო ქულით სწორედ „შებერილი“ გახდა 2003 წლის სიმღერის ტიტულის მფლობელი.

შემდეგ ადგილზეა მარიკა თხელიძისა და სოსო თოლორაიას „ქვეყანა აირია“, საშუალო ქულაა 5.36.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მუსიკალური კლიპების რეიტინგში „ქვეყანა აირია“ ლიდერობდა; „შებერილს“ კი წინ დათო ხუჯაძის „მეგობრებთან ერთად“ უსწრებდა.

ნიკოლშოუს მაშინდელი „წარუმატებლობა“ ალბათ, სხვა სიმღერებთან შედარებით ტელეარხებზე დაბალი სიხშირით ტრიალის ბრალი იყო.

„ფორტესა“ და დათო გომართელის „აგენტი 0013“ მესამე ადგილზეა საშუალო ქულით 4.56. როგორც ვხედავთ, დუეტმა სულ მცირე სხვაობით ჩამოიტოვა უკან ლელა წურწუმიას „ღამეა“.

მკითხველმა შედარებით დაბალი შეფასება მისცა თამუნა ამონაშვილისა და ლალი ტოტიკაშვილის დუეტს. დაახლოებით 27%-მა დაუწერა ამ სიმღერას მინიმალური — 1 ქულა.

## წლის სიმღერა




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი თბილისელი, 19 წლის **ანა ბოჟაძეა**. მან, საპრიზო ვარიანტისგან განსხვავებით, „აგენტი 0013“ 6-ის ნაცვლად 5 ქულით (მეოთხე ადგილი) შეაფასა, ხოლო ლელა წურწუმიას „ღამეა“ — პირიქით — 5-ის ნაცვლად 6 ქულით (მესამე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 14 იანვარს, 17 საათზე.

**როგორ ხდება ყველაზე მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა:**

**პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსხვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგალითად, თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (VIII–VII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენდენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VII–VI ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VI–V ადგილებს), 4-სა და 5-ს (V–IV ადგილებს) და ა. შ. 7-8-მდე (II–I ადგილებამდე). თუ არ არსებობს ასეთი ბარათები (სადაც განსხვავება გვერდიგვერდ მდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებით. მაგალითად, 1 და 3 (VIII და VI ადგილები), 2 და 4 (VII და V ადგილები) და ასე შემდეგ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.**

## №2 (380) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღეთ *მკითხველის რეიტინგსა* და **«მკითხველის პრემიაში»**.

**№2 (380) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 14 იანვრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 15 იანვარს 13 საათამდე.**

© თბილისი

**თემა №2(380) — მხიარული ტელეწამყვანები**

**თქვენი აზრით, ვინ არის ყველაზე მხიარული ტელეწამყვანი** ჩამოთვლილთაგან? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№2(380) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ტელეწამყვანი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ნინო დარასელი — I არხი, I სტერეო | |
| 2 | დუტა სხირტლაძე — რუსთავი 2 | |
| 3 | ბორის ნიფურია — I არხი | |
| 4 | გიორგი გიორგანაშვილი („ბახალა“) — I არხი | |
| 5 | ილია ებიტაშვილი — IX არხი | |
| 6 | მალხაზ ქვრივიშვილი — რუსთავი 2 | |
| 7 | ნიკა ლომიძე — იმედი | |
| 8 | დათო გოგიჩაიშვილი — რუსთავი 2 | |

### მკითხველის რეიტინგი

**რომელ ქართულ რადიოს უსმენთ ყველაზე ხშირად?**

✓ ________________

### მკითხველის პრემია

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

### მკითხველის რეიტინგის შედეგები

**რა არის მიხეილ სააკაშვილის ყველაზე დიდი ღირსება?**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გამბედაობა, პრინციპულობა, შეუპოვრობა | 33.4% |
| 2. | პატრიოტიზმი | 12.6% |
| 3. | განათლება, ინტელექტი | 10.9% |
| 4. | პატიოსნება | 10.6% |
| 5. | ბრძოლისუნარიანობა, ენერგიულობა | 6.9% |
| 6. | სამართლიანობა | 4.6% |
| 7. | მიზანდასახულობა | 4.3% |
| 8-9. | გულწრფელობა | 2.9% |
| 8-9. | ოპტიმიზმი | 2.9% |
| 10. | უბრალოება | 1.4% |

რესპონდენტთა 1.1% თვლის, რომ ახალი პრეზიდენტის ყველაზე დიდი ღირსება მისი ჰოლანდიელი მეუღლეა. მკითხველთა 1.7%-ს გაუჭირდა მიხეილ სააკაშვილის ღირსების დასახელება.

**ნაკლი?**

| | | |
|---|---|---|
| 1. | სიფიცხე, ფეთქებადობა, თავშეუკავებლობა | 41.5% |
| 2. | ემოციურობა | 25.3% |
| 3. | ამბიციურობა | 5.4% |
| 4. | ცუდი მანერები | 3.5% |
| 5. | ბევრი ლაპარაკი | 3.2% |
| 6-7. | ზედმეტი გულწრფელობა | 1.6% |
| 6-7. | გამოუცდელობა | 1.6% |
| 8. | ასაკი | 1.3% |
| 9-10. | რადიკალიზმი | 0.9% |
| 9-10. | არადიპლომატიურობა | 0.9% |

მკითხველთა 1,3%-ს გაუჭირდა მისი ნაკლის დასახელება. რესპონდენტთა 8,5% აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილი უნაკლო ადამიანია.

*მკითხველის რეიტინგში 420 რესპონდენტი მონაწილეობდა*

## ·ფოტოპალიტრა· ფოტოანტიკვარი ©

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)



ედუარდ შევარდნაძე, ასლან აბაშიძე

**„ფოტოანტიკვარის“ მინიშნება — „დიდი ხანია, რაც თბილისს და ვარდებს ვეტრფი...“ რესპონდენტებმა „ვარდების რევოლუციას“ დაუკავშირეს და ამ გოგონაში 23%-მა სანდრა რულოვსი „შეიცნო“, 19%-მა — ნინო ბურჯანაძე. თუმცა რესპონდენტთა 32% სწორ კვალზე „გავიდა“ და ფოტოში შეუდარებელი ნანი ბრეგვაძე ამოიცნო.**

**დასახელდნენ ასევე ეკა მამალაძე, მაია ნადირაძე, ლიზა ბაგრატიონი, ეკა ხოფერია...**

**ერთმა მკითხველმა ჩინეთში მზის და ვარდების მხარეზე ამღერებული ირინა ონაშვილიც კი გაიხსენა...**





*ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი*



ნანი ბრეგვაძე, ათი წლის

## ფოტო განწყობისთვის



ჯუნგლებში თავგადახოტრილი ახალგაზრდა მირბის. უკან ცხოველები მისდევენ. ერთი მაიმუნი ეკითხება მეორეს:

— ვინ არის ეს ბიჭი? რატომ მისდევენ და რატომ ტირის ყველა?

— ეს მაუგლია, ჯარში მიჰყავთ!..



**15/I, ☾ უკანასკნელი მეოთხედი**

**მაგნიტური დღეა**

**14/I 11-დან 13 საათამდე**

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. მაიმუნი; 4. მაკრამე; 6. „პორშე“; 7. დათვი; 8. ოდერი; 9. ირინე; 10. იუბილე; 13. ადამსი; 16. ბრაგა; 18. ტაილერი; 19. თაიგული; 20. აპისი; 23. ოვაცია; 24. ვიზიტი; 26. კანოე; 29. ლობიო; 30. ნესვი; 31. ოზონი; 32. „ალიგოტე“; 33. არაყანი.

**შვეულად:** 1. მასკარადი; 2. იპოდრომი; 3. არითმეტიკა; 4. მერიქიფე; 5. ელისაბედი; 11. ბოისა; 12. ლიეჟი; 14. „დაისი“; 15. მაუდი; 16. ბია; 17. ათი; 21. პრა; 22. სნო; 23. ორანჟერეა; 25. ინტელექტი; 26. კალანხოე; 27. „ნაბისკო“; 28. ენოქიმია.



**თარაზულად:** 1. ბავშვების „მოყვარული“ ამერიკელი მომღერალი; 4. ინგლისელი ქიმიკოს-ფიზიკოსი — პირველმა აღწერა მხედველობის დეფექტი, რომელსაც მისი სახელი ეწოდა; 6. ხარებშებმული ორთვალა; 7. რბილი კანფეტის სახეობა; 8. „ღვინის ქურდების“ მთავარი პერსონაჟი; 9. ქართული ფილმი „... ჩამოვიდნენ მთიდან“; 10. თავისუფალი გლეხი შუასაუკუნოვან ინგლისში; 13. ჩრდილო ამერიკის ბალახიანი ველი; 16. „ფილმადქცეული“ სიმღერა; 18. კბილების „კოროზია“; 19. წითელი ფართო ზოლი სამხედრო შარვალზე; 20. ძვირფასი ქვა, მოწითალო ან ჭრელი კვარციტის ნაირსახეობა; 22. პერსონაჟი შექსპირის ტრაგედიიდან „ჰამლეტი“; 23. კორინფოს მეფე, უნაყოფო და დაუსრულებელი შრომის სიმბოლო; 25. გამოსახულებიანი ქვა ბროშში; 27. მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „9 1/2 კვირა“; 28. ფრენკ სინატრას ყოფილი ცოლი და ვუდი ალენის ყოფილი შემოქმედებითი მუზა — ... ფეროუ; 29. ადრე მოსწავლეთა დასასჯელად გამოიყენებოდა ... წკეპლები; 30. სხეულის თვისება ნიუტონის პირველ კანონში; 31. ნედლეული „ჩერი ბრენდისთვის“.

**შვეულად:** 1. ქართველი ნახევარმცველი დონეცკის „მეტალურგში“; 2. მზის სისტემის უდიდესი პლანეტა; 3. ფლემინგის აღმოჩენა; 4. განთქმული ესპანელი ტენორის თავდაპირველი მუსიკალური პროფესია; 5. წიწილების გამოჩეკა ინკუბატორში; 11. სატელეგრაფო ანბანის შემქმნელი; 12. ფრანგი პოეტი, ისტორიკოსი და კრიტიკოსი; 14. დეფორმირებული კვადრატი; 15. გუნდი, რომელშიც ერთად თამაშობენ: ზიდანი, ფიგუ, რონალდო და ბექჰემი; 16. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 17. ილიუშინის საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ პროექტირებული თვითმფრინავების მარკა; 21. ასურეთის დედოფალი, რომლის სახელთანაა დაკავშირებული მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება; 22. კინოფილმის ერთ-ერთი შემქმნელი; 24. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვის, კოალას ყოველდღიური საკვები; 25. რა სახეობას წარმოადგენს ე.წ. „ოქროს თევზი“; 26. იგივეა, რაც მულტიპლიკაცია.

**შეადგინა რამაზ ალანია**







ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## ② უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

____________________

____________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№2 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 15 იანვრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

**„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54

**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი © 1518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.